სამხედრო ხელოვნების ისტორია

I

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემია

სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

სამხედრო ხელოვნების ისტორია
(დამხმარე სახელმძღვანელო იუნკერებისათვის)

ნაწილი I

თბილისი
2024

უაკ (UDC) 355(09)(075.8)
მ_983

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს დამხმარე სახელმძღვანელოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის იუნკერებისათვის სამხედრო ხელოვნების ისტორიაში. მას რიდერის (ელექტროვერსიის) სახით ვიყენებდით სასწავლო პროცესში, მაგრამ პრაქტიკამ გვიჩვენა სახელმძღვანელოს ნაბეჭდი წესით იუნკერებისთვის მიწოდების აუცილებლობა.

აღნიშნულ სახელმძღვანელოში გავაერთიანეთ სხვადასხვა ავტორების პუბლიკაციები. აკადემიის სასწავლო პროცესის სპეციფიკიდან გამომდინარე, მოვახდინეთ ტექსტების რედაქტირება და ადაპტირება. ქრონოლოგიური ჩარჩო მოიცავს ცალკეულ პერიოდებს ანტკური ხანიდან მე-20 საუკუნის მიწურულამდე. წარმოდგენილი საკითხავი მასალა მეტად საინტერესოა როგორც საქართველოს, ასევე ევროპისა და აზიის სამხედრო ხელოვნების კუთხით. კერძოდ, სახელმძღვანელოში შეკრებილია ამ დარგის ქართველი და უცხოელი მკვლევარების ნაშრომები სამხედრო ისტორიის მნიშვნელოვანი მოვლენებისა და სამხედრო ლიდერების შესახებ. წარმოჩენილია ამ უკანასკნელთა განსაკუთრებული როლი (პიროვნული თვისებები, აზროვნებისა და მართვის უნარები) ბრძოლებსა და სამხედრო კომპანიებში გამარჯვების ან დამარცხების საქმეში, რაც, ჩვენი აზრით, მეტად საინტერესო იქნება იუნკერებისა და ზოგადად მკითხველისათვის.

საკითხავი მასალის მოცულობიდან გამომდინარე, განსაზღვრულია სახელმძღვანელოს გამოცემა რამდენიმე ნაწილად. ამასთან, დიდი ინტერესით მივიღებთ მკითხველის შენიშვნებსა და წინადადებებს.

შემდგენელი-რედაქტორი: ისტორიის დოქტორი ზურაბ მჭედლიშვილი
დამკაბადონებელი: ინფორმატიკის ინჟინერიის აკადემიური დოქტორი ქეთევან კვესელავა

მთარმგნელები: მანანა სეხნიაშვილი, მანანა ღუდუშაური

ISBN 978-9941-8-6421-6

წინასიტყვაობა

,,დაე ისტორია ტყუილს შეუშინდეს,
მაგრამ არ შედრკეს არანაირი
სიმართლის წინაშე.“
ციცერონი

სამხედრო ხელოვნების ისტორია საისტორიო მეცნიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია, მაგრამ მას სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი დანიშნულებაც გააჩნია. კერძოდ, გვინდა ეს თუ არა, ომი კაცობრიობის განვითარების თანმდევი პროცესია. ამასთან, ომი არის გამოცდა როგორც დიდი, ასევე პატარა ერებისთვის. ვინც ამ გამოცდას ვერ უძლებს - ქრება ისტორიული არენიდან. მხოლოდ ის ერი განაგრძობს არსებობას და განვითარებას, რომელსაც შესწევს შინაგანი ძალა გაუძლოს ომის ზეწოლას და მას თავისი სულიერი და ფიზიკური სიცოცხლისუნარიანობა დაუპირისპიროს. ამავე დროს, ომი წარმოშობს ლიდერებს - სტრატეგებს, მხედართმთავრებს, გენერლებს (მნიშვნელობა არ აქვს მათ სოციალურ კუთვნილებას), რომლებიც კონკრეტულ ისტორიულ მონაკვეთში წარმოჩინდებიან და ბრძოლაში სასწაულებს ახდენენ. მათი სახელები სამუდამოდ დამკვიდრდა მსოფლიო ისტორიის ფურცლებზე, ხოლო მათი გამორჩეული პიროვნული თვისებები: სულიერი სიმტკიცე, სამშობლოს სიყვარული, ნებისყოფა, მაღალი პროფესიონალიზმი და საქმისადმი ერთგულება დღესაც მისაბაძი უნდა იყოს ახალგაზრდა თაობებისთვის.

საბრძოლო მოქმედებების წარმართვა მეტად რთული პროცესია, რომელიც ხელოვნების დონემდეა აყვანილი. სამხედრო პროფესია იმით განსხვავდება სხვა პროფესიებისგან, რომ ამ შემთხვევაში მეთაური, სარდალი თუ მხედართმთავარი დაქვემდებარებული ადამიანების სიცოცხლეზეა პასუხისმგებელი. სწორედ მის გადაწყვეტილებებზეა დამოკიდებული დაპირისპირებულ მხარეთა შორის ვის მხარეზე გადაიხრება გამარჯვების სასწორი. უდავო ჭეშმარიტებაა: პიროვნებები ქმნიან ისტორიას!

წინამდებარე სახელმძღვანელოც სწორედ ამ პრინციპით არის აგებული; გაანალიზებულია სამხედრო ლიდერის მოქმედების ხასიათი უშუალოდ ბრძოლებსა და სამხედრო კამპანიებში, ჯარებისა და მსხვილი სამხედრო შენაერთების ხელმძღვანელობის უნარი და ა.შ. ნაჩვენებია მისი შეცდომებიც, რომლებმაც ჯარისკაცებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის მხრიდან დიდი მსხვერპლი გამოიწვიეს. შესაბამისად, მშვიდობიანობის დროს სწავლაში დაღვრილი ოფლი ბრძოლაში დაღვრილ სისხლს ზოგავს. სწორედ ამას გვასწავლის სამხედრო ისტორია.

შინაარსი

თავი I 6

კურსის მიზანი, შესავალი ნაწილი 6

თავი II 22

სუნ ძი და მისი ნაშრომი ,,ომის ხელოვნება” 22

თავი III 56

ანტიკური ხანის სამხედრო ხელოვნება, ბერძნული და მაკედონური ფალანგები 56

თავი IV 106

რომი და ომის წარმოების რომაული გზა 106

საკითხავი ლიტერატურა 142

თავი I

კურსის მიზანი, შესავალი ნაწილი

თემის მოკლე შინაარსი

მოცემული თემა წარმოადგენს სამხედრო ხელოვნების ისტორიის, როგორც სასწავლო დისციპლინის შესავალ მეცადინეობას და მასში განხილულია ბაკალავრიატის საერთო სწავლების სისტემაში საგნის ადგილი და მნიშვნელობა.

სამხედრო ხელოვნების ისტორიის სასწავლო დისციპლინის მიზანია საქართველოსა და მისი შეიარაღებული ძალების წინაშე არსებული დღევანდელი გამოწვევების ფონზე, ისტორიული მაგალითების შესწავლისა და გამოცდილების ანალიზის საფუძველზე, იუნკერებს ჩამოუყალიბოს პრობლემასთან კრიტიკული მიდგომის, მისი შეფასებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარ-ჩვევები.

ჩვენ გავეცნობით სამხედრო და საზოგადო მოღვაწეთა ნააზრევს სამხედრო ისტორიის ადგილისა და როლის, მისი მნიშვნელობის შესახებ. გავავლებთ გარკვეულ ისტორიულ პარალელებს სხვადასხვა ეპოქის საომარ სტრატეგიებს, ოპერატიული და ტაქტიკური დონის საბრძოლო მოქმედებებს შორის.

ისტორიის ცოდნას ზოგადად კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადამიანისათვის. დიდი ილია ამბობდა: ,,დავიწყება ისტორიისა მომასწავებელია ერის სულით და ხორცით მოშლისა, დარღვევისა და წარწყმედისაც. წარსული მკვიდრი საფუძველია აწმყოსი, როგორც აწმყო _ მომავლისა... რომელია სიმაგრე ჩვენი ცხოვრებისა და რომელი სიფუყე და სისუსტე, ამას ახსნის ხოლმე მარტო ისტორია. და თუ იგი დავივიწყეთ, მაშ დაგვივიწყნია ჩვენი ცხოვრების სათავე, ჩვენი ცხოვრების საძირკველი და თუ ეს ასეა, რაღაზედ უნდა დავამყაროთ ჩვენი აწმყო, ჩვენი მერმისი?”

სურ. 1 ილია ჭავჭავაძე (1837-1907),
გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, შერაცხულია წმინდანად

ისტორიის შესწავლისათვის კი, წიგნის კითხვაა საჭირო. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ საქართველოსათვის უმძიმეს ხანაში, სახელმწიფოებრივი გაერთიანებისათვის წარმოებულ ბრძოლებსა და ლაშქრობებში, დავით აღმაშენებელს მუდმივად თან ახლდა მოძრავი ბიბლიოთეკა... ბრძოლების წინ და ბრძოლებს შორის დიდი მეფე ყოველთვის პოულობდა დროს წიგნების საკითხავად...

სურ. 2 დავით IVაღმაშენებელი (მეფობდა 1089-1121 წლებში),
გამოჩენილი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, შერაცხულია წმინდანად

ფრანკლინ რუზველტი _ აშშ-ს პრეზიდენტი: ,,ისტორიის შესწავლა ჩემთვის გაცილებით მეტს ნიშნავდა, ვიდრე რომანტიკული თავგადასავლების კითხვა... ჩემთვის იგი ცხოვრების მყარი ინსტრუქცია და სიბრძნის სწავლება იყო, რის აუცილებლობასაც მე ყოველთვის ქვეცნობიერად ვგრძნობდი...“

წარსულის შესწავლა და დაშვებული შეცდომებისა და განცდილი წარმატებების გათვალისწინება აუცილებელია. მით უმეტეს, როცა ეს საკითხი სამხედრო სფეროს ეხება. ცნობილი ბრიტანელი სტრატეგოსი ლიდელ ჰარტი ამბობდა: ,,ისტორია კაცობრიობის მიერ დაშვებული შეცდო-

მების კატალოგია... ჩვენი მოვალეობა კი ისაა, რომ მაქსიმალური სარგებელი მივიღოთ მისგან... ისტორია არის უნივერსალური გამოცდილება _ უსასრულოდ უფრო გრძელი, უფრო ვრცელი და უფრო მრავალფეროვანი, ვიდრე ნებისმიერი ცალკეული პირის გამოცდილება. რამდენად ხშირად გვესმის, რომ ადამიანი აცხადებს პრეტენზიას მსოფლიოს ან ცხოვრების ცოდნის შესახებ იმიტომ, რომ ის სამოცი ან სამოცდაათი წლის არის?... გამართლება არ აქვს განათლებულ ადამიანს თუ ის გონებით არის უფრო ნაკლები ასაკის, ვიდრე სამი ათასი წლის ადამიანი".



სურ. 3 ბაზილ ლიდელ ჰარტი (1895-1970),
ბრიტანეთის არმიის მაიორი, სამხედრო თეორიტიკოსი და ისტორიკოსი

ნაპოლეონი _ ,,იკითხეთ და ისევ გადაიკითხეთ ალექსანდრეს, ჰანიბალის, კეისარის, გუსტავისა და ფრიდრიხის საომარი კამპანიები. დააყენეთ თქვენი თავი მათ ადგილას... მხოლოდ ესაა ერთადერთი გზა გახდე დიდი მეთაური და ამოხსნა ომის ხელოვნების საიდუმლოებანი..."



სურ. 4 ნაპოლეონ ბონაპარტე (1769-1821), საფრანგეთის გამოჩენილი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე

აშშ-ს გენერალი ჯორჯ მარშალი: ,,ოფიცრებთან ერთად ყოფნამ, წიგნების კითხვამ და აზრთა გაცვლა-გამოცვლამ უდიდესი დადებითი გავლენა იქონია ჩემზე.....შესწავლილიდან მე მცირეოდენის გამოყენება შევძელი, მაგრამ ვისწავლე ის, თუ როგორ უნდა მესწავლა _ მე ვისწალე სწავლა.....ამით ჩემი აზროვნება უფრო განვითარდა..."



სურ. 5 ჯორჯ მარშალი (1880-1959), გენერალი, აშშ-ს გამოჩენილი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე

და ბოლოს ერთი რჩევა, რომელიც ცნობილ გერმანელ ოფიცერს, ფელდმარშალ ერვინ რომელს მიეწერება: ,,გადაჭარბებული შრომა ყოველთვის სჯობს გადაჭარბებულ სიზარმაცეს... ოფლი სისხლს ზოგავს...”

სამხედრო ისტორია: არის ჯერ კიდევ პრაქტიკული?

სამუელ ჯეი ლუვასი

ატომური ბომბისა და მისი გამანადგურებელი შედეგების, მართვადი ბომბებისა (,,ჭკვიანი ბომბი”) და ნერვულ-მაპარალიზებელი მოქმედების გაზის გამოჩენამდე, კომპიუტერული ტექნოლოგიების შექმნამდე და ბრძოლის მოდელირებამდე იყო პერიოდი, როცა პროფესიონალი ჯარისკაცები ისტორიის კითხვას დროის სასარგებლოდ გატარებად მიიჩნევდნენ. მრავალმა ადამიანმა, რომელმაც დაიპყრო სამხედრო პროფესიის მწვერვალები, დაადასტურა სამხედრო ისტორიის შესწავლის სარგებლიანობა.

თუმცა, ამ ადამიანების შეხედულებების უმეტესობა აღიქმება, როგორც წარსულიდან წამოსული შთამბეჭდავი ხმები. გენერალი მაკარტური, რომელიც ჩაფლული იყო ოჯახურ ტრადიციებში და კარგად იცნობდა მამისგან მემკვიდრეობით მიღებულ 4000 ტომის უმრავლესობას, ვერასოდეს ვერ იშველიებდა ისტორიულ მაგალითს, რათა ხაზი გაესვა საკუთარი შეხედულებისთვის; კრიუგერმა, როგორც ახალგაზრდა ოფიცერმა, გადათარგმნა წიგნები და სტატიები გერმანული სამხედრო ლიტერატურიდან; ეიზენჰაუერმა მრავალი საათი დაუთმო მრავალმხრივ განათლებული ფოქს კონერის მოსმენას იმის შესახებ, თუ რისი შესწავლა შეიძლება სამხედრო ისტორიიდან; ჯორჯ მარშალმა და მისმა თანამედროვეებმა ლევენვორთში, სახმელეთო ჯარების სამეთაურო-საშტაბო კოლეჯში, აღადგინეს სამოქალაქო ომის კამპანიები მოქმედებების შემდგომი მოხსენებებიდან; საფრანგეთის სახელოვანმა მარშალმა პეტენმა 1943 წელს დრო დაუთმო წიგნის კითხვას, რომელიც შეეხებოდა სიცილიის დაპყრობას ნორმანების მიერ თითქმის ცხრა საუკუნით ადრე და ,,ჩვენი მოქმედებების მსგავსად მრავალი პუნქტის” აწონ-დაწონვას. სახმელეთო ჯარების ყველა ეს მეთაური გათვითცნობიერებული იყო სამხედრო ისტორიაში.

ასეთივე იყო უამრავი მათი სამოქალაქო ხელმძღვანელი. პრეზიდენტი ფრანკლინ რუზველტი იყო საზღვაო ისტორიას მოწყურებული მკითხველი, ხოლო პრეზიდენტი ჰარი ტრუმენი ხშირად იღებდა სათანადო გაკვეთილებს, რომლებიც მან ამოკრიფა ისტორიიდან:

,,ჩემთვის ისტორია უფრო მეტს ნიშნავდა, ვიდრე რომანტიკული თავგადასავლების კითხვას. ეს იყო მყარი ცოდნის მიცემა და კეთილგონივრული სწავლება, რომელიც როგორღაც ვგრძნობდი, რომ მჭირდებოდა... მიმაჩნდა, რომ თუ შევძლებდი რეალური ფაქტების აღქმას შეერთებული შტატების მთავრობის განვითარების შესახებ და შევძლებდი მისი პოლიტიკური ლიდერების ცხოვრების დეტალების გაცნობას, მე შევიძენდი ფასეულ განათლებას... მე არ ვიცოდი უფრო მეტად სარწმუნო გზა პოლიტიკურ მეცნიერებასა და სახელმწიფო მმართველობაში მყარი საფუძვლის მიღებისა, ვიდრე წარსულის მმართველობის იმ ისტორიული წყაროების ცოდნა, რომლებიც შეეხება მსოფლიოში მმართველობის ფორმის ყველაზე წარმატებულ სისტემას".

სურ. 6 ისტორიის მფარველი მუზა კლიო
(ძველი ბერძნული მითოლოგიიდან)

რადგან სამხედრო სამსახური არის ,,პრაქტიკული'' პროფესია, რომელიც მოითხოვს დიდ დროს პრობლემის გადასაჭრელად, ჯარისკაცები - ინჟინრებისა და მეცნიერების მსგავსად - პრაგმატულები არიან იმასთან მიმართებაში, რაც იგულისხმება სიტყვაში ,,პრაქტიკული''. ისტორია არის ,,პრაქტიკული'' (,,პრაქტიკულად გამოსაყენებელი'') თუ ის იძლევა გაკვეთილებს, განსაკუთრებით ისეთ მისაბაძ (სამაგალითო) გაკვეთილებს ტაქტიკასა და სტრატეგიაში, რომელთა გამოყენებაც პირდაპირ შეიძლება ზოგიერთ ამჟამინდელ ვითარებაში. ისტორია ,,სასარგებლოა'' დოქტრინის პუნქტების ილუსტრაციისთვის, ახალგაზრდა ოფიცრებში სათანადო სამხედრო ფასეულობების ჩასანერგად ან სამხედრო მემკვიდრეობის შესაფასებლად. ,,პრაქტიკული'' ადამიანი ხშირად ზედმიწევნით სწავლობს წარსულს ზოგიერთი იმ მაგიური ფორმულის მისაღებად, რომელსაც შეუძლია ომში წარმატების უზრუნველყოფა, როგორიცაა ფელდმარშალ ფონ შლიფენის შემორტყმის თეორია ან კაპიტან ლიდელ ჰარტის ირიბი მიახლოების სტრატეგია.

ასეთი ვარაუდები გარდაუვალად განსაზღვრავენ იმ მიმართულებას, რა მიმართულებითაც ისწავლება სამხედრო ისტორია. რადგანაც მშვიდობიანობის დროს ოფიცრის მნიშვნელოვანი მოვალეობაა სწავლება და რადგანაც სახმელეთო ჯარებში სწავლება ჩვეულებრივ გულისხმობს გან-

მარტებას, ხშირად დაშვებულია ის ფაქტი, რომ სწავლების მიზნით უნდა მოხდეს ისტორიის განმარტება. ამიტომ, აქცენტის გაკეთება ხდება ინფორმაციის ადვილად გასაგები და ხშირად გულუხვად ილუსტრირებული ლექციის სახით ორგანიზებასა და წარდგენაზე, რომელშიც თანმიმდევრული პასუხები აღემატება იმ გაუთავებელ შეკითხვებს, რომლებიც იბადება ყველა ადამიანის გონებაში. იმის ვარაუდი, რომ პიროვნებას, რომელსაც ახსოვს ლექცია, როგორღაც ნასწავლი ექნება ისტორია, არის ჩვენს მიერ გაკეთებული მცდარი ვარაუდი.

აგრეთვე ჭეშმარიტებაა ისიც, რომ ზოგიერთ არსებულ პრობლემაზე ,,პრაქტიკული" პასუხის უზრუნველსაყოფად ისტორიის არც ერთ სფეროზე არ მოდის ისეთი ზეწოლა როგორც სამხედრო ისტორიაზე. თუ სამხედრო ისტორიას არ შეუძლია ასეთი პასუხების უზრუნველყოფა, რატომ უნდა ვისწავლოთ ის? რენესანსის ეპოქის დიპლომატიის სპეციალისტი იშვიათადაა საჭირო უცხო ქვეყნის პოლიტიკაზე მისი შეხედულებების გამო, თუმცა უფრო მეტად, მისი ფიქრები კონცენტრირებულია მხოლოდ მე-15 საუკუნეში თურქებთან წარმოებულ ცივ ომზე. და არც ის მეცნიერი, რომელმაც მთელი სიცოცხლე საფრანგეთის რევოლუციის შედეგების შესწავლას დაუთმო, არ გამოდგება რჩევისთვის მაშინ, როცა ახალი ამბები იუწყება ჯერ კიდევ სასახლის მეორე გადატრიალების შესახებ ზოგიერთ ლათინურ-ამერიკულ ბანანის რესპუბლიკაში. მაგრამ მიეცით უფლება ისტორიკოსს ან ჟურნალისტს შეისწავლოს ზოგიერთი ,,მიყრუებული'' კუთხე სამხედრო ისტორიის სფეროში, რასაც ხშირად მისგან ელიან და უკვე გაჩნდება ცდუნება, რომ მან შეასრულოს მიმდინარე საქმეების სამხედრო ანალიტიკოსის ფუნქცია.

შესაძლებელია ჩვენ იმიტომ ვფიქრობთ ასე, რომ ჩვენ ვრცლად არ ვიცნობთ ფაქტებსა და ისტორიის ბუნებას. საშუალო სკოლაში, სადაც ევროპული ისტორია აღარ მოითხოვება, ის ჩაანაცვლეს რაღაცით, რომელსაც ,,დასავლური ცივილიზაცია'' ეწოდება. ჩვენ განსაცვიფრებლად ცოტა ვიცით სხვა საზოგადოების ისტორიის შესახებ და უმეტეს ჩვენგანს, საუბედუროდ ეს ნაკლებადაც კი გვაინტერესებს. მთელს ქვეყანაში კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში ,,ფეხების ბაკუნით ხმის მიცემამ" შედეგად გამოიწვია ის, რომ სტუდენტების დინება ისტორიის ფაკულტეტებზე შენელდა, რადგან მათ აირჩიეს უფრო ,,მეტად პრაქტიკული'' საგნები, როგორიცაა ეკონომიკა, ფსიქოლოგია, ბიოლოგია, ინჟინერია და ბიზნესის ადმინისტრირება. აშშ სახმელეთო ჯარების სასწავლო დაწესებულებებში ისტორია გახდა მეორეხარისხოვანი საგანი. აშშ სამხედრო აკადემიაშიც კი სამხედრო ხელოვნების ისტორიაში მოთხოვნილი კურსი მკაცრად შემოკლებული იყო რამდენიმე წლის წინ და მხოლოდ ახლახანს აღდგა სასწავლო გეგმაში და დაიკავა მისთვის ლოგიკური ადგილი. რეალურად, რამდენმა ოფიცერმა, რომელმაც მრავალი არასამუშაო საათი დაუთმო სამეცნიერო ხარისხის მიღებას, მიიღო ხარისხი ისტორიაში? დღესდღეობით ოფიცერთა კორპუსში საგანი იშვიათად განიხილება როგორც ,,პრაქტიკული''.

უფრო მეტიც, ისმის კითხვა: სახმელეთო ჯარები როგორც ინსტიტუტი არის ისტორიით ისევე დაინტერესებული, როგორც ეს იყო ისტორიულ წარსულში? ისტორიისა და მისი პროცესების ზედაპირული აღქმის გარეშეც კი არ არსებობს გზა, რომლითაც წარსულს შეეძლება მომავლისათვის თვალსაჩინო გაკვეთილის შეთავაზება. პროფესორი პიტერ გეილი, რომელიც გახლდათ ცნობილი ჰოლანდიელი ისტორიკოსი, გვახსენებს, რომ უნაყოფოა ,,ისტორიის გაკვეთილებზე'' საუბარი მაშინ, როცა ისტორიკოსი ,,ყოველივე ამის შემდეგ არის მხოლოდ ადამიანი, რომელიც ზის სამუშაო მაგიდასთან.'' გაკვეთილები, რომლებიც ჩვენ უნდა ვასწავლოთ არის მისი მუშაობის ნაყოფი, მისი წარმოსახვის ქმნილება. შესაძლებელია არის მოსაზრება, რომელიც მან მკითხველს უნდა შთააგონოს ისტორიული ფაქტების მნიშვნელობა. როგორც ცნობილმა გერმანელმა გენე-

რალმა ფონ მოლტკემ ასეული წლის წინ განაცხადა: ,,კარგად ცნობილია, რომ სამხედრო ისტორია ზედაპირულად შესწავლითაც კი უზრუნველყოფს არგუმენტებს ნებისმიერი თეორიის ან მოსაზრების მხარდასაჭერად მომავალში.''

საერთო შეცდომები

სურ.7 ფრიდრიხ II დიდი (მეფობდა 1740-1786 წლებში), პრუსიის სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე

შესაძლებელია ყველაზე ხშირად ისტორიას ჩრდილს აყენებენ იმ შეცდომის გამო, როცა ისტორიულ მაგალითს იღებენ კონტექსტიდან. იმ ისტორიული კონტექსტიდან ამოღებისას, რომელიც ყოველთვის უნიკალურია, ბრძოლა ან კამპანია ვეღარ უზრუნველყოფს ისტორიიდან მრავლისმეტყველი გაკვეთილების შეთავაზებას. ნაპოლეონის მოგონებების მიხედვით მოხუცი ფრიდრიხი ჩუმად დასცინოდა პოტსდამის აღლუმებს, როცა მან დაინახა ახალგაზრდა ოფიცრების: პრუსიელების, ფრანგების, ინგლისელებისა და ავსტრიელების გაგიჟებული სიყვარული ირიბი წყობის მანევრის მიმართ, რომელიც (თავისმხრივ) არაფრისთვის იყო გამოსადეგი, გარდა რამდენიმე მაიორ-ადიუტანტისთვის რეპუტაციის მოსაპოვებლად. ნაპოლეონი მიხვდა, რომ ფრიდრიხის წარმატებების საიდუმლო იყო არა ირიბი წყობა, არამედ თვითონ ფრიდრიხი. ,,გენიოსი მოქმედებს შთაგონების მიხედვით"-ასკვნიდა ნაპოლეონი. ,,რაც ერთ შემთხვევაში კარგია, მეორე შემთხვევაში კი ცუდი." ფრიდრიხის ჯარისკაცებიდან ერთ-ერთი ამტკიცებდა, რომ სხვა გარემოში ფრიდრიხის მანევრებსაც კი შეეძლო მოეტანა წარუმატებლობა. როცა ბარონი ფონ შტოიბენი, რომელიც მსახურობდა პრუსიის არმიაში მთელი შვიდწლიანი ომის განმავლობაში, ცდილობდა ვაშინგტონის აკანკალებული, ნახევრად მშიერი მოხალისეებისგან ჯარის შექმნას ველი-ფორჯში, მან მაშინ უკეთესად იცოდა, რომ იმ კომპლექსური მანევრების შესწავლა, რომლებსაც ის დაეუფლა ფრიდრიხის ხელმძღვანელობის ქვეშ, ძვირფასი დროის გაფლანგვას ნიშნავდა. ნაცვლად, მან შეარჩია მხოლოდ ის ადამიანები, რომლებიც აუცილებელნი იყვნენ ამერიკაში გაბატონებული უნიკალური საომარი პირობების დასაკმაყოფილებლად, სადაც მოხალისეებს ჰქონდათ მხოლოდ რამდენიმე თვე (და არა წლები) ფრიდრიხის საბრძოლო მომზადების სირთულეებში დახელოვნებისთვის, და სადაც ოფიცრებს მოუწევდათ მაგალითების მეშვეობით ხელმძღვანელობის შესწავლა და არა პრუსიის სისტემის სიმკაცრეზე დაყრდნობა. ფრიდრიხი ხშირად აფრთხილებდა ოფიცრებს, რომ ,,ჯარისკაცების შეკავება შესაძლებელია მხოლოდ შიშის საფუძველზე'' და ამიტომ საჭიროა ,,ჯარისკაცების საკუთარი ოფიცრებით დაშინება უფრო მეტად ყველა იმ საფრთხესთან შედარებით, რომლის ზემოქმედების ქვეშაც ისინი მოექცევიან ... კეთილ ნებას არასოდეს შეუძლია უბიძგოს რიგითს აიტანოს ასეთი საფრთხეები; ის ამას გააკეთებს შიშის საფუძველზე.'' რასაც შეეძლო ვაშინგტონის არაპროფესიონალი ჯარისკაცების მოტივირება ველი-ფორჯში, რა თქმა უნდა არ იყო შიში.

საჭიროა წარსულის გამოცდილების გათვალისწინება. გერმანელებმაც კი II მსოფლიო ომის დროს მხედველობაში აშკარად არ მიიღეს I მსოფლიო ომის გაკვეთილები და დასკვნები არ გამოიტანეს ამ ომის დროს მიღებული საკუთარი გამოცდილებიდან. ზოგადი დასკვნების გამოტანის ტენდენციის ჩვენების გარდა, ისინი ხშირად განურჩევლად იყენებდნენ ერთი ვითარების დროს მიღებულ გამოცდილებას მთლიანად განსხვავებული გარემო-პირობების მიმართ. მაგალითად,

გერმანიის უმაღლესმა მთავარსარდლობამ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომში შეუცვლელად გამოიყენა გამოცდილება, რომელსაც ის დაეუფლა დასავლეთის ფრონტზე 1940 წელს, მიუხედავად იმისა, რომ რუსი ჯარისკაცის ,,დიდი შეუპოვრობა'', ფლანგებისთვის საფრთხის შექმნის მიმართ მისი გულგრილობა, გზების უკმარისობა და ვრცელი სივრცე ,,მოწინააღმდეგეს გადაწყვეტილების მიღების თავიდან არიდების შესაძლებლობას აძლევდა.'' ერთ-ერთი გერმანელი გენერლის სიტყვებით, გამოცდილების არასწორმა გამოყენებამ არა მარტო ზემოქმედება მოახდინა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულ ოპერატიულ გეგმაზე, არამედ მან ,,განაპირობა საბოლოო იმედგაცრუებაც.''

აგრეთვე დამახინჯებაა (გაყალბებაა) წარსულის თავისებურ (დამახასიათებელ) მოდელში მოქცევა, რადგან ეს ისეთივე ისტორიის ჭეშმარიტებაა როგორც ის, რომ ,,თითოეული ადამიანი საკუთარ განსაკუთრებულ გაკვეთილს საკუთარი განსაკუთრებული გონებისა და განწყობის შესაბამისად კითხულობს.'' ისტორია დიდსულოვნად პასუხობს გამონათქვამს ,,ეძიებდეთ და ჰპოვებდეთ''. მე-19 საუკუნის დასასრულს გერმანიის გენერალური შტაბის უფროსი, გრაფი ალფრედ ფონ შლიფენი პირისპირ შეეჯახა მოთხოვნას დაეგეგმა ომი ორ ფრონტზე. მისი გადაწყვეტილება კი იყო სწრაფი წარმატებისათვის მიეღწია ერთ ფრონტზე, რათა თავიდან აერიდებინა საბოლოო მარცხი ორივე ფრონტზე. სწრაფი გამარჯვების მოსაპოვებლად ბოლომდე ბრძოლისთვის შთაგონება მას, ნაწილობრივ, მოუვიდა ჰანს დელბრუკის ნაშრომების პირველი ტომის წაკითხვისას, რომელიც გამოიცა 1900 წელს. დელბრუკის მიერ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 216 წელს წარმოებული კანეს ბრძოლის განხილვამ შლიფენი დაარწმუნა, რომ ჰანიბალმა არასიმეტრიული გამარჯვება ცენტრის წინასწარ განზრახული შესუსტებითა და მთელი ძალის გამოყენებით ორივე ფლანგიდან შეტევის მიტანით მოიპოვა. შლიფენის ყველაზე გახმაურებული გეგმა იყო ამ იდეაზე მორგება (ადაპტირება). ამგვარად, მან აღმოაჩინა რა ,,ძირითადი არსი'', შლიფენი საკუთარ ნაწერებში დაუბრუნდა გარშემორტყმის იდეას, რათა გაეხსნა ფრიდრიხ დიდისა და ნაპოლეონის წარმატებების საიდუმლოებები. ის აცხადებდა, რომ ორივე მათგანი ყოველთვის ცდილობდა მოწინააღმდეგის გარშემორტყმას მათი ალყაში მოქცევის მიზნით. მსგავსად, ისტორიკოსმა ლიდელ ჰარტმა გენერალ შერმანის ბიოგრაფიისთვის მასალის ძიების დროს აღმოაჩინა, რომ შერმანის წარმატების არსი ეფუძნებოდა არაპირდაპირი მიახლოების სტრატეგიას. როცა ის მთლიანად დაუბრუნდა ისტორიას ამ ფაქტის დადასტურების მიზნით, რა თქმა უნდა, მან ,,აღმოაჩინა,'' რომ თითქმის ყველა წარმატებულმა გენერალმა, იცნობდნენ თუ არა ისინი ამ სტრატეგიას, გამოიყენა არაპირდაპირი მიახლოების სტრატეგიის მსგავსი რაღაც. ერთხელ მომავალმა ბრიტანეთის ფელდმარშალმა სერ არჩიბალდ ვეიველმა, რომელიც ლიდელ ჰარტის იდეებს ყოველთვის სტიმულის მიმცემად მიიჩნევდა, მიუხედავად იმისა ეთანხმებოდა ის ამ იდეებს თუ არა, მოხერხებულად უთხრა მეცნიერს: ,,თქვენი ცოდნით და ტვინით და კალმის ოსტატური ხმარებით-სწორედ თქვენ შეგეძლოთ ისეთი დამაჯერებელი წიგნის დაწერა, როგორიც ,,ირიბი მიახლოების სტრატეგიაა.'' ვეიველი აფასებდა, რომ ეს იყო ლიდელ ჰარტი და არა ისტორიის მუზა, რომელიც ქადაგებდა ამ შესანიშნავ დოქტრინას.



სურ. 8 ჰანიბალი (ძვ. წ. 247-183 წ.),
კართაგენის დიდი სტრატეგოსი და
სახელმწიფო მოღვაწე

სურ. 9 ალფრედ ფონ შლიფენი,
გენერალ-ფელდმარშალი,
გერმანიის იმპერიის არმიის გენერალური
შტაბის უფროსი 1891-1906 წწ-ში

უფრო მეტიც, ისტორიიდან მაგალითების მოყვანით არაფრის დამტკიცება არ ხდება. არსებობს მრავალი ნაშრომი სამხედრო თეორიის შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს მაგალითებს, რომ ანალოგიებსა და ავტორიტეტებზე დაყრდნობა ყოველთვის არ არის კარგი არგუმენტი; კარლ ფონ კლაუზევიცის თანახმად, ისტორიული მაგალითების ასეთი არასწორი გამოყენება ,,არა მხოლოდ ტოვებს მკითხველს დაუკმაყოფილებელს, არამედ იწვევს კიდეც მისი ინტელექტის გაღიზიანებას.'' ისტორიული მაგალითების უბრალო ციტირება უზრუნველყოფს მხოლოდ მსგავსებას დამამტკიცებელ საბუთთან. კლაუზევიცი შენიშნავდა:

,,როცა არაფრის დამტკიცება არ შეუძლია უამრავი მაგალითის მოყვანას... თუ ვინმე აღრიცხავს უამრავ დამარცხებას, რომელშიც წაგებულმა მხარემ შეტევა განახორციელა დაყოფილი კოლონებით, მე შემიძლია ჩამოვთვალო უამრავი გამარჯვება, რომელშიც სწორედ ეს ტაქტიკა იყო გამოყენებული. აშკარაა, რომ ეს არ არის დასკვნის გამოტანის საშუალება.”

და თუ ავტორს ან მომხსენებელს არასოდეს არ უხელმძღვანელია იმ მოვლენისთვის, რომელსაც ის აღწერს, ,,ისტორიისადმი ასეთი ზედაპირული და უპასუხისმგებლო მიდგომა წარმოშობს ასობით მცდარ მოსაზრებას და გამოიწვევს ყალბი თეორიების აგებას.''

სურ.10 კარლ ფონ კლაუზევიცი (1780-1831), პრუსიისა და რუსეთის არმიების გენერალი, სამხედრო თეორიტიკოსი და ისტორიკოსი

შესაძლებელია ისტორიისა და მისი გაკვეთილებისთვის ყველაზე დიდი ზიანის მიყენება ხდება სამხედრო პრინციპებთან ან დოქტრინასთან მისი ხშირი ასოციაციის შედეგად, აგრეთვე შესაძლებელია უარყოფითი ზემოქმედება იქონია სახელგანთქმულმა შვეიცარიელმა თეორეტიკოსმა ბარონმა დე ჟომინიმაც. ფრიდრიხისა და ნაპოლეონის 30 კამპანიის ამომწურავი შესწავლის საფუძველზე ჟომინიმ გამოიტანა დასკვნა განსაზღვრული დადგენილი მაქსიმებიდან და პრინციპებიდან, რომლებსაც ის მიიჩნევდა, რომ ისინი თავისი გამოყენებით იყვნენ ურყევი და უნივერსალური. თუ ასეთ მაქსიმებს არ შეუძლიათ დიდი გენერლების შექმნა, მათ ,,სულ მცირე შეუძლიათ გენერლების სრულყოფილად დახელოვნება, რათა მათ მეორე ადგილი მაინც დაიკავონ დიდ მეთაურებს შორის და ამგვარად, ისტორია შეიძლება იყოს ჭეშმარიტი სკოლა გენერლებისთვის.''

ახალგაზრდა ოფიცრების მომავალი თაობისათვის ჟომინიმ თქვა: ,,ჯენტლმენებო, მე ვერ ვიპოვე ერთი მაგალითიც (შემთხვევაც) კი, სადაც ჩემმა პრინციპებმა, ზუსტად გამოყენების შემთხვევაში, არ განაპირობეს წარმატება. ისინი ეფუძნება ნაპოლეონის კამპანიებისა (რომელთა აღწერილობების უმეტრესი ნაწილიც მოვიპოვე პირველწყაროდან) და სხვა დიდი მხედართმთავრების ძირითადი ნაშრომების უბადლო ცოდნას ჩემი მხრიდან. ჩემი ნაშრომების წყალობით, წლობით საკუთარი დროის დახარჯვა აღარ გჭირდებათ მრავალტომიანი ისტორიის გულდასმით გამოკვლევისთვის. ნაპოლეონმა თვითონვე აღიარა: ,,მე ისტორიას ბევრს ვსწავლობდი და ხშირად, სახელმძღვანელო პრინციპების ნაკლებობის გამო, იძულებული ვიყავი მნიშვნელოვანი დრო დამეკარგა უშედეგო კითხვაში''. თქვენ მხოლოდ უნდა შეისწავლოთ ჩემი პრინციპები და გამოიყენოთ ზედმიწევნით, რადგანაც ,,არსებობს ომის ყველა ოპერაციის ფუნდამენტური პრინციპი'', რომელსაც თქვენ უგულებელყოფთ თქვენი რისკით.''

სურ. 11 ანტუან ანრი ჟომინი (1779-1869), საფრანგეთისა და რუსეთის არმიების გენერალი, სამხედრო თეორეტიკოსი და ისტორიკოსი

ჟომინის ჰყავდა მრავალი ცნობილი მიმდევარი და მათი წიგნები თითქმის ყველა დაწერილი იყო იმ ვარაუდებზე, რომ როგორც ანტიკური ხანის, ისე თანამედროვე ბრძოლებმა და კამპანიებმა წარმატებასა თუ წარუმატებლობას მიაღწიეს ომის პრინციპების ერთგულებით, როგორც ეს განმარტებული იყო ჟომინის მიერ და შეიძლებოდა დადასტურებულიყო ,,ისტორიის მუდმივი სწავლებით.'' მაგრამ იქ, სადაც ჟომინი კითხულობდა ისტორიას, მისი მიმდევრების უმრავლესობა კითხულობდა უმთავრესად ჟომინის და ამგვარად ისინი ერთი საფეხურით მოცილებულები იყვნენ ისტორიას და მის პროცესებს. I მსოფლიო ომიდან მოყოლებული ისტორიის მაგალითების გამოყენება ომის ოფიციალური პრინციპების საილუსტრაციოდ აუცილებელი გახდა, რადგან ისინი უკვე მრავალნაირად განისაზღვრებოდა.

ისტორიული ფაქტები

ჩვენ შეიძლება ვერასდროს ვერ ვიყოთ სრულად დარწმუნებულები და შესაბამისად ვერც შევთანხმდეთ იმაში, თუ რეალურად რა მოხდა ისტორიულ წარსულში. ფრიდრიხმა და ნაპოლეონმა ეს კარგად იცოდნენ. ისტორიკოსის მოტივებისა და მისი ფაქტების სანდოობის მიმართ ორივე სკეპტიკოსმა გამოავლინა ჯანსაღი სკეპტიციზმი ადამიანის გონების უნარის მიმართ გაეცოცხლებინა მოვლენა ისე როგორც რეალურად მოხდა.

,,ნამდვილი ჭეშმარიტების დადგენა ძალიან რთულია,'' უკმაყოფილებას გამოთქვამდა ნაპოლეონი-,,იმდენი ჭეშმარიტება არსებობს!''

,,ისტორიული ფაქტი... ხშირად უბრალო სიტყვაა; მისი დადგენა შეუძლებელია მაშინ, როცა მოვლენები რეალურად მიმდინარეობს დაპირისპირებული მხარეების ენთუზიაზმით აღსავსე კულმინაციურ მომენტში; და თუ მოგვიანებით მიიღწევა თანხმობა (ერთსულოვნება), ეს არის მხოლოდ იმიტომ, რომ აღარავინ არსებობს, ვინც წინააღმდეგობას გაგიწევს... რა არის ისტორიული ჭეშმარიტება?... შეთანხმება შეთხზულ რამეზე... არსებობს ფაქტები, რომლებიც რჩება მარადიულ დავად.''

I მსოფლიო ომის დროს გერმანელი გენერალი მაქს ჰოფმანი ეყრდნობოდა საკუთარ დღიურს: ,,ჩემს ცხოვრებაში პირველად მე დავინახე ,,ისტორია'' უშუალო სიახლოვეს, და ვიცი, რომ

მისი რეალური პროცესი საგრძნობლად განსხვავდება იმისგან, რაც წარდგენილია მომავალი კაცობრიობისთვის.''

საუკეთესო განზრახვით და მიუკერძოებელი გონებით რთულია იმის აღდგენა თუ რეალურად რა მოხდა ისტორიულ წარსულში. ამ ჭეშმარიტებას უტყუარი გამომხატველობა მისცა ერთ-ერთმა ფრანგმა მფრინავმა სადაზვერვო ფრენის დროს 1940 წლის მაისში, როცა ის დაფიქრდა იმ ქაოსზე, რომელიც შთანთქავდა მომაკვდავ საზოგადოებას 30.000 ფუტის ქვემოთ:

,,აჰა, საგულდაგულოდ შედგენილი გეგმა, რომელსაც ისტორიკოსები შეადგენენ ყოველივე ამისგან! კუთხეები, რომელსაც ისინი გამოიყენებენ ამ უწესრიგობისთვის ფორმის მისაცემად! ისინი დაიწყებენ საუბარს კაბინეტის წევრი მინისტრის ნაცვლად, მიიღებენ გადაწყვეტილებას გენერლის ნაცვლად, დაიწყებენ განხილვას კომიტეტის ნაცვლად და მოჩვენებების ამ აღლუმიდან ისინი შეთხზავენ ისტორიულ დიალოგებს, რომლებშიც ისინი შეიგრძნობენ შორსმჭვრეტელ შეხედულებებსა და მძიმე მოვალეობებს. ისინი გამოიგონებენ შეთანხმებებს, შეზღუდვებს, გამართლებას, სიმხდალეს... ისტორიკოსები დაივიწყებენ რეალობას. ისინი შექმნიან გონიერ(მოაზროვნე) მეთაურებს, რომლებშიც იდუმალება გონებით აღქმად სამყაროსთანაა გაერთიანებული, რომლებიც ფლობენ საღ შორსმჭვრეტელ შეხედულებებს და იღებენ სერიოზულ გადაწყვეტილებებს ლოგიკის ყველაზე წმინდა კანონების შესაბამისად. ჭეშმარიტება ღმერთისთვის ერთია, ადამიანებისთვის კი მრავალ ფორმას იძენს".

ისტორია ცოდნის მომცემი უნდა იყოს

რის სწავლა შეუძლია პროფესიონალ ჯარისკაცს ისტორიიდან? თუ ისტორიას არ შეუძლია აბსტარქტული (განყენებული) გაკვეთილების შეთავაზება, რათა მოხდეს მათი გამოყენება განურჩევლად და საყოველთაოდ, თუ ისტორიას არ შეუძლია აღიარებული პრინციპების ან ოფიციალური დოქტრინის განხორციელება, თუ თავად საგანს ახასიათებს დაუსრულებელი დავა და ინტერპრეტირება, რა მნიშვნელობა აქვს მაშინ ისტორიაში ჩარევას?

აქ ნაპოლეონი, ვისმა ნაწერებმა და კამპანიებმაც ჩამოაყალიბა შეწავლის (კვლევის) საფუძველი ყველა ძირითადი სამხედრო თეორეტიკოსისთვის ასობით წლების განმავლობაში მისი სიკვდილის შემდეგ, უზრუნველყოფს სასარგებლო პასუხს თავის პირველ ფართომასშტაბიან კამპანიაზე. როცა მან საკუთარ თავზე აიღო 1796 წელს იტალიაში საფრანგეთის არმიის მეთაურობა, მან თან წაიღო იმ კამპანიის ისტორია, რომელიც იმავე საომარ თეატრზე ჩაატარა მარშალმა მელბუამ ნახევარი საუკუნის წინ; მეტიც, ცნობილმა სამხედრო ისტორიკოსმა ლიდელ ჰარტმა ამ ორ კამპანიას შორის ეს მსგავსება შენიშნა: ,,ორივე შემთხვევაში მიზანი იყო მოკავშირე მხარეების დაცალკევება და მათი განადგურება ნაწილ-ნაწილ; ორივე შემთხვევაში გამოყენებული იყო ერთი და იგივე გასასვლელები ზღვისპირა ალპების გავლით, და ორივე შემთხვევაში პირველი სამიზნე-ობიექტები იყო ერთი და იგივე.'' 1806 წელს, როცა მან კავალერიის მეთაური მიურატი გააგზავნა ბოჰემიის საზღვრის დასაზვერად, მან მიურატს ურჩია თან წაეღო იმ კამპანიის ისტორია, რომელშიც ფრანგები ჩაებნენ იქ 1741 წელს. სამი წლის მოგვიანებით, ნაპოლეონმა დაადასტურა პონტონის ხიდის ადგილმდებარეობა ლინცში, იმიტომ რომ მარშალმა სეიქსმა 1740 წელს წარმატებით ააგო იქ ორი ხიდი. 1813 წელს მან ერთ-ერთ საკუთარ მარშალს გაუგზავნა ,,იმ ბრძოლის ანგარიში(აღწერა), რომელსაც გუსტავ ადოლფუსი მე-17 საუკუნის დასაწყისში აწარმოებდა თქვენს მიერ დაკავებული პოზიციების მსგავს პოზიციებზე.''

1807 წელს, ნაპოლეონმა აგრეთვე წამოაყენა წინადადება საფრანგეთის სამხედრო კოლეჯში ისტორიის სპეციალური კურსების ჩამოყალიბების შესახებ, რომელსაც ექნებოდა პრაქტიკული გამოყენება მომავალი ოფიცრებისთვის. ისტორიკოსები შეასწავლიდნენ სამხედრო სტუდენტებს (მსმენელებს), თუ როგორ უნდა წარემართათ მათ ისტორიული მსჯელობა ამა თუ იმ ბრძოლაზე საღად, რადგან ნაპოლეონს ესმოდა, რომ ,,ისტორიის ზუსტად წაკითხვა თავისთავად არის ნამდვილი მეცნიერება.'' მსგავსი მიზეზის გამო, 1811 წელს ნაპოლეონმა საკუთარ სამხედრო მინისტრს უბრძანა, რომ სამხედრო სასწავლო ნაწილს დეტალური ჩანაწერები მოემზადებინა იმ გამაგრებულ ქალაქებზე ალყის შემორტყმისა და მათზე შეტევების შესახებ, რომლებიც გერმანიაში საფრანგეთის ჯარებმა დაიკავეს. ამ ჩანაწერების მომზადება მას სჭირდებოდა არა გამოსაცემად, არამედ მზა ცნობარისთვის. მას აგრეთვე ხელი არ შეუშლია ესპანეთში ალყის შემორტყმის შესახებ მსგავსი ტომის დაბეჭდვისათვის.

ფრიდრიხის მსგავსად, რომელიც ისტორიას განიხილავდა როგორც ,,სამხედრო იდეების სანივთე საწყობს'', ნაპოლეონი ალბათ უნდა აღფრთოვანებულიყო II მსოფლიო ომის, კორეისა და ვიეტნამის კამპანიების ოფიციალური ისტორიებით და ვრცელი მონოგრაფიებით ისეთ სპეციალიზირებულ საგნებზე, როგორებიცაა: მობილიზაცია, ლოგისტიკა, სამედიცინო სამსახური და სხვა.

წმინდა ელენეს კუნძულზე ნაპოლეონი საუბრობდა იმპერიის ბიბლიოთეკაში არსებული ხელნაწერების გამოცემის აუცილებლობაზე, როგორც ისტორიული ნაშრომებისთვის მყარი საფუძველის შექმნის საშუალებაზე. ნაპოლეონმა, აგრეთვე, ოფიციალურ სამხედრო ისტორიას მისცა ბიძგი, როცა მან შექმნა გენერალური შტაბის ისტორიის განყოფილება და მის თავჯდომარედ დაასახელა ბარონი ჟომინი. თუმცა, მისი ყველაზე მტკიცე შეთავაზება იყო სიკვდილის წინ საკუთარი ვაჟისთვის მიცემული რჩევა: ,,ხშირად წაიკითხე დიდი მხედართმთავრების მიერ წარმოებული ომების შესახებ და დაფიქრი ამ ომებზე: ეს ერთადერთი გზაა ისწავლო ომის ხელოვნება.''

ნაპოლეონმა წამოაყენა უფრო მეტად საინტერესო მიზეზი, თუ რატომ უნდა შეესწავლათ სამხედრო კოლეჯის მსმენელებს ალექსანდრეს, ჰანიბალის, კეისარის, გუსტავ ადოლფუსისა და ფრიდრიხის კამპანიები:

"ინჟინრებისა და არტილერისტების ტაქტიკის ევოლუციისა (განვითარებისა) და მეცნიერების შესწავლა შეიძლება სამეცნიერო ნაშრომებში, რომლებიც უფრო მეტად ჰგვანან გეომეტრიას, თუმცა ომის მაღალი სფეროების შესახებ ცოდნის მიღება ხდება მხოლოდ დიდი მხედართმთავრების ომებისა და ბრძოლების და მათი გამოცდილების შესწავლით. ბრძოლის წარმოებას არა აქვს ზუსტად დადგენილი წესები. ყველაფერი დამოკიდებულია იმ ხასიათზე, რომელიც ბუნებამ უბოძა გენერალს, მის თვისებებზე, მის ნაკლოვანებებზე, ჯარის ბუნებაზე, იარაღის შორს სროლაზე, წლის სეზონსა და ათასობით სხვა გარემო-პირობებზე, რომლებიც არასოდეს არ არის ერთი და იგივე."

ამიტომ, დიდი მხედართმთავრები ჩვენთვის უნდა წარმოადგენდნენ ,,დიდ ნიმუშს (მაგალითს)''. მხოლოდ მათი მიბაძვით, მათი გადაწყვეტილებების ბაზისის აღქმით და მათი წარმატების მიზეზების შესწავლით თანამედროვე ოფიცრებს შეიძლება ჰქონდეთ ,,მათთან მიახლოების იმედი''.

ბრიტანელმა ფელდმარშალმა ვეიველმა სასწავლო ჯგუფს მისცა იგივე რჩევა ბრიტანეთის საშტაბო კოლეჯში II მსოფლიო ომამდე:

,,რეალური საშუალება მიიღო ფასეული რამ სამხედრო ისტორიის შესწავლისას არის აიღო კონკრეტული ვითარება და რაც შეიძლება ღრმად ჩაწვდე იმ ადამიანს, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება და შემდეგ ნახო თუ რა საშუალებით შეძლებდი შენ მის გაუმჯობესებას".

,,ღვთის გულისათვის - მსმენელებს აფრთხილებდა ვეიველი-ნუ მოექცევით ომის ეგრეთ წოდებულ პრინციპებს, როგორც საღვთო წერილს, ათი მცნების მსგავსად, და ნუ დაისწავლით მათ ზეპირად და ნუ აღიქვავთ ისე, რომ თითქოს მათ გამეორებას რაიმე მაგიური ძალა აქვს, როგორც შელოცვას. ისინი არის უბრალოდ ზოგადი დანიშნულების მაქსიმები, როგორც ჩვეულებრივი ანდაზები: ,,საბანი როგორც გაგწვდეს, ფეხი ისე გაჭიმეო'' ან ,,აგორებულ ქვას ხავსი არ ეკიდებაო" ან ,,პატიოსნება საუკეთესო პოლიტიკაა'' და ა.შ."

ისტორია შეიძლება გახდეს პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით ნებისმიერ დონეზე. მომავალი საველე გენერალი ერვინ რომელი სავარაუდოდ არ ფიქრობდა მაინცდამაინც მომავალ კორპუსის მეთაურებზე, როცა წერდა ქვეითების შეტევებზე 1937 წელს. მისი გაკვეთილები, რომელთა შექმნა მოხდა I მსოფლიო ომში მისი ბატალიონის გამოცდილებიდან, შესაძლებელია იყო ფასეული ასეულისთვის ან უმცროსი ოფიცრიებისთვისაც. მაგალითად, იმ მოვლენების აღწერისას, რომლის მოწმეც თვითონ იყო 1914 წლის სექტემბერში, ერვინ რომელმა დაასკვნა:

,,ომი უკიდურესად მძიმე მოთხოვნებს უყენებს ჯარისკაცის ფიზიკურ ძალასა და ნერვებს. სწორედ ამიტომ წაუყენეთ მძიმე მოთხოვნები თქვენს ჯარს მშვიდობიანობის დროს ვარჯიშების ჩატარებისას.

რთულია კავშირის (კონტაქტის) შენარჩუნება ნისლში... საჭიროა კომპასის მეშვეობით ნისლში წინ წაწევის გავარჯიშება, როცა დაკვამლიანება ხშირად გამოიყენება. ნისლში შემხვედრი ბრძოლისას იმ მხარეს, რომელსაც შეუძლია მაქსიმალური საცეცხლე სიძლიერის განვითარება მოწინააღმდესთან შეხებისას, ექნება უპირატესობა; ამიტომ, მზად გქონდეთ ტყვიამფრქვევები მოქმედებისთვის ნებისმიერ დროს წინ წაწევისას.

ჯგუფის ყველა ქვედანაყოფმა უნდა უზრუნველყოს საკუთარი უსაფრთხოება. ეს განსაკუთრებულ ჭეშმარიტებას წარმოადგენს დახურულ ადგილში და მაღალ მობილურ მოწინააღმდეგესთან პირისპირ დგომისას.

ნიჩბით ძალიან ბევრი მუშაობა უკეთესია, ვიდრე ნაკლები. ოფლის დაღვრა გადაარჩენს სიცოცხლეს.

სამეთაურო პუნქტები უნდა იყოს გაფანტული(გაშლილი)... ნუ აირჩევთ თვალშისაცემ გორაკს მათი ადგილმდებარეობისთვის.

ტყეში ბრძოლისას მეთაურის პირად მაგალითს ეფექტის მოხდენა შეუძლია მხოლოდ იმათზე, ვინც მის უშუალო სიახლოვესაა. წვიმამ შეიძლება ხელი შეუწყოს შეტევას".

რომელმა დასკვნები გამოიტანა საკუთარი გამოცდილებიდან, თუმცა მომთხოვნ მკითხველს ალბათ თვითონ შეეძლება მათი ამოღება.

ჯორჯ პატონისთვის, რომელიც შესაძლებელია იზიარებდა მსგავს გამოცდილებებს და ჩართული იყო ჯარის წვრთნაში, ეს დაკვირვებები არ დაკარგულა. საარის კამპანიის დროს 1945 წლის ადრეულ პერიოდში პატონმა პირად დღიურს მიანდო საკუთარი აზრები:

სურ. 12 ერვინ რომელი (1891-1944), გენერალ-ფელდმარშალი,
მესამე რეიხის გამორჩეული სარდალი

“გამეღვიძა ღამის 3 საათზე. ჯოჯოხეთურად წვიმს. გავნერვიულდი, ავდექი და დავიწყე ერვინ რომელის წიგნის “ქვეითების შეტევა” კითხვა. ის საკმაოდ სასარგებლო გამოდგა, რადგან წიგნში აღწერილი იყო ყველა ის წვიმიანი დღე, რომელიც იყო 1914 წლის სექტემბერში და აგრეთვე ის ფაქტი, რომ მიუხედავად კოკისპირული წვიმისა, გერმანელებმა მაინც მიაღწიეს წარმატებას”.

და სულ მალე ასე გააკეთა მესამე არმიამაც.

სურ.13 ჯორჯ პატონი (1885-1945), გენერალი, აშშ-ს მე-3 არმიის სარდალი მეორე მსოფლიო ომში

ისტორიიდან ცოდნის მიღება

რასაც ფრიდრიხი, ნაპოლეონი, რომელი, პატონი, ვეიველი და აქ მოცემული სხვა პირები იზიარებდნენ, ზოგადად შეიძლება შეჯამდეს ერთ სიტყვაში: “ისტორიის წაკითხვა”. 18-ე საუკუნეში ინგლისელი გენერალი აიძულებდა ახალგაზრდა ოფიცრებს ყოველი თავისუფალი წუთი მიეძღვნათ სამხედრო ისტორიის კითხვისთვის, რადგან ,,ისტორიის ყველა მასალის წაკითხვა ყველაზე მეტად ცოდნის მომცემია’’.

სამხედრო ისტორიის შემსწავლელმა ნებისმიერმა ოფიცერმა უნდა ისწავლოს იმ მოვლენების გათავისება, რომელთა შესახებაც ის კითხულობს, უმთავრესად აღიქვას მათი პრობლემები და

მიიღოს წარსული ისე, როგორიც არის. სტუდენტმა აგრეთვე უნდა ისწავლოს შეკითხვის დასმა, არა ინსტრუქტორიდან გამომდინარე, არამედ მასალიდან და საკუთარი თავიდან გამომდინარე. ისტორიკოსებს ჩვეულებრივ აწუხებთ ზუსტი შეკითხვის დასმა უფრო მეტად, ვიდრე საბოლოო პასუხის მოძიება, რადგან მათ გამოცდილებიდან იციან, რომ არცერთ დოკუმენტს ან წიგნს არ შეუძლია ისეთ შეკითხვაზე პასუხის გაცემა, რომელიც არასოდეს არ დასმულა. პატონს მაშინ რომ წაეკითხა რომელის წიგნი როცა მზე ანათებდა, მაგალითად, და როცა ყველაფერი კარგად მიდიოდა, არსებობს ალბათობა, რომ ის არასოდეს მიაქცევდა ყურადღებას იმ ჩვეულებრივ დაკვირვებას, რომ წვიმამ შეიძლება ხელი შეუწყოს შეტევას. კანე იყო მნიშვნელოვანი ბრძოლა შლიფენისთვის, რადგან ჰანიბალის მიერ განხორციელებული ორმაგი შემორტყა იძლეოდა მაგალითს, რომლის მეშვეობითაც გამანადგურებელი ბრძოლის წარმოება შესაძლებელი იყო საფრანგეთისა და რუსეთის წინააღმდეგ. თუმცა, პოლკოვნიკ არდან დე პიკისთვის, 1860-იანი წლების ცნობილი ფრანგი სამხედრო თეორეტიკოსისთვის, ჰანიბალი იყო დიდი გენერალი სრულიად განსხვავებული მიზნის გამო _ ,,საბრძოლო სულისკვეთებისა და ჯარისკაცის ზნეობის საუცხოო მიხვედრილობის გამო''. ეს ორი ადამიანი იკვლევდა გადაწყვეტილებას სხვადასხვა სახის პრობლემისათვის, ხოლო კანეს ბრძოლის შესახებ კითხვისას თითოეული იღებდა შესაბამის პასუხს.

ეს არის ისტორიიდან ცოდნის მიღების ერთადერთი საშუალება. სახელმძღვანელო ან ინსტრუქტორი ახდენს ინფორმაციის ორგანიზებას, თუმცა მხოლოდ სტუდენტს შეუძლია ამ ინფორმაციის პრაქტიკულად გამოყენება. ,,საკვების ან მოსაზრების პირდაპირ გადაყლაპვა'' გვახსენებს ჯონ ფულერი, ,,არ შეუწყობს ხელს მონელებას, ხოლო მონელების გარეშე გადაყლაპვა კი არის ფუჭად დაკარგული შრომა და უშედეგოდ გაფლანგული საკვები''.

სამხედრო ისტორიაში ფორმალური კურსის ჩატარება, რაც არ უნდა სასურველი იყოს, არ არის ერთადერთი საშუალება და, ფაქტიურად, შეიძლება არც იყოს საუკეთესო საშუალება ასწავლო სტუდენტებს თუ როგორ ასწავლონ საკუთარ თავს ისტორია. ჯორჯ მარშალი, როგორც მომავალი გაერთიანებული შტაბების უფროსი, 1906-1908 წლებში სახმელეთო ჯარების საშტაბო კოლეჯში საკუთარი მოღვაწეობის ორ წელიწადს მიიჩნევდა როგორც ,,უზომოდ სასარგებლოს'', თუმცა არა იქ ჩატარებული კურსების ხარისხის გამო. ,,ჩემმა დასკვნებმა ოფიცრებთან მიმართებაში, აგრეთვე წაკითხულთან და განხილულთან მიმართებაში დიდი ზემოქმედება მოხდინა ჩემზე.... მე ვისწავლე, თუმცა ნასწავლიდან მხოლოდ მცირედის გამოყენება შემეძლო,'' წერდა მარშალი, თუმცა ,,მე ვისწავლე თუ როგორ ვასწავლო საკუთარ თავს... აზროვნების ჩემი ჩვევები გავარჯიშდა.''

და ბოლოს, სამხედრო მაქსიმებს უნდა დაემატოს შემდეგი ლიტერატურული მაქსიმები:

- ისტორია, რომელიც ინერტულად დევს წაუკითხავ წიგნებში, სარგებლობას ვერ მოუტანს ოფიცერს.
- თუ გინდა ახალი იდეა, წაიკითხე ძველი წიგნი.
- კარგი მკითხველი აქცევს წიგნს კარგ წიგნად.
- წიგნი სარკეს წააგავს. თუ მასში ვირი ჩაიხედავს, ის წინასწარმეტყველად ვერ გადაიქცევა.

თავი II

სუნ ძი და მისი ნაშრომი ,,ომის ხელოვნება”

1. თემის მოკლე შინაარსი:

სუნ-ძი ცხოვრობდა დაახლოებით 544-496 წლებში ძვ.წ.-ით და დაგვიტოვა შესანიშნავი ნაშრომი ,,ომის ხელოვნება,“ რომელიც დღემდე ინტერესით იკითხება როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო სფეროში. თემაში განვიხილავთ სუნ ძის დროინდელ ჩინეთს, იმდროინდელ პოლიტიკურ წყობას, ტექნოლოგიებს და ფილოსოფიურ სკოლებს.

მნიშვნელოვანია სუნ ძი, როგორც ისტორიული პიროვნება და ის კონტექსტი, რომელშიც „ომის ხელოვნება“ იწერებოდა. გავეცნობით „ომის ხელოვნების“ 13 თავიდან მნიშვნელოვან საკითხებს, ასევე ომს სუნ ძის თვალთახედვით, სადაც ნათლად ჩანს მისი შეხედულებები და მოსაზრებები. და ბოლოს, უაღრესად მნიშვნელოვანია მისი რელევანტურობის გაანალიზება და კონკრეტული მაგალითების განხილვა თუ როგორ გავრცელდა სუნ-ძის ,,ომის ხელოვნება“ და როგორ გამოიყენეს ის.

2. სწავლების მიზნები:

სწავლის საბოლოო მიზანი

ჩინელი სამხედრო თეორეტიკოსის სუნ ძის სიბრძნის შეფასება და გამოყენება სამხედრო პრობლემების გადაჭრის დროს.

შუალედური სასწავლო მიზნები:

- ისტორიული კონტექსტის აღწერა, რომელშიც სუნ ძის ,,ომის ხელოვნება“ დაიწერა;

- ომის ბუნების აღწერა, როგორც სუნ ძის შეეძლო დაენახა იგი;
- ,,ომის ხელოვნების“ თითოეულ თავში მოცემული მთავარი იდეების განხილვა;
- ,,ომის ხელოვნების“ თითოეულ თავში მოცემული მთავარი იდეების ზეგავლენის აღწერა დასავლეთის სამხედრო აზროვნებაზე.

შესწავლის დონე:

შემეცნებითი: ცოდნა, ანალიზი.

3. იუნკერის დავალებები:

ა. წაიკითხეთ:

1. სუნ ძის დროინდელი ჩინეთი (პოლიტიკა, ტექნოლოგია, რელიგია, ფილოსოფიები);
2. სუნ ძი, როგორც ისტორიული პიროვნება;
3. სუნ ძის - ,,ომის ხელოვნება.“

ბ. მზად იყავით შემდეგი სადისკუსიო საკითხების განსახილველად:

1. როდის ცხოვრობდა სუნ ძი: 544 – 496 ძვ.წ. (ეპოქის მიმოხილვა);
2. სუნ ძის ეპოქაში არსებული საომარი იარაღი;
3. სუნ ძის დროინდელი ჩინეთის ტექნოლოგიები;
4. სუნ ძის დროინდელი ფილოსოფიური სკოლები;
5. სუნ ძის ეპოქაში საბრძოლო კამპანიების წარმოების ხასიათი;
6. მეთაურის 7 შეკითხვა;
7. შეცდომაში შეყვანა: რას ფიქრობდა სუნ ძი ამ საკითხთან დაკავშირებით;
8. მეთაურის ნაკლოვანებები სუნ ძის მიხედვით;
9. სუნ ძისეული ადგილმდებარეობის 9 სახეობა;
10. სუნ ძის აზრი ჯაშუშების გამოყენების შესახებ;
11. დააკავშირეთ სუნ ძის „ომის ხელოვნებაში“ განხილული შეგონებები საბრძოლო ფუნქციებს (დაზვერვა, გადაადგილება და მანევრი, ცეცხლი, უზრუნველყოფა, დაცვა, მართვა და კონრტოლი).

სუნ ძი და მისი ,,ომის ხელოვნება“

პოლკოვნიკი კახაბერ ჭაფოძე

ზოგადად ჩინეთის შესახებ

მსოფლიო ცივილიზაციის ერთ-ერთი უძველესი კერა_ ჩინეთი აღმოსავლეთ და ცენტრალურ აზიაში მდებარეობს. დასავლეთ ჩინეთი მთიანი მხარეა, რომლის ძირითადი ნაწილი ტიბეტის მაღალ ზეგანს უკავია. აღმოსავლეთ ჩინეთი ზღვისპირამდე გადაჭიმულ დაბლობს წარმოადგენს. ტიბეტის ზეგნიდან იღებს სათავეს და დაბლობის გავლით ზღვას ერთვის ჩინეთის ორი დიდი წყალუხვი მდინარე: ხუანხე და იანძი. სამხრეთით და დასავლეთით ჩინეთს ინდოეთისაგან ჰიმალაის მაღალი მთები გამოყოფენ. უძველესი ხანის დასავლეთ ჩინეთისა და ინდოეთის მოსახლეობის საქმიანობა, მათი შრომის იარაღები, სამეურნეო კულტურები ძალზე წააგავდნენ ერთმანეთს. მათ ერთი და იგივე ჯიშის შინაური ცხოველები ჰყავდათ. მსგავსებასთან ერთად იყო განსხვავებებიც: ჩინელებმა, პირველებმა მსოფლიოში, აბრეშუმის ჭიის შრომის საიდუმლოება გაითავისეს. მათ აბრეშუმის ძაფის მიღების და გამოყენების რთული სისტემაც შექმნეს. კულტურული მცენარე-

ებიდან ჩინეთში დიდი მოწონებით სარგებლობდა ჩაი, რომელსაც სამკურნალო დანიშნულებაც ჰქონდა.

კასპიის ზღვა
ყაზახეთი
ტბა ბალხაში
ურალის ზღვა
უზბ.
თურქმ.
ყირ.
ტაჯ.
ირანი
ავღანეთი
პაკისტანი
ინდოეთი
არაბეთის ზღვა
ნეპალი
ბანგლ.
მიანმა
ბუტ.
ლაოს
ვიეტ.
ტაილ.
ბაინანი
ფილ.
ტაივანი
ტაიბეი
ფილიპინის ზღვა
ბაშაკი
ბენგალის ზღვა
ანდამანის ზღვა
ლუზონი
ჩინეთის ზღვა
ტონგ-კინგი
ჰაინანი
ლანჩჟოუ
ჩენდუ
ჩუნცინი
ლჰასა
ჟურუხტი
ურუმჩი
ტურფან-პენდი
ტარიმი
ტ. ბასინი
ტ. ბალხაში
ბაიკალის ტბა
ბაიკალის ზღვა
ამურ. ზ.
ამურ. ზ.
ინდ. ზ.
ინ. ზ.
ინ. ზ.
ინ

სურ. 15 საბრძოლო ცულისპირი (ძვ. წ. VI-V ს.ს.)

მოდით უფრო ახლოს შევხედოთ ჯოუს დინასტიას; აღნიშნული დინასტია წარმოადგენდა ჩინური ფეოდალიზმის ერთ-ერთ ვერსიას; ჯოუ დაყოფილი იყო სამთავროებად, რომლებსაც შესაბამისად ფეოდალები (თავადები) მართავდნენ და შესაბამისად იმპერატორის ვასალებად ითვლებოდნენ. მაგრამ მას შემდეგ რაც დასავლეთის დედაქალაქს ბარბაროსებმა გადაუარეს, ჯოუს იმპერატორი ფაქტიურად ვეღარ მართავდა თავის სამთავროებს; ეს პერიოდი ცნობილია როგორც „გაზაფხულისა და შემოდგომის პერიოდი“, იმიტომ რომ მისი ისტორია გაზაფხულისა და შემოდგომის მონაკვეთში აღირიცხებოდა.

კულტურული თვალსაზრისით ეს ჩინეთისათვის იყო ოქროს ხანა- დრო, როდესაც ლაო ძი და კონფუცი მოღვაწეობდნენ.

სურ. 16 ჩინური ალებარდის თავი (ძვ. წ. VI-V ს.ს.)

სურ. 17 ლაო ძი (ძვ. წ. VI ს.), ჩინელი ფილოსოფოსი

პოლიტიკურად ამ დროს იყო შემდეგი სიტუაცია: გარკვეული ძლიერი მმართველები უარს ამბობდნენ იმპერატორის უზენაესობაზე და ქმნიდნენ საკუთარ სახელმწიფოებს. იმპერატორისგან გამდგარი სამთავროები ხშირად ომობდნენ ერთმანეთთან. სუნ ძი სწორედ ამ დროს მოღვაწეობდა, როცა ეს მცირე სახელმწიფოები ომობდნენ ერთმანეთთან და არ აღიარებდნენ ცენტრალურ ხელისუფლებას.

თუ დავასახელებთ სუნ ძის ევროპელ ანალოგს-ეს ალბათ იქნებოდა ნიკოლო მაკიაველი, რომელიც ცხოვრობდა იმ დროს, როცა იტალიური მცირე სახელმწიფოები ერთმანეთთან ომობდნენ მათ გაერთიანებამდე. მაკიაველის „ომის ხელოვნება“ გვთავაზობს სუნძისმაგვარ რჩევებს.

„გაზაფხულისა და შემოდგომის პერიოდი“ მთავრდება ძვ. წ. 475 წელს, შემდეგი ისტორიული პერიოდი დასახელებულია, როგორც ,,ერთმანეთთან მეომარი სახელწიფოების ხანა,“ ვინაიდან დედაქალაქის სამხრეთით გადატანის შემდეგ ომები თითქმის გამუდმებით მიმდინარეობდა.

,,ერთმანეთთან მეომარი სახელმწიფოების პერიოდში“ მმართველთა ძალაუფლება უფრო გაძლიერდა, მათი ლაშქრის რაოდენობაც გაიზარდა, რაც ხელს უწყობდა სისხლიანი და გამანადგურებელი ომების წარმოებას.

,,ერთმანეთთან მეომარი სახელმწიფოების პერიოდში“ გაიმარჯვა ქინის დინასტიამ, მაგრამ ის მხოლოდ 14 წლის განმავლობაში ბატონობდა.

საერთო ჯამში ჩინეთს 3000 წლიანი ისტორია აქვს, რომელიც ისტორიულად დოკუმენტირებულია. ქვემოთ მოცემულია დიაგრამა, სადაც თქვენ ხედავთ ისტორიულ დროის მონაკვეთს შანგის(ჩანგის) დინასტიიდან დღევანდელი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამდე:

სურ. 18 კონფუცი (ძვ. წ. 551-479), ჩინელი ფილოსოფოსი



დიაგრამა 1.

მოკლედ შევეხოთ იმ ტექნოლოგიებს, რომლებიც სუნ ძის დროს არსებობდა; სუნ ძის დროს რკინას ჯერ კიდევ არ ჩაენაცვლებინა ბრინჯაო. ცხენი მოშინაურებული იყო, მაგრამ ძვ. წ. მე-4 საუკუნემდე ჩინელებმა არ იცოდნენ ცხენზე ამხედრება. ჯარში ყავდათ მოისრეები, მაგრამ არ იყო გამოგონილი არბალეტი. არც დენთი არ იყო გამოგონილი, არც ქაღალდი იყო. სამაგიეროდ ამ დროს გამოიგონეს ფარანი, ამ დროს იწყებოდა ჰიდრავლიკური ტექნიკის გამოყენებაც. თანამედროვე ჩინური ენაც ჯერ არ იყო გამოგონილი.

რელიგია და ფილოსოფია

ჯოუს დინასტიის ხანაში ჩინელებს სჯეროდათ მრავალღმერთიანობის. სჯეროდათ, რომ არაორგანულ საგნებსაც გააჩნდათ სული. ანტიკურ ჩინეთში თაყვანს სცემდნენ წინაპრებს და შესაძლებელია ითქვას, რომ იყო ღმერთი და იყო ხალხი, მაგრამ ანტიკურ ჩინეთში ყველაზე ძლევამოსილ ღმერთად ,,ზეცა“ მიაჩნდათ. ,,ზეცა“ ჩინელებისთვის არ იყო გარკვეული ადგილი, არამედ იყო ძალა, რომლსაც ვერ დაინახვდი, ვერ გაიგონებდი, ვერ შეიყნოსავდი, ვერ დააგემოვნებდი, მაგრამ ის მაინც განაგებდა და აკონტროლებდა ადამიანთა მოდგმას.

ანტიკურ ჩინეთში გაზაფხულისა და შემოდგომის პერიოდი იყო ეპოქა, როცა ძალიან ბევრი იდეა იბადებოდა ხალხში, ეს იყო 100-მდე ფილოსოფიური და რელიგიური აზროვნების სკოლის პერიოდი. 100-დან ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ 4 მნიშვნელოვან აზროვნების სკოლას.

1. **ლაო ძი და დაოიზმი**

,, ... და ღმერთმა შექმნა ზეცა და მიწა.” აქედან გამომდინარე ყველა ადამიანს თავისი მდგომარეობისდა მიუხედავად ეკისრებოდა ვალდებულება პატივი ეცა სხვებისათვის.
თუ ცხოვრობდი ამ წესებით-ნიშნავდა, რომ ცხოვრობდი ჰარმონიაში და თუ არა- დისჰარმონიაში; ლიდერი, რომელიც ასეთი ცხოვრებით არ ცხოვრობდა, საერთო ჯამში, წინააღმდეგობას ქმნიდა საზოგადოებაში.

2. **კონფუციანიზმი და ეთიკა**

,,ბუნებრივი საწყისის მიხედვით ადამიანები ერთმანეთის მსგავსნი არიან”-აღნიშნავდა კონფუცი, რომელიც ჰუმანისტი იყო. ,,პრაქტიკულად კი ადამიანები ძალიან განსხვავდებიან-”ასკვნიდა იგი. თუ ისინი არიან ცუდები ან კარგები - ეს დამოკიდებულია იმაზე თუ როგორ იყვნენ ისინი აღზრდილნი. ეს გაიგივებული იყო სიქველესთან.

3. **მო-ძი და მოიზმი (მერიტოკრატია) - დამსახურება**

მერიტოკრატია არის მმართველობის ფორმა ან სხვა სტრუქტურა, სადაც თანამდებობები გადაეცემათ და პასუხისმგებლობა მიენიჭებათ ადამიანებს მათ დემონსტრირებულ ტალანტზე და შესაძლებლობებზე (დამსახურებაზე) დაყრდნობით. მერიტოკრატიის დროს საზოგადოება აჯილდოვებს (სიმდიდრით, პოზიციით ან სოციალური სტატუსით) მათ, ვინც საკუთარ ტალანტსა და კომპეტენციას წარმოაჩენს თავისი წარსული ცხოვრებისეული გამოცდილებით ან რაიმე შეჯიბრში გამარჯვებით.

ეს ყველაფერი ეწინააღმდეგება სხვა ღირებულებით სისტემებს, სადაც ლეგიტიმურობა ემყარება სიმდიდრის ფლობას (პლუტოკრატია), ოჯახურ კავშირებს (ნეპოტიზმი), საკუთრებას (ოლიგარქია), მეგობრობას (ქრონიზმი), უფროს-უმცროსობას (გერონტოკრატია), პოპულარობას (დემოკრატია) ან სხვა სოციალური სტატუსისა და პოლიტიკური ძალაუფლების ელემენტებს.

ტექნოკრატია არის მერიტოკრატიის ფორმა, სადაც თანამდებობებზე დანიშვა ხდება დემონსტრირებული ტექნიკური ექსპერტიზის საფუძველზე, რომელიც სუნ-ძის გარდაცვალების შემდეგ დაიბადა. სუნ ძი შენიშნავდა: ,,საზოგადოების სიღარიბის ფესვი იმალება მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობების ვიღაცის (იგულისხმება მონარქის) ნათესავებზე გადანაწილებაში, იმისდამიუხედავად თუ რისი უნარი და შესაძლებლობა გააჩნიათ ამ ადამიანებს.”

4. **ლეგიზმი (იგივე ლეგალიზმი)- სამართალი**

ლეგიზმის პრინციპია: ,,ძალაუფლება გააჩნია თანამდებობას და არა ამ თანამდებობაზე მყოფ კონკრეტულ პიროვნებას.“

აქ მთავარი ის არის, რომ ლეგიზმის მიმდევრებს სჯეროდათ კანონის უზენაესობის, რომელიც აღიარებული იყო ყველას მიერ. ამ შემთხვევაში სუსტი ლიდერიც კი შეძლებდა სახელმწიფოს მართვას.

სურ.19 ომპერატორი ცინ ში ხუანდი

სუნ ძის მოკლე ბიოგრაფია

ეხლა განვიხილავთ თუ რა არის ცნობილი სუნ ძის, როგორც ისტორიული პიროვნების შესახებ. სუნ ძის დაბადების თარიღი დაახლოებითია, მაგრამ სავარაუდოდ მიახლოებულია სინამდვილესთან. ის ცხოვრობდა დაახლოებით ძვ. წ. 544-496 წლებში. სახელის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დაბადებული უნდა იყოს ვუს სამეფოში. გენერლად მსახურობდა ვუს ხელმწიფე ჰელუს კარზე. გაუთავებელ ომებში მან მიიღო დიდი პრაქტიკული გამოცდილება. სუნ ძის შესახებ არსებული ბევრი ლეგენდარული ისტორია სავარაუდოდ მხოლოდ მითია (მაგალითისათვის ,,საყვარელი ქალების ორი ასეულის შესახებ“). გარკვეულ პერიოდში ისტორიკოსებს სუნ ძი ეშლებოდათ მის შთამომავალ სუნ ბინში.

სუნ ძის სიცოცხლის ძირითადი ნაწილის განმავლობაში ვუ ებრძოდა ჩუს სამეფოს. ცნობილია, რომ ბოჯუს ბრძოლაში (ძვ.წ. 506) სუნ ძი სარდლობდა ერთ-ერთ სამეფო არმიას. ამ ბრძოლამ სავარაუდოდ საბოლოოდ მოახდინა სუნ ძის აზრების ფორმირება ომის შესახებ. ასევე ერთი ეპიზოდი სუნ ძის საბრძოლო ცხოვრებიდან; ვუს ხელმწიფემ ფუ გაიმ დაადევნა სუნ ძი ჩუს ხელმწიფის ლაშქარს ქინგფარის მდინარემდე. სუნ ძი დაელოდა მათ, სანამ ნახევარი მათგანი არ გადაკვეთდა მდინარეს და მხოლოდ მაშინ შეუტია და დაამარცხა ისინი.

სურ. 20 სუნ ძი (ძვ. წ. VI-V ს.ს)

მნიშვნელოვანი ამონარიდები სუნ ძის წიგნიდან „ომის ხელოვნება:[1]“

2.1 წინასწარი გათვლები

სუნ ძიმ თქვა:

„ომი - ეს არის დიდი საქმე სახელმწიფოსათვის, ეს არის სიცოცხლისა და სიკვდილის საფუძველი, ეს არის გზა არსებობისა და გზა დაღუპვის. ეს უნდა გავაცნობიეროთ.

. . .

ამრიგად, მიუდექი მას [შემდეგი] ხუთი წიგნის მიხედვით, შეაფასე იგი და ეძიე მისი ნამდვილი ბუნება. პირველი ნიშანია გზა, მეორე - ცა, მესამე - მიწა, მეოთხე - სარდლები და მეხუთე – კანონები [რომლებიც აწესრიგებენ სამხედრო ორგანიზაციასა და დისციპლინას].

დაოს (გზას) ხალხი შესაბამისობაში მოჰყავს მმართველთან. [ამგვარად] დაიხოცებიან ადამიანები მათი მმართველისთვის და იცხოვრებენ მასთან ერთად შიშის გარეშე.

ცა გულისხმობს ინსა და იანს, სიცივესა და სიცხეს, ეს არის დროის კანონები.

მიწა-ეს არის შორეული და ახლობელი, სწორი და უსწორო, ფართო და ვიწრო, სიკვდილი და სიცოცხლე.

სარდალი-ეს არის გონი (ჭკუა), მიუკერძოებლობა (სამართლიანობა), ჰუმანურობა, ვაჟკაცობა, სიმკაცრე.

კანონები [რომლებიც აწესრიგებენ სამხედრო ორგანიზაციასა და დისციპლინას] გულისხმობენ ორგანიზაციასა და წესებს, მეთაურობას, დაოსა და მომარაგების მართვას.

[1] სუნ-ძი, ომის ხელოვნება. თბ. 2007 წ.

არ არსებობს სარდალი, რომელსაც არ გაეგოს ამ ხუთი ცნების შესახებ, მაგრამ მათგან იმარ-ჯვებს ის, ვინც მათ შეითვისებს. ის კი, ვინც მათ არ შეითვისებს ვერ გაიმარჯვებს . . .

ამგვარად, როცა წინამდებარე ომის ნამდვილი ბუნების გამოცნობისას შედარებით შეფასე-ბას აკეთებ, იკითხე:

რომელი მმართველი ფლობს დაოს?
რომელი სარდალია უფრო უნარიანი?
ვინ შეიცნო ზეცა და მიწა?
ვისი კანონები და ბრძანებები სრულდება უფრო კარგად?
ვისი ძალებია უფრო ძლიერი?
ვისი მეთაურები და ლაშქარია უკეთ გაწვრთნილი?
ვისი ხელით გაცემული ჯილდო და სასჯელია უფრო დამსახურებული და სამართლიანი?
აი, რის მიხედვით შევიცნობ მე გამარჯვებასა და დამარცხებას!

სურ. 21 სუნ ძის ნაშრომის გრაგნილები

. . .

თუ სარდალი ჩემეულ შეფასებას მიჰყვება და მას სამსახურში ჩაიყენებ, ის უეჭველად გამარჯვებას მოგიტანს და მე ვრჩები მასთან. თუ სარდალი არ მიჰყვება ჩემეულ შეფასებას და მას სამსახურში ჩაიყენებ, ის უეჭველად დამარცხების მომტანი იქნება და უნდა დაითხოვო.

. . .

გაგონილის მიხედვით უპირატესობების შეფასების შემდეგ ეს ცოდნა სტრატეგიის ძა-ლასთან (შიი) ერთად პრაქტიკულად უნდა გამოიყენო და დაამატო მას საველე ტაქტიკა, რომელიც გარე ფაქტორებთან იქნება მისადაგებული. რაც შეეხება სტრატეგიის ძალას, [ის] ძალის (ჩ'იუანი) ტაქტიკურ დისბალანსს დასახული მიზნების შესაბამისად არეგულირებს.

. . .

ომი არის მოტყუების გზა (დაო). ამგვარად, თუ ძლიერი ხარ, მოწინააღმდეგეს უძლურება აჩვენე. როდესაც ლაშქარს მოქმედებისთვის ამზადებ, უღონოდ მოაჩვენე თავი. როდესაც შენ ხარ ახლოს - მოაჩვენე, თითქოს შორს ხარ; როდესაც შენ ხარ შორს - მოაჩვენე, თითქოს ახლოს ხარ.
აცდუნე სიმდიდრით. დაარღვიე წესრიგი [მტრის ბანაკში] და დაიმორჩილე მტერი.
თუ მტერი მრავალრიცხოვანია, მოემზადე მის დასახვედრად; თუ ძლიერია, მოერიდე მას.
თუ განრისხებულია, კიდევ უფრო ააღელვე და გახადე უმართავი იგი; მოექეცი მოწიწებით, რათა მასში ამპარტავნება გააღვივო.
თუ დასვენებულია, აიძულე ძალები დახარჯოს.
თუ გაერთიანდნენ, განაცალკევე მოკავშირენი.
თავს მაშინ დაესხი, როცა მზად არ არის.
წინ მაშინ წადი, როცა ამას არ მოელის.

ეს არის გზა სამხედრო მეთაურის გამარჯვებისაკენ. მასზე წინასწარ ლაპარაკი შეუძლებელია.

ბრძოლის წინ, ვინც წინაპრების განსასვენებელ ტაძარში გადაწყვიტა, რომ გამარჯვება მას დარჩება, მის მხარეზეა ჩამოთვლილ ფაქტორთაგან უმეტესი. ბრძოლის წინ, ვინც წინაპრების განსასვენებელ ტაძარში გადაწყვიტა, რომ ვერ გაიმარჯვებს, მის მხარეზეა ჩამოთვლილ ფაქტორთაგან უმცირესი.

სურ. 22 ბრძოლა ეტლებით

თუ გაიმარჯვა იმან, ვის მხარეზეც იყო ჩამოთვლილ ფაქტორთაგან უმეტესი და დამარცხდა ის, ვის მხარეზეც იყო უმცირესი, რა მოუვა იმას, ვინც აღმოაჩენს, რომ ხელს არც ერთი ფაქტორი არ უწყობს?

თუ ასეთი თვალთახედვით იმსჯელებ, აშკარა გახდება გამარჯვებისა და დამარცხების შესაძლებლობა".

2.2. ომის წარმართვის ხელოვნება

სუნ ძიმ თქვა:

„ზოგადად, სამხედრო ძალის გამოყენების სტრატეგია [შემდეგია]: თუ გყავს ათასი ოთხცხენიანი თავდამსხმელი ეტლი, ათასი ტყავგადაკრული დამხმარე ეტლი, ასი ათასი აბჯარასხმული მეომარი, მარაგების ათას მილზე გადაზიდვის შემთხვევაში, ადგილობრივი და უცხო მიწაზე წარმართული კამპანიის ხარჯები, მრჩევლებისა და მოწვეული სტუმრების ხარჯი, მასალებზე, მაგალითად, წებოსა და ლაქზე დახარჯული ფული და ეტლებისა და ჯავშნის უზრუნველყოფაზე გამოყოფილი თანხები მთლიანად დღეში ათას ოქროს შეადგენს. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლება ასი ათასიანი ლაშქრის მოწვევა.

. . .

როდესაც ლაშქარი იბრძვის და გამარჯვება ჭიანურდება, მაშინ იარაღი ფუჭდება, ჩლუნგდება; თუ ალყა ციხესიმაგრეზე ხანგრძლივია, მაშინ ძალები სუსტდება; თუ ჯარებს ბრძოლის ველზე დიდი ხნით დატოვებენ – სახელმწიფოს სახსრები არ ეყოფა.

როცა იარაღი ჩლუნგდება და ფუჭდება, ძალები სუსტდება და სახსრები ილევა, თავადები შენს სისუსტეს გამოიყენებენ და შენს წინააღმდეგ წამოვლენ. ამ დროს რომც გყავდეს ჭკვიანი მსახურები - მაინც ვერაფრის გაკეთებას შეძლებ.

ამის გამო, ომის დროს, როცა იგი სწრაფია, თუნდაც გაუწაფავად, მაგრამ მაინც უძღვებიან მას და რაღაც მცირე მიღწევებიც აქვთ, მაგრამ თუ იგი გაჭიანურდება, რაგინდ კარგად არ გამოიყენონ სამხედრო ხელოვნება, წარმატებას ვერ მიაღწევენ.

. . .

ის, ვინც კარგად ფლობს სამხედრო ძალის გამოყენების ხელოვნებას, არასოდეს გაიწვევს თავის ხალხს ლაშქრად ორჯერ, არც მარაგს გადაზიდავს მესამედ. ლაშქრის მომარაგება მაშინ იქნება დამაკმაყოფილებელი, როდესაც შეიარაღება და სხვა მასალები შენი მიწიდან მოგაქვს, სურსათ-სანოვაგეს კი მტერს ართმევ.

ის ქვეყანა, რომლის ლაშქარიც მარაგს დიდ მანძილზე გადაზიდავს, გაღარიბდება. როდესაც მარაგი დიდ მანძილზე გადაიზიდება, ასი ოჯახი (არისტოკრატია) მაინც ჩავარდება სიღატაკეში.

ლაშქრის განლაგებასთან ახლოს მცხოვრებნი საქონელს ძვირად ყიდიან. როდესაც საქონელი ძვირია, ამოწურვამდე ასი ოჯახის (არისტოკრატიის) ქონება იხარჯება. როდესაც მათი ქონება იწურება, უჭირთ თავისი სოფლებიდან გამოსული ხალხის სამხედრო მარაგებით უზრუნველყოფა. როდესაც მთელი ძალა ეხარჯებათ და ქონება ელევათ, ცენტრალურ ადგილებში მდებარე სახლები ცარიელდება. ასი ოჯახის (არისტოკრატიის) ხარჯები მათი კუთვნილი ქონების შვიდ მეათედს შეადგენს. მმართველის ქონების ექვს მეათედს შეადგენს აუნაზღაურებელი ხარჯები, როგორიცაა დალეწილი ეტლები, დავარდნილი ცხენები, დამტვრეული ჯავშანი, ჩაჩქანები, ისრები და არბალე-

ტები, ალებარდის და შუბის წვერიანი [დიდი, გადაადგილებადი] დამცავი ფარები, გამწევი ხარები და დიდი ურმები.

ამრიგად, ბრძენი სარდალი იმაზე იზრუნებს, რომ მარაგი მტრისგან მიიღოს. მტრის ერთი გირვანქა სურსათი ჩვენს ოც გირვანქას უდრის; ერთი ფუთი ქატო და თივა მოწინააღმდეგისა, უტოლდება საკუტარი საკვების 20 ფუთს ..

სურ. 23 ჩინელი მოხელეები

. . .

ამრიგად, ის მამოძრავებელი ძალა, რაც აიძულებს მეომარს მოკლას მოწინააღმდეგე, არის გააფთრება (ჩვენი); ხოლო ის ძალა, რაც მას აიძულებს მოწინააღმდეგისგან რაიმე სარგებელი მიიღოს, არის ნივთიერი სარგებელი. ასე, როდესაც ტყვედ ვარდება ათი ან მეტი ეტლი, დააჯილდოვე მათგან ისინი, ვინც პირველად ჩაიგდო ეტლები ხელში. დაუყენე მათ ჩვენი დროშები და ალმები; შეურიე ჩვენს ეტლებს და აბრძოლე ერთად. კარგად მოეპყარი დატყვევებულ მეომრებს, რათა მომავალში გამოიყენო ისინი. ამას `მოწინააღმდეგის დაპყრობა და გაძლიერება~ ეწოდება.

. . .

ამრიგად, ლაშქარს უყვარს, როცა თან გამარჯვებები სდევს და არ უყვარს ხანგრძლივი ომები. ამიტომ სარდალი, რომელსაც ომის ხელოვნება ესმის, ხალხის ბედს ჭედავს და ქვეყანას უსაფრთხოებას ან საფრთხეს უქადის”.

2.3. თავდასხმის დაგეგმვა

სუნ ძიმ თქვა:

„ზოგადად, სამხედრო ძალის გამოყენების გზა [შემდეგია]: საუკეთესო არჩევანია [მტრის] დედაქალაქის უვნებლად დატოვება, დედაქალაქის დანგრევა - მეორე საუკეთესო არჩევანი. საუკეთესო არჩევანია მისი ლაშქრის უვნებლად შენარჩუნება, მისი ლაშქრის განადგურება - მეორე საუკეთესო არჩევანი. საუკეთესო არჩევანია მისი ნაწილების შენარჩუნება, მისი ნაწილების განადგურება _ მეორე საუკეთესო არჩევანი. საუკეთესო არჩევანია მისი დანაყოფების შენარჩუნება, მისი დანაყოფების განადგურება - მეორე საუკეთესო არჩევანი. საუკეთესო არჩევანია მისი რაზმების შენარჩუნება, მისი რაზმების განადგურება - მეორე საუკეთესო არჩევანი. ამიტომაც ას ბრძოლაში ასი გამარჯვების მოპოვება ღირსების მწვერვალი როდია. მტრის ლაშქარზე უბრძოლველად გამარჯვება ბრძოლის გარეშე - აი, რა არის დიდების მწვერვალი.

. . .

ომის ხელოვნების უმაღლესი გამოვლინება მტრის გეგმებზე თავდასხმაა; ამას მოსდევს მის კავშირებზე თავდასხმა; შემდეგია მის არმიაზე თავდასხმა; და უმდაბლესი გამოვლინებაა მის გამაგრებულ ქალაქებზე თავდასხმა.

გამაგრებულ ქალაქებზე თავდასხმის ტაქტიკას მხოლოდ მაშინ მიმართავენ, როდესაც ეს გარდაუვალია. დიდი მოძრავი დამცავი ფარების, ჯავშნიანი ურმებისა და სხვა საშუალებების მომზადებას სამი თვე სჭირდება. მიწის ნაგებობების მშენებლობა კიდევ სამ თვეს წაიღებს. თუ სარდალი ვერ სძლევს მოუთმენლობას და თავდასხმას წამოიწყებს, მეომრებს ჭიანჭველებივით შეუსევს მტრის გალავნებს, მას მეთაურებისა და ლაშქრის ერთი მესამედი გაუწყდება და ქალაქი კი მაინც აუღებელი დარჩება. ეს მოსდევს თან [გამაგრებულ ქალაქებზე] თავდასხმას.

ომის წარმართვაში დახელოვნებული სარდალი სხვა ტომების ჯარებს უბრძოლველად ამარცხებს, სხვა ტომების ქალაქებს თავდაუსხმელად იღებს და სხვა ტომების ქვეყნებს ხანგრძლივი ბრძოლების გარეშე იპყრობს. მისი ბრძოლის უპირველესი მიზანი მარაგის შენარჩუნება უნდა იყოს. ასე არც იარაღი ჩლუნგდება და მიღებული მოგების შენარჩუნებაც ადვილად შეიძლება. ეს არის თავდასხმის დაგეგმვის წესი.

. . .

ზოგადად, სამხედრო ძალის გამოყენების წესი შემდეგია: თუ შენი ძალები ათჯერ აჭარბებს მტრისას, ალყა შემოარტყი მას; თუ ხუთჯერ აჭარბებს, თავს დაესხი; თუ მხოლოდ ორჯერ აჭარბებს, მაშინ ძალები გაყავი. თუ თანაბარი ძალები გყავთ, შეგიძლია ბრძოლაში გამოიწვიო; თუ უფრო ცოტა, შეგიძლია ეშმაკობით აჯობო მტერს. თუ მისი ძალები ბევრად აჭარბებს შენსას, შეგიძლია თავი აარიდო მასთან შეხვედრას. მცირე ძალების პატრონი მოწინააღმდეგე, რომელიც მოუქნელად და ჯიუტად იბრძვის, უფრო დიდი მოწინააღმდეგის მსხვერპლი გახდება.

. . .

სარდალი ქვეყნის დედაბოძია. თუ ის მრავალმხრივ განვითარებული და ნიჭიერია, ქვეყანა აუცილებლად გაძლიერდება. თუ დედაბოძს ბზარი გაუჩნდა, ქვეყანა აუცილებლად დასუსტდება.

. . .

მმართველის შემდეგ სამ თვისებას შეუძლია ლაშქარი დაასუსტოს:

თუ მან არ იცის, რომ „სამი ლაშქარი“ წინ არ უნდა წავიდეს, მაგრამ ამის ბრძანებას იძლევა; ან კიდევ არ იცის, რომ „სამმა ლაშქარმა“ უკან არ უნდა დაიხიოს, მაგრამ ამის ბრძანებას გასცემს. ამას „ლაშქრის დაბნევა“ ეწოდება.

თუ მას არ ესმის „სამი ლაშქრის“ სამხედრო საქმეები, მაგრამ ისე ხელმძღვანელობს მათ, როგორც სამოქალაქო მმართველობა, ამით მეთაურები იბნევიან.

თუ მან არ იცის „სამი ლაშქრის“ ძალების ტაქტიკური წონასწორობა, მაგრამ ხელმძღვანელობას თავის თავზე იღებს, ამით ის უნდობლობას იწვევს მეთაურებში.

როდესაც „სამი ლაშქარი“ დაბნეულიცაა და უნდობლობაც აქვს შეპარული, არსებობს საფრთხე, ამით ისარგებლონ წარჩინებულებმა. ამას ეწოდება: „არეულ-დარეული ლაშქარი სხვას გამარჯვებისკენ უბიძგებს“.

სურ. 24 საბრძოლო ეტლი შეტევაზე

. . .

არის ხუთი ფაქტორი, რომელთაგან შეიძლება გამარჯვების შეცნობა:

- გაიმარჯვებს ის, ვინც იცის, როდის შეუძლია ბრძოლა და როდის _ არა.
- გაიმარჯვებს ის, ვისაც ესმის, როგორ გამოიყენოს მეომართა დიდი და მცირე რაოდენობა.
- გაიმარჯვებს ის, ვის უმაღლეს მეთაურობასა და რიგით მეომრებსაც მსგავსი სურვილები ამოძრავებთ.
- გაიმარჯვებს ის, ვინც გამზადებული გაუმზადებელს დაელოდება.
- გაიმარჯვებს ის, ვისი სარდალიც ნიჭიერია და არ იზღუდება მმართველის ნებით.
- ეს ხუთი ფაქტორი არის გზა (დაო) გამარჯვების შესაცნობად.

. . .

ნათქვამია, რომ მას, ვინც იცნობს თავის მტერს და საკუთარ თავს, არ ემუქრება საფრთხე ასეულობით ბრძოლაშიც კი. ის, ვინც არ იცნობს თავის მტერს, მაგრამ იცნობს საკუთარ თავს, ზოგჯერ გაიმარჯვებს, ზოგჯერ კი დამარცხდება. ის, ვინც არც მტერს იცნობს და არც საკუთარ თავს, ყველა ბრძოლიდან დამარცხებული გამოვა~.

2.4. სამხედრო წყობა

სუნ ძიმ თქვა:

ძველ დროში, ომის გზაში (დაო) დახელოვნებული სარდლები ჯერ თავად ხდებოდნენ უძლეველნი, რათა იმ წუთს დალოდებოდნენ, რომ მტრისთვის ეძლიათ.
უძლეველობის მიღწევის გზა შენშია; დამარცხების გზა - მტერში.

ამგვარად, ომის გზაში (დაო) დახელოვნებულს შეუძლია თავი უძლეველი გახადოს, მაგრამ ამით მტერს ვერ დააუძლურებს.

ამგვარად, უთქვამთ, რომ შეიძლება იცოდე მტრის დამარცხების ხერხი, მაგრამ მისი განხორციელება შენთვის შეუძლებელი იყოს.

. . .

ის, ვისაც მოცემულ დროს გამარჯვება არ ხელეწიფება, თავდაცვით მდგომარეობაში გადადის; ის, ვისაც გამარჯვება ხელეწიფება, თავს ესხმის მტერს; თავდაცვის მდგომარეობაში ძალა საკმარისზე მეტი გამოდის, ხოლო თავდასხმის მდგომარეობაში იგივე ძალა საკმარისზე ნაკლები იქნებოდა.

. . .

თავდაცვაში დახელოვნებული თავს ღრმა თხრილებს აფარებს, თავდასხმაში დახელოვნებული კი მტერს სიმაღლიდან ატყდება თავს. მხოლოდ ასე ძალუძთ მათ თავის გადარჩენა და საბოლოო გამარჯვების მოპოვება.

ისეთი გამარჯვების მოპოვება, რომლის განჭვრეტაც ხალხს ძალუძს, ღირსების მწვერვალი როდია. არც მთელი ქვეყნიერების მიერ აღიარებული გამარჯვებაა ღირსების მწვერვალი. ისევე, როგორც შემოდგომაზე მოსავლის აღება არ არის დიდი ძალის მაჩვენებელი; ან მზისა და მთვარის დანახვა - კარგი მხედველობის ნიშანი; ან ქუხილის გაგონება - კარგი სმენისა.

. . .

ომში დახელოვნებული ჯერ ისეთ მდგომარეობას აღწევს, რომელშიც მისი დამარცხება შეუძლებელია, მაგრამ ამავე დროს ხელიდან არ უშვებს შესაძლებლობას, თვითონ დაამარცხოს მტერი.

ჭეშმარიტად ძლევამოსილი ლაშქარი ჯერ გამარჯვების მოსაპოვებლად საჭირო პირობებს ქმნის და მხოლოდ ამის შემდეგ ესწრაფვის ბრძოლაში ჩაბმას. სუსტი ლაშქარი ჯერ ბრძოლაში ებმება და მხოლოდ ამის შემდეგ იწყებს გამარჯვების გზების ძიებას.

სურ. 25 ქვეითებისა და საბრძოლო ეტლების ერთობლივი შეტევა

. . .

ომში დახელოვნებული პირველ რიგში დაოს შეცნობითა და დამუშავებით, ასევე კანონების დაცვით არის დაკავებული; ამის გამო შეუძლია მას გამარჯვებისა და დამარცხების მართვა.

. . .

რაც შეეხება სამხედრო მეთოდებს, პირველს გაზომვა ეწოდება; მეორეს - [ძალების] შეფასება; მესამეს - [მეომართა რიცხვის] გამოთვლა; მეოთხეს - [შედარებითი ძალების] წონასწორობა; და მეხუთეს - გამარჯვება.

გაზომვის საფუძველია ადგილმდებარეობა, გაზომვა ბადებს [ძალების] შეფასებას. ძალების შეფასებას მივყავართ [მეომართა რიცხვის] გამოთვლისკენ. [მეომართა რიცხვის] გამოთვლა განაპირობებს [ძალების] წონასწორობას. [ძალების] წონასწორობა შობს გამარჯვებას.

. . .

ძლევამოსილი ლაშქარი შეიძლება შევადაროთ უნციასთან შეწონილ ტონას, ხოლო სუსტი ლაშქარი ტონასთან შეწონილ უნციას ჰგავს! ძლევამოსილის ბრძოლა შეკავებული მდინარის გაშვებაა ათასსაჟენიან ხევში. ეს არის ძალების სტრატეგიული წყობა (ჰსინი)“.

2.5. სტრატეგიული სამხედრო ძალა

სუნ ძიმ თქვა:

„ზოგადად, მრავალრიცხოვანი არმია მცირერიცხოვნისაგან დიდად არ განსხვავდება. საქმე უბრალოდ რიცხვთა გაყოფას ეხება. დიდი რაოდენობის არმიით ბრძოლა მცირე რაოდენობის არმიით ბრძოლას ჰგავს. საქმე უბრალოდ განლაგებასა და განაწილებას ეხება.

. . .

ის, რაც არმიას საშუალებას აძლევს გაუძლოს მტრის დაწოლას, არის ორიგინალურისა (ჩ’ი) და ტრადიციულის (ჩ’ენი) ერთობლიობა.

როდესაც არმია უტევს, ის კვერცხისთვის ნასროლ სალეს ქვას ჰგავს. ეს ცარიელისა და სავსეს ურთიერთქმედების შედეგია.

ზოგადად, არმია ბრძოლას ტრადიციული ხერხებით იწყებს და ორიგინალური ხერხებით ამთავრებს. ამგვარად, ის, ვინც ორიგინალურის გამოყენებაშია დახელოვნებული, ისევე უსაზღვროა, როგორც ზეცა, ისევე დაუშრეტელი, როგორც იანძი და ხუანხე. მხოლოდ მზე და მთვარე შეიცნობს სამყაროს ბოლოს და ამოდის თავიდან. მხოლოდ წელიწადის ოთხი დრო კვდება და თავიდან იბადება.

მუსიკალური ბგერა მხოლოდ ხუთია, მაგრამ ამ ხუთის სრულყოფილად აღქმა შეუძლებელია. მხოლოდ ხუთი ფერი არსებობს, მაგრამ ხუთი ფერის სხვადასხვაობას სრულად ვერასოდეს დავინახავთ. გემო მხოლოდ ხუთი არსებობს, მაგრამ ამ ხუთი გემოს განსხვავებას ბოლომდე ვერასოდეს შევიგრძნობთ. ომში ძალის (ში’ი) სტრატეგიული კონფიგურაცია მხოლოდ ტრადიციული ან ორიგინალურია, მაგრამ ტრადიციულისა და ორიგინალურის სახეცვლილებათა რაოდენობა ამოუწურავია. ორიგინალური და ტრადიციული ერთმანეთს ავსებს, როგორც დაუსრულებელი ციკლი. ვის შეუძლია მათი ბოლომდე ამოწურვა?

. . .

„მოწინააღმდეგეთა ძალების ერთმანეთში შერევისა და სწრაფი ხასიათის გამო ბრძოლა ერთი შეხედვით ქაოტურად გამოიყურება, მაგრამ სინამდვილეში ის უწესრიგო არ არის. ზედახორაში ძალების განლაგება განსაზღვრულია და მისი დარღვევა შეუძლებელია.

. . .

ამგვარად, მტრის ამოქმედებაში დახელოვნებული ისეთი კონფიგურაციით (ჰსინი) განალაგებს ლაშქარს, რომელსაც მტერმა როგორმე აუცილებლად უნდა უპასუხოს. ის მტერს რაღაცას სთავაზობს, რისთვისაც ამ უკანასკნელმა უნდა იბრძოლოს. ილუზიური სარგებლით მას მტერი მოძრაობაში მოჰყავს და სრულ მზადყოფნაში ხვდება მას.

. . .

„ამგვარად, ომში დახელოვნებული [გამარჯვების] ძიებაში ძალის (ში’ი) სტრატეგიულ კონფიგურაციას ეყრდნობა და არა ადამიანებს. მან იცის, როგორ შეარჩიოს მეომრები და გამოიყენოს სტრატეგიული ძალა (ში’ი).

. . .

ის, ვინც სტრატეგიულ ძალას (ში’ი) იყენებს, ბრძოლაში მეომრებს ისე მეთაურობს, თითქოს ლაშქარი მთის კალთაზე ჩამოგორებული მორი ან ქვა იყოს. ხისა და ქვის ბუნება იმგვარია, რომ სწორ ზედაპირზე გაჩერებული უძრავ მდგომარეობას ინარჩუნებს, მაგრამ დაქანებულ ზედაპირზე მოძრაობაში მოდის. თუ ხე ან ქვა ოთხკუთხედი ფორმისაა, ჩერდება, თუ მრგვალია - მოძრაობს. ამგვარადვე, მეომართა მეთაურობაში დახელოვნებულის სტრატეგიული ძალა (ში’ი) შეიძლება შევადაროთ მრგვალ კენჭს, რომელიც ათასსაჟენიანი მთიდან გორდება. ასეთია ძალის (ში’ი) სტრატეგიული კონფიგურაცია”.

სურ. 26 ძველი ჩინური ალებარდი

2.6. სისავსე და სიცარიელე

სუნ ძიმ თქვა:

„ზოგადად, უპირატეს მდგომარეობაშია ის, ვინც ბრძოლის ველს პირველი იკავებს და მტერს ელოდება; წამგებიან მდგომარეობაშია ის, რომელიც ბრძოლის ველზე მეორე მოდის და რომელსაც დაუყოვნებლივ უწევს ბრძოლაში ჩაბმა. ამგვარად, ომში დახელოვნებული თავად უბიძგებს მოწინააღმდეგეს მოქმედებისაკენ, თავად მას ვერავინ უბიძგებს.

. . .

იმისთვის, რომ მტერი აიძულო, თავისი ნებით მოვიდეს შენთან, რაიმე სარგებელი უნდა დაანახო. იმისთვის, რომ მტერს გადააფიქრებინო შენთან მოსვლა, [სავარაუდო] ზიანი უნდა უჩვენო.

. . .

ამგვარად, თუ მტერი დასვენებულია, შეგიძლია დაღალო; თუ მაძღარია, შეგიძლია დაამშიო; თუ დგას, შეგიძლია აამოძრაო; ისეთი პოზიცია დაიკავე, როდესაც მას შებრძოლება აუცილებლად მოუწევს. შეებრძოლე მაშინ, როცა არ გელოდება.

. . .

ამგვარად, როდესაც სარდალი თავდასხმაშია დახელოვნებული, მტერმა არ იცის, სად მიმართოს თავდაცვას; როდესაც სარდალი თავდაცვაშია დახელოვნებული, მტერმა არ იცის, სად მიიტანოს იერიში. უჩინარი! უჩინარი! ის უახლოვდება უფორმოს. სულიერი! სულიერი! ის მიაღწევს უხმოს. ამგვარად შეძლებს იგი მტრის ბედ-იღბლის ხელში ჩაგდებას.

. . .

იმისთვის, რათა შეუფერხებლად წაიწიო წინ, მათ სიცარიელეს დაუპირისპირდი. იმისათვის, რათა წარმატებით დაიხიო უკან, განსხვავებული სიჩქარე გამოიყენე. ამგვარად, თუ ბრძოლაში ჩაბმა მინდა, თუნდაც მტერი მაღალი მიწაყრილებით და წყლით სავსე ღრმა თხრილებით იყოს გარშემორტყმული, ბრძოლას ვერ გაექცევა, რადგან ისეთ სამიზნეებს დავარტყამ, რომელიც აუცილებლად უნდა დაიცვას.

. . .

მტერთან შებმის ადგილი მისთვის უცნობი უნდა იყოს. ის რომ წინასწარ გახდეს ცნობილი, მაშინ მრავალ პოზიციაზე შეძლებს თავდაცვის გაძლიერებას. თუ მისი თავდაცვითი პოზიციები მრავალრიცხოვანია, მაშინ ჩვენი ძალები არასაკმარისი (ცოტა) იქნება. ამგვარად, თუ მტერი წინა რიგების დაცვას გადაწყვეტს, მათ უკანა მხარეს ცოტა მეომარი იქნება. თუ უკანა რიგების დაცვას გადაწყვეტს, წინა ხაზზე იქნება ცოტა მეომარი. თუ მარცხენა ფლანგის დაცვას გადაწყვეტს, მაშინ მარჯვენაზე ცოტა მეომარი იქნება. თუ მარჯვენა ფლანგის დაცვას გადაწყვეტს, მარცხენაზე იქნება ცოტა მეომარი. თუ არც ერთი პოზიცია არ დარჩა დაუცველი, მაშინ მეტ-ნაკლებობა არ იარსებებს. მცირერიცხოვანი ის მხარეა, რომელიც თავს იცავს; მრავალრიცხოვანი _ ის მხარე, რომელიც სხვას აიძულებს თავი დაიცვას.

. . .

ამგვარად, თუ სარდალი ბრძოლის ველს იცნობს და ბრძოლის დღეც წინასწარ იცის, შეძლებს ათასი მილის გავლას და ჯარის საბრძოლველად განლაგებას. თუ არც ბრძოლის ველი იცის და არც ბრძოლის დღე, მაშინ ვერც მარცხენა ფლანგი შეძლებს მარჯვენის დაცვას და ვერც მარჯვენა _ მარცხენის დაცვას. რამდენად მართალია ეს ნათქვამი, როდესაც შორად რამდენიმე ათეული მილი ითვლება და ახლოდ _ მხოლოდ ერთი-ორი მილი? დავფიქრდეთ, თუნდაც იუეს ჯარი

მრავალრიცხოვანი იყოს, რამდენად დიდია მათი ძალა და საკმარისი გამარჯვების მოსაპოვებლად? ამიტომ ვამბობ, რომ გამარჯვების მიღწევა შესაძლებელია. თუნდაც მტერი უფრო მრავალრიცხოვანი იყოს, შეიძლება მისი იძულება, თავი აარიდოს ბრძოლას.

. . .

ამგვარად, კრიტიკულად შეაფასე მტერი, რათა მოსალოდნელი სარგებელი და ზარალი დაინახო. გააღიზიანე მტერი, რათა მოძრაობისა და უძრაობის სქემა გიჩვენოს. განსაზღვრე მტრის ძალის განლაგება, რათა ბრძოლის ველის ადვილად და ძნელად დასაკავებელი ადგილები გახდეს ცნობილი. გამოსცადე მტერი, რომ გაიგო, სად აკლია ძალები და სად არა.

ამგვარად, სამხედრო განლაგებაში უპირველესი მნიშვნელობა უფორმობას ენიჭება. თუ განლაგება უფორმოა, ყველაზე გამჭრიახი ჯაშუშიც კი ვერ ჩაწვდება მას და ვერც ბრძენი დაუპირისპირებს რაიმეს.

სურ. 27 ჩინეთის იმპერატორი სარდლებთან ერთად

. . .

ჯარის ძალთა განლაგება წყლის მსგავსია. წყალი სიმაღლეს ერიდება და თავქვე მიისწრაფვის. ჯარის განლაგებაც სავსეს ერიდება და ცარიელისკენ მიილტვის. წყალი ადგილმდებარეობის შესაბამისად მოძრაობს; ჯარი გამარჯვებას მტრის მოქმედებათა შესაბამისად გეგმავს. ამგვარად, ჯარში არ არსებობს ძალების (ში'ი) მუდმივი საბრძოლო განლაგება, ისევე, როგორც წყალს არ გააჩნია მუდმივი ფორმა. მას, ვისაც მტრის შესაბამისად შეუძლია შეიცვალოს და გარდაისახოს და ამგვარად, მოიპოვოს გამარჯვება, სულიერი ეწოდება. ამგვარად ცნობილი ხუთი ფაზიდან არც ერთი არ არის მუდმივი; წელიწადის ოთხი დრო მუდმივად მონაცვლეობს; მზე ხან დიდი ხნით ანათებს, ხან მოკლე ხნით; მთვარე იზრდება და იკლებს".

2.7. ბრძოლა

სუნ ძიმ თქვა:

„ზოგადად, არმიის ბრძოლაში ჩართვის სტრატეგია შემდეგია: დაწყებული იმ წუთიდან, როდესაც სარდალი მმართველისგან ბრძანებას იღებს, თავს უყრის არმიას და მეომრებს დააწყობს

მტერთან შესაბმელად და დასაბანაკებლად, არაფერია თავად ბრძოლაზე უფრო ძნელი. ბრძოლაში კი ყველაზე ძნელი წრიულის გასწორებაა, როდესაც ნაკლს უპირატესობად გარდაქმნი.

ამგვარად, თუ მტრის გზას სწორიდან შემოვლითს (წრიულს) გახდი და მას სატყუარას დაუგდებ, მის გვიანაც რომ დაადგე გზას, უფრო ადრე ჩახვალ. ამის მიღწევა წრიული და წრფივი ტაქტიკის ცოდნით შეიძლება.

. . .

ამრიგად, რამდენადაც მომგებიანია ბრძოლა არმიების მონაწილეობით, იმდენად სახიფათოა გაუწვრთნელი ლაშქრების შეტაკება. თუ მთელი არმია მოინდომებს მეტოქეობას უპირატესობის მოსაპოვებლად, დანიშნულების ადგილას დროზე ვერ ჩახვალ.

შესაბამისად, თუ ჯარს მარაგები და მოწყობილობები თან არა აქვს, ის უკვე განწირულია; თუ მას სურსათ-სანოვაგე არ მიაქვს, უკვე განწირულია და თუ არსენალი არ გააჩნია, ასევე განწირულია.

. . .

ამრიგად, ის, ვინც წარჩინებულთა გეგმებში ჩახედული არ არის, წინდაწინ მოკავშირეებს ვერ გაიჩენს. ასევე ის, ვინც არ იცნობს მთებსა და ტყეებს, ხევებსა და ხეობებს, ჭაობებს, ლაშქარს წინ ვერ წაიყვანს. ის, ვინც მეგზურებად ადგილობრივ მოსახლეებს არ გამოიყენებს, თავის სასარგებლოდ ადგილმდებარეობასაც ვერ გამოიყენებს.

. . .

ამრიგად, გაწრთვნილი ჯარი მოტყუებით ეწყობა, უპირატესობის მოსაპოვებლად მიიწევს წინ და დანაწევრებითა და ხელახალი გადაჯგუფებით იცვლის ფორმას. ამრიგად, სიჩქარით ქარს ეტოლება, სიზანტით - ტყეს; როდესაც მიზანს შეესევა, ცეცხლს ემსგავსება, როცა ადგილზე დგას - მთებს. მისი შეცნობა ისევე ძნელია, როგორც სიბნელისა; მოძრაობით ელვას წააგავს.

. . .

როდესაც რომელიმე ოლქს შეესევი და ააოხრებ, ნაალაფარი მეომრებს შორის უნდა გაანაწილო. როდესაც მიწებს იერთებ, მოგება სხვებსაც უნდა გაუყო. შეიცანი ძალის სტრატეგიული ბალანსი (ჩ'იუანი) და იმოძრავე. ეს არის ბრძოლის სტრატეგია.

. . .

„სამხედრო მმართველობაში" ნათქვამია: „რადგანაც ერთმანეთის ხმა არ ესმოდათ, გონგებსა და დოლებს აბრახუნებდნენ. რადგანაც ერთმანეთს ვერ ხედავდნენ, ალმებსა და დროშებს აფრიალებდნენ". გონგები, დოლები, ალმები და დროშები მეომრების მხედველობისა და სმენის მისაპყრობად გამოიყენება. მას შემდეგ, რაც ამას მიაღწევთ, გამბედავები წინ მარტო ვერ გაიჭრებიან, მშიშრები უკან მარტო ვერ დაიხევენ. ეს არის დიდი რაოდენობის ლაშქრის გამოყენების გზა.

ამრიგად, მეომრების მხედველობისა და სმენის მისაპყრობად ღამით ურიცხვი კოცონი და დოლი უნდა გამოიყენო, დღისით _ ალმები და დროშები.

. . .

მოუწესრიგებელს მოწესრიგებული დაელოდე, მოუსვენარს - მოსვენებული. ეს არის გონივრული გზა.

. . .

ახლოთი დაელოდე შორს, დასვენებულით - დაღლილს, მაძღრით - მშიერს. ეს არის ძალის გამოყენების გზა.

. . .

. . .

ამრიგად, ბრძოლის სტრატეგია შემდეგია: ნუ მიუახლოვდები მაღალ მთებს. ნუ დაუპირისპირდები მას, ვისაც მთები უმაგრებს ზურგს. ნუ გაეკიდები მოტყუებით უკანდახეულს. ნუ მიიტან იერიშს გამოცოცხლებულ ნაწილებზე. ნუ წამოეგები სატყუარაზე. ნუ შეუშლი მტერს ხელს თავის მიწაზე დაბრუნებაში. თუ ლაშქარს ალყა შემოარტყი, გასასვლელი დაუტოვე. ნუ მიიმწყვდევ დაქანცულ მტერს კუთხეში. ასეთია ბრძოლის გზები~.

სურ. 28 ჩინელი ქვეითები შეტევაზე

2.8. ცხრა სახეცვლილება

სუნ-ძიმ თქვა:

„ზოგადად, სამხედრო საქმის სტრატეგია ასეთია: მას შემდეგ, რაც შენი სარდალი ბრძანებას მიიღებს მმართველისგან, ლაშქარს იხმობ და გაიწვევ მოსახლეობას:

- ნუ დაბანაკდები ისეთ ადგილას, სადაც ადვილად შეიძლება ჯარის მომწყვდევა;
- მოკავშირეებს შეუერთდი მთავარი გზების გადაკვეთის ადგილზე;
- ნუ დარჩები მარტო;
- დაგეგმე ბრძოლა ბუნებრივი ზღუდეებით შემოსაზღვრულ ადგილას;
- არსებობს გზები, რომლებითაც მოწინააღმდეგეს ვერ გაედევნები;
- არსებობს ლაშქარი, რომელსაც თავს ვერ დაესხმები;
- არსებობს გამაგრებული ქალაქები, რომლებზეც იერიშს ვერ მიიტან;
- არსებობს ისეთი ადგილები, რომელთა დასაკავებლადაც არ უნდა იბრძოლო;
- არსებობს მმართველის ისეთი ბრძანებები, რომლებიც არ უნდა შეასრულო.

ამრიგად, სარდალი, რომელსაც კარგად ესმის ცხრა მოქმედების არსი, კარგად უხელმძღვანელებს ჯარს. თუ სარდალი ვერ ხვდება, რა სარგებლობა შეიძლება მიიღოს ცხრა მოქმედებისგან, თუნდაც კარგად იცნობდეს ადგილმდებარეობას, ის ვერ შეძლებს მის თავის სასარგებლოდ გამოყენებას.
ის, ვინც არმიას მეთაურობს, მაგრამ არ ფლობს ცხრა მოქმედების ტექნიკას, თუნდაც ადგილმდებარეობის ხუთ სავარაუდო სასარგებლო ელემენტს იცნობდეს, ვერ შეძლებს მეომრების მართვას.

სურ. 29 ძველი ჩინეთის არმიის სარდალი (გენერალი)

. . .

ამის გამო, ბრძენმა კარგად უნდა განჭვრიტოს სარგებლისა და ზარალის ერთიანობა. თუ მას შეუძლია უპირატესობა დაინახოს [რთულ მდგომარეობაში], მისი ნდობა შეიძლება. თუ მას შეუძლია მოსალოდნელი ზარალი დაინახოს [სავარაუდოდ მომგებიან მდგომარეობაში], სირთულეც გადაიჭრება.

. . .

შესაბამისად, დაიმორჩილე ის წარჩინებულები, რომლებიც, სავარაუდოდ, საფრთხეს წარმოადგენენ; ნუ გააჩერებ მათ უსაქმოდ, აიძულე ისინი, ერთმანეთს გაეჯიბრონ სარგებლის მისაღებად.

. . .

ამრიგად, სამხედრო საქმის სტრატეგია შემდეგია: იმის იმედად კი ნუ იქნები, რომ მტერი არ მოდის, არამედ იმას დაეყრდენი, რომ თავად გქონდეს მისი დახვედრის საშუალება. იმის იმედად კი ნუ იქნები, რომ მტერი თავს არ დაგესხმის, არამედ იმას დაეყრდენი, რომ თავად შეიქმნა თავდასხმისაგან დაცული მდგომარეობა.

. . .

ამრიგად, სარდალს მუდამ უნდა ახსოვდეს ხუთი სახიფათო გარემოება:

- სიკვდილისთვის მებრძოლს ადვილად კლავენ;
- სიცოცხლისთვის მებრძოლს ადვილად იპყრობენ;
- ფიცხსა და წინდაუხედავს ადვილად შეურაცხყოფენ;
- პატიოსნებისა და უმწიკვლოების შენარჩუნებაზე ზედმეტად მზრუნველს ადვილად არცხვენენ;
- ხალხის მოყვარულს მოსვენებას ადვილად უკარგავენ;
- ეს ხუთი თვისება ზოგადად სახიფათოა სამხედრო საქმეში. მათ განუხრელად მოსდევს შედეგად ჯარის დაშლა და სარდლის დაღუპვა, ასე რომ, ყურადღება გამახვილებული უნდა გქონდეს''.

2.9. მანევრირება

სუ ძიმ თქვა:

„ლაშქრის გამოსაყენებლად და მტრის შესაცნობად:

თუ მთების გადაჭრა გსურს, ხეობები გაიარე, ადვილად დასაკავებელი ადგილები შეარჩიე და სიმაღლეები დაიკავე. თუ მტერს ეს ადგილები უკვე დაკავებული აქვს, ნუ ახვალ და ნუ შეებმები. ეს არის მთებში ლაშქრის გამოყენების გზა.

მდინარეების გადაჭრის შემდეგ მტერსა და შენს ლაშქარს შორის გარკვეული მანძილი დატოვე. თუ ის მდინარეს მოადგა და იერიშისათვის ემზადება, წყალში ნუ შეებრძოლები. მასზე თავდასხმა მაშინ არის მომგებიანი, თუ მოწინააღმდეგის ლაშქრის ნახევარია წყალში. თუ მტერთან შებრძოლება მოისურვე, არმიას მდინარესთან ნუ მოაწყობ, ადვილად დასაკავებელი ადგილი შეარჩიე და სიმაღლეები დაიკავე. წყალში ბრძოლისას მდინარის დინების საწინააღმდეგოდ ნუ დადგები. ეს არის ლაშქრის გამოყენების გზა მდინარის სიახლოვეს.

როდესაც მარილიან ველებსა და ჭაობებს კვეთ, მიზნად უნდა გქონდეს, რაც შეიძლება მალე გაეცალო ამ ადგილებს; დიდხანს ნუ დარჩები. თუ ბრძოლამ ჭაობებში გიწია, შამბიანი ადგილი შეარჩიე და ეცადე ზურგს უკან ჭალები გქონდეს. ეს არის ლაშქრის გამოყენების გზა ჭაობიან ადგილებში.

. . .

არმია მომაღლო ადგილებისკენ მიიწევს და ტაფობებს გაურბის, მზიანი (იანი) უყვარს და ჩრდილიანი (ინი) სძულს. ის სიცოცხლეს ესწრაფვის და სავსეს იკავებს. უთქვამთ, რომ უეჭველად გამარჯვებული იქნება ის არმია, რომელიც ას ავადმყოფობას აუვლის გვერდს.

. . .

როცა წვიმა მდინარის დინების საწინააღმდეგოდ მოდის, ქაფი ჩნდება. თუ მდინარის გადაჭრა გაქვს გადაწყვეტილი, ქაფის ჩადგომამდე მოიცადე.

. . .

როდესაც ჯარს აქეთ-იქიდან აკრავს ხეობები, ლელქაშიანი ჭაობები, ტყიანი მთები ან ბუჩქნარი, ეს ადგილები ყურადღებით უნდა გაჩხრიკო, რადგან სწორედ აქ შეიძლება იმალებოდნენ მტრის ჩასაფრებული მეომრები ან ჯაშუშები.

. . .

თუ მტერი ახლოს დგას და ადგილიდან არ იძვრის, მაშინ ის ხეობების განლაგებას იყენებს. თუ ჯერ კიდევ შორსაა, მაგრამ ბრძოლაში გიწვევს, ეს ნიშნავს, რომ სურს, წინ წაიწიო, რადგან თავად იოლი ლანდშაფტით/ადგილმდებარეობით ისარგებლოს.

. . .

თუ ბევრი ხე ერთად ამოძრავდა, ეს ნიშნავს, რომ მტერი შენსკენ მოიწევს. თუ ბალახიან ადგილზე ბევრი ხილვადი დაბრკოლებაა, შენს დასაეჭვებლადაა შექმნილი. თუ უეცრად ჩიტები აფრინდნენ, იმ ადგილას მტერია ჩასაფრებული. თუ ცხოველები შიშით გარბიან, მტრის ძალები მოულოდნელ თავდასხმას იწყებენ.

სურ. 30 ჩინელი ქვეითები (ე. წ. ტერაკოტას არმია)

. . .

თუ მტვერი მაღლა გამოკვეთილ სვეტად ადის, ეტლები მოდიან. თუ მტვერი ძალიან მაღლა არ ადის და გაფანტულია, ქვეითი ჯარი მოდის. თუ მტვერი წვრილ ზოლებად ადის მაღლა, მტერი ცეცხლისთვის შეშას აგროვებს. თუ მტვერი მეჩხერია, მტერი ბანაკდება.

წინ წაიწევს ის, ვინც თავშეკავებით საუბრობს, მაგრამ გამალებით ემზადება. უკან დაიხევს ის, ვინც წაუბორძიკებლად ლაპარაკობს და წინ დაუფიქრებლად მიიწევს.

ბრძოლისთვის ლაშქარს აწყობს ის, ვისი მსუბუქი ეტლები პირველად გამოიშლებიან გვერდებზე.

ეშმაკობას გეგმავს ის, ვინც მშვიდობას წინასწარი პირობების გარეშე გთავაზობს.

წინასწარ დაწყობილ გეგმას მიჰყვება ის, ვისი მეომრებიც აქეთ-იქით დაქრიან, ხოლო თავად ლაშქარს გარკვეული წყობით განალაგებს.

სატყუარას გიგდებს ის, ვისი ლაშქრის ნახევარი წინ მოიწევს, ნახევარი კი უკან რჩება.

. . .

თუ მეომარი იარაღზე დაყრდნობილი დგას, მშიერია. თუ მან, ვინც წყალს ავსებს, პირველმა დალია, ლაშქარი მწყურვალია. როდესაც მოწინააღმდეგე სავარაუდო სარგებლობას ხედავს, მაგრამ ვერ გადაუწყვეტია, წინ წავიდეს თუ არა, ეს ნიშნავს, რომ ის დაღლილია.

. . .

ის ადგილი, სადაც ჩიტები გროვდებიან, დაუკავებელია. თუ მტერი ღამით ხმაურობს, ის შეშინებულია. თუ არმია მოუსვენრად მოძრაობს აქეთ-იქით, სარდალს სიმკაცრე აკლია. თუ დროშები და ალმები აქეთ-იქით გადაადგილდებიან, მტერი ქაოსშია. თუ მეთაურებს გაბრაზება ეტყობათ, მტერი დაღლილია.

. . .

თუ მოწინააღმდეგის მეომრები ცხენებს კლავენ და ჭამენ, არმიას პური აკლია. თუ სამზარეულოს ნივთები ადგილზე დაკიდეს და ბანაკში არ დაბრუნდნენ, მათგან თავგანწირულ ბრძოლას უნდა მოელოდე.

. . .

ის, ვისი მეომრებიც აქა-იქ პატარა ჯგუფებად იკრიბებიან და ჩურჩულებენ, ხალხს კარგავს. ის, ვინც ხშირად გასცემს ჯილდოებს, შეჭირვებულია. ის, ვინც ხშირად სჯის მეომრებს, რთულ მდგომარეობაშია. ის, ვინც დასაწყისში ზედმეტად მკაცრი და შეუბრალებელია, შემდეგ კი საკუთარი მეომრების ეშინია, უკიდურესად სულელია.

. . .

მას, ვისი ემისრებიც სხვადასხვა შეთავაზებით მოდიან, სულის მოთქმა სურს.
ჯარისთვის არაფერს ნიშნავს რიცხოვნობა. ეს მხოლოდ იმის მაჩვენებელია, რომ პირდაპირ თავდასხმა არ შეიძლება. საკმარისია, საკუთარი ძალები გაამაგრო, მტრის მდგომარეობა გააანალიზო და ისე შეებრძოლო. ტყვედ უეჭველად მხოლოდ ის ჩავარდება, ვისაც სტრატეგიული დაგეგმვის ნიჭი აკლია და მტრის ძალას უგულებელყოფს.

. . .

„თუ მეომრების დასჯას მანამდე მიჰყოფ ხელს, სანამ ლაშქარი კარგად მოგეჩვევა, მომავალში ვერ დაიმორჩილებ მას. თუ ასე მოხდა, მათი მართვა ძნელი იქნება. თუ მეომრებს სათანადო შემთხვევაში არ დასჯი მას შემდეგ, რაც ლაშქარი მოგეჩვია, მათ გამოყენებას ვერ შეძლებ.

. . .

თუ შენი ბრძანებები განუხრელად სრულდება, ხალხი დაგემორჩილება. თუ შენი ბრძანებები ყოველთვის არ სრულდება, ხალხი არ დაგემორჩილება. მას, ვისი ყველა ბრძანებაც სრულდება, თავის ხალხთან კეთილგონიერი ორმხრივი ურთიერთობა აქვს დამყარებული“.

2.10. ადგილმდებარეობის კონფიგურაციები

სუნ ძიმ თქვა:

„არსებობს ადგილმდებარეობის შემდეგი ძირითადი კონფიგურაციები: მიღწევადი, შეჩერებული, გამოუვალი, შეზღუდული, დაქანებული, გაფართოებული.

თუ ჩვენც და მტერსაც წინ წასვლა შეუძლია, მაშინ ადგილი მიღწევადია. მიღწევად კონფიგურაციაში, პირველ რიგში, სიმაღლეები და იანის მხარე დაიკავე და ბარგის გადმოტანის გზები გაკვალე. ამის შემდეგ ბრძოლაში უპირატესობა ჩვენს მხარეზე იქნება.

ისეთ კონფიგურაციას, როდესაც წინ წასვლა შეგვიძლია, მაგრამ უკან დაბრუნება ძნელი იქნება, „შეჩერებული“ ეწოდება. ამ დროს, თუ მტერი მოუმზადებელია, წინ უნდა წახვიდე და შეებრძოლო. თუ მტერი მომზადებულია და ჩვენ მოულოდნელად დავესხით თავს, მაგრამ მყისიერი გამარჯვება ვერ მოვიპოვეთ, უკან დაბრუნება ძნელი იქნება და არმია რთულ მდგომარეობაში ჩავარდება.

ისეთ კონფიგურაციას როცა არც ჩვენთვის და არც მტრისთვის წინ მოძრაობა მომგებიანი არ არის, „გამოუვალი“ ეწოდება. ამ დროს, მტერმა თუნდაც სატყუარებით სცადოს ჩვენი გამოწვევა, წინ არ უნდა წავიდეთ. უკან დაიხიე. მდგომარეობა ჩვენთვის მომგებიანი იქნება, თუ თავს მაშინ დავესხმებით, როდესაც მისი ნახევარი ლაშქარი წინ წამოიწევს.

რაც შეეხება ,,შეზღუდულ'' კონფიგურაციას, თუ მას პირველები დავიკავებთ, მაშინ სრულად უნდა გავიშალოთ ამ ადგილას და ისე დაველოდოთ მტერს. თუ ადგილი პირველად მტერმა დაიკავა და სრულად გაშალა ლაშქარი, ნუ მიჰყვები. მხოლოდ მაშინ უნდა შეჰყვე, როდესაც ადგილი სრულად არ აქვს დაკავებული.

რაც შეეხება , ,დაქანებულ'' კონფიგურაციას, თუ ასპარეზი ჩვენ გვიკავია, სიმაღლეებზე უნდა განვლაგდეთ და მტერს დაველოდოთ. თუ ადგილი მტერმა დაიკავა, უკან დასწიე ლაშქარი. არ შეჰყვე ბრძოლით.

რაც შეეხება „გაფართოებულ'' კონფიგურაციას, თუ ჩვენი სტრატეგიული ძალა (ში'ი) მოწინააღმდეგესთან თანაბარია, მტრის ბრძოლაში გამოწვევა ძნელიც იქნება და უსარგებლოც.
ეს ექვსი ელემენტი შეადგენს ადგილმდებარეობის დაოს. ნებისმიერი სარდალი, რომელიც მეთაურობას კისრულობს, მოვალეა, შეიმეცნოს ისინი.

. . .

ამრიგად, არსებობს უბედური ლაშქრის ექვსი ტიპი: გაქცეული, მოშვებული, დავარდნილი, გატეხილი, ქაოტური და მოშლილი. ეს ექვსი ტიპი მხოლოდ სარდლის შეცდომების შედეგად ყალიბდება და არა იმიტომ, რომ ზეცამ ასე ინება.

თუ სტრატეგიული ძალის (ში'ი) თანაბრობისას ერთი ათს ესხმის თავს, ამას „გაქცევა“ ეწოდება.

თუ ლაშქარი ძლიერია, მაგრამ მეთაურები სუსტები არიან, ამას `მოშვებული~ ლაშქარი ეწოდება.

თუ მეთაურები არიან ძლიერი, ლაშქარი კი სუსტი, ამას „დავარდნილი“ ლაშქარი ეწოდება.

თუ ჯარი გაბრაზებულია და სარდალს არ ემორჩილება - თავად მიიწევს მტრისკენ, მაშინ, როცა სარდალი მოწინააღმდეგის შესაძლებლობებს არ იცნობს, ამას „გატეხილი“ ლაშქარი ეწოდება.

თუ სარდალი სუსტია და სათანადო სიმკაცრეს არ იჩენს, თავის სიმაღლეზე არ დგას დავალებების მიცემასა და ხელმძღვანელობაში, მეთაურობა და ლაშქარი დაუსაქმებელია და პოზიციები - მოუწყობელი, ასეთ მდგომარეობას „ქაოტური“ ეწოდება.

თუ სარდალი კარგად ვერ ჭვრეტს მტრის განზრახვას და მრავალრიცხოვან მოწინააღმდეგეს მცირე ლაშქრით შეებმება - ძლიერს სუსტს დაუპირისპირებს, ხოლო მისი მეწინავე ძალა სუსტია, ამგვარ მდგომარეობას „მოშლილი“ ეწოდება.

ეს ექვსი ელემენტი შეადგენს დამარცხების დაოს. ნებისმიერი სარდალი, რომელიც მეთაურობას კისრულობს, მოვალეა, ყურადღება მიაქციოს მათ.

. . .

ხელსაყრელი ადგილმდებარეობა ჯარს დიდ დახმარებას უწევს. მტრის მოქმედებათა განჭვრეტა, გამარჯვების მოპოვება, ხეობებისა და ხევების, ახლოსა და შორის შეფასება არის ნიჭიერი სარდლის დაო. ის, ვინც კარგად იცნობს დაოს ამ მხარეებს და მათ ბრძოლაში იყენებს, უცილებლად გაიმარჯვებს. ის, ვინც არ იცნობს მათ ან არ იყენებს ბრძოლაში, აუცილებლად დამარცხდება.

. . .

თუ ბრძოლის დაო უეჭველ გამარჯვებას გპირდება, თუნდაც მეთაურს შენთვის ბრძოლისთვის თავის არიდება ებრძანებინოს, იბრძოლე. თუ ბრძოლის დაო დამარცხებით გემუქრება, თუნდაც მეთაურმა ბრძოლაში ჩაბმა გიბრძანოს, შეგიძლია არც დაემორჩილო.

ამრიგად, ქვეყნისთვის განძია ის სარდალი, რომელიც იმისათვის კი არ მიიწევს წინ, რომ სახელი მოიხვეჭოს ან უკანდახევას თავს არიდებს მხოლოდ იმიტომ, რომ სასჯელის ეშინია, არამედ ხალხზე და თავისი მმართველისთვის სარგებლის მოტანაზე ზრუნავს.

. . .

როცა სარდალი მეომრებს უმცროსი შვილებივით ეპყრობა, ისინი მას ყველაზე რთულ ხეობებშიც კი შეყვებიან. როდესაც ის მეომრებს საყვარელი შვილებივით ეპყრობა, დაუფიქრებლად დაიხოცებიან მისთვის.

. . .

ნახევარი გამარჯვებაა ისიც, როცა იცი, რომ მტერზე თავდასხმა შესაძლებელია და რომ შენს ლაშქარს ამის გაკეთება ძალუძს, მაგრამ არ იცი, რამდენად შესაფერისია ადგილმდებარეობა ბრძოლისთვის. ამრიგად, ის, ვინც არმიის ნამდვილ არსს ხვდება, არასოდეს მოტყუვდება მოძრაობისას, არასოდეს შეცდება მოქმედების დაწყებისას.

ამრიგად, ნათქვამია, რომ თუ მტერსაც და საკუთარ თავსაც კარგად იცნობ, გამარჯვება აუცილებლად მოვა. თუ ზეცასა და დედამიწას იცნობ, გამარჯვება სრული იქნება~.

2.11. ადგილმდებარეობის ცხრა სახეობა

„ლაშქრის გაშლის სტრატეგია ამგვარია: არსებობს გაფანტული ადგილმდებარეობა, მსუბუქი ადგილმდებარეობა, სადავო ადგილმდებარეობა, გადამკვეთი ადგილმდებარეობა, ცენტრალური ადგილმდებარეობა, მძიმე ადგილმდებარეობა, დამჭერი ადგილმდებარეობა, შემოსაზღვრული ადგილმდებარეობა და მომაკვდინებელი ადგილმდებარეობა.

როდესაც მთავრები საკუთარ ტერიტორიაზე იბრძვიან, ამას „გაფანტულ ადგილას ბრძოლა“ ეწოდება.

როდესაც მტერი სხვის ტერიტორიაზე იჭრება, მაგრამ არა ღრმად, ამას „მსუბუქი ადგილმდებარეობა“ ეწოდება.

თუ გარკვეული ადგილი მომგებიანია ჩვენთვის, თუ ის ჩვენ დავიკავეთ ან მტრისთვის, თუ ის მტერმა დაიკავა, მას „სადავო ადგილი“ ეწოდება.

ადგილს, რომლის მიღწევა ჩვენც შეგვიძლია და მტერსაც, „გადამკვეთი ადგილი“ ეწოდება.

„ცენტრალურია'' ის ადგილი, რომელიც მთავრის მიწაზე მდებარეობს, სამი მხარე შემოსაზღვრული აქვს და რომლის დამკავებელიც მთელი ქვეყნიერების ხალხს აკონტროლებს.
როდესაც ჯარი ღრმად შეიჭრება მტრის ტერიტორიაზე და რამდენიმე ქალაქს გვერდს აუვლის, ამას „მძიმე ადგილმდებარეობა“ ეწოდება.

„შემბოჭავი ადგილმდებარეობა“ ეწოდება იმ ადგილს, რომელიც მდიდარია მთებითა და ტყეებით, ხეობებითა და ხევებით, ჭაობებითა და ბუჩქნარით, იქ, სადაც გზა ძნელი გასაკვლევია. „შემოსაზღვრულია'' ადგილი, თუ შესასვლელი ვიწროა, უკან დასახევად მოსავლელი გზის არსებობაა საჭირო და სადაც მცირერიცხოვან ლაშქარს ჩვენს დიდ არმიასთან შებმა შეუძლია.

ადგილი, სადაც ბრძოლით გზის გაკვლევა და გადარჩენა შეიძლება, ხოლო უბრძოლველობას უეჭველი სიკვდილი მოაქვს, „მომაკვდინებელ'' ადგილმდებარეობად იწოდება''.

. . .

- ამიტომაც, გაფანტულ ლანდშაფტში მტერს ნუ შეებმები;
- მსუბუქ ლანდშაფტში ბრძოლას ნუ შეწყვეტ;
- სადავო ლანდშაფტში პირველი თავს ნუ დაესხმები;
- გადამკვეთ ლანდშაფტში არ დაუშვა შენი ლაშქრის ცალკეული ნაწილების იზოლირება;
- ცენტრალურ ლანდშაფტში მეკავშირეები უნდა გაიჩინო [ადგილობრივი წარჩინებულების სახით];
- მძიმე ლანდშაფტში ახლომახლო სოფლებზე დაცემით მოიპოვე სურსათ-სანოვაგე;
- შემბოჭავი ლანდშაფტი გაიარე სწრაფად;
- შემოსაზღვრულ ლანდშაფტში გამოიყენე სტრატეგია;
- მომაკვდინებელ ლანდშაფტში ბრძოლაში ჩაები;

. . .

ძველ დროს მათ, ვისაც სამხედრო საქმის გამოჩენილ მოღვაწეებს უწოდებდნენ, კარგად შეეძლოთ მტრის წინა და უკანა რიგების ერთმანეთისგან განცალკევება; ბევრისა და ცოტასთვის ერთმანეთის საყრდენის მოშლა; დიდებულისა და მდაბიოსათვის ერთმანეთის დახმარებაში ხელის შეშლა; მეთაურისა და რიგითებისათვის ერთმანეთის ნდობის გაქარწყლება; აგრეთვე, რიგების განცალკევება და ხელახალი დაწყობის საშუალების აღკვეთა (ან თუ მაინც მოახერხებდნენ, წინანდელი წესრიგის გარეშე). ისინი მაშინ მოძრაობდნენ, როდესაც ეს მათთვის მომგებიანი იყო და ჩერდებოდნენ, როცა ეს წამგებიანი იყო''.

. . .

ლაშქრის ბუნებაშია: სიჩქარის სიყვარული; მტრის არყოფნით სარგებლობა; მოულოდნელი და ძნელად სავარაუდო გზებით სიარული; თავდასხმა, როცა მტერი ამას არ ელის.

სურ, 31 კავალერია მარშზე (ძელი ჩინური მინიატურა)

. . .

ზოგადად, თავდამსხმელის დაო ისეთია, რომ როდესაც ღრმად იჭრები მტრის ტერიტორიაზე, შენი არმია ერთ მუშტად იკვრება და მიწის დამცველთ შენი დამარცხება არ ძალუძთ. ისე უნდა შეკრიბო ლაშქარი და დაგეგმო სტრატეგია, რომ შენი ქმედებები მტრისთვის განუჭვრეტელი იყოს.

. . .

ისეთი მდგომარეობა უნდა შეუქმნა ლაშქარს, საიდანაც გამოსავალი არ არის და უკანდახევის გარეშე ბრძოლის ველზე დარჩება. თუ სიკვდილისგან გაქცევის გზა არ არსებობს, მეთაურებიცა და მეომრებიც ბოლომდე დახარჯავენ ძალებს.

. . .

ამიტომაც არის, რომ, თუმცა უშუალოდ მეომრებს არ ასწავლიან და დავალებებს არ აძლევენ, ისინი მაინც მზად არიან ბრძოლისთვის; მათთან ურთიერთქმედების მიღწევა ძალდატანების გარეშე შეიძლება; ფიცით შეკვრის გარეშეც ერთად არიან; კონკრეტული ბრძანების მიუღებლადაც ერთგულები რჩებიან; აღკვეთე ცრურწმენის გავრცელება, აღმოფხვერი ეჭვი, რათა დაუფიქრებლად წავიდნენ სიკვდილზე.

. . .

თუ ჩვენს მეომრებს ზედმეტი სიმდიდრე არ გააჩნიათ, ეს იმიტომ კი არ ხდება, რომ მატერიალურ ქონებას არ აფასებენ. თუ ისინი დიდხანს არ ცოცხლობენ, ეს იმიტომ კი არ ხდება, რომ დღეგრძელობაზე უარს ამბობენ. ბრძანების გაცემის დღეს შენ წინ მჯდარ მეომრებს ცრემლები სახელოებს უსველებს, მწოლიარეებს კი სახეზე მოედინება. და მაინც, თუ გაამხნევებ-ჩუს ან კუეის სიმამაცეს გიჩვენებენ.

. . .

ამრიგად, ომში დახელოვნებული სარდალი შუიჟანს [გველს] ჰგავს. შუიჟანი ჩან შანის მთაში ბინადრობს. თუ თავში ჩაარტყამ რამეს, კუდით გიპასუხებს, თუ კუდში _ თავით. თუ სხეულის შუაში ჩაარტყამ რამეს, გიპასუხებს თავითაც და კუდითაც. გეკითხებით, შეგვიძლია თუ არა შუიჟანის მსგავსი ლაშქრის შექმნა? მე ვიტყოდი, შეგვიძლია. მაგალითად, უსა და იუეს ერთმანეთი სძაგთ, მაგრამ თუ მდინარის გადაკვეთისას ერთ ნავში სხედან და გზაზე ძლიერი ქარი ამოვარდა, ერთმანეთს ისე მიეხმარებიან, როგორც მარჯვენა და მარცხენა ხელი შველიან ერთმანეთს.. . .

ამიტომაც, თუ გსურს, მეომარს ბრძოლის ველიდან გაქცევაში ხელი შეუშალო, მხოლოდ ცხენების ფეხთა შებორკვა და ეტლის ბორბლების მიწაში ჩაფლვა როდი კმარა. მართვის დაოს საშუალებით შთაბერე მათ გამბედაობა. ადგილმდებარეობის მიხედვით მონაცვლეობით გამოიყენე მაგარი და რბილი მიდგომები.

. . .

ამგვარად, სამხედრო საქმეში დახელოვნებული მთელ ლაშქარს ისე წაიყვანს, თითქოს ერთი ადამიანი მიჰყავდეს და ეს უკანასკნელი თავს ვერ არიდებდეს მას.

. . .

სარდალი აუცილებლად მშვიდი უნდა იყოს, დინჯი, პატიოსანი და საკუთარი თავის ფლობა უნდა შეეძლოს, ისევე, როგორც მეთაურებისა და რიგითი მებრძოლების მხედველობისა და სმენის მოდუნება, რათა ისინი მეტად გაურკვევლობაში ამყოფოს. ის საქმეების მართვის ხერხსა და სამხედრო სტრატეგიებს განუწყვეტლივ იმიტომ ცვლის, რათა ვინმე არ ჩაწვდეს მის გეგმებს. ის

უნდა იცვლიდეს თავის ადგილსამყოფელს, უნდა შეარჩიოს შემოსავლელი გზები და არ დაუშვას, რომ სხვები ამას მიუხვდნენ.

. . .

სარდალმა უნდა შეისწავლოს ლანდშაფტის/ადგილმდებარეობის ცხრა ნაირსახეობა, შეკუმშვისა და გაფართოების სავარაუდო სარგებელი, ადამიანური განცდების სიღრმეები.

. . .

ჯარის ბუნება ისეთია, რომ ის თავს იცავს, როდესაც ალყაშემორტყმულია; თავდაუზოგავად იბრძვის, როდესაც ეს გარდაუვალია; და ბრძანებებს ასრულებს, როცა იძულებულია [გარემოებებიდან გამომდინარე].

ამიტომაც, ის, ვინც წარჩინებულთა გეგმებს არ იცნობს, წინასწარ კავშირებს ვერ დაამყარებს. ის, ვინც არ იცნობს მთებისა და ტყეების, ხევებისა და ხეობების, ჭაობებისა და ბუჩქნარების ტოპოგრაფიას, ჯარით მანევრირებას ვერ შეძლებს. ის, ვინც ადგილობრივ გამყოლებს არ დაიხმარებს, ადგილმდებარეობას ვერ გამოიყენებს. ის, ვინც აქ ჩამოთვლილი ოთხი თუ ხუთი ელემენტი კარგად არ იცის, ჰეგემონის ან ჭეშმარიტი მეფის ლაშქარს ვერ უმეთაურებს.

გწამდეს საკუთარი თავის, უჩვენე მტერს მთელი შენი თავზარდამცემი ძალა. როცა მტრის ქალაქები აღებულია, მთელ სამთავროსაც ადვილად დაიმორჩილებ.

ხშირად გაეცი მოულოდნელი ჯილდოები, შემოიღე განსაკუთრებული კანონები. ყველა მეომარს ისე უხელმძღვანელე, თითქოს ერთი ადამიანი იყოს. დაასაქმე, მიზანს ნუ აუხსნი. მოგებით დააინტერესე, მაგრამ სავარაუდო ზარალზე ნურაფერს ეტყვი.

უიმედო მდგომარეობაში ჩააგდე და გადარჩებიან; მომაკვდინებელ ადგილებში შეუშვი და იცოცხლებენ. მხოლოდ მას შემდეგ ისწავლის ლაშქარი დამარცხების გამარჯვებად გარდაქმნას, რაც სახიფათო ადგილებში შეღწევას შეძლებს.

ჯარის ხელმძღვანელობა მტრის განზრახვების წვდომასა და მათ დაწვრილებით გაცნობას მოითხოვს. როდესაც, ამის შემდეგ, სარდალი მთელ თავის ძალას მტრისკენ მიმართავს, ათას მილის გაივლის და სარდალს მოუკლავს, მას `სამხედრო საქმეებში დახელოვნებულს~ შეარქმევენ. თუ მტერმა კარი გააღო, პირველი შენ უნდა შეხვიდე.

2.12. თავდასხმა ცეცხლის გამოყენებით

სუნ ძიმ თქვა:

„ბრძოლაში ცეცხლის გამოყენების ხუთი გზა არსებობს: აქედან პირველია ცეცხლის მიმართვა მტრის მეომრებზე, მეორე - მისი მარაგების გადაწვა, მესამე - მომარაგების საშუალებების დაწვა, მეოთხე - არსენალისთვის ცეცხლის წაკიდება და მეხუთე - მტრის სიმაგრეების დაწვა.

ცეცხლის გამოყენებით თავდასხმა შესაბამის პირობებს მოითხოვს. წინასწარ მომზადებული უნდა იყოს ცეცხლის წასაკიდებელი აღჭურვილობა. ცეცხლის გამოყენებას გარკვეულ სეზონებსა და დღეებში მიმართავენ. რაც შეეხება წელიწადის დროს, ცეცხლი მშრალ სეზონში უნდა გამოიყენო; რაც შეეხება დღეს, კარგი დროა ის პერიოდი, როდესაც მთვარე ძის, პის, ის ან ჭენის თანავარსკვლავედში იმყოფება. როდესაც მთვარე ამ თანავარსკვლავედშია, ქარის ამოვარდნას უნდა ელოდო.

ზოგადად, ცეცხლის გამოყენებისას მის ხუთ ცვლილებას უნდა მიაქციო ყურადღება:

- თუ ცეცხლი მტრის ბანაკში გაჩნდა, ამას გარედან დაუყოვნებლივ უნდა უპასუხო თავდასხმით;

- თუ ცეცხლი გაჩნდა, მაგრამ მტრის ლაშქარი მაინც მშვიდად არის, დაელოდე; იერიშს ნუ მიიტან;
- თუ მტრის ბანაკში ცეცხლი ხანძარში გადაიზარდა, გარედან შენც მიეხმარე, თუ შეგიძლია და თავი შეიკავე, თუ არ შეგიძლია;
- თუ თავდასხმის გარედან დაწყება შეიძლება, შიდა დახმარების იმედის გარეშე, იერიში შესაფერის დროს მიიტანე;
- თუ ცეცხლი ქარის საწინააღმდეგოდ მოძრაობს, ქარის მიმართულებით ნუ იმოძრავებ;
- დღისით ამოვარდნილი ქარი დიდხანს გაგრძელდება; ღამით ამოვარდნილი _ მალევე ჩადგება.

იმისთვის, რათა არმიამ წარმატებით დაიცვას თავი ცეცხლისგან ასტროლოგიურად შესაფერის დროს, ის კარგად უნდა იცნობდეს ცეცხლის ხუთ ცვლილებას. ამრიგად, თავდასხმის დროს მისი გამოყენება სარდლის განსწავლელობაზე მეტყველებს, წყლის გამოყენება თავდასხმის გასაძლიერებლად - სიძლიერეზე. წყალი მტრის ლაშქრის დასაშლელად გამოგადგება, საბოლოოდ დასამარცხებლად - ვერა.

ამრიგად, თუ მმართველი ბრძოლაში გამარჯვებას მოიპოვებს, მაგრამ ამ მიღწევას სათანადოდ ვერ გამოიყენებს, ეს კატასტროფულ შედეგს მოუტანს. ამისთანა იღბალს „გამოუსადეგარს“ უწოდებენ. ნათქვამია, რომ ბრძენი სარდალი/მმართველი გადაწყვეტილებას აწონ-დაწონის, კარგი - შეიმუშავებს.

თუ მოძრაობა მომგებიანი არ არის, ადგილზე დარჩი. თუ მიზნის მიღწევა შეუძლებელია, ჯარს ნუ მოუხმობ. თუ საფრთხე არ გემუქრება, ომში ნუ ჩაებმები. მმართველმა ლაშქარს იმის გამო არ უნდა მიმართოს, რომ გაბრაზებულია. სარდალი ბრძოლაში პირადი წყენის გამო არ უნდა ჩაებას. როდესაც მოძრაობა მომგებიანია, დაიძარი; როცა არა - შეჩერდი. შესაძლოა რისხვა კმაყოფილებამ შეცვალოს, წყენა - სიხარულად იქცეს, მაგრამ დაცემული სამეფო ვეღარ აღდგება, მკვდარს ვეღარ გააცოცხლებ.

ამგვარად, განათლებული მმართველი ამას ფრთხილად ეკიდება, კარგი სარდალი - პატივისცემით. ეს არის სამეფოსათვის მშვიდი ცხოვრების შექმნისა და ლაშქრის გაფრთხილების დაო“.

2.13. ჯაშუშური საქმიანობა

სუნ ძიმ თქვა:

„როდესაც ასიათასიანი არმია ომში გაგყავს და ათასი მილი უნდა გაატარო, მდაბიოთა ხარჯი და წარჩინებული ოჯახების შემოწირულობები მთლიანად დღეში ათას ოქროს შეადგენს. საზღვრის შიგნით და გარეთ ომისგან შეჭირვებული, სახლის სამუშაოებს მოწყვეტილი ოჯახების რიცხვი შვიდასი ათასი იქნება.

ჯარი წლების განმავლობაში უნდა იყოს გაჩერებული, რომ გამარჯვებისთვის ერთი დღე იბრძოლოს. სარდლები კი წოდებების გაცემასა და ასი ოქროს ოდენობით ანაზღაურებაზე წუწუნებენ და მტრის მდგომარეობის შესწავლისთვის დრო არ რჩებათ. ეს უკიდურესი არაადამიანობაა. ასეთი პიროვნება არც სარდალია ხალხისთვის, არც დამხმარე - თავისი მმართველისათვის და არც გამარჯვების მებაირახტრე.

სურ. 32 ჩინელი კავალერისტი
ცერემონიალური (სააღლუმე) აღჭურვილობით

. . .

განათლებული მმართველები და გამჭრიახი სარდლები წინასწარი ცნობების საფუძველზე იწყებდნენ მოძრაობას და იპყრობენ სხვა სამეფოებს, მათი მიღწევები კი ხალხზე აისახება.

მტრის ნამდვილი მდგომარეობის შესახებ სანდო ცნობებს სულები და აჩრდილები ვერ მოგაწვდიან, ბუნებრივ მოვლენებში ვერ ამოიკითხავ, ზეცის ნებაში ვერ ამოიცნობ. მათი მოპოვება მხოლოდ ხალხისაგან შეიძლება.

ამრიგად, ჯაშუშების ხუთი სახეობა არსებობს: ადგილობრივი ჯაშუში, შიდა ჯაშუში, გადმობირებული ჯაშუში [ორმაგი მსტოვარი], მკვდარი [გამოსაყენებელი] ჯაშუში და ცოცხალი ჯაშუში. როცა ყველა მათგანს ერთად იყენებ და არავინ იცნობს მათს დაოს, მდგომარეობას „სულიერი მეთოდოლოგია“ ეწოდება. ჯაშუში მმართველისთვის ნამდვილი განძია.

- ადგილობრივი ჯაშუშები - ადგილობრივი მცხოვრებნი;
- შიდა ჯაშუშები - მტრის სამეფოში დაწინაურებელი პირები.
- ორმაგი მსტოვარნი - მტრის ჯაშუშები;
- გამოსაყენებელი ჯაშუშები - მათი დანიშნულებაა სამეფოს გარეთ ცრუ ცნობების გავრცელება. მიაწოდე მათ ყალბი ცნობა ისე, რომ მათ თავის მხრივ მიაწოდონ ის მტრის მსტოვრებს.
- ცოცხალი ჯაშუშები - ბრუნდებიან სათანადო ცნობებით აღჭურვილნი;

ამრიგად, ურთიერთობებიდან არაფერია ისეთი მჭიდრო, როგორც ჯაშუშური საქმიანობა. არც ერთი ჯილდო არაა ჯაშუშისთვის მიცემულზე უფრო კეთილგონივრული. არც ერთი საქმე არაა იმაზე მეტად დაფარული, რაც ჯაშუშებს შეეხება.

თუ ბრძენი არ ხარ, ჯაშუშებს ვერ გამოიყენებ; თუ სულგრძელი და კეთილშობილი არ ხარ, ჯაშუშებს საქმეზე ვერ გაუშვებ; თუ გამჭრიახი არ ხარ, საიდუმლო ცნობების არსს ვერ ჩასწვდები.

დიდი გამჭრიახობაა საჭირო საგანთა ბუნების ამოსახსნელად! არ არსებობს ისეთი სფერო, ჯაშუშის გამოყენება რომ ვერ შეძლო.

თუ მისია დაწყებამდე გახმაურდა, უნდა მოკვდეს ჯაშუშიც და ისინიც, ვისაც მან ცნობა მიაწოდა.

ზოგადად, როგორც თავდასხმის ობიექტად შერჩეული ჯარის, ასაღები ქალაქებისა და მოსაკვდინებელი ადამიანების შემთხვევაში, პირველ რიგში თავდაცვაზე პასუხისმგებელი პირის სახელი უნდა იცოდე, შემდეგ, გაიგო, ვინ ჰყავს დამხმარეებად, ვინ შედის მის უახლეს გარემოცვაში, ვინ იცავს მის კარს და ვინ ემსახურება; ჯაშუშებს ყველა მათგანის გაცნობა და მათზე ცნობების მოწოდება უნდა დაავალო.

შენს ახლომახლო მტრის ჯაშუშებიც უნდა ეძიო. დაპირდი სიმდიდრეს, გაწვრთენი და შენთან დაიტოვე. ასე შეიძლება ორმაგი მსტოვრების აყვანა, მოპოვება და გამოყენება. მათგან მოპოვებული ცნობებით შეძლებ ადგილობრივი და შიდა ჯაშუშების აყვანასაც. მიღებული ცნობის საშუალებით ჯაშუშს შეუძლია ყალბი ხმები დაყაროს, მტერს არასწორი ცნობები მიაწოდოს. მათგან მიღებული ცნობებით საჭირო დროს შეიძლება ჩვენი ცოცხალი ჯაშუშების სათანადო გამოყენება.
მმართველი ჯაშუშური საქმიანობის ამ ხუთ ასპექტს უნდა იცნობდეს. ცნობების მისაღებად აუცილებლად დაგჭირდება გადმობირებული ჯაშუშები; ამიტომ ორმაგი მსტოვრების მიმართ განსაკუთრებით ხელგაშლილი უნდა იყო''.

თავი III

ანტიკური ხანის სამხედრო ხელოვნება, ბერძნული და მაკედონური ფალანგები

1. თემის მოკლე შინაარსი

ტაქტიკურ დონეზე იქნება განხილული ბერძნული ფალანგის წარმოშობის სოციალურ-პოლიტიკური პირობები და მისი განვითარება ქალაქ-სახელმწიფოების განვითარებასთან ერთად. ფალანგის ტრანსფორმაციის შემდეგი ეტაპი ჩნდება პელოპონესის ომების დროს და თავის მწვერვალს აღწევს ეპამინონდის, ფილიპე II-სა და ალექსანდრე მაკედონელის პერიოდში. მისი გადაგვარება იწყება ალექსანდრეს ეპიგონების მმართველობისას, როდესაც ფალანგას საბოლოოდ ცვლის რომაული ლეგიონი.

2. სწავლების მიზანი

მოქმედება:

- ბერძნული ფალანგიდან რომაულ ლეგიონამდე;
- ანტიკური ეპოქის სამხედრო ისტორიის ანალიზი;
- ანტიკური ეპოქის სამხედრო ისტორიის ანალიზის შედეგად მიღებული ცოდნის სინთეზი.

პირობა:

- აქტიური სააუდიტორიო დისკუსია;
- წაიკითხეთ მოწოდებული მასალა და მითითებული ლიტერატურა, შეისწავლეთ და გაიაზრეთ განსახილველი პერიოდი, როგორც მსოფლიო სამხედრო ხელოვნების ისტორიის მნიშვნელოვანი ეტაპი.

სტანდარტები:

- იუნკერმა უნდა იცოდეს ფალანგის წარმოშობა, განვითარება და მისი, როგორც საბრძოლო-ტაქტიკური ერთეულის გარდაცვალების მიზეზები და მისი კავშირი საზოგადოების სოციალურ და პოლიტიკურ სინამდვილესთან;
- იუნკერი აცნობიერებს საბრძოლო ერთეულის-ფალანგის უპირატესობას მოწინააღმდეგესთან შედარებით მისი მობილურობის, მოქნილობის, მართვისა და კონტროლის სიახლეების მიხედვით.

სწავლების დონე:

დამახსოვრება, გამოყენება, გაანალიზება, შეფასება.

3. იუნკერის დავალებები:

ა. წაიკითხეთ: სილაბუსში მოცემული საკითხავი მასალა;

ბ. მზად იყავით შემდეგი სადისკუსიო საკითხების განსახილველად:

1. ბერძნული ფალანგის წარმოშობის სოციალური ფაქტორები.
2. პელოპონესის ომის მიზეზები.
3. ბერძნული ფალანგის განვითარება ეპამინონდის, ფილიპე II-ისა და ალექსანდრე მაკედონელის დროს.
4. ფალანგის, როგორც საბრძოლო ტაქტიკური ერთეულის დაცემის მიზეზები.

ქვეითი ჯარის წარმოშობა

სამუელ ჯეი ლუვასი

ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე ათასწლეულის დასაწყისში, ეგვიპტისა და ახლო აღმოსავლეთის ველებზე ინტენსიურად და წარმატებით განვითარდა მორწყვითი სოფლის მეურნეობა, რომელმაც შეცვალა ორგანიზებული საომარი მოქმედებების კულტურა, რაც მანამდე გამოიხატებოდა მცირე შეტაკებებში მომთაბარე, მტრულად განწყობილ ტომებს შორის. მორწყვასთან დაკავშირებულმა პროექტებმა ბიძგი მისცეს აგრონომიული ტექნოლოგიების განვითარებას და შესაბამისად შუმერების, ურის (იგივე ქალდეის), ბაბილონის, ასურეთის და ეგვიპტის სახელმწიფოებში გეგმიური ეკონომიკა ისე აყვავდა, რომ მათ თავისუფლად შეეძლოთ დიდი ჯარის ყოლა, მისი ლოგისტიკური უზრუნველყოფა და თავდაცვითი ნაგებობების აგება.

სურ. 33 შუმერების საბრძოლო ეტლი

ბევრად უფრო საყურადღებოა ის, რომ განვითარებულმა სოფლის მეურნეობამ თანდათან გაზარდა ყოვლის გადამფარველი, ძლიერი ტერიტორიული იმპულსი: მზარდი, მაგრამ ერთ ადგილას მიჯაჭვული, არა-მომთაბარე მოსახლეობა ეძებდა სულ უფრო და უფრო ეფექტიან გზებს მომხდურებისგან თავდასაცავად და ახალი ნაყოფიერი მიწების მოსაპოვებლად. მეტიც, ახლო აღმოსავლეთი წარმოადგენდა იდეალურ არენას მრავალრიცხოვანი მობილური არმიებისთვის: რბილი ჰავა მცენარეულობის ვეგეტაციური პერიოდის განმავლობაში და ფართოდ გაშლილი ველები, რომლებზეც ადვილად გადასალახი მდინარეები მიედინებოდა. მთაგრეხილები, ჭაობები, თოვლი, ყინული, მოულოდნელი თავსხმაწვიმა – აქ მსგავსი არაფერი შეგხვდებოდათ.

სურ.34 ხეთების სამეფოს დედაქალაქ ხათუსას მთავარი შესასვლელი, ე.წ. „ლომების კარიბჭე“

სურ.35 ხეთი ქვეითები

შუმერების, ხეთების და ეგვიპტელების აყვავებულმა სოფლის მეურნეობამ ამ ხალხების მცირერიცხოვანი, თუმცა მაინც საკმაოდ მნიშვნელოვანი ფენა გაათავისუფლა ყოველდღიურ საკვებზე ზრუნვის ტვირთისაგან. ამის ნაცვლად, მათ შეეძლოთ ეწარმოებინათ ლითონი იარაღის გასაკეთებლად და ჰყოლოდათ ცხენები საომარი ეტლებისთვის. მაგრამ ომის წარმოების კომპლექსური მეთოდების განვითარება მხოლოდ ბრინჯაოსა და ახალი ლითონების გამოგონების, წვერწამახვილებული შუბების შექმნის, ან ცხენების ახალი ჯიშების გამოზრდის შედეგი არ იყო, თუმცა ამ ყველაფერს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ასევე მნიშვნელოვანი იყო ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობების ჩამოყალიბება; ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლამ და სოფლის მეურნეობის განვითარებამ თანდათან გამოიწვია მმართველი ზედაფენის წარმოშობა. კერძოდ, ჩამოყალიბდა ე. წ. ,,სასახლე"- რთული სოციალური და ეკონომიკური სტრუქტურა. ეს იყო ინსტიტუტი, რომელმაც ჩამოაყალიბა მცირე მემამულეების ჯგუფი გარკვეული სამხედრო, პოლიტიკური და რელიგიური ფუნქცია-მოვალეობებით. ეს ზუსტად იმ წინაპირობებს ქმნიდა, რომლებიც აუცილებელი იყო ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებების წარმოებისთვის. არსებობის მანძილზე პირველად, ხეთებს, ეგვიპტელებსა და ასურელებს მიეცათ შესაძლებლობა, თავი მოეყარათ მრავალრიცხოვანი არმიებისთვის. მათ ჰქონდათ უნარი და სურვილი, ძლევამოსილი პოლიტიკური და რელიგიური ლიდერების მითითებებისა და ბრძანებების შესასრულებლად, ერთ ბრძოლაში ათასობით მებრძოლი გაენადგურებინათ და კულტურები მიწასთან გაესწორებინათ. მაგალითად, ძველი ასურეთის მმართველი ტიგლათფილესერი(1100 წელი ჩვ. წ.-მდე), ეპიკური ჟანრისთვის დამახასიათებელი გამოთქმებით, ასე იწონებს თავს ჰუნუსას (ჰუნები?) განადგურებით:

,,მათი მებრძოლები მთებში მოვიმწყვდიე და გავანადგურე, თითქოს ქარიშხალმა ჩამოუქროლა. მათ ბატკნებივით ვაჭრიდი თავებს, მათი სისხლი მთის ფერდობებზე და დაბლობებზე ნაკადულებად მიედინებოდა. ქალაქი დავიპყარი, მათი ღმერთები აღვგავე, ხელთ ვიგდე მათი ქონება და სიმდიდრე, ქალაქი ცეცხლს მივეცი. გამომწვარი აგურით ნაშენი ქალაქის მტკიცე კედლები ნანგრევებად ვაქციე, ქალაქი დავანგრიე, უდაბური გავხადე და იქ მარცვლეული დავთესე."



სურ.36 ხეთების საბრძოლო ეტლი

სურ.37 ხეთების სამეფო და ეგვიპტელების ლაშქრობა

სურ.38 ფარაონი რამზეს II კადეშის ბრძოლაში (ძვ.წ. 1274 წ.)

ბრინჯაოს ხანისა და მოგვიანებით კი, ასურელებისა და სპარსელების სამხედრო ძალები დაუნდობელ გამანადგურებელ სისტემებს წარმოადგენდნენ – ითვლება, რომ მომაკვდინებელი ძალით და მსხვერპლთა რიცხვით მათ ვერ შეედრება ბერძნული, რომაული და თვით თანამედროვე სამხედრო სისტემებიც კი. თუმცა მათ სამხედრო ქვედანაყოფებს მაინც ჰქონდათ თავისი შეზღუდვები, მაგალითად: ისინი დამოკიდებული იყვნენ მშვილდსა და შურდულზე, ცხენსა და ეტლზე; საჭირო იყო გარკვეული უნარ-ჩვევები და აქედან გამომდინარე, სპეციალური სამხედრო კასტების ჩამოყალიბება. ახლო აღმოსავლეთის ხალხთა მიდრეკილება გამაგრებული ნაგებობების მშენებლობისადმი, ისევე როგორც მათი დანგრევისადმი, მოითხოვდა საოცრად დიდ რესურსებს. ცნობილი ნაწყვეტი ბიბლიიდან, რომელიც აღწერს იეშუას მებრძოლების მიერ იერიქონის განადგურებას, გვიქმნის გარკვეულ წარმოდგენას სისხლისღვრის მასშტაბების შესახებ:

,,... გაისმა ადამიანების საშინელი ყვირილი და კედელი ჩამოიქცა, მებრძოლები ერთმანეთის მიყოლებით შეცვივდნენ ქალაქში და ქალაქი აიღეს... მათ ზედმიწევნით ყველაფერი გაანადგურეს, თუკი რამე იყო ამ ქალაქში ... არ ინდობდნენ არც ქალს, არც კაცს, არც მოხუცს, არც ახალგაზრდას, მსხვილფეხა საქონელს, ცხვარს და ვირს – ყველაფერს კუწავდნენ თავისი ხმლებით.”



სურ.39 ასურეთის მეფე ასურბანიფალი საბრძოლო ეტლზე

სურ.40 ეგვიპტის ფარაონი ეტლზე



სურ.41ასურელები სიკვდილით სჯიან დამარცხებულებს

უმნიშვნელოვანესია, რომ ბრინჯაოს ეპოქაში ყველა საზოგადოება ავტორიტარული და მკაცრად იერარქიული იყო. ომების დაწყების, მართვისა და დასრულების ძალაუფლება მხოლოდ მცირერიცხოვან, უაღრესად პრივილეგირებულ ფენას ჰქონდა. ძალიან ხშირად, ერთ მმართველს ათასობით ადამიანი ემონებოდა. ძლიერი მმართველის სიკვდილი, შემდეგ ბრძოლა მის მემკვიდრეებს შორის, სისხლისმღვრელი დინასტიური ომები მოითხოვდა ძალების მობილიზაციას და ათასობით ადამიანის მსხვერპლს ან მათ დამონებას, მაგრამ ასეთი პროცესების შედეგად მებრძოლთა უმრავლესობა სარგებლობდა თუნდაც მცირე, მაგრამ მაინც, სოციალური ან ეკონომიკური უპირატესობებით. იმ მცირერიცხოვანი პრივილეგირებული მმართველების დაღუპვის ან ჩამოგდების შემთხვევაში, ვისაც ჰქონდა ომების წარმოების ძალაუფლება და დიდი გამოცდილება, საზოგადოების მთელი სამხედრო პოტენციალი უკიდურესად მცირდებოდა და ხშირად, ამ საზოგადოების გადარჩენის საკითხიც დგებოდა. რა გასაკვირია, რომ ამა თუ იმ დინასტიის შესახებ შემორჩენილ ისტორიულ წყაროებში, უძველეს იეროგლიფებში და ახლო აღმოსავლეთში აღმოჩენილ ქვის ბარელიეფებზე ასე ხშირია მეტოქე მმართველის დამარცხების, ხელთ ჩაგდების, წამებისა და სიკვდილით დასჯის დეტალური აღწერა, მისი ციხე-სიმაგრის აღების აღწერასთან ერთად. ძველ ახლო აღმოსავლეთში არ არსებობდა სამხედრო კანონები, ომის წესები (ომის პროტოკოლი), რომლებითაც შესაძლებელი იქნებოდა მებრძოლების მოქმედებების რეგულირება და მეომარი მხარეების გამანადგურებელი მიდრეკილებების შერბილება.

სურ.42 ეგვიპტური საბრძოლო ეტლი

სურ.43 ასურელების ბრძოლის სცენები

მცირე მიწათმფლობელთა კლასი ძველი საბერძნეთის ქალაქ-სახელმწიფოში

ომის წარმოების მეთოდებმა მეორე გარდაქმნა ძველ საბერძნეთში განიცადეს და აქაც სოფლის მეურნეობის განვითარების შედეგად. ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე და მეორე ათასწლეულში ძველ საბერძნეთში მიწათმოქმედება რჩებოდა ბიუროკრატიულ (მკაცრ ინსტრუქციებზე დაფუძნებულ) წარმოებად, რომელიც განსაკუთრებით განვითარებული იყო ახლო აღმოსავლეთის საზღვრებთან მიმდებარე რაიონებში. მიკენის საზოგადოება საბერძნეთის კონტინენტურ ნაწილზე (არსებობდა ჩვ. წ.-მდე 1600-1200 წ.) დიდწილად ხმელთაშუა ზღვის აუზისა და აზიის სხვა ,,სასახლის" მონარქიების მსგავსი იყო და მისი სტრუქტურა სამხედრო ექსპერიმენტების საშუალებას არ იძლეოდა. კიდევ უფრო ნაკლები იყო სამხედრო დაგეგმვისა და სხვა პასუხისმგებლობის გავრცელების შესაძლებლობა ამ მცირერიცხოვანი კასტის გარეთ. მაგრამ სასახლის ცენტრალიზებული კონტროლისაგან ომის წარმოების ,,ლიბერალიზაციის" შემდეგ (თუკი გავბედავთ და ამ ტერმინს ორგანიზებული ხოცვა-ჟლეტის კონტექსტში ვიხმართ) და ამგვარი ძალაუფლების ცალკეული ინდივიდუმების ხელში გადასვლის შემდეგ, ბრძოლის წესები მანამდე არნახული გზით განვითარდა. თუ გვსურს გავიგოთ ომის წარმოების მეთოდების შესახებ დასავლეთ სამყაროში, დახვეწილი მეტალურგიისა და ტექნოლოგიის წარმოშობის შესახებ, ვიცოდეთ რა არის დისციპლინა უპირველეს ყოვლისა, გონებამახვილური გამოსავალის მოძებნა რთული გამოწვევების პირისპირ, რეაგირების უნარი, ფართო, საყოველთაო სამხედრო ტრადიციების შექმნა მოსახლეობის უმეტეს ნაწილში, უნდა შევისწავლოთ საბერძნეთის კონტინენტურ ნაწილში მიკენის ,,სასახლის რეჟიმების" დაცემა და ამ მოვლენის შემდგომი ,,სიბნელის ეპოქა" (1100-800 ჩვ. წ.-მდე).

სურ.44 თანამედროვე საბერძნეთი

ჩვ. წ.-მდე მერვე საუკუნეში გაჩნდა თანაბარი საკუთრების მფლობელთა საზოგადოებრივი ფენები, რაც ნიშნავდა ქალაქ-სახელმწიფოების კულტურის გაჩენას საბერძნეთში. სწორედ ასეთ ქალაქებთან ერთად წარმოიშვა დასავლეთის სამხედრო პრაქტიკა. გავიდა ცოტა ხანი და ბერძნებმა, საკმაოდ შოვინისტური განწყობის საფუძველზე, გადაწყვიტეს, რომ მათი ქალაქ-სახელმწიფოები უნიკალურ ინსტიტუტს წარმოადგენდა და მკვეთრად განსხვავდებოდა წინა ეპოქის ,,სასახლის" კულტურებისაგან. ბერძენი პოეტი ფოსილიდე თავდაჯერებულად წერდა: ,,ნებისმიერი პატარა ქალაქი-სახელმწიფო ჩვენს კონტინენტურ ნაწილში, თუ საქმეების მართვა სათანადოდ წარიმართა, ბევრად ძლიერი იქნება უაზრო ქალაქ ნინევიაზე". მეექვსე საუკუნეში მოღვაწე პოეტი ალკეუსი იმავე პოპულარულ თემას ეხმაურება: ,,არც მშვენივრად გადახურული სახლები, არც ქვის მტკიცედ ნაგები კედლები, არც არხები ან გემთსაშენები ქმნიან ქალაქ-სახელმწიფოს. მას ქმნის განსაკუთრებული ხალხი, რომელიც მზადაა გაუმკლავდეს ნებისმიერ გამოწვევას."

სურ.45 ძველი ბერძნების ომის ღმერთი არესი

სურ.46 სპარტელი ჰოპლიტი



სურ.47 ქალღმერთი ათენა-ანტიკური საბერძნეთის უმთავრესი, მათ შორის მეომრების მფარველი ღვთაება

ჩვენს წელთაღრიცხვამდე მერვე და მეშვიდე საუკუნეებში მომხდარი ბერძნული კულტურის რენესანსი, აგრეთვე სამხედრო ძალების მართვაში ცვლილებები, რაც კოლექტიურიდან ინდივიდუალურ დონეზე გადასვლას ნიშნავდა, აიხსნება სწორედ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში და მასთან ერთად, ომის წარმოების მეთოდებში მომხდარი რადიკალური ცვლილებებით. მოსახლეობის ზრდის ფაქტორის ზეწოლის გამო, ბერძნები გადავიდნენ ოჯახურ წარმოებაზე, ჰქონდათ საკუთარი მეურნეობები (ფერმები), სადაც დაუღალავად შრომობდნენ და შესაბამისად, კარგი მოსავალიც ჰქონდათ და იმასაც ახერხებდნენ, რომ ჭარბი სასოფლო-სამეურნეო მოსავალი თავისუფალი ყოფილიყო ზემოდან ბიუროკრატიული ჩარევებისგან, უფრო სწორად, იმ დროს აღარ არსებობდა ეს ცნება ,,ზემოდან". ნაცვლად ამისა, სოფლის მეურნეობით დაკავებული მოსახლეობის ამ ახალი ჯგუფების დასაცავად და გასაძლიერებლად, წარმოიშვა სხვადასხვა ფენებისგან შემდგარი ოლიგარქიები და პრივილეგირებულ მიწათმოქმედთა შორის საკუთრების თანაბრობის კულტურა. მიწათმოქმედები (ფერმერები) შეადგენდნენ ამომრჩეველი მოქალაქეების ფენას ათასზე მეტ პატარა ქალაქ-სახელმწიფოში, ბერძნულად მოლაპარაკე მთელ სამყაროში.



სურ.48 სპარტელი მეომრები

აგროკულტურის აღზევების ხანაში გამოჩნდნენ ,,ჰოპლიტი” მეომრები, ანუ მძიმედ აღჭურვილი ქვეითები. ჩვ. წ.-მდე მე-4 საუკუნის ისტორიკოსი ქსენოფონტე თავის ნაშრომში “ეკონომიკა” ხაზგასმით აღნიშნავდა ზუსტად ამ კავშირს მიწათმოქმედებსა და ფალანგებად მოწყობილ მებრძოლებს შორის: ,,სოფლის მეურნეობა ასწავლის ურთერთდახმარებას. მოწინააღმდეგესთან ბრძოლაშიც, ისევე როგორც მიწაზე მუშაობის დროს, მნიშვნელოვანია, რომ ადამიანები ერთმანეთს გვერდით ედგნენ და ეხმარებოდნენ.” არა უსაქმური არისტოკრატია, არა ტახტის მემკვიდრეობით მფლობელი მონარქები, არა დაქირავებული მკვლელები და შეთქმულები, არამედ მე-7–მე-6 საუკუნეებში, საბერძნეთის სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები მცირე მიწათმფლობელები იყვნენ სწორედ ისინი, ვინც ქმნიდა კანონებს, ამუშავებდა მიწას, ქმნიდა დოვლათს და იბრძოდა თავისი ქალაქებისთვის.



სურ.49 ქსენოფონტე (ძვ. წ. 430-355), ძველი ბერძენი მხედართმთავარი და ისტორიკოსი

ორი საუკუნის განმავლობაში, (700-500 წელი) ომის წარმოების ბერძნული მეთოდები სტატიკური რჩებოდა იმ თვალსაზრისით, რომ ქვეითი ძალებით ბრძოლა მიჰყვებოდა ექსტენსიური მიწათმოქმედების ჩვეულებას და ქმნიდა სამხედრო წესებს (სამხედრო პროტოკოლს) ისე, რომ განზრახ შემოზღუდავდა მთელ შეიარაღებულ კონფლიქტს ერთადერთი გადამწყვეტი შეტაკებით, ნაშუადღევს რომ უნდა გამართულიყო ბრინჯაოში ჩასმულ შუბოსნების კოლონებს შორის. ქალაქი-სახელმწიფოები შეთანხმდნენ, რომ როდესაც კონფლიქტი თავს იჩენდა (ჩვ. წ.-მდე მე-5 საუკუნემდე ეს ხდებოდა, გამონაკლისის გარეშე, სადაო საზღვრების გამო), დავა უნდა გადაწყვეტილიყო აბჯრიან მეომართა კოლონების ერთ შეტაკებაში. ყველა მეომარი მიწათმფლობელი ყიდულობდა აბჯარსა და შეიარაღებას თავისთვის. ადვილი არ იყო მათი ტარება. ამ საგნებში შედიოდა: ბრინჯაოს დამცავი სამუხლეები და სამკლავეები, მუზარადი, თაღისებრი მრგვალი ფარი, მკერდის აბჯარი, ორწვერა შუბი და დამხმარე იარაღად- მოკლე ხმალი.

სურ.50 ბერძენი ჰოპლიტის აღჭურვილობა

ცალკე, იზოლირებულად, ბერძენი მიწათმოქმედი-მებრძოლი ანუ ჰოპლიტი წარმოადგენდა მოუქნელ, აბსოლუტურად დაუცველ სამიზნეს. სწრაფი და მოქნილი მანევრით მასზე უპირატესობის მოპოვება ადვილი იყო. შეიძლებოდა მისი იზოლირება თანამებრძოლებისგან, განსაკუთრებით, მთიან რელიეფზე, ან ღია ადგილზეც კი მისი ალყაში მოქცევა ცხენოსნების ან ჭურვის სატყორცნი იარაღით აღჭურვილი მსუბუქად შეჯავშნული მებრძოლების მიერ. ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ქვეითები, არსებითად, ცუდად ერგებოდნენ საბერძნეთის რელიეფს და ადგილის თავისებურებებს. მაგრამ ბერძენი მიწათმოქმედების უმეტესობას არც სურდა ბრძოლა, იქნებოდა ეს ცალკე თუ სხვაგვარად, მითუმეტეს, შორს თავიანთი მოსავლიანი ველებისგან; კიდევ უფრო ნაკლები იყო ბრძოლის სურვილი დიდებული წარმოშობის მხედრების ან მთებიდან მომხდური, განვითარების აშკარად უფრო დაბალ დონეზე მდგომი, უმიწაწყლო, მომთაბარე მსროლელ მებრძოლთა (მშვილდ-ისრით ან იმდროინდელი სხვა სასროლი იარაღით) რაზმების წინააღმდეგ. ამის ნაცვლად, მათ ერჩივნათ ფალანგებში მიჯრილ რიგებად მოწყობილებს ეწარმოებინათ თავისი საკუთარი, სამიწათმოქმედო ომები თავისი წესებით: მიწათმფლობელთა ჯარი მიწათმფლობელთა ჯარის წინააღმდეგ, სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობების მითვისების მიზნით. აბჯრიანი კოლონების თავზე ერთად აწეული ფარები, პირველი სამი რიგის წინ წამოწეული შუბები ერთმანეთის მიჯრით დაწყობილ ფალანგათა კომპლექტებს მიუწვდომელს ხდიდა მსუბუქად შეჯავშნული ან ცხენოსანი ჯარის იერიშისათვის. ,,ეს სანახაობა ერთდროულად მომხიბვლელიც იყო და შიშის მომგვრელიც," – აღნიშნავს ჩვ. წ. პირველი საუკუნის ბიოგრაფი, პლუტარქე, სპარტელების ფალანგების შესახებ, ეყრდნობა რა თავის აღწერებში იმ დროისთვის ერთი საუკუნის ხნის წყაროებს: ,,ისინი მიდიოდნენ მწყობრი ნაბიჯით, სტვირის ხმის ქვეშ, მიჯრილად, ისე რომ მათ მწკრივებში მცირეოდენი დაშორებაც კი არ იყო, მათ გულებში გაუბედაობას ადგილი არ ჰქონდა, წყნარად და მხნედ მიაბიჯებდნენ საფრთხის პირისპირ შესახვედრად."



სურ.51 პლუტარქე (ახ.წ. 46-127), ბერძენი ისტორიკოსი და ბიოგრაფი

მას შემდეგ, რაც ომის წარმოების ბერძნული მეთოდები ჩამოყალიბდა როგორც მხოლოდ ჰოპლიტების ბრძოლა, გამდიდრებულებსაც და გაღარიბებულებსაც ბრძოლის ველზე მეორეხარისხოვანი სტატუსი მიუჩინეს. დამოუკიდებელ მცირე მესაკუთრე-მიწათმოქმედთა მზარდმა კლასმა ბრძოლა გადააქცია თავისი პოლიტიკური და ეკონომიკურიGგეგმის ნაწილად. თუ მთელი ქვეყანა ზუსტად ერთმანეთის მსგავსი სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთებისგან შემდგარი ჭრელ, უჯრედულა ნახატს მოგაგონებდათ, სადაც ტყავის ტანსაცმელში გამოწყობილი გლეხები მუშაობდნენ, საბრძოლო ფალანგაც ასეთივე უჯრედულა ბადე უნდა ყოფილიყო, შემდგარი სათანადოდ აღჭურვილი მებრძოლებისაგან. ქალაქ-სახელმწიფოების ეპოქის საბერძნეთში ინტენსიურმა სოფლის მეურნეობამ ჩაყლაპა ცხენის გამოყენებით ცალკეული მიწის ნაკვეთის დამუშავების ტრადიცია; ასევე ჰოპლიტებმა ჩაანაცვლეს ცხენოსანი მებრძოლები. ქსენოფონტეს ერთ-ერთ ნაშრომში აისახება მე-7–მე-5 საუკუნეებში გაბატონებული ჰოპლიტების იდეოლოგია, როდესაც ის დამცინავად ამბობს, რომ მხოლოდ ,,ფიზიკურად ყველაზე სუსტი და დიდების მოპოვების ნაკლებ მოსურნე ამხედრდება ცხენზე.

სხვა შემთხვევაში, ქსენოფონტე ახსენებს თავის დაქირავებულ ჰოპლიტებს: ,,არავინ დაღუპულა ბრძოლის დროს ცხენის ნაკბენის ან წიხლისაგან. ყველაფერს, რაც იქ ხდება, ადამიანები აკეთებენ.” რეალურად, მომდევნო რამდენიმე ათასწლეულის განმავლობაში, დასავლეთის ომის წარმოების მეთოდებში ცხენოსანი დიდებულები ქვეითი ჯარის დამხმარე ძალად ითვლებოდნენ.

სურ. 52 ბერძნული ფალანგა ბრძოლაში

როდესაც ბერძენი მიწათმესაკუთრეები ხმის მიცემით გადაწყვეტდნენ, რომ მარშით წასულიყვნენ თავისი საზღვრებიდან საკმაოდ შორს საბრძოლველად, ადგილობრივი მუზარადიანი მებრძოლები და სახლეულობის პრინციპით შექმნილი ჯგუფები თავისი ქალაქ-სახელმწიფოს ფალანგებში ეწყობოდნენ. მთების გადავლა, ბრძოლა და შინ დაბრუნება სულ რაღაც სამ დღეს მოითხოვდა. მე-5 საუკუნემდე ლოგისტიკას ნაკლები ყურადღება ექცეოდა. ეკონომიური იყო თვითონ ბრძოლაც. მას შემდეგ, რაც მოიერიშეები მოწინააღმდეგეს გამოიწვევდნენ, რათა მარშით გამოსულიყო (ხშირად ეს ხდებოდა ტყის ან ვენახის მცირე ფართობის გაჩეხვით), ორივე მხარე საბრძოლველად მოეწყობოდა. ჯობს, მაშინდელ ოფიცერს ,,ბრძოლის ლიდერი” ვუწოდოთ, ვიდრე გენერალი. ის იმყოფებოდა წინა მწკრივში, მისი მოვალეობა იყო გაძღოლოდა ჯარს პირადი მაგალითის ჩვენებით, ანუ ებრძოლა და მომკვდარიყო თავის მებრძოლებზე წინ. მე-7 საუკუნეში, პოეტი არქილოქუსი წერდა: ,,მე არ მიყვარს სხვებზე მაღალი ტანის ბრძოლის კაპიტანი, ფართოდ გადგმული გრძელი ფეხებით, თავმომწონედ ჩამოშლილი კუ-

ლულებით, მოკლე წვერით. მის ნაცვლად, მინდა დავინახო დაბალი, დაკუნთულ ფეხებზე ძლიერად მდგომი ადამიანი მტკიცე გულით, რომელიც არასდროს მოიცვლის ფეხს იმ ადგილიდან, სადაც თითქოს ჩაეზარდა.” მას შემდეგ, რაც ასეთი მეთაური მოკლე, მხურვალე სიტყვით მიმართავდა მებრძოლებს, ნათელმხილველი ცხვრის ან თხის შეწირვის უფლებას გასცემდა ფალანგის წინ და ორი დაპირისპირებული კოლონა ერთმანეთს შეეჯახებოდა. პოეტ ტირტეუსის სიტყვებით: “ხელჩართულ ბრძოლაში ხმაურით ეჯახებოდა ფარი ფარს, ჩაფხუტი ჩაფხუტს, მუზარადი მუზარადს ...”

სურ.53 ბერძენი წარჩინებული ფალანგისტი

ამ თავისებური მეთოდებით წარმოებულ ბრძოლაში გადამწყვეტი მომენტი იყო, როდესაც მიწათმოქმედი-ჰოპლიტი მოწინააღმდეგის ხაზს თუნდაც ერთ პატარა ადგილას გაარღვევდა. ეს გარღვევა მის აბჯრიან თანამებრძოლებს საშუალებას მისცემდა გაჰყოლოდნენ მას, შეჭრილიყვნენ მოწინააღმდეგის შიდა ხაზებში, დაეშალათ ისინი და გამოეწვიათ მასიური პანიკა მოწინააღმდეგე ჰოპლიტებში.

სამხედრო მსხვერპლი კლასიკურ ეპოქაში

ლეტალური ეფექტი უძველესი ხანის იარაღისა – შუბის, ხმლის, სატყორცნი მოკლე შუბის ან ნაჯახის, ისრის და შურდულისა – დამოკიდებული იყო მათი სროლის სიჩქარეზე, მათ გამძლეობაზე და იმაზე, თუ რამდენად ადვილად შევიდოდა ეს იარაღი ადამიანის სხეულის დაუცველ ნაწილში. მაგალითად, მე-17 საუკუნის ბოლო წლებამდე, ახლო აღმოსავლეთის მშვილდოსნების მოქმედების შედეგი უფრო ლეტალური იყო, ვიდრე დასავლეთ ევროპელი ჯარისკაცებისა, რომლებიც ცეცხლსასროლ იარაღს იყენებდნენ, ხოლო რკინისბუნიკიან შუბებს უფრო ადვილად შეეძლოთ ადამიანის სხეულში შეღწევა და მსხვერპლის გამოწვევა, ვიდრე ადრეულ თოფებს.

სიკვდილიანობა ჰოპლიტებს შორის, როგორც წესი, აღწევდა მებრძოლთა საერთო რაოდენობის მხოლოდ ათ პროცენტს (დამარცხებულ მხარეს როგორც წესი, დაღუპული ჰყავდა 15 პროცენტი, გამარჯვებულს - 5). ამ მაჩვენებლის ახსნა შეიძლება იმით, რომ ჰოპლიტები ბრინჯაოს ჯავშანს იყენებდნენ. ბრინჯაოს უპირატესობა ენიჭებოდა უფრო მტკიცე, მძიმე რკინასთან შედარებით იმიტომ, რომ ის უფრო პლასტიკური და გამოსაჭედად ადვილი იყო და არ იჟანგებოდა. ბრინჯაოს

ჯავშანი იძლეოდა სხეულის დაცვას. იარაღს რომ მოწინააღმდეგის გულ-მკერდის აბჯრის ბრინჯაოს ფირფიტებში და ბრინჯაოს ჩაფხუტში შეეღწია, როდესაც ეს მებრძოლი ფეხზე იდგა, საჭირო იყო დარტყმის ისეთი ძალა, რომ ასეთი ენერგია უძველესი ხანის ყველა იარაღის შესაძლებლობებს სცილდებოდა.

თუ ქვეითი მებრძოლი ბრძოლის დროს ფეხზე მდგომარე დარჩებოდა, (ეს ნიშნავს, რომ მას სხეულით უნდა ეზიდა ოცფუნტიანი ფარი, ოცდაათიდან ორმოც ფუნტამდე მკერდის აბჯარი, ხოლო ათიდან ოც ფუნტამდე - ხმალი, მუზარადი, შუბი, სამკლაურები და წვივსაკრავი ფირფიტები, რაც საკმაოდ მძიმე ამოცანა იყო. ის იშვიათად გარისკავდა მოწინააღმდეგისთვის სერიოზული დარტყმის მიყენებას გულ-მკერდში ან თავში. დიდი ფარი, რომელიც მებრძოლს ეჭირა თავის წინ, ან თავზემოთ, ხშირად აჩლუნგებდა დარტყმის ძალას უფრო ადრე, ვიდრე იარაღი ლითონს შეეხებოდა, მაგრამ სამაგიეროდ, მოწინააღმდეგისთვის მნიშვნელოვანი დაზიანების მიყენება შეიძლებოდა დარტყმით სხეულის დაუცველ ნაწილზე, განსაკუთრებით, სახეზე და საზარდულში, ნაკლებად – მკლავებსა და ფეხებზე. როგორც ბერძნული პოეზია, ისე ლარნაკების მხატვრობაც, სადაც ბრძოლებია აღწერილი, ასახავს სწორედ ასეთ დარტყმებს. შუბით მიყენებული დარტყმა, რომელიც მიმართული იყო ზევიდან ქვევით, აზიანებდა მთავარ არტერიას და მებრძოლი რამდენიმე წამში იცლებოდა სისხლისგან. სასიკვდილო იყო აგრეთვე ღრმა ჭრილობები, კუნთის ქსოვილის ღრმა დაზიანებები, როცა ადამიანი კვდებოდა სეფსისისგან და სხვადასხვა ინფექციის ერთობლივი სპექტრისგან. და ბოლოს, ორივე ხელით, ხმლის დაკვრით ან შუბის ბრინჯაოს წვერის ბოლომდე ჩაცემით მიყენებული მრავალჯერადი დარტყმები აღწევდა წაქცეული მეომრის აბჯრის ფირფიტებში და კლავდა მას, როგორც ამას გვიდასტურებს არქეოლოგიური გათხრების შედეგად_აღმოჩენილ მკერდის აბჯრებზე და ჩაფხუტებზე ნანახი ნახვრეტები. Mმაგრამ სიკვდილის ყველაზე გავრცელებული მიზეზი იყო გადათელვა. უძველეს ხანაში, სიკვდილიანობა ბრძოლის ველზე, სავარაუდოდ, ყველაზე ხშირად გამოწვეული იყო მრავალჯერადი მოტეხილობებით, თავის ქალის, გულმკერდისა და კიდურების დაზიანებებით, როდესაც წაქცეული და ძალაგამოლეული მებრძოლები ითელებოდნენ იერიშზე გადასული ან უკუქცეული მებრძოლების მიერ.

ანტიკური ხანის ავტორები დაწვრილებით აღწერენ ადენილ მტვერს, დაბნეულობას, შედეგებული სისხლის გუბეებს, ფალანგების ხელჩართულ, სისხლისმღვრელ ბრძოლას და ეს ყველაფერი უყოყმანოდ გვაჯერებს, რომ ძველი ბერძნული ფალანგების ბრძოლები იყო ნამდვილად საშინელი სანახაობა და არა მოწესრიგებული შეტაკება ოთხკუთხა წყობით მოწყობილ მებრძოლებს შორის. დელიუმის ბრძოლაში (424 წელს ჩვ. წ. – მდე), პელოპონესის ომის დროს, როგორც თუკიდიდე ამბობს, ალყაშემორტყმული ათენელები ისე დაიბნენ, ისე აერიათ თავგზა, რომ ერთმანეთი ამოხოცეს. სიცილიაში კი მათ საბრძოლო რიგებში მოწინააღმდეგემ ისეთი არეულობა შეიტანა, რომ რამდენიმე ადგილას ისინი ერთმანეთთან ხელჩართულ ბრძოლაში ჩაებნენ. მათი დაშორება დიდი გაჭირვებით მოხერხდა.

სურ.54 თუკიდიდე (ძვ. წ. 565-400), ანტიკური ეპოქის
ბერძენი ისტორიკოსი და მხედართმთავარი

ერთიანობა და დისციპლინა

ჰოპლიტების ომებში, ბრძოლის ველზე ატეხილ ხმაურში, ყოველგვარი აზრი ეკარგებოდა ტაქტიკასა და სტრატეგიას. აქ მნიშვნელობა ჰქონდა მხოლოდ ერთიანობასა და დისციპლინას. ბრძოლა მიმდინარეობდა იმგვარად, რომ საბოლოო მიზანი იყო სრული განადგურება, ისე რომ საჭირო აღარ ყოფილიყო არც რეზერვები, არც ერთმანეთთან კავშირი, სამხედრო ხრიკები და მანევრი. ჯერ კიდევ ჩვ. წ.-მდე მე-4 საუკუნეში ქსენოფონტემ სამართლიანად აღნიშნა, რომ ,,ტაქტიკა არმიის მართვის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს შეადგენდა." მის ნაცვლად, ჰოპლიტების აყვავების ხანაში, აგრარული კულტურისთვის დამახასიათებელი კოდექსი მოქმედებდა, რომელიც არ ითვალისწინებდა სამხედრო ხრიკების და თვით პიროვნული გმირობის წახალისებასაც კი ფალანგების რიგებს გარეთ.

ბრძოლის ღია სისტემის მოქმედების პირობებში, პელოპონესის ომში (431-401), სისხლისმღვრელი შიდა ბრძოლები საბერძნეთის ქალაქ-სახელმწიფოებს შორის ძალიან ხშირი იყო, თუმცა თავდაცვისთვის გაწეული ხარჯები მაინც მცირე რჩებოდა. ყველა ბანაკში ერთი და იგივე შეიარაღება იყო, ამგვარად, შესაძლებელი იყო მისი გადამუშავება და აღწარმოება. ამავე დროს, იარაღი გამძლე და შესაკეთებლად ადვილი იყო. არ არსებობდა არავითარი მეტ-ნაკლებად გამოკვეთილი ოფიცერთა კორპუსი. მსხვერპლი ცალკეულ მწვავე ბრძოლაში მუდმივად აღწევდა დაახლოებით ათ პროცენტს ორივე მხრიდან, რადგან არ გამოიყენებოდა მოწინააღმდეგის დევნა ფართო თვალსაზრისით. უფრო გვიანი ბერძნული ხანისთვის დამახასიათებელი, მსხვერპლის მომთხოვნი ხანგრძლივი ალყები და დამცავი ნაგებობების ფართო მშენებლობა იმ დროს ჯერ კიდევ ცალკეულ, შემთხვევით (სპორადულ) ხასიათს ატარებდა.

ხანდახან იქმნება შთაბეჭდილება, რომ იმ პერიოდის ისტორიკოსები უხალისოდ ეკიდებიან ბრძოლის მეთოდების აშკარად გამოხატული აგრარული ბუნების შეფასებას: არაფერია ნათქვამი იმ გასაოცარი დონის შესახებ, რომელსაც აღწევდა სასოფლო-სამეურნეო ცხოვრების წესის და

ზოგადად სოფლის სოციოლოგიური გავლენა იმდროინდელი საბერძნეთის მდიდარ ლანდშაფტზე მიმოფანტულ, განვითარებულ ქალაქ-სახელმწიფოების ომის წარმოების მეთოდებზე. მიუხედავად ამისა, ბერძნები თვითონ განუწყვეტლივ ავსებდნენ ამ პრაქტიკის დანაკლისს ლიტერატურულ და ფილოსოფიურ ნაწარმოებებში, ლარნაკების მოხატულობებში, ქანდაკებებში და გმირების ხსოვნისადმი მიძღვნილ ხალხურ დღესასწაულებში – ამ ყველაფერში ყოველთვის ხაზგასმული იყო ჰოპლიტების გმირობა და გამბედაობა, მათი ერთობა, ხოტბას ასხამდნენ მათ იარაღს და ჯავშანს, განსაკუთრებით ადიდებდნენ მათ უკანასკნელ ბრძოლასა და თავგანწირვას მეგობრების, ოჯახის წევრების და სხვათა თვალში. ჰოპლიტების განდიდების გამო დამცირებული იყო სხვა მეომრების – მტყორცნელების, მსუბუქად შეიარაღებული ქვეითებისა და მათთან შედარებით უფრო მდიდარი ცხენოსნების როლი.

აღნიშნულ მეომრებს ყოველთვის არ აქებდნენ ჰოპლიტების მსგავსად, თუმცა ჰოპლიტებისაგან განსხვავებით, ისინი არ მონაწილეობდნენ კერძო საკუთრების არსებული სტრუქტურების შენარჩუნებაში; არც მსხვილი მიწათმფლობელების მხრიდან არჩევნების დროს ხმების დამთვლელ კომისიაზე და ასამბლეაზე (საკანონმდებლო ორგანო) კონტროლის შენარჩუნება აინტერესებდათ; ამის გარდა, ეს მეომრები არ იყვნენ დამოკიდებული ადგილობრივ წარმოებაზე. ისინი ზემოჩამოთვლილის დასაცავად თავგანწირულად არ იბრძოდნენ ერთი და იმავე მეთოდების გამოყენებით; ისინი ბრძოლის ველზე ამჯობინებდნენ ჭურვის სატყორცნ მოწყობილობებს, ცხენებს, ჩასაფრებას და დევნას, სროლისა და ალყის ოსტატობას, რაშიც სამხედრო ხელოვნება არ იყო გამარტივებული და დაყვანილი ძლიერი კუნთებისა და ფოლადის ნერვების დემონსტრირებაზე.



სურ.55 პოლიბიოსი (ძვ.წ. 203-120), ანტიკური ეპოქის ბერძენი ისტორიკოსი

მაგრამ ეს არა-ჰოპლიტი მეომრები შეადგენდნენ უგულვებელყოფილ უმცირესობას. ჩვენი წელთაღრიცხვით I საუკუნეში, გეოგრაფი სტრაბონი ამტკიცებდა, რომ მან ნახა წარწერა უძველეს ქვის ბოძზე, რომელიც საერთოდ კრძალავდა ჭურვების გამოყენებას ადრეული ხანის ბერძნული ომის წარმოების მეთოდებში. ამ წარწერაში, ისრით სასიკვდილოდ დაჭრილი სპარტელი ჰოპლიტი ჩიოდა, რომ ,,სიკვდილს კი არ დარდობდა, არამედ ის აწუხებდა, რომ ეს სიკვდილი ლაჩარი მშვილ-დოსნის ნასროლმა ისარმა გამოიწვია.” ჩვ. წ.-მდე მეორე საუკუნის ბერძნების შესახებ ისტორიკოსი პოლიბიოსი ნოსტალგიით წერდა:

,,ძველ ბერძნებს საერთოდ ვერ წარმოედგინათ, რომ შეიძლებოდა მოწინააღმდეგის დამარ-ცხება მოტყუებით; ისინი ფიქრობდნენ, რომ ასეთ გამარჯვებაში არაფერი იქნებოდა საამაყო. ამგვა-რად, არსებობდა შეთანხმება, არავის გამოეყენებინა უცნობი იარაღი, ან ჭურვები. სამხედრო დიდე-ბა, მასთან ერთად საკუთარი უსაფრთხოებაც, - ფიქრობდნენ ისინი, მიიღწეოდა მხოლოდ მრავალ-რიცხოვან სწორკუთხედებად მოწყობილი მეომრების ხელჩართულ ბრძოლაში. მათთვის ეს იყო გა-მარჯვების ერთადერთი გამართლებული გზა. სწორედ ამ მიზეზით, ისინი ომის რეალურად დაწ-ყებამდე გარკვეული ხნით ადრე, საჯაროდ აკეთებდნენ განცხადებებს ომის დაწყების შესახებ, მიუ-თითებდნენ იმასაც კი, თუ როდის უნდა დაეწყოთ საომარი მოქმედებები და სად აპირებდნენ მოწ-ყობას და მოწინააღმდეგესთან პირისპირ შეხვედრას.”

ჰოპლიტების ბრძოლების კლასიკურ ეპოქაში (ჩვ. წ.-მდე 700-431), ბერძნული ქალაქ-სახელ-მწიფოების საერთო მატერიალური კეთილდღეობა და სტაბილური კულტურული განვითარება მეტწილად სათავეს იღებდა ბრძოლაში დაწესებული ფრთხილი შეზღუდვებიდან. მოქალაქეები არასდროს ეძებდნენ უტოპიურ (და აქედან გამომდინარე, უიმედო) გზებს ომების დასრულებისათ-ვის. პირიქით, ისინი იგონებდნენ რიტუალებს, რომლებიც მისცემდათ საშუალებას, რომ კონფლიქ-ტი და მასთან ერთად, ბრძოლის ველზე გამოჩენილი გმირობა ყოფილიყო ხშირი და გარდაუვალი მოვლენა – მაგრამ ამას მნიშვნელოვანი ზიანი არ უნდა მიეყენებინა ბერძნული საზოგადოების ინ-ფრასტრუქტურისთვის, რომელიც ქალაქ-სახელმწიფოების არსებობის პირველი ორი-სამი საუკუ-ნის განმავლობაში გამოკვეთილად აგრარული იყო. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ბერძ-ნული ქალაქ-სახელმწიფოების კულტურა, ანტიკური ხანის ახლო აღმოსავლეთისგან განსხვა-ვებით, ჰყვაოდა სწორედ იმიტომ, რომ მოწინააღმდეგის ორგანიზებული ხოცვა-ჟლეტა და საკუთა-რი თავდაცვა იყო ,,გონივრულად ლიმიტირებული.”

აღმოსავლეთი დასავლეთის წინააღმდეგ

ცოდნა ბერძნული ომების შესახებ, რომლებიც სპარსეთის ომებამდე (490,480-470 ჩვ. წ.-მდე) მიმდინარეობდა, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ხასიათისაა. ეს ნაწყვეტები უნდა შეერთდეს ბერძნული ლირიკიდან, ელეგიური პოეზიიდან, უფრო გვიანი ხანის ისტორიკოსების და ფილოსოფოსების გონებაჭვრეტითი ნაწერებიდან, ანტიკური ხანის ნივთებზე არსებული წარწერების, და აგრეთვე, შეიარაღებისა და აბჯრის ნაპოვნი ნარჩენების მიხედვით. რაც შეეხება მე-5 და მე-4 საუკუნეების სახმელეთო და საზღვაო ბრძოლებს, მათ შესახებ საკმაო დოკუმენტური მასალა არსებობს დიდი ისტორიკოსების – ჰეროდოტეს, თუკიდიდესა და ქსენოფონტეს ნაშრომებში. მაგალითად, სწორედ ჰეროდოტეს ისტორიიდან ვიცით, რომ სპარსელების თავდასხმები ყოველთვის მძიმე შედეგების მომტანი იყო და განსხვავდებოდა ბერძნების უწინდელი, ორი საუკუნის განმავლობაში მიღებული გამოცდილებისაგან.


სკვერთები
ისტრია
(მეინარე დუნაი)
ოლბია
პანტიკაპეი
მავი ზღვა
სინოპი
სკვეთ
ბერინთია
ბოსპორი
ფანაგორია
ფეოსი
ბალიკი - 479
ბალამინი - 480
ნაქსოსი
ეუბეა
ათენი
სარდისი
ეფესი
ეფესელ
ეფესელ
ეფესელ

შეცვლილა მომდევნო სამი საუკუნის განმავლობაში. ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ადგილას, როცა კი სპარსელების ქვეითი ჯარი უგუნურებას გამოიჩენდა და კარგად გაწვრთნილ, აღჭურვილ და დისციპლინირებულ ბერძენ შუბოსან ქვეითებს ბრძოლას გაუმართავდა, აუცილებლად განადგურდებოდა. მაგრამ მაინც, ათენურ ლიტერატურაში მარათონელების მისამართით უხვად არსებული ქება-დიდების მიუხედავად, მათმა გამარჯვებამ შეძლო მხოლოდ ათი წლით გადაედო აღმოსავლეთის თავდასხმა. როდესაც სპარსელები დაბრუნდნენ, 480 წელს, დარიოსის ვაჟიშვილისა და მემკვიდრის, ქსერქსეს წინამძღოლობით, სამხედრო ვითარება აბსოლუტურად შეიცვალა, ბერძნების წინაშე სრულიად ახალი გამოწვევა დადგა, რადგან მომხდურები უწინდელზე უკეთესად ორგანიზებულნი და მომზადებულნი იყვნენ. როგორც იმ დროში მოღვაწე ცნობილი დრამატურგი, ესქილე წერს, აღმოსავლეთიდან მოსულებს სულაც არ სურდათ ერთი გადამწყვეტი ბრძოლის გამართვა. როგორც ჩანდა, მათ ამჯერად დაგეგმილი ჰქონდათ, რომ ,,ელადას მონობის უღელს დაადგამდნენ".



სურ.59 დარიოს I (მეფობდა ძვ. წ. 522-486 წლებში), მოაწყო წარუმატებელი ლაშქრობები

ქსერქსეს თავდასხმა საბერძნეთზე განახორციელა არა საექსპედიციო ბრიგადამ, არამედ ნამდვილი მომთაბარე ტომებისგან შემდგარმა, მრავალენოვანმა, მრავალრიცხოვანმა ლაშქარმა, რომელიც ნაბიჯ-ნაბიჯ მიიკვლევდა გზას სამხრეთისკენ, საბერძნეთის ტერიტორიის სიღრმეში, ნთქავდა ქალაქებს, რომლებიც კაპიტულაციას აცხადებდნენ და იქ ქსერქსეს ჯარის ნაწილები ბინას იდებდნენ.

სპარსელებს უზარმაზარი ფლოტი ჰყავდათ, ამიტომ მათ არ სურდათ გადამწყვეტი ქვეითი ბრძოლის გამართვა. ფაქტობრივად, ისინი დასცინოდნენ ,,ბერძნების წესებს", როგორც თვითონ უწოდებდნენ მათ, რომელთა თანახმად, სახმელეთო ბრძოლა შემოიფარგლებოდა ერთი ქვეითი, გადამწყვეტი, ხელჩართული ბრძოლით. ,,ეს ბერძნები, - ამბობდა სპარსელების მხედართმთავარი მარდონიუსი, - მიჩვეული არიან ომების წარმოებას ერთმანეთის წინააღმდეგ, სრულიად უაზროდ, რადგან როგორც კი ერთმანეთს ომს გამოუცხადებენ, მოძებნიან საუკეთესო, სწორი რელიეფის

მქონე ადგილს და დაეშვებიან იქ ერთმანეთთან საბრძოლველად. შესაბამისად, გამარჯვებულიც კი დიდ დანაკარგს ტოვებს ბრძოლის ველზე; აღარაფერს ვამბობ დამარცხებულზე, რომელიც საერთოდ ნადგურდება. ცხადია, რომ რადგან ყველა ბერძენია და ერთ ენაზე ლაპარაკობენ, მათ თავისუფლად შეუძლიათ ერთმანეთს შიკრიკები გაუგზავნონ და მოლაპარაკება აწარმოონ, და ამგვარად, დაპირისპირება როგორმე სხვა გზით მოაგვარონ და არა ბრძოლით." მათგან განსხვავებით, სპარსელებმა გადაწყვიტეს პირდაპირ აგრესიულ დაპირისპირებაზე გადასვლა და ბერძნული ქალაქ_სახელმწიფოებისთვის ეს გამოწვევა სრულიად ცხადი გახდა: მათთვის აუცილებელი იყო, თანაც სასწრაფოდ, რიცხობრივად დიდი ჯარი, მეზღვაურები, ფორტიფიკაციები, ტაქტიკა, ევაკუაცია, სამხედრო ხრიკები, მოხერხებულობა და მხედართმთავრები. ძალიან მალე მათ მოახერხეს თავი მოეყარათ ბერძნული ომის წარმოების ყველა მძლავრი საშუალებისათვის.

ბერძნების გამარჯვებები

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 490 წელს ათენმა მხარდაჭერა გამოუცხადა მცირე აზიის ბერძნულად მოლაპარაკე ქალაქებს, რომლებიც სპარსელების წინააღმდეგ აჯანყდნენ, რითაც სპარსეთის მეფის, დარიოს პირველის გაღიზიანება გამოიწვიეს და მან საექსპედიციო ძალები საბერძნეთის კონტინენტურ ნაწილზე გააგზავნა.

სპარსელები ზღვიდან ხმელეთზე ქალაქ მარათონთან გადავიდნენ, მაგრამ ათენისკენ გზა ვეღარ გააგრძელეს, რადგან მთებში გამაგრებულმა ათენელებმა და მათმა მოკავშირეებმა გზა გადაუკეტეს.

სპარსელებმა გადაწყვიტეს, ათენზე იერიში ზღვიდან მიეტანათ და უშუალოდ იქ გადაესვათ დამრტყმელი ძალა – ძირითადად, ცხენოსნები და რაღაც რაოდენობით ქვეითები. ქვეითების უმეტესმა ნაწილმა კი გზაში ჩასაფრებულ ათენელებს შეუტია, რათა არ მიეცათ საშუალება მათთვის, დაბრუნებულიყვნენ თავის ქალაქში მის დასაცავად.



სურ.60 ქსერქსე I (მეფობდა ძვ. წ. 486-465 წლებში), ჩაატარა მნიშვნელოვანი სამხედრო კამპანიები საბერძნეთში

რიცხობრივად ისედაც უმცირესობაში მყოფმა ბერძნებმა თავისი ცენტრი მცირე რაოდენობის ძალების იმედად დატოვეს იმ მიზნით, რომ თავიანთი საბრძოლო წინა ხაზი სპარსელებისაზე ნაკლები არ ყოფილიყო (სიგრძეში), მაგრამ ფლანგები სიღრმეში ჰყავდათ განლაგებული. როდესაც სპარსელების წინა ხაზს მშვილდისრის მიწვდომის მანძილზე მიუახლოვდნენ, ბერძნებმა შეუტიეს და დათრგუნეს სპარსელების ფლანგები, რომლებიც ძირითადად ახალწვეულებისგან შედგებოდა. ისინი ბანაკისკენ გაიქცნენ.

მათი დევნის ნაცვლად, ბერძნების ფლანგები სპარსელების ცენტრს მიუბრუნდნენ და გაანადგურეს. დაიღუპა მხოლოდ 192 ათენელი, სპარსელებმა კი 6400 მეომარი დაკარგეს. ბევრი დაიხრჩო, როდესაც გაქცეულები თავისი ხომალდებისკენ მიცურავდნენ. ბერძნებმა ხელთ იგდეს 7 გემი. ათენელები მწყობრი მარშით დაბრუნდნენ ქალაქში და მოასწრეს, რომ სპარსელებისთვის დამრტყმელი დესანტის გადმოსხმის საშუალება არ მიეცათ.

გავიდა ათი წელი. დარიოსის ვაჟმა ქსერქსემ საბერძნეთის წინაღმდეგ მეორე ლაშქრობა მოაწყო, რომლის მიზანი იყო ათენელებისა და მოკავშირეების გაერთიანებული ფლოტის განადგურება. სპარსელებმა აღმოაჩინეს, რომ ეს ფლოტი იდგა ვიწრო სრუტეში ათენის კუთვნილ კუნძულ სალამინთან. საღამოსთვის მათ გადაკეტეს სრუტეში შესასვლელი არხები აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან. მეორე დღეს, როდესაც სპარსელების მთავარმა ძალებმა წაიწიეს სრუტეში აღმოსავლეთიდან შესასვლელი ყელის გავლით, ათენის, მისი პელოპონესელი მოკავშირეებისა და ქალაქების_ეგინას და მეგარას საზღვაო გაერთიანებულმა ძალებმა ენერგიულად შეუტიეს სპარსელებს და გაარღვიეს მათი მეწინავე ხაზი. ყურეებსა და სრუტეებს შორის ვიწრო გასასვლელებში სპარსელების ხომალდებმა ვეღარ ისარგებლეს რიცხობრივი უპირატესობით. რამდენიმე საათიანი ბრძოლის შემდეგ მათ უკან დაიხიეს, დაკარგეს რა 200 ხომალდი, მაშინ როდესაც ბერძნების დანაკარგი შეადგენდა მხოლოდ 40 ხომალდს. ფლოტის გარეშე, დამპყრობლებს ყველა გზა მოჭრილი ჰქონდათ, მაგრამ მათმა მხედართმთავარმა მარდონიუსმა, გაზაფხულზე, დაიპყრო თესალია, 15 000 აზიელი ქვეითისა და 5 000 ცხენოსანი ჯარის ძალებით. მისმა ბერძენმა მოკავშირეებმა, განსაკუთრებით თებელებმა, დამატებით გამოიყვანეს 13 000 ქვეითი და 5000 ცხენოსანი. მათ პლატეასთან დაუპირისპირდა 40 000 ჰოპლიტისა და მათი მხარდამჭერი 70 000 მსუბუქი ქვეითისგან შემდგარი არმია.

სურ.61 სალამინის ბრძოლა (ძ.წ. 480 წ.), ბერძნები ანადგურებენ სპარსელთა ხომალდებს

რამდენიმე დღის შემდეგ, რომელთა განმავლობაში ორივე მხარე მანევრირებდა პოზიციის შესარჩევად და ასუსტებდა მარაგების მიწოდების მარშრუტებს, მარდონიუსმა განახორციელა იერიში არსებული ძალებისა და რესურსების სრული გამოყენებით. ბრძოლის პირველ ეტაპზე მისმა კავალერიამ წარმატებას მიაღწია, მაგრამ ქვეითებმა ვერ შეძლეს მოპოვებული წარმატების შენარჩუნება და დამარცხდნენ მძიმედ აღჭურვილ სპარტელების ქვეით ჯართან ბრძოლაში. მარდონიუსის დიდი არმიიდან მხოლოდ 3000 მებრძოლი გადაურჩა განადგურებას დევნის დროს.

სურ.62 სალამინის ბრძოლის ერთი ეპიზოდი

სპარტის მეწინავე კონტინგენტი მთლიანად განადგურდა დიდ ბრძოლაში, სადაც ისინი იცავდნენ თერმოპილეს ჩრდილოეთით გამავალ საზღვარს. მეფე ლეონიდეს თავი მოკვეთეს და სარზე წამოაცვეს. ფლოტი, ათენელების ხელმძღვანელობით, აღმოსავლეთიდან მოახლოებულ გემებს კვალდაკვალ მიჰყვებოდა, ქსერქსე კი თავისი ჯარით, ცენტრალური საბერძნეთის გავლით, მიტოვებულ ათენს უახლოვდებოდა. ტოტალური ომის ამ ახალ სახეობაში ბერძნები იძულებული გახდნენ, არა მხოლოდ დაეხვეწათ ტრადიციული ბრძოლის მეთოდები, არამედ მთლიანად შეეცვალათ თავად ქალაქ-სახელმწიფოების კონცეფცია. ბოლოსდაბოლოს, მხოლოდ ფიზიკური ერთეული, შემდგარი ქალაქის შენობების, აკროპოლისისა და გარშემო მდებარე ველებისაგან, არ ნიშნავდა ,,ხალხს.” ხოლო ყველაზე მნიშვნელოვანი იყო სწორედ ხალხი: ადგილობრივი მაცხოვრებლები, ყველა კლასის წარმომადგენლები, დაბადებულები თავიანთ ქალაქ-სახელმწიფოებში, რომელთაც გადარჩენა მოახერხეს ევაკუაციის შედეგად და რომლებიც ბრუნდებოდნენ როგორც შურისმაძიებლები, ხმელეთის ან ზღვის გზით. ათენის კონსერვატიული მოსახლეობა მცირე მიწათმესაკუთრეებს ერთადერთი გადამწყვეტი ბრძოლის ჰოპლიტური ტრადიციის შენარჩუნებისკენ მოუწოდებდა, რათა ქალაქი სათანადოდ დაცული ყოფილიყო. ეს უბრალოდ მცდარი კი არა, საკმაოდ უგუნური აზრი იყო. ბოლოს და ბოლოს, ჩატარდა ევაკუაცია და ათენელებმა თავისი ქალაქი დამპყრობლების მთავარ ძალას დაუტოვეს, თვითონ კი დროებით, ახლომდებარე თავისუფალ ტერიტორიაზე გადასვლით უშველეს თავს, მიენდნენ თავიანთი გემების ,,ხის კედლებს”, რომლებიც სპარსელების დამარცხებაში დაეხმარებოდნენ მათ, მიმდებარე კუნძულ სალამინზე. მიუხედავად



სურ.63 ქსერქსე სიმაღლიდან აკვირდება სალამინის ბრძოლას

მოგვიანებით ათენელი რეაქციონერი ფილოსოფოსების მიერ გამოთქმული უკმაყოფილებისა, რომ საზღვაო ბრძოლები არ იყო გმირული, ჰეროიკული სულის მატარებელი, (სალამინის ბრძოლიდან ერთი საუკუნის შემდეგ, ანტიდემოკრატი პლატონის აზრით, ათენელების მაშინდელმა გამარჯვებამ ბერძნები ,,უფრო ცუდ" ხალხად აქცია), ბერძნებმა იცოდნენ, რომ სალამინთან ქსერქსეს არმადის დამარცხებამ მორალურად გატეხა სპარსელები და შექმნა პლაცდარმი საბოლოო ბრძოლისთვის პლატეასთან, მომდევნო გაზაფხულზე.

სურ.64 თერმოპილეს ბრძოლა (ძვ.წ. 480 წ.)

სურ.65 ლეონიდასი (მეფობდა ძვ.წ. 508-480 წლებში), სპარტის მეფე, გმირულად დაეცა 300 სპარტელთან ერთად თერმოპილეს ბრძოლაში

საზღვაო ძლიერების ფასი

სამხედრო გემები მოწინააღმდეგესთან შედარებით არაჩვეულებრივ უპირატესობას აძლევდნენ სულ რამდენიმე ქალაქ-სახელმწიფოს, ვისაც ისინი ჰყავდა, მაგალითად, ათენს, კორინთოს, სირაკუზს და კერკირას, რომლებიც საკმაოდ მდიდარი და განვითარებული ქალაქები იყო და შეეძლოთ სამხედრო გემების სათანადო გამოყენება. ტრირემებით შეიძლებოდა ჰოპლიტების გადაყვანა და ხმელეთზე გადასმა მოწინააღმდეგის ზურგში, აგრეთვე, ვითარების შესაბამისად, სავაჭრო გემებზე თავდასხმა ან მათი დაცვა. ზღვის ნაპირას მცხოვრებ მდიდარ, მაგრამ დაუცველ საზოგადოებებს, განსაკუთრებით, მე-5 საუკუნის ბოლოს და მე-4 საუკუნეში, მუდმივად თავს ესხმოდნენ, ძარცვავდნენ, ზოგჯერ იპყრობდნენ კიდეც, ართმევდნენ ქონებას და ხარკს ახდევინებდნენ. ამის მიუხედავად, საზღვაო ძალები ქვეითების მხოლოდ დამხმარე ძალებად ითვლებოდნენ. უმეტეს ქალაქ სახელმწიფოებში, მიწაზე მოსახლე მოქალაქეები შედიოდნენ პრივილეგირებული ჰოპლიტების ფალანგების რიგებში. ღარიბი მოქალაქეები ბრძოლის დროს იყვნენ მსროლელები ან მტყორცნელები – შეიარაღებულნი მოკლე სატყორცნი შუბებით, პატარა ფარებით, ხშირად უაბჯროდ, რომლებიც მთავარი ბრძოლის დაწყებამდე გაიჭრებოდნენ წინ, ესროდნენ

სურ. 66 ბერძნული სამხედრო ხომალდი

მოწინააღმდეგეს და იწვევდნენ მის რიგებში არეულობას, ან აიძულებდნენ მოწინააღმდეგეს დროზე ადრე გადასულიყო შეტევაზე. მათ პერიფერიებზე ეკავათ ადგილები.

შემდეგ, როდესაც საზღვაო ძალების ფართო განვითარება დაიწყო, ჩვ. წ. -მდე მე-5 საუკუნეში, თავისუფალი, მაგრამ საკუთრების არმქონე მოქალაქეები სავაჭრო გემებზე და ტრირემებზე მენიჩბეებად მიჰყავდათ. ამ გემების ეკიპაჟები უმეტეს შემთხვევაში შედგებოდნენ კარგად ნავარჯიშევი, გაწვრთნილი, გაბედული და სანდო მამაკაცებისაგან, რასაც ადასტურებს ბერძნების გასაოცარი გამარჯვება სპარსელებზე სალამინთან და მომდევნო ათწლეულში ბერძნების მიერ სპარსეთის საზღვაო იმპერიისთვის საფუძვლის გამოცლა. მე-5 საუკუნის ბოლოსთვის ათენს ჰყავდა 40 000-ზე მეტი ნიჩბოსანი და 200-ზე მეტი ტრირემისგან შემდგარი ფლოტი. ღარიბმა ათენელებმა შედეგად მოიპოვეს საკმაოდ დიდი გავლენა და მყარი ანაზღაურება და მათ გაუჩნდათ მოლოდინი, რომ მეტად იქნებოდნენ წარმოდგენილი თავისი ქალაქ-სახელმწიფოს პოლიტიკაშიც. ამ ინტენსიურმა მოვლენებმა ხელი შეუწყო ათენში რადიკალური დემოკრატიის განვითარებას. საკუთრების ნიადაგზე მოქალაქეთა დაყოფა მოიშალა, რამაც უზრუნველყო თეტების (უმიწაწყლო მეზღვაურების) სამოქალაქო მონაწილეობა, არჩევნებში მონაწილეობის უფლების გაფართოება, რასაც თავგამოდებით ეწინააღმდეგებოდნენ ისეთი ფილოსოფოსები, როგორებიც იყვნენ პლატონი და არისტოტელე, რომლებსაც მიაჩნდათ, რომ სალამინთან სპარსელებზე მოპოვებული საზღვაო გამარჯვების შედეგად ბერძნები მიიღებდნენ პოლიტიკურ დემაგოგიას, კულტურულ დეგრადაციას და ქვეითი ჯარის საბრძოლო სულისკვეთების ნგრევას.

ბერძნული ფლოტი ძალიან ძვირი ჯდებოდა და ამასთან ერთად, არ ემორჩილებოდა აგრარულ შეზღუდვებს სამიწათმოქმედო ხარჯებზე. მეზღვაურების ხელფასი, ფლოტის შენახვისა და გემთსაშენების აგება მოითხოვდა უზარმაზარ ხარჯებს, რის გამოც საბერძნეთის საზღვაო ძალებს, თავისი არსებობა რომ გაემართლებინათ, უნდა გამოეძებნათ ახალი შემოსავლის რესურსები. მაგრამ სავაჭრო საქმიანობა პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა ქალაქ-სახელმწიფოს წარმოშობის აგრარულ საწყისებს. ცოტა იყო ისეთი სახელმწიფო, რომელსაც ფლოტის შენახვა შეეძლო. ხანგრძლივი გაჭირვებებისა და პელოპონესის ომებთან დაკავშირებული ხარჯების გამო, ათენის იმპერია დასუსტდა, დაიშალა და ბერძნულმა ქალაქ-სახელმწიფოებმა ვეღარ შეძლეს თავისი ფლოტების აღორძინება. გემების აღჭურვა, მოქალაქეთა არმიებისგან განსხვავებით, მოითხოვდა სახელმწიფო ხარჯებს და წარმოადგენდა მთავრობის ჩარევას ტრადიციულად კერძო სამოქალაქო სფეროში.

სურ.67 ბერძენი და სპარსელი მეომრების ორთაბრძოლა

მოულოდნელად უფლოტოდ დარჩენილმა ქედმაღალმა სპარსმა დამპყრობლებმა, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 479 წლის გაზაფხულზე, აღმოაჩინეს, რომ გზა მოჭრილი ჰქონდათ. მათი მდებარეობა სრულიად გამოუსადეგარი იყო თავდაცვითი პოზიციის თვალსაზრისით, რადგან ქვეყნის ცენტრალური და სამხრეთ ნაწილებიდან თავმოყრილმა ჰოპლიტებმა შეადგინეს უზარმაზარი არმია და პატარა სოფელ პლატეასთან, ათენისა და ბეოტიის საზღვარზე უკანასკნელი წინააღმდეგობის კერა შექმნეს. სპარტელების დისციპლინამ, დორიულმა შუბებმა (დრამატურგ ესქილეს სიტ-

ყვებით რომ ვთქვათ, “რომლებმაც სისხლის ღვარი ადინეს უამრავ მსხვერპლს”), რომლებსაც ზურგს უმაგრებდა ათენელების ენთუზიაზმი და ქვეითების შიშისმომგვრელი მასა (მას შემდეგ, კლასიკურ საბერძნეთს აღარასოდეს გამოუყვანია ველზე 70 000 მებრძოლი), გატეხეს სპარსელების არმია და შემდეგ, გაქცეულებიც ამოხოცეს.



სურ.68 სპარსი მეომრები

არსებობს ათენელი სახელმწიფო მოღვაწისა და მხედარმთავრის, პერიკლეს ბიუსტი ჰოპლიტის კორინთული ჩაფხუტით. არავის იმდენი არ გაუკეთებია საზღვაო ძალების სიძლიერისა და მნიშვნელობის დასამტკიცებლად და კომბინირებული ძალებით ბრძოლის დასამკვიდრებლად, რამდენიც პერიკლეს. ის ცნობილია იმითაც, რომ მისმა სტრატეგიამ ათენში გარეუბნებიდან ხალხის ძალდატანებითი ევაკუაციისა, პელოპონესის ომის პირველ წლებში, ნათლად აჩვენა, რომ ათენს საზღვაო ძალების იმედი უნდა ჰქონოდა, და არა მხოლოდ ერთადერთი, დიდებული და გადამწყვეტი, მაგრამ სანახაობის მსგავსი ქვეითი ბრძოლისა.

სურ.69 ბერძნებისა და სპარსელების ბრძოლა



სურ.70 პერიკლე (ძვ. წ. 494-429), ათენის
გამოჩენილი სმხედრო და სახელმწიფო მოღვაწე

სპარსელებთან ომების შედეგები

იმ ბობოქარ დროს, როდესაც საბერძნეთს სპარსეთი შეესია, ხოლო შემდეგ სპარსელები დამარცხდნენ, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება დიდი სოციალური და კულტურული ძვრების დროს, შეგნებულად მოხდა მიბრუნება ომის წარმოების ტრადიციული სტანდარტებისკენ. ამ პერიოდის მასალაში ჩვენ კვლავ გვხვდება აღწერები ქვეითების "ომებისა", რომლებსაც ისინი ქალაქ_სახელმწიფოების საზღვრებთან ძველებურად აწარმოებდნენ: ტრადიციული, ერთსაათიანი ერთმანეთის პირისპირ დგომა დისპეას ბრძოლაში (471 წელი ჩვ. წ.-ამდე), ტანაგრასთან და ოინოფიტასთან (457წ.) და ქერონეასთან (447 წ.). მაგრამ სპარსელებთან ბრძოლაში მიღებულმა გამოცდილებამ ჰოპლიტების ჯარზე ტბაში ჩაყრილი ქვების მსგავსად იმოქმედა, როცა რამდენიმე სხვადასხვა სახის ბრძოლაში ქსერქსეზე მოპოვებულმა გამარჯვებების შედეგებმა ნელ-ნელა, პატარ-პატარა ტალღებად მიაღწია ყველა ქალაქ-სახელმწიფოს. ახალ რეალიებში განსაკუთრებული მნიშვნელობით გამოირჩეოდა ორი მოვლენა, რომლებიც გვეხმარება ქალაქ-სახელმწიფოს ომის წარმოების მეთოდებში გამოწვეული მწვავე გარდატეხის ახსნაში.

პირველი, ეს არის ის ფაქტი, რომ სპარსელებზე გამარჯვების შემდეგ, პრესტიჟულის და დაწინაურებულის სტატუსი წილად ხვდა მხოლოდ ორ ქალაქ-სახელმწიფოს – სპარტასა და ათენს. ორივე იყო არაჩვეულებრივად მძლავრი, არატიპიური, და მეტიც, მკვეთრად გამორჩეული ქალაქი-სახელმწიფო, რომელსაც უნარი შესწევდა, უგულვებელეყო ძველი, აგრარული ომის წარმოების წესები. დაახლოებით 200 000 ილოტიდან, ანუ დაქირავებული მონიდან, რომლებიც მესანიისა და ლაკონიის ფერმებში მუშაობდნენ, სპარტელებმა ბრძოლის ველზე გამოიყვანეს პროფესიონალი ჰოპლიტები, რომლებიც ერთი წელი მსახურობდნენ ქვეით ჯარში. მათზე არ ვრცელდებოდა ქვეით ჯარში მცირე მიწათმფლობელებისთვის დაწესებული აგრარული შეზღუდვები.

მეორე ის გახლავთ, რომ არა-ჰოპლიტური ჯარების წარმატებამ სპარსელებთან ომებში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ბერძნებზე. საბრძოლო ხომალდები, მსუბუქად შეიარაღებული მებრძოლები და ცხენოსნები (კავალერია) ამ ომში სხვადასხვა თეატრებზე და სხვადასხვა თავისებურებების მქონე ადგილზე იყვნენ წარმოდგენილნი და ყველგან ხაზგასმით გამოიკვეთა, თუ როგორი დაუცველი და სუსტი შეიძლებოდა აღმოჩენილიყვნენ ბერძნული ჰოპლიტური ფალანგები ნებისმიერი მოწინააღმდეგესთან შედარებით, რომელიც გადაწყვეტდა (რაც მისი მხრიდან ბრძნული იქნებოდა) არ შეხვედროდა მათ პირისპირ, ერთ გადამწყვეტ ბრძოლაში.

ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოების პრობლემა მხოლოდ ის არ იყო, რომ ისინი ასეთ მრავალფეროვან კონტინგენტს ვერ ჩააბამდნენ ბრძოლაში, არამედ უფრო ის, რომ ასეთი მრავალფეროვანი ჯარების გამოყენებას სდევდა გარდაუვალი სოციალური გამოწვევები, რომლებთან გამკლავება ძნელი იყო. მიენიჭებინათ ნიჩბოსნებისთვის, მსროლელთა რაზმებისთვის, ან ცხენოსანი ჯარისთვის სამხედრო თვალსაზრისით იგივე მნიშვნელობა და გამორჩეულობა, რაც ჰქონდათ ქალაქ-სახელმწიფოების მიწათმოქმედ მებრძოლებს, რომლებიც წარმოადგენდნენ ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოების სტრუქტურისა და იდეოლოგიის ძირითად ნაწილს, ძნელი იყო, მაგრამ ბერძნები ამ კომპრომისზე წავიდნენ. მიწათმოქმედები თავისი მძიმე ჯავშნითა და შუბებით აღარ იყვნენ სოციალური და პოლიტიკური პრივილეგიების გარანტირებულად მქონე. როგორც არისტოტელემ თავის ,,პოლიტიკაში” აღნიშნა, ,,ქალაქ-სახელმწიფოში მათ, ვინც იბრძვის, აქვთ უმაღლესი ხელისუფლება, ხოლო ისინი, ვისაც აქვს შეიარაღება, არიან მოქალაქეები.”

სურ.71 ანტიკური ათენის ცენტრი-აგორა

პელოპონესის ომი ათენსა და სპარტას შორის არ იყო გამოცხადებული რომელიმე დღეს, არც ერთი თუ ორი ზაფხულის განმავლობაში მიმდინარეობდა. სისხლისმღვრელი და გამანადგურებელი ბრძოლები გრძელდებოდა ოცდაშვიდ წელიწადს. ძნელი არაა დავინახოთ, რატომ მოხდა ასე. ათენელებმა თავისი სასოფლო-სამეურნეო მიწები სპარტელებს დაუტოვეს და უარი თქვეს

სპარტის უძლეველი ჰოპლიტების წინააღმდეგ ერთ გადამწყვეტ ბრძოლაზე. იმ მიწათმოქმედების შესახებ, რომლებიც ვალდებული იყვნენ, ქალაქის კედლებში შესულიყვნენ, იქ შეეფარებინათ თავი, თუკიდიდე გულისამაჩუყებელი სიტყვებით აღნიშნავს: ,,ათენელების უმეტესობა ისევ თავის საოჯახო მეურნეობებში ცხოვრობდა, ოჯახთან და სახლეულობასთან ერთად და შესაბამისად, სულაც არ აპირებდა საცხოვრისის სასწრაფოდ დატოვებას, განსაკუთრებით იმიტომ, რომ სპარსელებთან ომების შემდეგ ის-ის იყო დაიბრუნეს მიწები და აღადგინეს მეურნეობა. უდიდესი იყო მათი უკმაყოფილება და მწუხარება, როდესაც თავიანთ სახლებს ტოვებდნენ."

სამაგიეროდ, ათენი, რომელიც ალყაშემოტყმული იყო, თანდათან სულ უფრო მეტი საკვებისა და სხვადასხვა ნედლეულის იმპორტს აწარმოებდა საზღვაო პორტ პირეუსის გამოყენებით და იმავე დროს, ამ პორტიდან თავის დიდებულ ფლოტს აგზავნიდა საზღვაო იმპერიის გასამყარებლად და პელოპონესელი ჯარების მცირე შეღწევების (ინფილტრაციების) აღსაკვეთად. სპარტამ კი სამიწათმოქმედო ნათესების განადგურების ძველი სტრატეგია არაეფექტურად მიიჩნია, რადგან მისი ჰოპლიტების ის ნაწილები, რომლებიც ატიკაში იყვნენ განლაგებულნი, ვერ შეძლებდნენ ათენელების ვერც საბრძოლველად გამოწვევას და ვერც ქალაქის ეკონომიკურად დასუსტებას. ამიტომ, ორივე მეომარმა მხარემ ყურადღება სხვა, მეორეულ სამოქმედო თეატრებზე გადაიტანა ეგეოსის ზღვის სამყაროსა და მცირე აზიაში. ამ უკანასკნელ რეგიონში, სახელმწიფოების ტერიტორიებზე გამართულ ომებში, ჩვ. წ. - მდე 421-404 წლებში, ათენი თავის ჰოპლიტებს კომბინირებულ საზღვაო ოპერაციებში იყენებდა, მაშინ როცა სპარტას და მის მოკავშირეებს ძლიერი, განვითარებული ფლოტი ჰყავდათ. პელოპონესის ომის მთელი დროის განმავლობაში, არ მოხდარა ძველებური სტილის სამ თუ ოთხ ბრძოლაზე მეტი. ჯარები შეივსო დაქირავებული მებრძოლებით, მსუბუქად შეიარაღებული მსროლელთა რაზმებით, მეზღვაურებითა და საალყო საქმის ინჟინრებით. ყველა სახეობა ძვირი ჯდებოდა და ორივე დაპირისპირებული მხარისთვის კატასტროფული ის იყო, რომ არც ერთს ამ სახეობათაგან აშკარად არ შესწევდა ძალა ერთ გადამწყვეტ ბრძოლაში გაენადგურებინა ან დამამცირებლად დაემარცხებინა მოწინააღმდეგე.

სურ.72 ათენის აკროპოლისი (მთავარი ტაძარი)

სტრატეგია გამოკვეთილად გამოჩნდა, როდესაც ათენელებმა სპარტელების ტერიტორიაზე შეჭრის რამდენიმე უმნიშვნელო მცდელობა განახორციელეს და რაც ყველაზე ტრაგიკული იყო, დაკარგეს 40 ათასი მეომარი, მთელი საექსპედიციო ძალა, რომელიც ათასი მილის დაშორებით იყო გაგზავნილი და ზედიზედ რამდენიმეჯერ დამარცხდა, სანამ სირაკუზის ბრძოლა (სიცილიაში) გაიმართებოდა (415-413 წ.). თუკიდიდემ ასე შეაჯამა სამხედრო ძალების სრული განადგურების ეს ახალი ბერძნული გამოცდილება: ,,ათენელები სასტიკად დამარცხდნენ ყველა სფეროში და მათი მთლიანი დანაკარგი უზარმაზარი იყო. მათი ძალები განადგურდნენ და როგორც გადმოცემები გვეუბნება, ეს იყო აბსოლუტური განადგურება – აღარ არსებობდა მათი ფლოტი, მათი არმია და მხოლოდ ცოტანი დაბრუნდნენ შინ.” სპარტელებმა მეტი პრაგმატულობა და სისტემური მიდგომა გამოიჩინეს ატიკაში ჯარის ჩაყენებით, სადაც ხელს უწყობდნენ დეზერტირობას და ადგილობრივი ვაჭრობის დასუსტებას, მთელი ამ ხნის განმავლობაში მიმართავდნენ აქტიურ ზეწოლას, ეგეოსის ზღვის სივრცეში ათენისთვის ხარკის გადამხდელი მოკავშირეების ჩამოცილების მიზნით, რადგან ეს ხარკი ქალაქ-სახელმწიფოს დედაქალაქისთვის წარმოადგენდა სასიცოცხლო წყაროსა და სამხედრო რეზერვს.

რა გასაკვირია, რომ თითქმის სამი ათეული წლის შემდეგ, 404 წელს, როცა ომი დასრულდა, ათენი წარმოადგენდა გაკოტრებულ, გამოფიტულ და დემორალიზებულ ქალაქ-სახელმწიფოს. მაგრამ სპარტა და მისი მოკავშირეებიც ისეთ მდგომარეობაში არ იყვნენ, რომ მთელ საბერძნეთში ჰეგემონია აეღოთ საკუთარ თავზე. პელოპონესის ომებისგან დარჩენილ ნანგრევებში ძველი ქალაქ-სახელმწიფოების აგრარული ომები დასრულდა, რადგან ცხადი გახდა, რომ ომის წარმოება ახლა უკვე ნიშნავდა კონფლიქტის გაფართოებას და გადატანას მატერიალური ხარჯითა და მსხვერპ-ლით გამორჩეულ ახალ სივრცეებში.

მეოთხე საუკუნე

მომდევნო საუკუნეში, ერთგულება კოლონებად დაწყობილი ქვეითი ჯარის გამოყენებით ბრძოლისადმი ჯერ კიდევ არ იყო მეხსიერებიდან წაშლილი. მიუხედავად იმდროინდელი სწავ-ლულების მცდელობებისა, აღმოეჩინათ რაიმე ტაქტიკური ევოლუცია ჰოპლიტების ფალანგების საბრძოლო ხერხებში – რეზერვების გამოყენება, სამხედრო ხრიკები, მანევრი – აღმოჩნდა, რომ ჩვ. წ.-მდე მეოთხე საუკუნეში შეტაკებები კოლონებად დაწყობილ ქვეით ჯარებს შორის თითქოს ოდნავ შეიცვალა; კერძოდ, ეს გამოჩნდა მძიმედ აღჭურვილი ჰოპლიტების ბრძოლაში მონტინე-ასთან (362 წ.). მაგრამ რეალურად, სავარაუდოდ ყველაზე განსხვავებულ, ,,რევოლუციურ” ბრძო-ლების პრაქტიკაშიც კი, ყველაფერი თითქმის იგივე დარჩა, რაც იყო სამი ასეული წლის წინანდელ ჰოპლიტი მეომრების ბრძოლებში – 371 წლის ბრძოლა ლევქტრასთან საბრძოლო წყობით, ხერხებ-ით და სულისკვეთებით ძალიან ჰგავდა ბრძოლას ჰისიესთან 669 წელს. თავზარდამცემი, დაუნ-დობელი შეტაკების შემდეგ სპარტელ და თებელ ჰოპლიტებს შორის, ქერონეის მეორე ბრძოლაში, თვითმხილველმა ქსენოფონტემ მისი ადვილად განსაჭვრეტი შედეგები სიტყვაძუნწად ასე შეაჯამა: ,,ისინი ეჯახებოდნენ ერთმანეთს, აწვებოდნენ ერთმანეთს, იბრძოდნენ, ხოცავდნენ, და იხოცე-ბოდნენ.” ის, რაც შეიცვალა, თან რადიკალურად, იყო არა ბრძოლა, არამედ ზოგადად ომი, ომის მეთოდები. ბრძოლის პროცესის შემადგენლები ახლა იყო მოკლე შეტაკებებისთვის მსროლელთა რაზმების ყოლა, ჯარის ჩაყენება მაღალმთიან გადასასვლელებზე, დაქირავებული რაზმების რეი-დები, საზღვაო იერიშები, ალყები და გამაგრებული ნაგებობების საწინააღმდეგო მოქმედებები. გაჩნდა ახალი რეალობა - ნადავლისა და ტყვეების ხელში ჩაგდება, რადგან ომი იქცა სახელმწიფოს

დედაქალაქისთვის შემოსავლის წყაროდ, სახელმწიფოს ბიუჯეტის შევსების ძირითად გზად. და ეს ვითარება ისეთი იყო, როგორიც უნდა ყოფილიყო, რადგან როცა საბერძნეთი ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეხუთე და მეოთხე საუკუნეებში ხმელთაშუა ზღვის ისტორიულ არეალში ხელახლა შევიდა, ბერძნული ქალაქი-სახელმწიფო კვლავ დომინირებდა თავისი განსაკუთრებული სამეგით: მცირე მიწათმესაკუთრე ანუ პროდუქტის მწარმოებელი/ქვეითი მებრძოლი ჰოპლიტი/კანონმდებელი და წარმოადგენდა ჩაკეტილ სისტემას. ის არ ამჟღავნებდა მიდრეკილებას აეთვისებინა და მიეღო არა-მიწის მესაკუთრეობით გამდიდრება, კავშირები ნიჭით გამორჩეულ უცხოელებთან, ბრძოლა სხვა ძალებით, აგრარულ პრინციპზე დაფუძნებულ ფალანგებს გარდა. მაგრამ ჯინი ბოთლიდან უკვე გამოშვებული იყო: დასავლური ომის წარმოების მეთოდები, რომლებიც ჩამოყალიბდა როგორც აგრარული ქალაქ-სახელმწიფოს დაცვის საშუალება, შესული იყო თავის ყველაზე დახვეწილ და ამავე დროს, უფრო ლეტალურ ფაზაში – ისეთში, რომელმაც მოიშორა ყოველგვარი სოციალური შეზღუდვები თუ აკრძალვები, მაგრამ რომელიც ჯერ ისევ იკვებებოდა ბერძნული გენიით - მუდმივი განახლებისა და სათანადო რეაგირების ნიჭით.

ქსენოფონტე: სტრატეგიული თეორიის საწყისები

ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეშვიდე-მეხუთე საუკუნეებში მიწათმოქმედი მებრძოლების, ჰოპლიტების აზროვნებაში შეიმჩნეოდა მიდრეკილება სამხედრო სფეროში სიახლეების სრული ჩახშობისადმი, მაგრამ მეხუთე საუკუნის ბოლოს ომის წარმოების მეთოდები გართულდა და ათასობით ჯარისკაცის დახოცვის ,,მეცნიერება" ბერძნული ინტელექტუალური ტრადიციების მთავარ ნაკადს შეუერთდა. პელოპონესის ომის შედეგად ბერძნული ქალაქი-სახელმწიფო თანდათან დასუსტდა და გაცამტვერდა, რამაც ბიძგი მისცა ახალი ძალებისა და ტექნიკური საშუალებების გაჩენას, რომლებიც თავისუფალი იყო თვითკმაყოფილ მიწათმოქმედ მებრძოლთა მხრიდან მკაცრი კრიტიკისაგან. ომის წარმოების ბერძნულმა მეთოდებმა მოიცვა ლოგისტიკა, დაბანაკება, ალყის ხელოვნება და დაპყრობილი მიწების ოკუპირება და მათზე კონტროლის დამყარება.

მეხუთე საუკუნეში განსაკუთრებულ ზენიტს მიაღწია ბერძენი ფილოსოფოსებისა და რიტორების შემოქმედებამ, რომელიც ხაზგასმით პედაგოგიური და პრაგმატული ხასიათის იყო. კონკრეტულად, ისინი ცდილობდნენ, მიესადაგებინათ დიალექტიკა, ენა და ინდუქციის მეთოდები პრაქტიკული სფეროებისთვის: სოფლის მეურნეობა, მედიცინა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, პოლიტიკა და რა თქმა უნდა, ომი. სამხედრო სფერო იქცა სწავლისადმი ამ სისტემატიზებული და რაციონალური მიდგომის ერთ-ერთ კატეგორიად. ქსენოფონტე (428-354) საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს ბრძოლის ველზე მიღებული გამოცდილების და ფილოსოფიური მომზადების დონის ნარევისა. გარკვეული თვალსაზრისით, ის შეიძლება დასავლეთ სამყაროს სამხედრო ინტელექტუალური ტრადიციების ფუძემდებლად ჩავთვალოთ. მრავალი კამპანიის მონაწილემ და სოკრატეს მიმდევარმა ქსენოფონტემ რამდენიმე სახელმძღვანელო დაწერა, მათ შორის ,,კავალერიის მეთაური ", ,,ცხენოსანი ჯარის შესახებ " და ,,გამოჩენილი საქმეები, ეკონომიკა და განათლება კიროსის დროს", სადაც ის მსჯელობს მხედართმთავრებზე, ტაქტიკასა და სტრატეგიაზე.

ყველა მის ნაშრომში გამოკვეთილია ზნეობრივი მხარე; მოსაზრებებში დევს ბერძნული ომის წარმოების მეთოდების კრიტიკა; შეთავაზებულია ორიგინალური და ზოგჯერ რადიკალური ცვლილებებიც. ფართო საზოგადოება ქსენოფონტეს ნაწერებს არ იცნობდა, მაგრამ მის ნაშრომებში ჩანს, რომ ის საკითხები, რომლებსაც იგი ეხება, ძალიან საჭირბოროტო იყო ჩვ. წ.-მდე მეოთხე

საუკუნის ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოების ლიდერებისა და პროფესიონალი დაქირავებული ჯარების მეთაურებისთვის.

ქსენოფონტეს თანამედროვემ, პრაგმატიკოსმა ენეასმა (360 წ. ჩვ. წ.-მდე) ასევე დატოვა თავისი კვალი სამხედრო სფეროში. მართალია, დაიკარგა მისი საკმაოდ მოზრდილი ნაშრომი ,,სამხედრო მზადება" , მაგრამ მოზრდილი თავი, რომელიც შემორჩა ,,როგორ გადავირჩინოთ თავი ალყის დროს" ფარავს ყველაფერს; ჩვეულებრივი, ბანალური საკითხებიდან დაწყებული (პაროლები, სახმობი სიგნალები საყვირით, გვირაბების გაყვანა, სიგნალები კოცონით) უფრო ფართო საკითხებით დამთავრებული (როგორ ჯობია დაქირავებული ჯარის გამოყენება, რომ ის შედეგის მომტანი იყოს, როგორ უნდა გახორციელდეს მოულოდნელი თავდასხმები და როგორ უნდა შედგეს და შესრულდეს ევაკუაციის გეგმა).

სამწუხაროდ, ყველა ბერძენი სამხედრო მოაზროვნისგან მხოლოდ სახელიღა შემორჩა. მათი ნააზრევის შემდგომი გამოყენება, დისკუსიები და განვითარება ფალანგების ტაქტიკის შეცვლის, ბალისტიკის, გასამაგრებელი სამუშაოების და ალყის ხელოვნების სფეროში, დაკარგულია. მაგრამ, ამის მიუხედავად, მათ ჩაუყარეს საფუძველი ცოცხალი, პრაქტიკული სამხედრო გამოცდილების კვლევას.

სამხედრო თეორიის უფრო პედანტური მოაზროვნეები გამოჩნდნენ რომის იმპერიის პერიოდში და შუა საუკუნეებში. ბევრი მათგანისთვის ბერძნული ტექსტები, ან მათი ლათინური თარგმანი, რომელზეც ხელი მიუწვდებოდათ, იყო ყველაზე ახლო პირადი გამოცდილება, რაც მათ გააჩნდათ სამხედრო დაგეგმვისა და ორგანიზაციული საკითხების სფეროში. სწორედ მათი მწიგნობრული, მეცნიერული ნაშრომების წყალობით შემორჩა ბერძენი სამხედრო მოაზროვნეების სახელები და თხზულებები.

ღმერთები და გმირები, როგორც ქალაქ-სახელმწიფოს მებრძოლი მოქალაქეები

ჰოპლიტების ომის წარმოების განსაკუთრებულობა ხაზგასმით ინერგებოდა ბერძნულ საზოგადოებაში სიმბოლოების, გამოსახულებების და რიტორიკული ხელოვნების საშუალებით. მაგალითად, თითქმის ყველა ბერძნული ტაძარი სავსე იყო ბრძოლების ამსახველი ნახატებით, სკულპტურებით, გამოსახულებებით შენობის წინა კედელზე და სხვა. ამ გამოსახულებებზე ბერძენი ქვეითი მეომრები ნახევრად ღმერთებად იყვნენ წარმოსახული, ზოგჯერ კი ოლიმპოს ღვთაებების სახითაც. ყველა ეპიკური გმირის მოქმედებანი და თავგადასავალი გარდასახული იყო ტრადიციული ჰოპლიტური ბრძოლების სურათებად. ბაზრებში და სავაჭროებში ადამიანი ნახავდა სულის შემძვრელ პანორამებს, მაგალითად, მარათონის ბრძოლისა. გამყიდველს და მყიდველს მუდმივად უნდა ხსომებოდა ათენელი ქვეითების გამოჩენილი ღვაწლი.

ჰოპლიტი მებრძოლები ფიგურირებდნენ წმინდა ადგილებშიც, მაგალითად, ოლიმპოს, დელფოს, ისტმიას და ნემეას ტაძრებში, სადაც დებდნენ აღთქმას და სწირავდნენ შესაწირს, რომელიც უმეტეს შემთხვევაში წარმოადგენდა ქვეითი მებრძოლის იარაღს და საჭურველს. ბერძნულ სოფლებში უბრალო გასეირნებების დროსაც კი ადამიანი წააწყდებოდა გამოსახულებებს, მაგალითად გამოქანდაკებულს, რომლებზეც აღბეჭდილი იყო წარსული ბრძოლები და მოპოვებული ნადავლი. დაკრძალვის დროს წარმოთქმული ორატორული ნიმუშები ყოველთვის ეძღვნებოდა დაღუპულ ჰოპლიტებს. ათენის, ქალაქ-სახელმწიფოთაგან ყველაზე დემოკრატიული და საზღვაო ქალაქის, ორატორებიც კი, როცა აქებდნენ და ადიდებდნენ ცხენოსნებს, მსროლელთა რაზმებს, ან

ნიჩბოსნებს, ხაზგასმით იყენებდნენ ისეთ მეტაფორებს, რომლებშიც მათ ყოველთვის მებრძოლ ჰოპლიტებს ადარებდნენ.

ჰოპლიტის ჩაფხუტის მსგავსი თავით გამოსახული ბუ, რომელიც ათენის ბუს სახელითაა ცნობილი, აღჭურვილია ჰოპლიტური ფარით და შუბით; ეს არის ათენის მფარველი ქალღმერთის ათენას, როგორც სიბრძნის, ერთ-ერთი სიმბოლო. არსებობს ათენას სხვა გამოსახულებაც, სადაც ის უშუალოდ ქალღმერთად წარმოგვიდგება, რომელსაც ასევე უჭირავს ფარი და შუბი და უკეთია ყელსაბამი გველების გამოსახულებით, ამ შემთხვევაში, მისი პოზა მეომრულია. არსებობს აქილევსისა და აიაქსის, ეპიკური გმირების გამოსახულებები ჰოპლიტი მეომრების სახით.

სურ.73 ათენის ბუ

აღნიშნულის შედეგი იყო ის აურაცხელი რაოდენობის გამოსახულება და სიტყვიერი ხელოვნებით შექმნილი სახე, რომლებიც ყველგან ხვდებოდა მეომარსა თუ უბრალო მოქალაქეს – მივიდოდა იგი ტაძარში მსხვერპლშეწირვისთვის, წავიდოდა საყიდლებზე, ეწვეოდა ასამბლეასა თუ თეატრს. ყველგან მას შთააგონებდნენ, რომ არა კავალერია, არა ფლოტი, არა სხვადასხვა წარმოშობის რაზმები, არამედ ქვეითი მეომრების ფალანგები იყო ის ძალა, რომელიც იცავდა ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოს. შესაბამისად, სამ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში, ჰოპლიტების ომის წარმოების "წესები" და მათი თანმხლები აგრარული "ცხოვრების წესი" იყო ის, რასაც ერთნაირად მისდევდნენ ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოს მიწაწყლიანი თუ უმიწაწყლო მოქალაქეები.

ფალანგიდან ლეგიონამდე

დასუსტებული ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოები თავგამოდებულად – უფრო ხშირად, ტრაგიკულად – ცდილობდნენ ბრძოლის ახალი ხერხების გამოყენებას, იმის მიუხედავად, რომ ეს წესები სრულებით ეწინააღმდეგებოდნენ ტრადიციულ ჰოპლიტურ ბრძოლის ხერხებს და ტრადიციული აგრარული საზოგადოებისთვის დამახასიათებელ ომის წარმოების ეტიკეტს. იყო ნოსტალგია ძველი, ჩვეული წესებისადმი, მაგრამ პოლიტიკური ლიდერები ძალაუნებურად იდგნენ ახალი რეალობის წინაშე. ორატორი დემოსთენე აფრთხილებდა თვითკმაყოფილ ათენელებს:

,,დღემდე არსად ისე არ მომხდარა რევოლუციური გარდაქმნა და არ მიმდინარეობს მუდმივი გაუმჯობესების პროცესი, როგორც ომის ხელოვნებაში. მე ვიცი, რომ ძველად, სპარტელები, ისევე როგორც ყველა, ზაფხულობით ოთხ-ხუთ თვეს ანდომებდნენ მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე შეჭრას და მის დაპყრობას ჰოპლიტების და მოხალისე მოქალაქეების (სახალხო ლაშქრის) გამოყენებით, ხოლო შემდეგ შინ ბრუნდებოდნენ. ისინი ძველი წესის ისეთი მიმდევარი, ისეთი ღირსეული მოქალაქეები იყვნენ, რომ არასდროს არავისგან უყიდიათ თავისთვის ხელსაყრელი პირობები ფულით. მათი ბრძოლა იყო პირდაპირი და სამართლიანი.”

სოციალური სტატუსი ახლა ბრძოლის ველზე მოპოვებულ წარმატებებზე აღარ იყო დამოკიდებული. მდიდარ, საშუალო შემძლების და ღარიბ ბერძნებს ერთნაირად შეეძლოთ ცხენზე ამხედრება, მოკლე შუბის ან ნაჯახის ტყორცნა, ან გრძელი შუბის გამოყენება, ისევე როგორც დაქირავებულ მკვლელებსა და ბრძოლის ველზე ძალდატანებით გაწვეულ სახალხო ლაშქარს. გაქრა განსაკუთრებული ტოლობა: მიწათმოქმედი = ქვეით მებრძოლი. თავის ნაშრომში ,,გზები და საშუალებები”, ქსენოფონტე ჩიოდა, რომ ბერძნული ფალანგა კარგავდა ტრადიციულ პატივისცემას, რადგან ქვეით ჯარში იწვევდნენ ქალაქ-სახელმწიფოში მცხოვრებ სხვა ქვეყნიდან მოსულ მოქალაქეებს. ,,ქალაქისთვის შველა იქნებოდა ისიც, - რჩევას იძლეოდა ქსენოფონტე, - რომ ათენის მოქალაქეები ერთმანეთის მხარდამხარ იბრძოდნენ და არ იყვნენ ათქვეფილნი ლიდიელებთან, ფრიგიელებთან, სირიელებთან და სხვადასხვაგვარ ბარბაროსებთან, რომლებიც ცხოვრობენ ჩვენს ქალაქში და მოსახლეობის საკმაოდ დიდ ნაწილსაც შეადგენენ, მაგრამ არამკვიდრი, სხვა ქვეყნებიდან მოსული ხალხია.”

ამ მზარდი და მამაცი ახალი სამყაროს, კერძოდ, ჩვ. წ.-მდე მე-4 საუკუნის ბერძნული ომების სამყაროს მთავარი პრობლემა იყო დიდი ხარჯები. სატყორცნი მანქანების (კატაპულტების) ქონა, დაქირავებულ მსროლელთა რაზმების, მუდმივი სამხედრო-საზღვაო ძალების, პროფესიონალი მშვილდოსნების, მბრუნავი შურდულიდან მტყორცნელებისა და ქვის მტყორცნელების ყოლა, იმის უნარის ქონა, რომ ბერძნები ნებისმიერ დროს გაუმკლავებოდნენ ნებისმიერი სახის სამხედრო გამოწვევას, მოითხოვდა დიდ თანხებს. მაგრამ აშკარა იყო ისიც, რომ გადასვლა წლის განმავლობაში გაგრძელებულ სამხედრო ოპერაციებზე, ხმელთაშუა ზღვის აუზის ყველა თეატრზე, ასევე უეჭველად გამოიწვევდა საბერძნეთის სამხედრო განახლების სასიცოცხლო წყაროების – ვაჭრობის, სოფლის მეურნეობის და ქვეყანაში არსებული სტაბილურობის თანდათანობითსა და უწყვეტ ნგრევას.

ომი ძალზე ძვირადღირებული გახდა

მოგვიანებით, ბევრი ქალაქი-სახელმწიფო აღმოჩნდა ამ დილემის წინაშე: მათთვის შეუძლებელი იყო პროვოკაციული გამოხტომებისა და ტერიტორიის დატაცების ატანა, მაგრამ ასევე გაუჭირდებოდათ მუდმივი შეიარაღებული ძალების ყოლა, რომლებიც უზრუნველყოფდნენ სიმშვიდეს სახელმწიფოში. ქსენოფონტე ხედავდა, რომ ომის წარმოება სხვადასხვა ძალებით (კომპლექსური ძალებით) მუდმივად დაპირისპირებულ ქალაქ-სახელმწიფოებს შორის, მათი ხაზინებისთვის მეტისმეტად საზიანო იყო. ამიტომ საომარი მდგომარეობა ხანდახან მოითხოვდა უფრო პრაგმატულ, ვიდრე ჰეროიკულ პოზიციას. ,,შეიძლება ვინმემ მკითხოს, - მსჯელობდა ის, - თუ ქალაქი-სახელმწიფო დაზარალდება, მაინც მშვიდობიანი ურთიერთობა უნდა შეინარჩუნოს აგრესორთან? არა, რა თქმა უნდა, არა. მაგრამ იმას დაჟინებით ვამბობ, რომ უკეთესად შემოგვიტრიალდება საქმე, თუ არასოდეს გავუკეთებთ პროვოცირებას სხვას ჩვენი არასწორი საქციელით.”

მცირერიცხოვანი ჰოპლიტების ლაშქარმა მონტინეას არაგადამწყვეტი ბრძოლის შემდეგ, თებელებსა და სპარტელებს შორის გამართა რამდენიმე გადამწყვეტი, ინტენსიური შეტაკება, მაგრამ ასეთ შებრძოლებებშიც ფალანგებს არ გადაუწყვეტიათ ომის ბედი. რეალურად, უკანასკნელ დაპირისპირებას სპარტელ და თებელ ჰოპლიტებს შორის, არაფერი გადაუჭრია. საბერძნეთის ისტორიისადმი მიძღვნილ თავისი ნაწარმოების უკანასკნელ გვერდებზე ქსენოფონტე ამბობდა: ,,ვერც ერთმა მხარემ ვერ მოიპოვა უპირატესობა, ვერც დამატებითი ტერიტორია, დამატებითი ქალაქი თავის შემადგებლობაში, ან დამატებითი ზეგავლენა. ფაქტიურად, ამ ბრძოლის შემდეგ საბერძნეთში თავი იჩინა უფრო მეტმა დაბნეულობამ, მეტმა უწესრიგობამ, ვიდრე მანამდე იყო." საბოლოოდ რომ შევაჯამოთ, მას შემდეგ რაც ის თავის ბუნებრივ, ორიგინალურ, აგრარულ წესჩვეულებებთან დაკავშირებულ წესებს მოწყდა, ფალანგა თვითონ იქცა ტაქტიკურ პრობლემად: მოწინააღმდეგის დევნისთვის მოუქნელი, ის თითქმის სულ არ იყო მორგებული ველზე მოწინააღმდეგის მრავალგვარი ძალების განადგურების ამოცანას. მას აღარ შეეძლო ძველებური, თავდადებული ბრძოლით მიეღწია გადამწყვეტი შედეგებისთვის, სამაგიეროდ, ეს შეეძლოთ სახელმწიფოს მიერ დაქირავებულ სხვა ძალებს.

ამგვარად, ჰოპლიტების ერთადერთი, ცალკე აღებული გადამწყვეტი ბრძოლა ჩაანაცვლეს დაქირავებული მებრძოლების თავზეხელაღებულმა, თავმომწონე მეთაურებმა (ბრძოლის კაპიტნებმა) და მოხეტიალე დაქირავებულმა ჯარისკაცებმა, აგრეთვე საზღვაო-მოიერიშე მეკობრულმა რაზმებმა, რომლებიც არად აგდებდნენ ძველი ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოს ბრძოლის წესებს. ისოკრატე, ჩვ. წ.-მდე მეოთხე საუკუნის ათენელი ორატორი ჩიოდა, რომ მისი თანამოქალაქენი აღარ ირჩევდნენ სამხედრო მეთაურებს მოყვარულ პოლიტიკოსთა შორის და ნაცვლად, მიმართავდნენ ვიღაც არასანდო პროფესიონალ სამხედროებს. ,,ადამიანები, რომელთა რჩევებს ჩვენ მივყვებით უმნიშვნელოვანეს სფეროებში, ჩვენ არ აგვირჩევია მეთაურებად, ამგვარად, შეიძლება ითქვას, მათ ჭკუა-გონებას არ ვენდობით. მაგრამ ამავე დროს მათ, ვისი რჩევაც ჩვენ არ გვჭირდება არც საკუთარ საქმეში, არც ჩვენი ქალაქისთვის, ვაგზავნით ბრძოლის ველზე და ვაძლევთ შეუზღუდავ ძალაუფლებას." იყენებდნენ რა ალიანსს, კონტრ-ალიანსს, ხრიკებს და შეთქმულებებს, ძირითადი მოთამაშეები – ათენი, სპარტა, თებე, არგოსი, კორინთო, თესალია და სიცილია – მათ ხელთ არსებულ ყველა ძალას ხმარობდნენ, რათა შეენარჩუნებინათ ძალაუფლების უკვე შესუსტებული, მაგრამ მაინც მტკიცე ბალანსი მეოთხე საუკუნის პირველ ნახევარში, და მთელი ამ დროის განმავლობაში მათი ხედვის არეში იყო ჩრდილოეთიდან, მაკედონიიდან მომავალი საფრთხე.



სურ.74 ფილიპე II მაკედონელი (მეფობდა ძვ. წ. 359-336 წლებში), მაკედონიის მეფე არგეადების დინასტიიდან, ალექსანდრე მაკედონელის მამა

ფალანგის თავიდან გამოგონება

ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოებისთვის სამწუხაროდ, მეფე ფილიპე II მაკედონელი სულაც არ იყო მხოლოდ და მხოლოდ ძველი ჰოპლიტური ბრძოლების წინამძღოლი. კიდევ უფრო ნაკლებად იყო იგი უბრალოდ მოხერხებული, თავზე ხელაღებული მეომარი, რომელსაც შეეძლო სულ რაღაც რამდენიმე წლით ებატონა ბერძნულ თემებზე, ან მათთვის ხარკი დაეწესებინა. არა, ნაცვლად ამისა, გულმოდგინედ, ფარულად, ვერაგულად, 20 წელზე მეტი ხნის განმავლობაში (359-338) ფილიპე ქმნიდა უზარმაზარ ახალ არმიას, ამარაგებდა, წინამძღოლობდა მას და შექმნა ძალთა სტრუქტურა, რომელიც მკვეთრად განსხვავდებოდა მანამდე ბერძნების პრაქტიკაში არსებულისაგან. მის ფალანგაში მრისხანე, პროფესიონალ ფეხოსან მებრძოლებს, რომელთაც თანამედროვეთა კომენტარების თანახმად, მთელ მაკედონიაში სიმტკიცითა და ფიზიკური ძალით ბადალი არ ჰყავდათ, დაემატნენ ცხენოსანი მებრძოლები, არისტოკრატული წარმოშობის მხედრები, მძიმე აღჭურვილობის ელიტური ნაწილი. ქვეითი ჯარის კიდევ ერთი კონტინგენტი, ცხენოსნებზე ნაკლებად შეჯავშნული, იყვნენ ,,ფაროსნები", რომლებსაც ეკავათ პოზიცია მაკედონური მწკრივის ცენტრში, ფალანგის წინ. ფაროსნები, როგორც წესი, ის ქვეითები იყვნენ, ვინც უშუალოდ მიჰყვებოდნენ კავალერიის სწრაფ, გამანადგურებელ იერიშს და ქმნიდნენ უმნიშვნელოვანეს შუალედურ კავშირს ცხენოსანი ჯარის (კავალერიის) წარმატებულ იერიშსა და მომდევნო, უკვე უშუალოდ თვითონ ფეხოსანი ფალანგის გადამწყვეტ იერიშს შორის. პროფესიონალი მსუბუქი ქვეითების, შურდულიდან მტყორცნელების, მშვილდოსნებისა და შუბის მტყორცნელების კორპუსი ერთად ქმნიდა არმიულ შენაერთს, რომელსაც შეეძლო როგორც მოწინააღმდეგის წინასწარი დაბომბვა, ასევე ძირითადი ქვედანაყოფის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი რეზერვით მხარდაჭერის უზრუნველყოფა.

სურ.75 მაკედონური ფალანგა

დასახელებული მაკედონური კონტინგენტებიდან არც ერთი არ წარმოადგენდა რომელიღაც ძალის დანაწევრების შედეგად მიღებულ ნაწილს. ეს იყო შეიარაღებული ძალების გამრავალფეროვნების და დახვეწის შედეგი. ეს არ იყო კაკაფონია, მათი მოქმედებები შერწყმული იყო, როგორც სიმფონია. ისინი იყვნენ პროფესიონალი, სათანადოდ აღჭურვილი მეომრები. ფილიპე მეორეს ძალისხმევით ფალანგამ სრული რეაბილიტაცია განიცადა და ახალი მნიშვნელობაც შეიძინა;

მაგრამ ამ რეფორმის შედეგად ფალანგა კიდევ უფრო დაშორდა თავის აგრარულ ფესვებს. ჩვ. წ.-მდე მეოთხე საუკუნის ათენელმა მმართველმა იფიკრატემ იწინასწარმეტყველა ეს მრავალმხრივი სამხედრო ინოვაციები, როდესაც ბერძნებისთვის დამახასიათებელი სტილით შეადარა ახალი არმია ადამიანის ორგანიზმს: მსუბუქად შეიარაღებული ქვეითები – ხელები, კავალერია – ფეხები, ქვეითი ფალანგა –გულ-მკერდი და მხედართმთავარი – თავი.

მაკედონური ფალანგა

მაკედონური ფარის დიამეტრი ორჯერ ნაკლები იყო მის ჰოპლიტურ ვარიანტზე და ჩამოკიდებული იყო მხარზე, რაც საშუალებას აძლევდა ქვეით მებრძოლებს, მძიმე შუბი ორივე ხელით დაეკავებინათ და უფრო ახლოს ყოფილიყვნენ მიჯრილნი. მწკრივში, ჩვეულებრივ, თითოეული ჯარისკაცის სამანევრო სივრცე იყო დაახლოებით ორი მეტრი. სტანდარტული კოლონის სიღრმე იყო ან რვა, ან თექვსმეტი ფარის ტოლი. ჰოპლიტის უზარმაზარი, მძიმე აღჭურვილობა დიდ დახმარებას უწევდა მებრძოლებს ურთიერთდაცვის თვალსაზრისით, რაც მაკედონელებს არ ჰქონდათ, მაგრამ მაკედონელების არჩევანი მხოლოდ და მხოლოდ შეტევა იყო. ცოცხლად გადარჩენის საშუალებას მათთვის აღჭურვილობა კი არ წარმოადგენდა (რომელიც ჰოპლიტებისას ზომით და წონით ჩამოუვარდებოდა), ანდა მარჯვნივ მდგომი თანამებრძოლი, არამედ წინ გაწეული გრძელი შუბები, რომლებიც გადაულახავ სივრცეს ქმნიდნენ, საიდანაც მოწინააღმდეგე მაკედონელთა რიგებში ვერ შეაღწევდა. მაკედონელების ფალანგა გაცილებით უფრო მოწყვლადი იყო თავის ბერძენ წინაპართან შედარებით, მაგრამ გაცილებით მაღალი შეტევითი უნარით გამოირჩეოდა.

შუბების პირველი ხუთი რიგი პირველივე შეჯახებისას აღწევდა სამიზნეებს, შუბების წვერებისგან შექმნილი კედელი საშინელი ძალით ზეწოლას ახორციელებდა და ხოცავდა მოწინააღმდეგის მებრძოლებს, შემდეგ შუბებს ყალყზე შეაყენებდნენ, სწევდნენ ზევით და ისევ უშვებდნენ ქვევით და წინ; ამგვარი ზეწოლით უკუაგდებდნენ მოწინააღმდეგის შეტევას. ამ მოქმედებაში მონაწილეობდნენ ის მებრძოლებიც, ვინც იდგა ფალანგის შუა და უკანა რიგებში. ისინი აწეული შუბებით იგერიებდნენ მოწინააღმდეგის ნასროლ ისრებს, ხანჯლის დარტყმით ძირს აგდებდნენ დაჭრილ მოწინააღმდეგეს, მხრებით აწვებოდნენ და ცდილობდნენ გაეფანტათ მოწინააღმდეგე. შემთხვევითი დაზიანება, გამოწვეული ერთად შეჯგუფულ მებრძოლებს შორის მოკლე შუბებისა და ხანჯლების ტრიალით, სავარაუდოდ, საკმაოდ მრავალრიცხოვანი და სერიოზული იქნებოდა. ამ ხოცვა-ჟლეტის წინა ხაზზე, როგორც წერდა რომაელი ისტორიკოსი ლივიუსი, თითოეული რომაელი ალბათ ათი შუბის სამიზნე ხდებოდა, ამიტომ, თითოეული მაკედონელისთვის გადამწყვეტი იყო, რომ მუდმივად ერთ დონეზე სჭეროდა თავისი იარაღი, გაეწია წინ, ჩაესო მოწინააღმდეგისთვის და ისევ გაეწია უკან, მუდმივად დაკავებული ჰქონოდა მნიშვნელოვანი თავისუფალი სივრცე; ამისთვის უნდა ცდილიყო, ეპოვა გარკვეული ზღვარი (ზღვრული კიდე) წაწვეტებულ შუბების წვერებს შორის. ფიზიკური ძალების გამოფიტვა წუთების საქმე იყო, თუ გავითვალისწინებთ შუბების წონას და უკნიდან მოწოლილი რიგების ძალას. თითქმის არავის შეეძლო ეთქვა რამდენი მოწინააღმდეგის მეომარი ჰყავდა განგმირული თავისი შუბით (ან თუ ჰყავდა საერთოდ), შეტაკების დროს. წარმატება დამოკიდებული იყო მხოლოდ წინ მოძრაობაზე, დამარცხება საგრძნობი ხდებოდა ერთ ადგილზე შეგუბების და მოქმედების პარალიზების შემთხვევაში, რაც ფალანგის რიგებში პანიკას თესავდა. ფალანგისტები გარბოდნენ.

თუ შუბების წყება ძირს დაეშვებოდა, თუ ხმლებით აღჭურვილი მოწინააღმდეგის მეომრები კატაპულტირებას მოახერხებდნენ მაკედონელების ფალანგების შიდა რიგებში, ან კიდევ უარესი

– მათ რიგებში ფალანგების დაუცველი გვერდებიდან შეიჭრებოდნენ, ყველაფერი მომენტალურად მთავრდებოდა და მაკედონელების განადგურება გარდაუვალი იყო. დამხმარე იარაღი – ხანჯალი – ისევე აბსურდულად მოკლე იყო, როგორც შუბი იყო უაზროდ გრძელი. ის ვერ უზრუნველყოფდა მაკედონელი მებრძოლის დაცვას. ხოლო შუბის გამოყენება, რა თქმა უნდა, ვერ იქნებოდა ეფექტიანი რიგებში შემოჭრილი მოწინააღმდეგის გასანადგურებლად. მაგრამ ფალანგისტებისთვის ხანჯლისა და შუბის დაყრა და უკან, ზურგისკენ გაქცევა, კარგს არაფერს მოიტანდა, მხოლოდ გარღვევის ადგილს კიდევ უფრო გააფართოებდა. თანაც, ასეთი სამარცხვინო გაქცევა მიუღებელიც და შეუძლებელიც იყო ერთდროულად, რადგან ადამიანები მჭიდროდ იყვნენ შეჯგუფული და მთელი ტანის სიმძიმით ახორციელებდნენ ერთმანეთზე ზეწოლას.

სურ.76 მაკედონელი მხედრები

ფალანგის განლაგების სიღრმეში შეჭრისთანავე, ხმლებით შეიარაღებული მებრძოლები სასიკვდილო ჭრილობებს აყენებდნენ მომწყვდეულ და დაბნეულ ფალანგიტებს, სანამ ფალანგა მთლიანად არ დაიშლებოდა, ფალანგისტები გაშეშებულებივით იდგნენ, გაქცევას ვერ ახერხებდნენ და განაგრძობდნენ შუბების მთელი ძალით ჩაბღუჯვას, თუმცა პრაქტიკულად, უკვე ყველა თანამებრძოლი დაჩეხილი ან გაფატრული იყო. ფალანგის მეომარს ხშირად არც ესმოდა, რომ მისი აღსასრული მოახლოებული იყო. უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ბრძოლის შეგრძნება მის მიერ აღიქმებოდა შეხების შეგრძნებაში, ფიზიკურ ზეწოლაში, ყვირილსა და შეძახილებში, რადგან ამ მტვრის, სისხლისა და მორევივით მოძრავი სხეულების ზღვა აბრმავებდა, აბნევდა და აყრუებდა ადამიანს და შეუძლებელს ხდიდა არსებული ვითარების სწორ აკუსტიკურ ან ვიზუალურ აღქმას.

მაგრამ მაინც, თუ მამაცი მებრძოლები მოახერხებდნენ, რომ შუბები შეენარჩუნებინათ, ერთად მდგარიყვნენ ამ წაწვეტებული შუბებით და ემოქმედათ შეთანხმებულად, იმ დროს როდესაც ზურგიდან თანამებრძოლები აწვებოდნენ, მაშინ ეს ხოცვა და ჩეხვა სხვა მხარეს გადაინაცვლებდა. რეალურად, მას შემდეგ, რაც ფალანგა თავის შეტევის ტემპს აიღებდა და შუბოსნები წინ მიიწევდნენ, ვეღარაფერი შეაჩერებდა ბერძნული რკინის იარაღის ამ შემოტევას.

წარმოიდგინეთ მოწინააღმდეგის უიღბლო მებრძოლები, რომლებსაც ბასრი იარაღით სასიკვდილო ჭრილობებს აყენებდნენ, თან განმეორებითი შეტევებით. გამარჯვებულებისთვის მთავარი პრობლემა იყო შუბების წვერებიდან მოწინააღმდეგის დაქუცმაცებული აღჭურვილობის ნარ-

ჩენები და დაფლეთილი სხეულის ნაწილები მოეცილებინათ. რა თქმა უნდა, ამ საზარელ ჟლეტაში მონაწილეობდნენ არა მომხიბლავი ჭაბუკები, ლამაზად დაკუნთული სხეულებით, როგორებსაც მეთაურები ფალანგებისთვის არჩევდნენ, არამედ მძიმეწონიანი, უხეში, ხნიერი ვეტერანები, რომელთაც ყოფნიდათ ნერვები და ფიზიკური გამძლეობა, არასოდეს გადაეხვიათ მიცემული დავალების შესრულებიდან.

მაკედონიის მეფე ფილიპემ დიდი ორგანიზაციული და ტაქტიკური წვლილი შეიტანა დასავლური ომის წარმოების მეთოდების განვითარებაში. უპირველეს ყოვლისა, მაკედონური ფალანგა აღჭურვილობითა და ტაქტიკით მნიშვნელოვნად არ განსხვავდებოდა ქალაქ-სახელმწიფოების ტრადიციული ჰოპლიტური კოლონებისაგან. მაგალითად, გრძელი შუბი-სარისი, მაკედონელებმა შეინარჩუნეს, მაგრამ უფრო დააგრძელეს. ახლა მისი დაჭერა მხოლოდ ორივე ხელით იყო შესაძლებელი. მრგვალი ფარი დაავიწროეს, ისევე, როგორც წვივის ჯავშანფირფიტა. გულ-მკერდის რკინის აბჯრის ფირფიტები და მძიმე მუზარადები ტყავით ან შერეული მასალით შეიცვალა, ან მათზე საერთოდ უარს ამბობდნენ.

მაგრამ მასობრივი ქვეითი ბრძოლის მთავარი იდეა იგივე დარჩა. რომის ეპოქის სამხედრო თეორეტიკოსი ონასანდერი წერდა, რომ ,,მაკედონელების შეტევაზე გადასული ქვედანაყოფები კიდევ უფრო საშიში ჩანან თავისი ლაპლაპა აბჯრის და შუბების გამო და ეს შიში მოწინააღმდეგისთვის სულის შემძვრელია". მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ძალების შემცველი და მათ მიერ დაცული მაკედონელი შუბოსნების ფალანგა უფრო მომაკვდინებელი ძალის მქონე და უფრო უნივერსალური იყო, ვიდრე ტრადიციული ჰოპლიტური კოლონები. ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეორე საუკუნეში მოღვაწე ბერძენი ისტორიკოსი პოლიბიოსი წერდა, რომ თითოეული ქვეითი მებრძოლი, რომელიც უპირისპირდებოდა ამ ,,შუბების ქარიშხალს," იყო არანაკლებ ათი წამახვილებული რკინის წვერის სამიზნე. ისტორიკოსი აკეთებს დასკვნას: ,,ვერაფერი აღუდგებოდა წინ ფალანგას; რომაელი მებრძოლი თავისი ხმლით ვერც დაამსხვრევდა ათ შუბს, როცა შუბოსნები ზეწოლას ახორციელებდნენ, და ვერც გზას გაიკაფავდა მათ შორის." მაკედონელ მებრძოლებს შეეძლოთ ყურადღება მხოლოდ თავისი შუბების უსაშინლეს დარტყმის ძალაზე გადაეტანათ, ძველი ჰოპლიტების კომპლექსური მოქმედებების ერთიანი, უმძიმესი ტვირთისგან განსხვავებით; აღარ იყო საჭირო, რომ მებრძოლს, შუბის ქნევასთან ერთად, თავისი უზარმაზარი ფარით დაეცვა მარჯვნივ მდგომი თანამებრძოლი. თავდასხმა, გრძელი შუბები და წინ მიმართული მოძრაობა ახლა ერთადერთი კომპლექსი იყო, რომელიც ყველაფერს ცვლიდა; თავდაცვას, ფართო ფარებს და გვერდით მდგომზე ზრუნვას მნიშვნელობა აღარ ჰქონდა.

მაკედონელების მიზანი იყო არა საკუთარი საზღვრების დაცვა, არამედ წინსვლა და დაპყრობა. მაკედონური ფალანგის ზუსტად დანიშნულებისამებრ და მთელი ძალით გამოყენება, ჩვეულებრივ, წარმოშობდა გამანადგურებელ დარტყმას, როდესაც სამიზნე თვალთახედვის არეში გამოჩნდებოდა, ხოლო ცოტა ხანში განსაკუთრებულად მოწყვლადი ხდებოდა მაკედონელების ცხენოსანი ჯარისა და დამხმარე კონტინგენტის მოქმედების შედეგად. კავალერიის იერიშები, ეროს დარტყმების მსგავსად, მოწინააღმდეგეს პირდაპირ ფალანგების მოპრიალე, დაუნდობელი შუბების გრდემლზე მიაგდებდა. თუმცა, როგორც პოლიბიოსი ამბობდა, ქვეითების ამ მასას (შუბოსნებს) სიფრთხილე მართებდათ, რომ ყოველთვის ისეთი ადგილი შეერჩიათ, სადაც ,,არ იქნებოდა ორმოები, თხრილები, ბორცვები და წყლის არხები, რომლებსაც შეეძლოთ ასეთი შენაერთის შეფერხება და დაშლა." ქვეითებსა და კავალერიას შორის ასეთი კოორდინირებული მოქმედება

სრულიად ახალი მიმართულება იყო დასავლური ომის მეთოდების განვითარების გზაზე, რომელიც ბევრად სცდებოდა ჩვ. წ.-მდე არსებულ ბერძნების ყველაზე ახლებურ სამხედრო ხედვას.

მაკედონელების ოსტატობა

ფილიპე II მაკედონელმა დასავლურ ომის წარმოების მეთოდებში ახალი იდეოლოგია შეიტანა. იმდროინდელ პირისპირ ბრძოლის ტაქტიკურ ხერხებში კვლავ შედიოდა ფრონტალური იერიშები და გრძელდებოდა ზუსტად ისეთივე ბრწყინვალე სიმამაცის დემონსტრირება, როგორც ძველი ბერძნული ფალანგების ეპოქაში. დაპირისპირებული მასირებული ქვეითი შენაერთების ერთმანეთისკენ გაქცევა და შეჯახება, მოწინააღმდეგის განგმირვა შუბით, ისევ რჩებოდა კოლონებად მოწყობილი მაკედონელი ფალანგისტების საყვარელ ტაქტიკურ კრედოდ, მაგრამ ომი გადაიზარდა უფრო რთულ რამეში, ვიდრე იყო პირადი სიმამაცე, გამძლე ნერვები და ფიზიკური ძალა.

ვერც იმას ვიტყვით, რომ ულმობელი, შეუდრეკელი იერის მქონე მაკედონელები უბრალოდ ტერიტორიის დაპყრობის მიზნით ხოცავდნენ მოწინააღმდეგეს. უფრო საფიქრალია, რომ ბრძოლა, ძირითადად, წარმოადგენდა ამბიციური სახელმწიფო პოლიტიკის ინსტრუმენტს. ფილიპეს მიერ ამოქმედებული დაპყრობისა და მიწების წართმევის დესტრუქციული მექანიზმი სოციალური მღელვარებისა და ბობოქარი კულტურული გარდაქმნების რადიკალური წყარო იყო, განსხვავებით კლასიკური ბერძნული იდეოლოგიისაგან_შეენარჩუნებინათ და დაეცვათ აგრარული ერთობა, აგრარული საზოგადოება. ფილიპეს ჯარისკაცებიც, თავისი აღზრდითა და წვრთნით, არ ჰგავდნენ ბერძენ ჰოპლიტებს. დრამატურგი მნესიმარიოსი თავის ერთ-ერთ კომედიაში ასეთ სიტყვებს ათქმევინებს ტრაბახა მაკედონელ ფალანგისტს, რომელიც მოწინააღმდეგეს მიმართავს:

,, იცი, როგორი ადამიანების წინააღმდეგ მოგიწევს ბრძოლა? ჩვენ ალესილი ხმლებით ვსადილობთ და ბოლომდე ვსვამთ კაშკაშა ჩირაღდნებს, როგორც ღვინოს. დესერტად ჩვენთვის გადამსხვრეული კრეტული ხანჯლები მოაქვთ და ნაფოტებად ქცეული შუბის ტარები. ჩვენი ბალიში ფარია და სამკერდე აბჯრის ფირფიტები; ფეხებთან კი მშვილდები და შურდულები გვიწყვია. თავზე გვირგვინად კატაპულტის გირლანდა გვადგას".

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ფილიპე განსაკუთრებით მტრულად განწყობილი იყო თავისუფალ ქალაქ-სახელმწიფოებისადმი, რომელთა მოსახლეობას ძირითადად მცირე მიწათმფლობელი ჰოპლიტები შეადგენდნენ. ამით აიხსნება ჩვ. წ.-მდე მეოთხე საუკუნის კონსერვატულ ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოებში მოღვაწე ორატორთა მიერ ფილიპეს გადაჭარბებული სიმძაფრით აღწერა. მაგალითად, დემოსთენე მას უწოდებს ,,კოჭლ, ცალთვალა ურჩხულს, რომელსაც სიცოცხლე არ შეუძლია ბოროტი საქმეების გარეშე.... რადგან თავისი იმპერიის გაფართოებისთვის უსასრულო ბრძოლაში, მას სხეულზე დაუზიანებელი ადგილი არ დარჩენია..." – გამოდის, რომ ეს იყო საშიში ზეადამიანი, რომელიც ყოველთვის და ყველა საშუალებით საბრძოლველად მზად იყო. დემოსთენე აფრთხილებს ათენელებს:

,,თქვენ გსმენიათ, რომ ფილიპე დაუბრკოლებლად მოდის, მას ვერავინ აჩერებს და არა იმიტომ, რომ ძლევამოსილ ჰოპლიტურ ფალანგებს მოუძღვის. არა, ის მოუძღვის უსახლკარო, მომთაბარე მეომრების რაზმებს, კავალერიას, მშვილდოსნებს, დაქირავებულებს და სხვა არაერთგვაროვანი ბრბოსგან შემდგარ ლაშქარს. ამ ძალებით მას იერიში მიაქვს ხალხზე, ვინც ერთმანეთს ებრძვის, ერთმანეთთან უთანხმოება აქვს და ერთმანეთისადმი უნდობლობის გამო, არავინ გამოდის სამშობლოს დასაცავად. მას მოქმედებაში მოჰყავს არტილერია და აწყობს ალყას. აღარაა აუცილე-

ბელი იმის აღნიშვნა, რომ ფილიპესთვის არც ზამთარია, არც ზაფხული, წლის დროს მისთვის მნიშვნელობა არ აქვს, ის არასდროს ჩერდება, არ ისვენებს".

ქერონეასთან ბრძოლაში, მეფე ფილიპემ და მისმა 18 წლის ვაჟმა ალექსანდრემ დაამარცხეს ათენელებისა და თებელების ფალანგები და მათთან ერთად, საბოლოოდ გატეხეს საბერძნეთის ეროვნული წინააღმდეგობა. ამ ფაქტს ფრთხილად უნდა მივუდგეთ და ბერძნების გამანადგურებელი მარცხი მხოლოდ მაკედონელთა სიმტკიცესა და განსაკუთრებულ საომარ ოსტატობას არ უნდა მივაწეროთ. შეტევაზე გადასული ათენელები პანიკამ მოიცვა, რამაც დაასუსტა და ბოლოს დაარღვია ბერძენთა ხაზების ერთიანობა. ფილიპემ შეტევა განახორციელა თებეს და ათენის გაერთიანებულ ქვეით ჯარზე, შემდეგ კი ცრუ მანევრით უკან დასწია თავისი რიგები. ათენელების ჯარი მას მიჰყვა და მისი მარჯვენა ფლანგი მაკედონელების რკალში მოქცეული აღმოჩნდა. დაიწყო პანიკა. თებელები ამასობაში მტკიცედ იბრძოდნენ ჭაბუკი ალექსანდრეს წინააღმდეგ, მაგრამ ალექსანდრემ გაარღვია მათი რიგები და ალყა შემოარტყა. ეგრეთწოდებული ,,წმინდა ლაშქარი" თანდათან დასუსტდა, დაიშალა და გადარჩენილმა ნაწილმა თავს უშველა. ქერონეას ველზე დასრულდა ბერძნული ჰოპლიტური ფალანგის ეპოქა.



სურ.77 ქერონეას ბრძოლა (ძვ. წ. 338 წ.)



სურ.78 ჭაბუკი ალექსანდრე ქერონეას ბრძოლაში

მაკედონელების დისციპლინირებული ჯარით, რომელიც ცხენოსნებისა და ქვეითების უმაღლესი დონის ინტეგრაციის (ერთიანობის) ნიმუშს წარმოადგენდა, ბრძოლის ველზე ყველანაირი კონტინგენტის სრული მართვისა და კონტროლის უნარით, უფრო, ვიდრე მაკედონელების შუბების სიგრძით ან ფილიპეს ოსტატური ცრუ მანევრით, უნდა აიხსნას ჩრდილოელების დიდი ტრიუმფი. ბრძოლის შემდეგ, ველი მოფენილი იყო დაღუპული თებელებისა და ათენელების ცხედრებით. ,,წმინდა ლაშქარი" ანუ ჰომოსექსუალ შეყვარებულთა 150 წყვილი, დიდებული, სასიკვდილოდ დაჭრილი ხარ-ირმებივით ეყარა ძირს. მოგვიანებით, მათი დასაფლავების ადგილას დადგეს ქვის ლომის ქანდაკება, რომელიც დღესაც დგას იქ, თანამედროვე სამანქანო გზის პირას. ქერონეას ველზე დახოცილ ათენელებს, თავისუფალი ჰოპლიტი ქვეითი ჯარის უკანასკნელ თაობას, ეძღვნება გულის ამაჩუყებელი ეპიტაფია:

,,დროო, ყოვლისმხედველო ღვთაებავ ადამიანის ყველა საქმეში, იყავ შიკრიკი ყველასთან ამბის მისატანად ჩვენი უსაზღვრო ტანჯვის შესახებ, როგორ ვიბრძოდით საბერძნეთის წმინდა მიწის გადასარჩენად და დავიხოცეთ ბეოტიის განთქმულ ველებზე".

სურ.79 ალექსანდრე მაკედონელი, დიდი (მეფობდა ძვ.წ. 336-323 წლებში), გამოჩენილი მხედართმთავარი და სახელმწიფო მოღვაწე

სურ. 80 არისტოტელე (ძვ.წ. 384-322), ძველი ბერძენი ფილოსოფოსი, პლატონის მოწაფე და ალექსანდრე მაკედონელის აღმზრდელი

დასავლეთისა და აღმოსავლეთის შეხვედრა

მარათონისა და პლატეას ბრძოლებში მიღებული გამოცდილებიდან ბერძნებმა იცოდნენ, რომ სპარსეთის ჯარი არ იყო ძლიერი. ჩვ. წ.-მდე 410 წელს, ,,ბრწყინვალე ათი ათასი", ანუ სპარსელი უფლისწულის კიროსის მიერ დაქირავებული ბერძნების ლაშქარი, რომელთა დახმარებით მას ტახტის დაბრუნება სურდა, ამაში კიდევ ერთხელ დარწმუნდა, თუმცა თვითონ ბერძნები კიროსის სიკვდილის შემდეგ იძულებული გახდნენ, კუნაქსასთან ბრძოლის დროს, უკან დაეხიათ და გაქცეულიყვნენ. სპარტელებმა, რომლებიც ჩვ.წ-მდე 390-იან წლებში მცირე აზიიდან სპარსელების განდევნას ცდილობდნენ, აღმოაჩინეს, რომ ბერძნებისთვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა სპარსელების მიერ ველზე გამოყვანილი ნებისმიერი ქვეითი ქვედანაყოფის რიგების გარღვევა. ირონია ის იყო, რომ ბერძნების საექსპედიციო არმიის მთავარ პრობლემას წარმოადგენდა სპარსელების მიერ დაქირავებული თანამემამულეების - ბერძენი ჰოპლიტების ყველგან მყოფი ლაშქარი. მაგალითად, 367 წელს მცირე აზიაში ვიზიტის შემდეგ უკან დაბრუნებისას ბერძნების ქალაქ-სახელმწიფოს ელჩი, ანტიოქიუსი დაცინვით ამბობდა, რომ მან იხილა სპარსელი მეფეები, პურის მცხობლები, მზარეულები, მერიქიფეები და კარებთან მდგომი ყარაულები, მაგრამ მათ შორის არ შეხვედრია ისეთი ყაიდის ადამიანები, ვინც

სურ.81 სპარსი ქვეითები, ე.წ. „უკვდავნი"

ბერძნებს შეებრძოლებოდა. ,,ყურადღებით ვაკვირდებოდი, მაგრამ ვერავინ შევამჩნიე" – ამბობდა იგი.

სურ.82 მაკედონური მუზარადის, მახვილისა და აბჯრის ტიპები

იმდროინდელი ბერძნების მრავალ თაობას ჰქონდა აღმოსავლეთის დაპყრობის იდეა. ბოლოს და ბოლოს, სპარსეთის იმპერიის აურაცხელი სიმდიდრე განსაკუთრებით მაცდური იყო ბერძენი პოლიტიკოსებისათვის, იმის გათვალისწინებით, რომ საბერძნეთის ეკონომიკური სი-- რთულეები თანდათან იზრდებოდა და ძნელი ხდებოდა ეგეოსის ზღვის აზიურ ნაწილზე იმპერ- იული კონტროლის შენარჩუნება. მაგრამ ბერძნები ვერ ახერხებდნენ ჰოპლიტური ლაშქრის ძველი იდეის მიტოვებას და მის ადგილას ლოგისტიკური სისტემისა და საბერძნეთის ყველა ქალაქ-

სახელმწიფოდან შეკრებილი, ერთგული, გაერთიანებული არმიის შექმნას. ეს უნდა ყოფილიყო სოციალური და სამხედრო ნაერთი, რომლის მომარაგებით უზრუნველყოფა შესაძლებელი იქნებოდა დიდ მანძილებზე და ამავე დროს, შესაძლებელი იქნებოდა მათი გამოყენებით, მოწინააღმდეგის სხვადასხვა სახეობის ჯარებთან დაპირისპირება, ნებისმიერ ადგილზე. სწორედ ამ მიზნით, ჩვ. წ.-მდე მეოთხე საუკუნეში, სპარტის მეფემ აგესილოსმა, როგორც ჩანს, გადაწყვიტა ბოლო მოეღო ბერძნებს შორის გაუთავებელი ადგილობრივი ბრძოლებისთვის, მაშინ როდესაც სპარსელებზე თავდასხმა იყო გასახორციელებელი. ,,უნდა გავაგრძელოთ იმ ბერძნებთან ომი, ვისაც დამნაშავეებად ვთვლით, თუ უმჯობესია იმაზე ვიზრუნოთ, რომ საკმარისი ცოცხალი ძალა შეგვრჩეს ბარბაროსებთან საბრძოლველად.”



სურ.83 გავგამელას ბრძოლა (ძვ. წ. 331წ.)

მას შემდეგ, რაც მეფე ფილიპე მოკლეს (336 წელს), ოცი წლის ალექსანდრემ დაიწყო განსვენებული მამის გეგმების გახორციელება, სპარსეთში შეიჭრა და თავისი პირველი მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა მდინარე გრანიკუსის ნაპირზე, ჰელესპონტთან ახლოს (334 წელს). ამ დროს არ არსებობს ტერმინი ,,ტიპიური ალექსანდრესეული ბრძოლა”; არ არსებობს ზუსტი აღწერა და ჩამონათვალი ახალგაზრდა მხედართმთავრის ადრინდელი ტაქტიკური მიღწევებისა, მაგრამ თავის ამ პირველ დაუნდობელ ბრძოლაში ალექსანდრემ შექმნა მოდელი, რომლითაც შემდეგში გამოირჩეოდა მისი მომდევნო სამი წარმატებული ბრძოლა: ისუსთან (333 წ.), გავგამელასთან (331 წ.) და ჰიდასპესთან (326 წ.).

სურ.84 ღამე გავგამელას ბრძოლის შემდეგ (ძვ. წ. 331წ.)

ეს მოდელი ასეთი იყო: 1) ადგილობრივ, ხშირად არახელსაყრელ თავისებურებებთან ბრწყინვალე ადაპტაცია (ყველა ბრძოლა მიმდინარეობდა მდინარეზე, ან მასთან ახლოს); 2) საუკეთესო მეთაურობა, საკუთარი, ზოგჯერ საბედისწერომდე მისული გამბედაობის დემონსტრირებით, მძიმედ აღჭურვილი კავალერიის სათავეში; 3) გასაოცარი საკავალერიო იერიშები, რომელთა ფოკუსში მოქცეული იყო ერთი, ყველაზე კონცენტრირებული ადგილი მოწინააღმდეგის თავდაცვის ხაზში. ამ იერიშების მიზანი იყო მოწინააღმდეგის დაბრმავება, დაბნევა ისეთ მდგომარეობამდე, რომ გაქცეულები პირდაპირ თვითონვე მიემართებოდნენ დაწინაურებული, გამანადგურებელი შუბოსანი ფალანგებისკენ; 4) სპეციალური ქვედანაყოფების გამოყოფა საწყისი ცრუ შეტევებისთვის, ან უეცრად წარმოქმნილი ყველაზე სუსტი ადგილების დასაცავად (შესავსებად) და 5) მოწინააღმდეგის დევნა ან ველზე მისი ბოლომდე განადგურება, რაშიც აისახებოდა ალექსანდრეს იმპულსი მოწინააღმდეგე არმიების არა უბრალოდ დამარცხების, არამედ ბოლომდე განადგურებისა.

სურ.85 ალექსანდრე დიდი და მისი ცხენი ბუცეფალი

მაგალითად, მდ. გრანიკუსთან, ალექსანდრემ არად ჩააგდო ერთი შეხედვით აშკარად არახელსაყრელი პირობა - ადიდებულ მდინარეზე გადასვლა, რადგან აღმოაჩინა, რომ სპარსელებმა შეცდომა დაუშვეს და მსუბუქად შეიარაღებული ცხენოსნები დააყენეს დაქირავებულ ბერძნების ფალანგების წინ. მან თავისი მთავარი დარტყმა მიმართა ამ მწკრივის ცენტრისკენ. იმ მიზნით, რომ არ დაეშვა სპარსელების მასიური ძალების თავმოყრა ამ წერტილში, ალექსანდრემ იერიში დაიწყო თავგანწირული კავალერიის ძალებით, სპარსელების წინა ხაზის ცენტრიდან ცოტა შორს, უფრო

მარცხნისკენ, სადაც მოწინააღმდეგემ შეცდომით, სრულიად ინსტინქტურად, გააგზავნა გაძლიერება. მოულოდნელად, მდინარე გრანიკუსის მხრიდან თვითონ ალექსანდრე გამოჩნდა, რომელიც მძიმე კავალერიის სათავეში, სწორი ხაზიდან გადახრით, ირიბად მოემართებოდა. მოწინააღმდეგის კავალერია შეჯგუფდა, შემდეგ ნელ-ნელა გაიშალა და დაიწყო სასტიკი ხელჩართული ბრძოლა. პლუტარქეს ცნობით, ამ ბრძოლას კინაღამ შეეწირა ალექსანდრე, თავისი გამორჩეული აღჭურვილობის, მუზარადისა და ფარის გამო. მისკენ წამოვიდა მაშინდელი სასროლი იარაღის ცეცხლი. სატყორცნი შუბი შეაკავა მისმა სამკერდე აბჯრის ფირფიტებმა, ხოლო მუზარადი თითქმის გააპო დიდმა საბრძოლო შუბმა.

მაშინვე, მდინარე გადმოლახეს და ბრძოლაში ჩაებნენ მაკედონელების ფალანგები და ჰიპასპისტები – სპეციალური რაზმები, ფაროსნები, რომლებმაც სახელი განსხვავებული ფარის გამო მიიღეს. ისინი მორბოდნენ წყალში, ცოცვით ადიოდნენ ნაპირზე და როგორც გრძელი, წაწვეტებული შუბებით აღჭურვილ მეომრებს ისტორიულად სჩვეოდათ – ანადგურებდნენ მოწინააღმდეგის მსუბუქ კავალერიას. სპარსელების კავალერიის წინა რიგები შედრკნენ, დაქირავებული ბერძნული ფალანგები ასევე სწრაფად გარშემორტყმული აღმოჩნდნენ მარჯვენა და მარცხენა ფლანგიდან მაკედონელი ცხენოსნების მიერ. ალექსანდრეს არმიას ისღა დარჩა, რომ განწირული ძველბერძნული ფალანგებისთვის დერეფანი პირდაპირ მაკედონური ფალანგებისკენ გაეხსნათ, რომლებიც შეტევაზე გადმოდიოდნენ, რაც შესრულდა კიდეც. დაქირავებული ბერძენი მეომრებისგან არავინ დარჩა - ან დაიღუპნენ, ან ტყვედ ჩაბარდნენ. მაკედონელებისგან დაახლოებით 200 მებრძოლი დაიღუპა, ხოლო სპარსელებისა და დაქირავებული ბერძნების მსხვერპლი 10 ათასს აღწევდა. რა თქმა უნდა, ასეთი გამარჯვების შემდეგ, ყველა მაკედონელი – დიდგვაროვანი, გლეხი, თუ თავზეხელაღებული დამნაშავე – უსიტყვოდ გაჰყვებოდა თავის მეთაურს აზიის მდიდარი ტერიტორიის სიღრმეში.

სურ.86 აქემენიდთა სასახლის გვარდიელი

სურ.87 დარიოსIII (მეფობდა ძვ.წ. 336-330 წლებში)

მართალია, დრამატული იყო ეს საბრძოლო მნიშვნელობის შედეგრები, მტკიცე იყო ,,ბრძოლის სტრატეგია", რომელიც გულისხმობდა მოწინააღმდეგის ძალების განადგურებას, მაგრამ ძირითად, ყველაზე კულმინაციურ დაპირისპირებას დაჭირდა სულ ერთი კვირა, იმ თითქმის 3 600 დღიდან, რომლებიც ერთ მუდმივ დამპყრობლურ კამპანიას დაეთმო. ამგვარად, კარგი იქნება გვახსოვდეს, როგორ მიმდინარეობდა ნაკლებად ხოტბაშესხმული ალყები, მარშები, მცირე თავდასხმები და შეტაკებები, ის სამხედრო ოპერაციები, რომლებიც ასევე შეადგენდნენ მაკედონელების მიერ აზიური ცივილიზაციის განადგურების ხანგრძლივ პერიოდს, რომელიც თითქმის ათ წელს მოიცავდა. ალექსანდრე მაკედონელის პირადი სიმამაცის მაგალითები, განსაკუთრებით, მისი დიდებული, თითქმის თვითმკვლელობის ტოლფასი ჩვევა მოწინააღმდეგის რიგებში ღრმად შეჭრისა_მეტწილად მოჩვენებითი იყო იმ თვალსაზრისით, რომ ის ცივი გონებით გათვლის შემძლე ლოგისტიკოსი უფრო იყო, ვიდრე თავზეხელაღებული ადამიანი. მას ჰქონდა ნამდვილი ნიჭი თავის ლაშქარში აეყვანა ახლებურად მოაზროვნე ინჟინრები, ეკონომიკურად მოაზროვნე მომმარაგებლები, საღად მოაზროვნე სტრატეგები. ალექსანდრემ დასავლური სამხედრო ძალთა სტრუქტურის ორგანიზებაში შეიტანა არსებითად ახალი დისციპლინები და ასეთი სისტემური, მეთოდური მიდგომით გაშალა თავისი იმპერია აღმოსავლეთისკენ.

მაკედონელებს, წინამორბედი ბერძნებისა და თანამედროვე სპარსელებისგან განსხვავებით, ჩვეულებრივ, თან დაჰქონდათ თავისი აუცილებელი აღჭურვილობა და საგნები. მათ არ ახლდათ სატვირთო ფურგონების გრძელი აღალი, ქალები და მსხვილფეხა საქონელი. ,,როდესაც ფილიპემ თავისი პირველი არმია შექმნა, - წერს 400 წლის შემდეგ, რომაელი სამხედრო მემატიანე ფრონტინიუსი, - მან გასცა ბრძანება, რომ არავის ჰქონოდა საზიდარი. ცხენოსნებს მან მისცა უფლება, თითოეულს ჰყოლოდა ერთი მოსამსახურე, მაგრამ ქვეითებს ათ კაცზე უნდა ჰყოლოდათ ერთი თანმხლები, რომელსაც ევალებოდა კედლების სამსხვრევი აღჭურვილობის და თოკების ტარება. როდესაც არმია ზაფხულში სალაშქროდ გადიოდა, თითოეულ ადამიანს ებრძანებოდა ზურგით წაეღო ოცდაათი დღის სამყოფი საჭირო საგნები". ჩვეულებრივ, მომარაგებას აიძულებდნენ ადგილობრივ ოფიციალურ პირებს, კერძოდ, მათ წინასწარ უნდა უზრუნველყოთ სურსათის მარაგის შენახვა სადმე დათქმულ ადგილას, ისე რომ ალექსანდრეს სწრაფად და ადვილად მოძრავ არმიას შეძლებოდა მიღწევა ერთი საწყობიდან მეორემდე. რომაული ეპოქის სამხედრო მემატიანე პოლინიუსი წერდა: ,,ფილიპე აიძულებდა მაკედონელებს, დაეფარათ 300 სტადია (დაახლოებით 34 კმ.). მათ მიჰქონდათ იარაღი, ეხურათ მუზარადები, ეკეთათ წვივსაკრავი აბჯარი, მიჰქონდათ შუბები და აუცილებელი საგნები, მათ შორის, საყოფაცხოვრებო. რეკოგნოსცირებისა და დაპირებული, შენახული საკვების გარეშე კამპანიის ჩატარება უბრალოდ არ შეიძლებოდა. მათთან ერთად მოძრავი სავაჭრო ობიექტების უზარმაზარი აპარატი ხელს შეუშლიდა მებრძოლების სწრაფ გადაადგილებას, შეტევაზე სწრაფად გადასვლას და გადამწყვეტ, სწრაფ, ძლიერ დარტყმებს, რაც მათი უმთავრესი მიზანდასახულება და მითითება იყო. მოკლედ რომ ჩამოვაყალიბოთ, მაკედონური არმიის გადაადგილება ზუსტად ისეთი იყო, როგორიც მათი შეტევები".


საბერძნეთის იმპერია
ალექსანდრეს ლაშქრობების გზა
კასანდრე
ლისიმაქე
პტოლემე I
სელევკე I
საბერძნეთი
ეგვიპტე
სპარსეთი
ინდოეთი
მიდია
ალექსანდრია
ალექსანდრია-ესქატა
ალექსანდრია-მარგიანე
ალექსანდრია-არიონი
ალექსანდრია-პროფთაზია
ალექსანდრია-არაქოსია
ალექსანდრია-ოქსიანე
ალექსანდრია-ალექსანდრია
ალექსანდრია-ალექსანდრია
ალექსანდრია-ალექსანდრია
ბუხარა
სოგდიანე
ბაქტრია
ბაქტრია
ალექსანდრია
ალექსანდრია
ალექსანდ

სურ.89 საბრძოლო სპილოები

ელინისტური ეპოქის ხომალდები

ელინისტურ ეპოქაში ბატონობდა თავის მოწონების სურვილი და გიგანტიზმი, რომელიც აისახებოდა სამხედრო ტექნიკაზეც. სხვათა მსგავსად, სამხედრო ხომალდების ზომებიც სულ უფრო იმატებდა. ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეოთხე საუკუნის ბოლოს, ხუთგემბანიანი გემები, რომლებზეც ნიჩბოსნები იყვნენ განლაგებულნი, ჩვეულებრივი ამბავი იყო. მოგვიანებით, წყაროებიდან ვიგებთ შვიდ და რვა გემბანიანი გემების შესახებაც.

ეს შიშის მომგვრელი და პრესტიჟული მცურავი საშუალებები სრულიად გამოუსადეგარი გახლდათ კომბინირებული ძალებით ბრძოლაში. მათი ძალა ეფექტიანი იყო მხოლოდ მასიურ საზღვაო ბრძოლებში, შემოსაზღვრულ ყურეებში, ნახევარკუნძულოვანი ქვეყნების საზღვაო ციხესიმაგრეების წინააღმდეგ.

უზარმაზარ საბრძოლო ხომალდებზე გადასვლასთან ერთად თითქმის ერთდროულად მოხდა ახალი, სრულიად საპირისპირო მიმართულების განვითარება – გადასვლა მსუბუქ და უფრო ეფექტურ მცურავ საშუალებებზე, რომელთა ცოცხალი ძალის კონტინგენტი შედგებოდა მხოლოდ 50 ან ნაკლები, წყვილებად მოწყობილი ნიჩბოსნისაგან; ამ მსუბუქად აღჭურვილ გემებს "ზვიგენები" შეარქვეს;

აგრეთვე, იყო გემები, "ერთი- და ნახევარი", ანუ რომლებიც დადიოდნენ იალქნებითაც და თან ნიჩბოსნებზეც იყვნენ დამოკიდებული, ხოლო ეკიპაჟის ნაწილი, ნიჩბოსნობის გარდა, მოწინააღმდეგის ხომალდზე გადამსვლელი (აბორდაჟის შემსრულებელი) ქვეითები იყვნენ. ეს ხომალდები ძალიან ეფექტიანად მოქმედებდნენ ხმელთაშუა ზღვის მეკობრეების დევნაში და სავაჭრო გემების დაცვაში.

საზღვაო-კომერციული საქმიანობის ცენტრებში, როგორიც იყო, მაგალითად, კუნძული როდოსი, ეფექტიანად ეუფლებოდნენ ამ ორმაგ დანიშნულებას და ნიჩბოსნები ხდებოდნენ წარმატებული საზღვაო ქვეითები, როდესაც შექმნილი მდგომარეობა მოითხოვდა. ელინისტური ეპოქის ჩიხში შესვლის შემდეგ, სანამ რომის ეპოქა მოვიდოდა, პატარა კუნძულოვანი სახელმწიფოები ასეთი ხომალდების გამოყენებით იცავდნენ თავს მეკობრეებისგან და ტირანიაზე პრეტენზიების მქონე მმართველებისაგან. ასე რომ, ხშირად, ეს თვითმმართველობის მქონე კუნძულები, ფლოტის საშუალებით თავისთვის მეტად ხელსაყრელ ავტონომიებად ყალიბდებოდნენ.

მონსტრი არმიები

როდესაც ალექსანდრე მაკედონელი, 33 წლის ძალაგამოფიტული, გადაღლილი, ქრონიკული ალკოჰოლიკი გარდაიცვალა ჩვ. წ.-მდე 323 წელს, მიწები, რომლებიც მან მამისგან მემკვიდრეობით მიიღო და რომლებიც შემდეგ თვითონ დაიპყრო, მაკედონელის უფროსმა საველე მეთაურებმა გადაინაწილეს. ამის შემდეგ მალე დაიღუპნენ ძველი გვარდიის მხედართმთავრები პერიდიკასოსი, კრატეროსი და ეუმენესი და მათი გავლენის სფეროები გაინაწილეს უფრო დაბალ საფეხურზე მდგომმა მეთაურებმა: ანტიპატე აკონტროლებდა საბერძნეთსა და მაკედონიას; პტოლემეოსს გადაეცა ეგვიპტე; ანტიგონეუსმა დაიკავა მცირე აზია; სელევკეოსმა მიიღო მესოპოტამია და აღმოსავლეთი მთლიანად, ინდოეთამდე; ლისიმაქეუსმა მიიღო თრაკია და მიწები შავი ზღვის გარშემო. ამის შემდეგ, სელევკეოსმა გაიმარჯვა ანტიგონეუსის წინააღმდეგ ბრძოლაში იპსუსთან (301 წ.) და ცხადი გახდა, რომ ალექსანდრეს მემკვიდრეობას ვერც ერთი მასზე ნაკლები თვისებების მქონე პიროვნება ვერ შეინარჩუნებდა და ამგვარად, მომდევნო ერთნახევარი საუკუნის განმავლობაში, მოქიშპე მაკედონელი დინასტიები გაუთავებელ ომებს აწარმოებდნენ მთელ ბერძნულ და აზიურ სამყაროში, ფუჭი მცდელობებით-აღედგინათ ალექსანდრეს შემცირებული და გაღარიბებული იმპერია.

სამხედრო ისტორიის სპეციალისტისთვის ,,მემკვიდრეთა" ბრძოლების შესწავლა მართლაც საინტერესო და მომხიბვლელია: შუბების წვერები დაგრძელდა, სპილოების გამოყენება ჩვეულებრივ ამბად იქცა, ქალაქებზე იერიშის დროს იყენებდნენ უზარმაზარ და გამაოგნებელ საალყე დანადგარებს. განძეულობა და სხვა კაპიტალი, რომელიც მოედინებოდა სპარსელების ჰეგემონიის დაშლის შემდეგ, შეიარაღების ინდუსტრიის სწრაფ განვითარებას უწყობდა ხელს. ომის წარმოებაზე ფული შეუზღუდავი რაოდენობით იხარჯებოდა, ხოლო ბერძნების ტექნიკური და ფილოსოფიური გენია ახალი სამხედრო მეცნიერების განვითარებისათვის გამოიყენებოდა. ამიტომ, ორგანიზებულმა კაცისკვლამ თავისთავად, ბერძნული ხელოვნების ერთ-ერთი დარგის სახე მიიღო. მთელი ელინისტური პერიოდის განმავლობაში, უწყვეტმა ტექნოლოგიურმა გაუმჯობესებებმა გამოიწვია როგორც გამამაგრებელი ნაგებობების, ისე არტილერიის გაუმჯობესება, ხოლო მიმდინარე დებატებმა ახალი როლი განუსაზღვრა ტრადიციულ ფალანგას. ორივე შემთხვევაში, ტრადიცია ყოველთვის სიახლეს უთმობდა ადგილს. მაგალითად, როდესაც ანტიგონეუს გონატასს (320-239) ჰკითხეს, როგორ უნდა გახორციელებულიყო მოწინააღმდეგეზე შეტევა, მან მარტივი პასუხი გასცა: ,,ნებისმიერი გზით, რომელსაც საჭიროდ ჩათვლით."

მაკედონური ფალანგების სისასტიკეს ვერაფერი შეედრებოდა. რომაელ მხედართმთავარ ემელიუს პაულუსს, რომელიც ჩვ. წ.-მდე 168 წელს შეეჯახა ფალანგისტებს, ქალაქ პიდნასთან, სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა მათი შიში. პლუტარქე ამბობს: "ის ლაპარაკობდა, თუ რა მრისხანე სანახაობა იყო მათი წინა ხაზი, როგორ ბრწყინავდა იარაღი და საჭურველი, როგორ შიშსა და შეშფოთებას იწვევდა. მის შემდეგ მას მსგავსი არაფერი უნახავს. მოგვიანებით ის ძალიან ხშირად იხსენებდა ამ სანახაობას და საკუთარ რეაქციას. ის ამბობდა, რომ ვერც ერთი მოწინააღმდეგე ვერ უგულვებელყოფდა მაკედონური ფალანგების მდიდარ საბრძოლო რესურსს – მძიმე და მსუბუქ კავალერიას, მსუბუქ ქვეით ჯარს, მსროლელებს, შურდულის მტყორცნელებს, მშვილდოსნებს და სპილოებს - რომელიც განდიდების მანიით შეპყრობილ ელინისტური ხანის სამხედრო მეთაურებს თეორიულად მთლიანად შეეძლოთ გაეყვანათ ბრძოლის ველზე." ამის მიუხედავად, ელინისტური ეპოქის სამხედრო პრაქტიკაში იყო როგორც ტაქტიკური, ისე სტრატეგიული დონის სუსტი ადგილები.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-3 საუკუნეში ფალანგისტები უკვე მხოლოდ დაქირავებული მებრძოლები იყვნენ. გამქრალი იყო ძველ ბერძნულ არმიებში გამეფებული აგრარული ხანის ერთიანობისა და მისწრაფების ნარჩენებიც კი. მაგალითად, ეპირის მეფე პიროსი (გარდაიცვალა ჩვ. წ.-მდე 272 წელს), გადმოცემის თანახმად, ეუბნებოდა თავის სამხედრო მეთაურებს: ,,თქვენ შეარჩიეთ დიდი ადამიანები, მე კი მათ მამაცებად ვაქცევ.” მაგრამ ფილიპესა და ალექსანდრეს ძალებისგან განსხვავებით, რომელთა შეიარაღება ძალიან მოკრძალებული იყო მათ მემკვიდრეთა განკარგულებაში არსებულ ძალებთან შედარებით, ეს დაქირავებული უზარმაზარი ლაშქარი ასევე უზარმაზარ არასამხედრო დამხმარე კონტინგენტს საჭიროებდა. მათ ახლდათ: მესაპალნეები, ინჟინრები, ცოლები, ბავშვები, მონები და წვრილმანი ვაჭრები. ასეთი ლოგისტიკური და სოციალური მხარდაჭერა იყო სრულიად შემთხვევითი ხასიათისა და არაორგანიზებული. მსგავსი შეუფერებელი უსუსურობა ზღუდავდა ელინისტური პერიოდის დიდი არმიების მოქმედების დიაპაზონს და სტრატეგიულ არჩევანს, რადგან მიწების დაკავება და შემდეგ დაპყრობილი მიწების კონტროლი უფრო მეტად ემსახურებოდა ნაღდი ფულის შემოსვლას, და არა პატრიოტიზმს, გამბედაობას ან ეროვნული ინტერესების დაცვას. კიდევ უფრო ნაკლები იყო ერთგულება იდეისადმი ან ადამიანისადმი.

მნიშვნელოვანი იყო, რომ ფალანგა ზომებით ძალიან გაიზარდა, მძიმე შუბების წვერები ძალიან დაგრძელდა და ეს ყველაფერი ღამის კოშმარს დაემსგავსა. უარყოფილი იქნა ცხენოსნებისა და შუბოსნების ჰარმონიული მოქმედება, რომელიც ალექსანდრემ შემოიტანა თავის ჯარში სწორედ იმ დროს, როდესაც მოუხეშავი მაკედონური ფალანგებისთვის განსაკუთრებით საჭირო იყო ფლანგების დაცვა და სხვა ძალების მოქმედებებთან ინტეგრირება.

სპილოების და ადგილობრივი დაქირავებული ცხენოსნების მონაწილეობა არ აკმაყოფილებდა მოთხოვნას, რადგან მემკვიდრე მხედართმთავრები უბრალოდ ცდილობდნენ ალექსანდრეს გენიას გატოლებოდნენ ნაყიდი ცოცხალი ძალითა და იარაღის უხეში ძალით. ძალის გაზრდამ, მოქნილობის გარეშე, ფალანგა ადრინდელთან შედარებით უფრო სუსტი გახადა. პოლიბიუსი წერდა: „მაკედონელთა საბრძოლო შენაერთები ზოგჯერ სრულიად უსარგებლო აღმოჩნდებოდნენ ხოლმე და ყველასთვის ცნობილია, რომ ეს იყო იმის ბრალი, რომ ფალანგისტს არ შეეძლო მოქმედება უფრო პატარა ქვედანაყოფში, ან მარტო, ხოლო რომაული ქვედანაყოფები განსაკუთრებულად კარგად ორგანიზებულ ძალთა სტრუქტურით გამოირჩეოდნენ“.

თავი IV

რომი და ომის წარმოების რომაული გზა

1. **თემის მოკლე შინაარსი**

ტაქტიკურ დონეზე განხილული იქნება რომაული ლეგიონის წარმოშობის სოციალურ-პოლიტიკური პირობები და განვითარება. რომაული ლეგიონის განვითარების ორი ეტაპია გამოსაყოფი, რომელიც ზუსტად ემთხვევა რომის რესპუბლიკისა და პრინციპატის ხანას, რის შემდეგაც ლეგიონი და მისი მართვისა თუ კონტროლის სისტემა და თავად სტრუქტურაც განიცდის თანამიმდევრულ კვდომას მობილურობისა და მოქნილობის შემცირებასთან ერთად. ლეგიონის მახასიათებლები განხილულია პუნიკური ომების მაგალითზე.

2. სწავლების საბოლოო მიზანი

ომის წარმოების რომაული გზის განხილვა, რომაული ლეგიონის განვითარება და დაცემა.

შუალედური სასწავლო მიზნები

- იუნკერმა უნდა იცოდეს ლეგიონის წარმოშობა, განვითარება და მისი, როგორც საბრძოლო-ტაქტიკური ერთეულის გარდაცვალების მიზეზები და მისი კავშირი საზოგადოების სოციალურ და პოლიტიკურ სინამდვილესთან;
- იუნკერი აცნობიერებს საბრძოლო ერთეულის-ლეგიონის უპირატესობას მოწინააღმდეგესთან შედარებით მათი მობილურობის, მოქნილობისა, მართვისა და კონტროლის სიახლეების მიხედვით.

სწავლების დონე:

დამახსოვრება, აზრობრივი წვდომა, გამოყენება, გაანალიზება, შეფასება, შექმნა.

3. მსმენელის დავალებები:

ა) წაიკითხეთ:

- სილაბუსში მოცემული საკითხავი მასალა

ბ) სადისკუსიო კითხვები:

1. რომაული ლეგიონის წარმოშობის სოციალური ფაქტორები;
2. ლეგიონის უპირატესობის მიზეზები მოწინააღმდეგესთან შედარებით, მისი მობილურობის, მოქნილობის, მართვისა და კონტროლის მიხედვით.

ლეგიონების წარმოშობა

სამუელ ჯეი ლუვასი

ომის წარმოების ახლად წარმოშობილი რომაული წესები მკვეთრ კონტრასტს ქმნიდნენ ელინური ეპოქის ომის ქაოტურ სტილთან. ტაქტიკურ დონეზე, რომაელებმა, საუკუნეების მანძილზე, იტალიის ნახევარკუნძულზე შეითვისეს ძველი ეტრუსკული ფალანგების წესები, რომლებიც თავის მხრივ, ძველი ბერძნებისგან იყო ნასესხები. თავისი არსებობის ბოლომდე, რომის იმპერიას შემორჩა ფალანგებით მოხიბლულობა, რომლის გავლენითაც, დრო და დრო, ისინი იკვრებოდნენ მჭიდრო ფალანგურ რიგებად, რათა კოლონების დარტყმითი ძალა გაეზარდათ. მაგრამ მობილურობა და მოქნილობა და არა მხოლოდ შიშველი ძალა, მოკლე ხმალი და არა გრძელი შუბი, რომის ქვეით ჯარს ახალ, უფრო მომაკვდინებელ ძალას სძენდა. ფალანგისა და ლეგიონის შედარების დასკვნაში, პოლიბიუსმა მარტივად თქვა: ,,რომაელი ლეგიონერი მოქმედების უნარს ინარჩუნებს ყოველ დროს, ყოველ ადგილას, პრაქტიკულად ყოველთვის.”

სურ.90 აპენინის ნახევარკუნძული ძვ.წ. VIII-VI საუკუნეებში

ლეგიონერების ღია წყობა საშუალებას აძლევდა მათ ეტყორცნათ თავისი მოკლე შუბები ერთი მიზნისკენ, რომელზეც კონცენტრირებულნი იყვნენ, შემდეგ გადასულიყვნენ შეტევაზე დაჭრილი და დაბნეული ფალანგისტების წინააღმდეგ, თავისი ხმლისა და ფარის გამოყენებით. მოქნილობა საშუალებას აძლევდა რომაელებს, ხან შემჭიდროებულიყვნენ, ხან გაფანტულიყვნენ შეტევების დროს, ფალანგა კი თავდაცვისათვის მხოლოდ სტატიკური კედლის ხერხს ინარჩუნებდა, მოწინააღმდეგის მანევრირების მიუხედავად.

რომაელები მოკლე ხმალს, გლადიუსს საშინელი ძალით, ოსტატურად ხმარობდნენ. ძლიერი დარტყმით ისინი ჩეხავდნენ და ანადგურებდნენ მოწინააღმდეგეს. მაკედონელმა ფალანგისტებმა, რომლებიც ნაჩვევი იყვნენ შუბებით მიყენებულ ნაჩხვლეტ ჭრილობებს, საშინელი ფსიქოლოგიური შოკი განიცადეს რომაელების მომაკვდინებელი, მჭრელი და მჩეხავი ხმლებისაგან. ლივიუსის ვარაუდით, მათი შეჯახება სისხლიან, ნამდვილ მასობრივ ხოცვა-ჟლეტად გადაიქცა. ,,ეყარა დამახინჯებული სხეულები, მოკვეთილი მხარ-მკლავები, თავები, ზოგ სხეულს თავი მთლიანად, კისრიანად ჰქონდა მოჭრილი, გაფატრული სხეულებიდან გადმოყრილი ნაწლავები – ასეთი იყო ამ ბრძოლებისთვის დამახასიათებელი საზარელი სურათი.”

სურ.91 ბრძოლა მაკედონელებსა და რომაელებს შორის პიდნასთნან (ძვ.წ. 168 წ.)

ძნელია რომაელების ჯარს ,,არმია” ვუწოდოთ. თითქმის ერთი ათასწლეულის განმავლობაში, რომაული სამხედრო ხელოვნება სტაბილურად ვითარდებოდა. ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეოთხე საუკუნის რომის რესპუბლიკის მთავრობის ხელში არსებული ინსტრუმენტით დაწყებული, რვა საუკუნის შემდეგ, ის გადაიქცა ავტორიტარული იმპერიალიზმის სამხედრო სტრუქტურად; იტალიელი გლეხების, მცირე მიწათმფლობელების ბირთვი შეიცვალა დაქირავებული პროფესიონალებით, რომლებიც ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებიდან იყვნენ ჩამოყვანილნი. მაგრამ ლეგი-

ონის წარმოშობის ფესვები უნდა ვეძებოთ ჩვ. წ.-მდე მეოთხე-მესამე საუკუნეების იტალიაში. რომაული ფალანგის არსრულყოფილება უკეთ გამოჩნდა იმ პერიოდიდან, როდესაც რომმა გაა-ფართოვა თავისი საზღვრები მთელ ნახევარკუნძულზე და აღმოაჩინა, რომ საჭირო იყო სამხედრო ძალების მისადაგება ჩრდილოეთით, აღმოსავლეთით და სამხრეთით არსებული ქვეყნების არმი-ების შესაძლებლობებთან.

სურ.92 რომაელი ქვეითები

რომაელების კამპანიების მასშტაბის აღსაქმე-ლად, აგრეთვე ლეგიონერების მრავალმხრივი გამოც-დილების დასადასტურებლად, მაგალითისთვის შეიძ-ლება დავასახელოთ ისტორიკოს ლივიუსის მიერ მო-ყვანილი, რომის მოქალაქე-ლეგიონერი ჯარისკაცის, სპირიუს ლიგისტინიუსის მოხსენება (ავტობიოგრა-ფია).

თავისი 22 წლის სამხედრო სამსახურის მან-ძილზე, ორმოცდაათი წლის ჯარისკაცი, რვა შვილის მამა, იბრძოდა მაკედონური ფალანგების წინააღმდეგ საბერძნეთში, შემდეგ ესპანეთში, შემდეგ დაბრუნდა საბერძნეთში ატილას წინააღმდეგ საბრძოლველად, შემდეგ გაწვეულ იქნა სამსახურისთვის იტალიაში, და ბოლოს, ისევ ესპანეთში. ,,რამდენიმე წლის განმავ-ლობაში ოთხჯერ,- წერს სპირიუსი ლივიუსის მიერ მაღალ რიტორიკულ სტილში შედგენილ მონათხრობ-ში,- ვიყავი ცენტურიონი (ასეულის მეთაური), 34-ჯერ მივიღე ქება ჩემი მეთაურებისგან სიმამაცისთვის, მი-ღებული მაქვს ექვსი სამოქალაქო გვირგვინი ჩემი თანამებრძოლების სიცოცხლის გადარჩენისათვის.”

რომაული ფალანგის კოლონებად წყობა თანდათან დაიშალა უფრო პატარა ტაქტიკურ ერ-თეულებად, თითოეულს ცალ-ცალკე მანიპული (,,ერთი მუჭა”) ეწოდებოდა. სწრაფი და მოქნილი მოქმედებისკენ გადადგმული ამ კიდევ ერთ ნაბიჯთან ერთად, რომაელმა ქვეითებმა უარი თქვეს გრძელ შუბზე და დიდ, მრგვალ ფარზე, რომლებიც შეიცვალა სწორკუთხა, თაღოვანი ფორმის ფარით და ორლესული მოკლე ხმლით. ,,-შესანიშნავია დარტყმების მისაყენებლად, რადგან ორივე პირი ჭრის ძალიან ეფექტიანად და ფოლადი ძალიან მტკიცეა” – ამბობდა პოლიბიუსი. ჩვ. წ.-მდე მეორე საუკუნის დასაწყისში, როდესაც რომაელები ელინელ ბერძნებს დაუპირისპირდნენ, ზემოთ ხსენებული სპირიუსის მსგავსი მებრძოლების ლეგიონი ითვლიდა 4200 ქვეითს და 300 ცხენოსანს, რომლებიც სამ, ერთმანეთის მომდევნო მწკრივში განლაგებულ, ათ-ათ მანიპულად იყვნენ დაყო-ფილი და ერთმანეთისგან დაცილებული იყვნენ საკუთარი წყობის სიგანის მანძილით. ამგვარად, თითოეული მწკრივის ათ დამოუკიდებელ მანიპულს - ყოველ შემთხვევაში, ეს ასე იყო, სანამ მოწინააღმდეგეს შეეჯახებოდნენ – ორივე მხრიდან და აგრეთვე, წინიდან და ზურგიდან, ჰქონდა თავისუფალი სივრცე. ორგანიზაციულ დონეზე, რომაულ ლეგიონში გაწვეული რეკრუტები დაყო-ფილი იყვნენ ცენტურიებად ანუ ასეულებად, რომლებიც ითვლიდა 60-70 კაცს, იტალიელ მიწათ-მოქმედ გლეხს, რომელსაც წინამძღოლად ჰყავდა გამოცდილი, პროფესიონალი ცენტურიონი. ორი

სურ.93 რომაელი ლეგიონერი

ცენტურია იბრძოდა ერთ მანიპულად გაერთიანებული, რომლებიც ერთმანეთის უკან იყვნენ განლაგებული. ტრადიციული რომაული სამკოლონიანი საბრძოლო წყობა (,,სამმაგი ჯავშანი") ასეთი იყო: წარმოიდგინეთ ერთმანეთის უკან სწორკუთხედებად განლაგებული ქვეითი ჯარი, უჯრედებად დაწყობილი (წარმოიდგინეთ ჭადრაკული წყობა), ისე რომ თითოეული მანიპული განთავსებული იყო მის წინ განლაგებული მწკრივის ცარიელ ადგილებში.

მსუბუქად შეიარაღებულ ჯარისკაცებსა და ცხენოსნებს (ველიტებს) შორის გამართული საწყისი ურთიერთსროლის შემდეგ, ათი მანიპულის პირველი მწკრივი, ეგრეთ წოდებული ჰასტატები (ანაქრონიულად მათ ,,შუბოსნებს" უწოდებენ) მიუახლოვდებოდნენ მოწინააღმდეგის წინა ხაზს 100 მეტრის მანძილზე, შემდეგ დარჩენილ მანძილს გაირბენდნენ და როცა მანძილი ოცდაათ მეტრამდე შემცირდებოდა, ტყორცნიდნენ ხელშუბებს. ამის შემდეგ, ჰასტატები, უკვე ხმლისა და ფარის ოსტატურად ქნევით, შეიჭრებოდნენ გაოგნებული მოწინააღმდეგის რიგებში, თან შუბების ან

სურ.94 რომაელი ასისთავი (ცენტურიონი)

მოკლე ნაჯახების ტყორცნის შედეგად წაქცეულ, დაჭრილ ან განიარაღებულ მოწინააღმდეგის ჯარისკაცებს ხოცავდნენ. სატყორცნი ხელშუბების, ეგრეთ წოდებული პილუმების საწყისი ცეცხლის ფარდა დაახლოებით ისეთივე შიშს იწვევდა მოწინააღმდეგის რიგებში, როგორსაც ტრადიციული ჰოპლიტური შუბების შეჯახება, ხოლო მოკლე ხმალი გლადიუსი მანევრირების საშუალებას აძლევდა უშუბო ლეგიონერს, შეჭრილიყო მოწინააღმდეგის რიგების სიღრმეში და სხეულის მძიმე დაზიანებები მიეყენებინა მათთვის. ამ დროს დაიძვრებოდა რომაელების მეორე ხაზი, ეგრეთ წოდებული ,,პრინციპები" (ლიდერები, წინამძღოლები). ისინი ჰასტატების მეწინავე ტალღას მიჰყვებოდნენ ზეწოლით, მოწინააღმდეგის რიგებში უფრო ღრმად და მასირებულად შესაღწევად, ან თუ მოწინააღმდეგე ჯერ ისევ ინარჩუნებდა ბრძოლის უნარს, მოქმედებდნენ როგორც რეზერვი, როგორც იერიშის მეორე ტალღა, რომელიც ბოლომდე გაანად-

გურებდა მოწინააღმდეგეს ახალი ძალით, უფრო ძლიერი დარტყმებით, იმავდროულად კი დაღლილი ჰასტატები, შექმნილი გასასვლელების საშუალებით დაიხევდნენ უკან.

სურ.95 რომაული ლეგიონის საბრძოლო წყობა

პრინციპების ეს მეორე ხაზი ლეგიონის ყველაზე უხეში ძალის მქონე, გამოცდილი და დაუნდობელი მებრძოლებისგან შედგებოდა, რომლებიც ბოლომდე შლიდნენ მოწინააღმდეგის რიგების ერთიანობას. თუ ეს მიზანი ვერ მიიღწეოდა, მაშინ ბრძოლაში ებმებოდნენ მანიპულების ბოლო რიგები, მეტსახელად ,,ტრიარები" ანუ ,,მესამე რიგელები." ისინი ჩაჩოქილები და ფარაფარებულები, წინ გაწეული შუბებით ხელში, ელოდნენ თავის ჯერს, ლეგიონის განლაგების ზურგში. ტრიარებთან დაკავშირებით, რომლებიც პირველი ორი რიგის, ჰასტატებისა და პრინციპების მოქმედებას აკვირდებოდნენ, რათა არ გამორჩენოდათ რაიმე გადახრა ან ცვლილება ბრძოლის მიმდინარეობისას, წარმოიშვა საკმაოდ მძიმე, ავისმომასწავებელი გამოთქმა: ,,მოვლენები ტრიარების ჩარევას მოითხოვს!" თუ ლეგიონი რეალური საფრთხის წინაშე იდგა, თავგანწირულად მებრძოლი, მაგრამ დამარცხებული ან დათრგუნული ჰასტატებისა და პრინციპების მანიპულები განცალკევდებოდნენ და ეცდებოდნენ გასულიყვნენ ბრძოლის ველიდან უკან, ტრიარების ამ დამცველი სწორკუთხედების გავლით, ბანაკის შემოღობილ ტერიტორიაზე. ,,გამარჯვებულისთვის დასვენების ადგილი, დამარცხებულისთვის თავშესაფარი" – ასე ეძახდნენ ამ დროებით ბანაკებს. მაგრამ უფრო ხშირად, იქიდან გამომდინარე, რომ რომაელების ლეგიონები თითქმის ყოველთვის

იმარჯვებდნენ, გამარჯვების ზენიტის დადგომისთანავე, ტრიარები მიდიოდნენ წინ და საბოლოო გამანადგურებელ დარტყმას აყენებდნენ ბრძოლის ველზე დარჩენილ მოწინააღმსდეგის ჯარისკაცებს და საბრძოლო შენაერთების ნაშთებს, რომლებიც კიდევ უფრო მეტი შიშით შეჰყურებდნენ, როგორ მოემართებოდა კიდევ ერთი გამანადგურებელი ტალღა. რაც შეეხება ფლანგებს, დამხმარე კავალერია და მსუბუქად შეიარაღებული მოკავშირე ქვეითი ჯარისკაცები ფარავდნენ მათ.

სურ.97 ე.წ. რომაული კუ

სურ.96 ლეგიონის შტანდარტის მცველი



სურ.98 ტიტუს ლივიუსი (ძვ.წ. 59-ახ.წ. 17 წ.წ), ავტორი ნაშრომისა „ომი ჰანიბალთან“

აშკარა იყო, რომ ლეგიონების ადრეული წარმატებების გასაღებს კოორდინირებული მოქმედება და პირობებთან ადაპტაცია წარმოადგენდა. ეს კი შესაძლებელი ხდებოდა რეზერვების გამოყენებით და ძალების მკვეთრი ნაირგვარობით, რომელთაგან თითოეულს თავისი ფუნქცია ჰქონდა და ყველა მონაწილეობდა ერთი მიზნის მიღწევაში. სატყორცნმა ხელშუბმა პილუმმა რომაელი ქვეითების შეტევას ისეთი ძალა მისცა, როგორიც ფალანგას არასდროს ჰქონია. სატყორცნი ხელშუბების წვიმას გაცილებით მეტი ლეტალობა ჰქონდა, ვიდრე ფალანგისტების შურდულით ნასროლ ჭურვებს ან მშვილდ-ისარს. გაოგნებული მოწინააღმდეგის რიგებში შეჭრის შემდეგ კი ხმალი გლადიუსი ძალიან ადვილად და სწრაფად ასრულებდა ფალანგისტების საქმეს, ხოლო მაღალი, კვერცხისებრი ფარი მოსახერხებელი იყო ფალანგური წესის მიხედვით ზეწოლისათვის, თუკი ერთად შეკრულ მანიპულებს დასჭირდებოდათ განსაკუთრებული ჯგუფური სიმჭიდროვე ერთი ძლიერი დარტყმისათვის მოწინააღმდეგის ასევე მჭიდროდ შეკრული რიგების გასარღვევად. ყოველ შემთხვევაში, დაბნეული და დეზორგანიზებული მოწინააღმდეგის დათრგუნვა ძალიან ადვილი საქმე იყო.

სურ.99 რომის ცენტრი (ქალაქი დაარსდა ძვ.წ. 753 წ.)

რომაელების საბრძოლო სისტემა:

1. ველიტები, ანუ მსუბუქად შეიარაღებული მსროლელები მოსინჯავდნენ მოწინააღმდეგის რიგებს, დააბნევდნენ მათ, შემდეგ კი უკან გაიქცეოდნენ საკუთარი ჰასტატების, პრინციპების და ტრიარების მწკრივების გავლით.
2. ჰასტატების პირველი მწკრივის ზურგში განლაგებული ცენტურიები ნაბიჯს წინ გადადგამდნენ მჭიდრო, მასიური კედლის შესაქმნელად. ჰასტატები მთელი ძალით ტყორცნიდნენ ხელშუბებს, და მიიწევდნენ წინ, ამოღებული ხმლებითა და აწეული ფარებით, მოწინააღმდეგის რიგების დასაშლელად.
3. ჰასტატები ისევ გაიშლებოდნენ ცენტურიებად და უკან, თავისი ზურგისკენ მიმავალნი, გაივლიდნენ შეტევაზე გადასული მეორე ხაზის პრინციპების რიგებს შორის. უკან დახევის დროს ყოველთვის იყენებდნენ დაშორებებს პრინციპებს შორის, რათა შეენარჩუნებინათ წინა ხაზის მასიურობა და სიმჭიდროვე.
4. პრინციპების ზურგიდან, ცენტურიები, ჰასტატების მანამდე შესრულებული მანევრის მსგავსად, წინ წაიწეოდნენ თავის წინ მყოფ თანამებრძოლებთან შეერთებისა და მჭიდრო კედლის დაუყოვნებლივ შექმნის მიზნით, როგორც კი ჰასტატები გადადიოდნენ შეტევაზე. ამგვარად, ლეგიონებს მუდმივად შეჰყავდათ ბრძოლაში ახალი ძალა, ისე რომ მოწინააღმდეგე ამოსუნთქვას ვერ ასწრებდა.
5. როცა მეორე ხაზის პრინციპები იღლებოდნენ, ისინი გადიოდნენ ზურგის მიმართულებით, შუბოსანი ტრიარების რიგებს შორის, რომლებიც ამჯერად შეტევის მესამე ხაზში ერთიანდებოდნენ და უზრუნველყოფდნენ ბრძოლის უწყვეტობას. მოწინააღმდეგე დაუცველი იყო ხელშუბების მტყორცნელების, ხმლით შეიარაღებულებისა და შუბოსნების უწყვეტი შეტევებისაგან.
6. ტრიარები მოწინააღმდეგეს ბოლოს უღებდნენ, სხვა ქვედანაყოფების პერიოდულ უკანდახევას იცავდნენ, ან თავიდან იწყებდნენ სამფაზიან ციკლს, თუ განსაკუთრებით მტკიცე და უდრეკი მოწინააღმდეგე შეხვდებოდათ. უნდა აღინიშნოს, რომ ცენტურიებს შეეძლოთ ერთ მასად შეკრულიყვნენ, ან შეეთხელებინათ რიგები იმისდა მიხედვით, თუ როგორი მოწინააღმდეგე შეხვდებოდათ.

სურ.100 რომაული ჯარი

ტაქტიკურ დონეზე, დროსა და სივრცეს კარგად აკონტროლებდნენ უმცროსი ოფიცრები სამხედროები, რომლებსაც ჰქონდათ საკმაო დონის განათლება და საბრძოლო მომზადება იმისთვის, რომ უზრუნველყოთ სამტალღიანი იერიშის კოორდინირება, რომლის დროსაც სათანადო ორგანიზებას უწევდნენ ოცდაათი მანიპულის მოქმედებებს თითოეულ ლეგიონში, რათა მიეღწიათ რიგების განსაკუთრებული მასირებისთვის ან მოქნილობისთვის, როგორც მოითხოვდა შექმნილი ვითარება. ამდენი პატარა და მობილური ქვედანაყოფის არსებობის გამო რეალურად შესაძლებელი გახდა ეშელონებად დაყოფა. შემაკავებელი მოქმედება შუაში, შეტევა ფლანგზე, ცრუ შეტევა, უკან დახევა და გარშემორტყმა - ასეთი იყო ტაქტიკური არჩევანი. ექსტრემალურ ვითარებაში, მანიპულებს შეეძლოთ ჰორიზონტალურად შეერთებულიყვნენ და ერთ მთლიან მასად ქცეულიყვნენ, მათი სამი ხაზი ასევე შეერთდებოდა ვერტიკალურადაც და შეიქმნებოდა უზარმაზარი კვაზიფალანგა, რომლის დარტყმის ძალა ბევრად მეტი იქნებოდა შეერთებული ფარების ზეწოლის წყალობით. სწორი, თანაბარი რელიეფის მქონე ადგილი აღარ იყო ისეთი გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე, როგორც ბერძნული ფალანგებისთვის, რადგან მანიპულებს შესწევდათ უნარი, დაცილებოდნენ ერთმანეთს გარკვეული მანძილით, რათა შეტევაზე გადასვლის დროს, გვერდი აევლოთ ბუნებრივი დაბრკოლებებისთვის. რეალურად, რთული რელიეფი, რომელსაც შეეძლო დაებრკოლებინა უფრო მოუქნელი მოწინააღმდეგის კოლონები, ლეგიონებისთვის პირიქით, სასურველიც კი იყო. აქედან გამომდინარე, რომაელების შეიარაღებაში არსებულმა იარაღმა და მეტი შესაძლებლობების მქონე შენაერთებმა გააადვილა სწრაფი რეაგირება თითქმის ნებისმიერი შეიარაღების მქონე მოწინააღმდეგის ტაქტიკურ გამოწვევაზე.

რომაული ლეგიონისთვის საბედისწერო შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ ორი გარემოება: არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაეშვათ, რომ მოწინააღმდეგეს ისინი დაეჭირა ვიწრო ადგილას, ტაფობში, სადაც ლეგიონი მახეში აღმოჩნდებოდა, როგორც ეს კანეში მოხდა, სადაც რომაელები ფლანგებიდან მოწინააღმდეგის მარწუხებში მოექცნენ. ამ ბუნებრივ ან ადამიანის ხელით შექმნილ ტაფობებში და ვიწრო კანიონებში მანიპულებს არ ჰქონდათ გასაშლელად საკმარისი სივრცე, ისინი იძულებული იყვნენ, თავმოყრილი ყოფილიყვნენ და შეექმნათ კონგლომერატები. ამის გამო, თითოეული მებრძოლი ლეგიონერი კარგავდა ინდივიდუალურ სივრცეს და ხმლის ოსტატურად გამოყენებისა და დამოუკიდებლად ბრძოლის საშუალებას. ნაცვლად ამისა, ერთმანეთზე დამოკიდებული ფალანგისტების მსგავსად, მოწინააღმდეგე მათ მასიურად მოაქცევდა ვიწრო გასასვლელში, სადაც მოწინააღმდეგის მძიმე შუბოსნების წინააღმდეგ ისინი სრულიად გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ და მათი ბედი გადაწყვეტილი იქნებოდა.

მეორე ასეთივე საბედისწერო გარემოება ზემოთ აღნიშნული პირველი გარემოების თითქმის სრულიად საწინააააღმდეგო ხასიათისა იყო: მოხვედრა უსასრულოდ გაშლილ, მოტიტვლებულ, უტყეო დაბლობზე. რომაელებს არ ჰყავდათ მძიმედ აღჭურვილი კავალერია რეალურად გადამწყვეტი დარტყმისათვის. რომაულ ლეგიონებს ეს უსასრულოდ გაშლილი სივრცე ,,ყლაპავდა", ასუსტებდა, ქანცავდა და შედეგად, მომთაბარე ტომების მხედრები და მშვილდოსნები მათ შეავიწროებდნენ, ცხვრებივით ერთ ადგილზე თავს მოუყრიდნენ და გაანადგურებდნენ, გადაღლილ მანიპულებს კი არ შეეძლოთ მოწინააღმდეგეზე იერიშის მიტანა. ასეთი პირობების მაგალითია კრასუსის ბრძოლა ქალაქ კართან, სირიაში, 53 წელს ჩვ.წ-მდე – უსასრულო სივრცეზე ძალების გაშლა ბევრად უფრო ნელა წარიმართა, ვიდრე თავმოყრა და შემდეგ გაფანტვა, რის გამოც შეიქმნა გამოუვალი მდგომარეობა.

სურ.101 რომაული ბალისტები ბრძოლაში

იმ დროს ლეგიონი წარმოადგენდა არსებული დასავლური სამხედრო ხელოვნების კულმინაციას. ადრეული ხანის ბერძნების შოკური და გადამწყვეტი დაპირისპირების ტრადიციის გაგრძელებით, მაკედონელების ძალთა მრავალგვარობის და ინტეგრირების მემკვიდრეობასთან ერთად, პრაგმატულმა რომაელებმა მიაღწიეს ძალისა და მოქნილობის ბრწყინვალე ბალანსს. იმ დროისთვის შეუდარებელი სამთავრობო სტრუქტურის ორგანიზებულობისა და ფართო საბაზრო ეკონომიკის შედეგად დაგროვილი კაპიტალის წყალობით, რომაელების ლეგიონები გარშემორტყმულნი იყვნენ მრავალფეროვანი, ომის წარმოებასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურით – საგზაო, ბანაკების, ჰოსპიტლების, შეიარაღებითა და აბჯრით უზრუნველყოფის, ბრძოლის მატერიალური უზრუნველყოფის სამსახურების, საპენსიო, სახელფასო, სამხედრო-სამედიცინო და

სურ.102 ქალაქ-სახელმწიფო კართაგენი, დააარსეს ფინიკიელებმა ძვ.წ. 814 წელს. მდებარეობდა თანამედროვე ტუნისის ტერიტორიაზე

სხვა სამსახურებით – ერთი სიტყვით, ეს ყველაფერი ქმნიდა ომის წარმოების უზარმაზარ ბიუროკრატიულ აპარატს და მისი შემადგენელი ნაწილები, თუ მათი ლეგიონებად ფორმირება იყო საჭირო, უნდა ყოფილიყვნენ იმ გამოწვევების შესაბამისად ორგანიზებული, რომლებიც ტერიტორიულად უკავშირდებოდნენ იტალიისგან საკმაოდ დიდი მანძილით დაშორებულ ადგილებს. მათი მოღვაწეობის ნაყოფმა ნახევარი ათასწლეული იარსება და ანდერძივით გადაეცა რომის რესპუბლიკის უკანასკნელ თაობას.

ბრძოლა კანეთან 216 წელს ჩვ. წ-მდე

ორი ათასწლეულის განმავლობაში არც ერთ ბრძოლას არ ჰქონია ისეთი მომნუსხველი გავლენა დასავლეთის სამხედრო აზროვნების სტილზე, როგორიც კანეს ბრძოლას, რომელშიც კართაგენელებმა, 218-203 წლების განმავლობაში, რაც ჰანიბალის მიერ იტალიის ტერიტორიაზე შეჭრა გრძელდებოდა, ყველაზე დიდი გამარჯვება მოიპოვეს და მოწინააღმდეგის ძალები გააცამტვერეს. ამ ბრძოლიდან საუკუნეები გავიდა და სამხედრო თეორეტიკოსები და სამხედრო მგეგმავები, რომლებიც ცდილობდნენ გაეგოთ, როგორ შეიძლებოდა მთელი არმიების ალყაში მოქცევა და განადგურება, განუწყვეტლივ და დიდი ყურადღებით სწავლობდნენ ბრძოლის დეტალებს. კანეს ბრძოლაში განსაკუთრებით მომხიბლავი იყო მოწინააღმდეგის განადგურება ერთი უძლიერესი დარტყმით, უროს ერთი დაკვრის მსგავსად. ამის შესრულება შესაძლებელი გახადა ჰანიბალის მრავალფეროვანმა ტაქტიკამ, ერთი შეხედვით, ასეთი ბრძოლისთვის შეუფერებელი მსუბუქი ქვეითი ქვედანაყოფების ოსტატურმა გამოყენებამ, მხედრებთან, სატყორცნი იარაღების ქვედანაყოფებთან და ქვეით ჯართან ერთად, რომლებიც მთელი ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებიდან იყვნენ შეკრებილი, და აგრეთვე, მისმა გაბედულმა გადაწყვეტილებამ, შეესუსტებინა რიცხოვნობით მოწინააღმდეგეზე ნაკლები, საკუთარი ჯარების ცენტრი, ფლანგების გაძლიერების მიზნით, რომლებიც უფრო გაიშლებოდნენ, გაფართოვდებოდნენ და ,,ჩაყლაპავდნენ" რკალში მოქცეულ გაოგნებულ რომაელებს.



სურ.103 კანეს ბრძოლა

მნიშვნელოვანი და კატასტროფული დამარცხებების შემდეგ ტიცინუსთან (218 წ.) და ტრებიასთან (217 წ.), რომის სენატმა განწირულად დაიწყო გზების ძიება, როგორ განედევნათ ჰანიბალი, სანამ ჩრდილოეთ და დასავლეთ ევროპელებიც და ადგილობრივი იტალიელებიც არ შეუერთებოდნენ მის ლაშქარს, მაგრამ ამჯერად, რომაელების წინაშე იდგა მოწინააღმდეგე, რომლის მსგავსი მათ მრავალსაუკუნოვანი სამხედრო გამოცდილების მანძილზე არ ჰყოლიათ – ეს იყო სამხედრო ტაქტიკის ჭეშმარიტი გენია, რომლის მიერ ოსტატურად განხორციელებულ ჩასაფრებას, ცრუ მანევრს და ბრძოლის ველზე ძალების განლაგების მარტივ და მკა-

ფიო ნახაზს ერთ დღეში შეეძლო რომის მთელი რიცხობრივი და ორგანიზაციული უპირატესობის გაბათილება. უფრო უარესი იყო ის, რომ ჰანიბალი რომაული ლეგიონის სამხედრო რეპუტაციას ოდნავადაც არ უფრთხილდებოდა. პირიქით, ის იყო ერთ-ერთი ის უცხოელი მხედართმთავართა-განი ანტიკურ ისტორიაში, ვინც უპირატესობას აძლევდა ძლიერ ფრონტალურ იერიშს დასავლეთ სამყაროს არმიების წინააღმდეგ. ჰანიბალს სურდა, რომაული ლეგიონები პირდაპირ ბრძოლის ველზე გაენადგურებინა. ეს წარმოადგენდა მისი გეგმის მთავარ ნაწილს, რომლის მიზანი იყო რომაელების დაუმარცხებლობის შესახებ წარმოდგენის დამსხვრევა და იტალიელი მოკავშირეების თანდათანობით, სისტემურად გათიშვა ერთმანეთისგან.

იმ დილას, რომაელებმა თავისი ტაქტიკისთვის უჩვეულო და არაგონივრულ ხერხს მიმარ-თეს – სცადეს მანიპულების ჩაყენება კანესთან, ვიწრო დაბლობ ადგილას, განივრად, თითქმის ფა-ლანგისებურად, რადგან, ფიქრობდნენ, რომ ამჯერად მათი უზარმაზარი (80 000-იანი) არმიის სას-ტიკი ძალა უბრალოდ გაარღვევდა კართაგენელების რიგებს და ცენტრში შეაღწევდა. განცდილი დამარცხებების შედეგად ფსიქოლოგიურ ტრავმაგადატანილი რომაელი მხედართმთავრები იმე-დოვნებდნენ, რომ მათ დიდ რიცხობრივ უპირატესობას ვეღარ აჯობებდა განსაკუთრებული სამ-ხედრო ნიჭი. მოკლედ რომ ვთქვათ, კანე გახდა ანტიკურ სამყაროში გაბატონებული სამხედრო პა-რადიგმის სრული და საშინელი განადგურების ადგილი: აქ დასავლეთ სამყაროს არმია რიცხობ-რივად ბევრად აღემატებოდა თავის მოწინააღმდეგეს, რომელსაც საყრდენად ჰყავდა არა სამხედრო წესების მიხედვით განლაგებული, არამედ ველური ძალა – არა-დასავლეთელი მოწინააღმდეგე,

სურ.104 კანეს ბრძოლის ერთი ეპიზოდი

რომელიც თავისი რიცხობრივი სისუსტის შევსებას ცდილობდა კოორდინირებული მოქმედებებითა და სტრატეგიით.

ჰანიბალმა ბრწყინვალედ და ზუსტად განახორციელა თავისი გეგმა – ხელი შეეწყო რომაელების უგუნური ტაქტიკისათვის. ის და მისი ძმა მაგო განთავსდნენ იქ, სადაც განლაგებული იყვნენ გალებისა და ესპანელების ქვედანაყოფები, რომლებსაც ისინი არ ენდობოდნენ, ზუსტად რომაელების შეტევის კულმინაციის მომენტში, იმ იმედით, რომ მათი იქ ყოფნა ვითარებას მეტ სტაბილურობას მისცემდა საიმისოდ, რომ შეესრულებინათ ძალების თანადათანობითი უკან დახევა, ნელ-ნელა გასულიყვნენ უკან და რომაელების შეტევაზე გადასული დიდი ძალა ამით მოეტყუებინათ. ჰანიბალისა და მისი მოკავშირეებისთვის მთავარი იყო გაეძლოთ რაც შეიძლებოდა დიდ ხანს, რათა საშუალება მიეცათ ფლანგებზე მყოფი კართაგენელი ქვეითებისთვის და ზურგისა და გვერდების მიმართულებით სწრაფად მიმქროლი კავალერიისთვის, შეეკრათ რკალი ლეგიონერების უზარმაზარი მასის გარშემო, ამგვარად შეესუსტებინათ მათი მეწინავე ნაწილების ზეწოლა, სანამ ის წალეკავდა კართაგენელების არმიის ცენტრს.

ჰანიბალის მხედრების მიერ ფლანგებზე და ზურგში გახორციელებულმა იერიშებმა ყოველი მხრიდან გატყორცნილი ჭურვების გადამღობმა ცეცხლმა და უბრალოდ, დაბნეულობამ, რომელიც გამოწვეული იყო მოწინააღმდეგის ძალების დანახვით ყოველი მხრიდან, ზუსტად დაგეგმილ დროს შეაჩერა რომაელების შეტევა. დაგეგმილი გარშემორტყმა მალე დასრულდა, როცა ჰანიბალის ჩრდილოეთ აფრიკელებისა და ევროპელების არარეგულარულმა ჯარმა განძრევის საშუალება აღარ მისცა რომაელ ქვეითებს. რომაელების შეტევა წინა ხაზზე ჩაიშალა, ლეგიონერთა ერთიანობა დაირღვა და ყველა შიშმა მოიცვა. 80 ათასი ადამიანი აღმოჩნდა ალყაში მოქცეული, როგორც მახეში გაბმული, მაგრამ მაინც საშიში და კარგად შეიარაღებული მხეცი. თუმცა, თანამებრძოლებით მჭიდროდ გარშემორტყმულები ხმლის მოქნევასაც ვეღარ ახერხებდნენ.



სურ.105 კართაგენელების საბრძოლო სპილო

სურ.106 კართაგენელები ბრძოლის ველზე

კანესთან, აგვისტოს იმ დღის დარჩენილ დროში დაუნდობელი ხოცვა-ჟლეტა გაიმართა. ბრძოლის ველი არმაგედონად გადაიქცა და ამ მხრივ მას მე-20 საუკუნემდე ბადალი არ ჰყავდა. ერთ დღეს დაიღუპა დაახლოებით 50 000 ალყაში მოქცეული რომაელი, რაც ნიშნავს, რომ საშუალოდ ყოველ წუთში ასი კაცი კვდებოდა. ეს თავისთავად უდიდესი პრობლემა იყო. წერილობითი წყაროების მიხედვით, (აპიანე, ლივიუსი, პლუტარქე და პოლიბიუსი) ამ უსასრულო დღეს ნამდვილი სასაკლაო გაიმართა. არასდროს მანამდე არ დაღუპულა ერთად ამდენი რომაელი –კონსულები, ყოფილი კონსულები, კვესტორები (კონსულების თანაშემწეები), ტრიბუნები (ბრძოლის შემდეგ ჰანიბალმა, სავარაუდოდ, ყველა დაღუპულის პირადი ბეჭედი შეაგროვა ერთ დიდ ტომარაში). ეს იმიტომ, რომ ისინი მოაქციეს უზარმაზარ ხაფანგში, საიდანაც თავის დაღწევის საშუალება არ არსებობდა.

სურ.107 კართაგენელი ქვეითები

ზაფხულის მზით გახურებულ დაბლობზე, უამრავი ფეხსაცმლისგან ასულ მტვერში, უძრავ მიზანზე მოდიოდა ჭურვების განუწყვეტელი წვიმა, ისმოდა რომაელების ფრთით გაწყობილი (პლუმაჟი) მუზარადების ბრახუნი; რა გასაკვირი იყო, რომ რომაელები მოწინააღმდეგეს ვერ ხედავდნენ, როგორც აპიანე გადმოგვცემს. ალბათ ვერც ხედავდნენ და არც არაფერი ესმოდათ. დაჭრილების კვნესა-ყვირილი მათ რიგებში და ერთმანეთში არეული შეძახილები სხვადასხვა ენაზე და დიალექტზე მათ რიგებს გარეთ, ახშობდა ყველაფერს.

ოდნავ მაინც რომ წარმოვიდგინოთ, რა ხდებოდა რომაელების რიგებში, მოკლედ უნდა მიმოვიხი-

ლოთ ჩანაწერები მოვლენების უფრო გვიან ჩატარებული ანალიზით. ლივიუსი წერს, რომ ნაპოვნი იყო გვამები, თავით ფეხებამდე მიწაში ჩამარხული. როგორც ჩანს, მათ გათხარეს თხრილები, რომ დამალულიყვნენ, მაგრამ გადათელვის შედეგად, პირი მიწით ამოევსოთ და გაიგუდნენ. გარდა ამისა, მას მოყავს რომაელების განსაკუთრებული სიმამაცის მაგალითებიც. მაგალითად, ერთი ნუმიდიელი ცოცხალი ამოიყვანეს დაღუპულთა გროვიდან; ის მოქცეული იყო რომაელი ჯარისკაცის გვამის ქვეშ და მოღრღნილი ჰქონდა ყურები და ცხვირი – როგორც ჩანს, სასოწარკვეთილმა დაჭრილმა რომაელმა ქვეითმა ჯარისკაცმა, რომელსაც იარაღი არ ჰქონდა, უკანასკნელი იარაღი – თავისი კბილები გამოიყენა მტრის წინააღმდეგ. ჰანიბალმა, გამარჯვებული მხედართმთავრების ძველი ტრადიციისამებრ, მედიდურად დაათვალიერა გვამებით მოფენილი ბრძოლის ველი. გადმოცემის თანახმად, მასზე ძალიან იმოქმედა სასტიკი სისხლისღვრის შედეგების ნახვამ, თუმცა ამის მიუხედავად, მან თავის ჯარისკაცებს სრული უფლება მისცა, გაეძარცვათ გარდაცვლილები და დაეხოცათ დაჭრილები (აგვისტოს სიცხის გამო აუცილებელი იყო გასიებული გვამების სასწრაფოდ გახდა და ხრწნადაწყებული ხორცის თავიდან მოცილება).



სურ.108 ჰანიბალი (ძვ.წ.247-183), გამოჩენილი მხედართმთავარი

მაგრამ ეს ყოველივე ჯერ მხოლოდ საშინელი წინათქმა იყო თვითონ ჰანიბალის მომავალი კატასტროფისა. თოთხმეტი წლის შემდეგ, ქალაქ ზამასთან (202 წელს), ახალმა სამხედრო ტალანტმა, ამჯერად რომაელმა, სახელად სციპიონმა ალყაში მოაქცია კართაგენელები და კანეს ბრძოლის შედეგად დაობლებული, იმ დროისთვის დავაჟკაცებული ჯარისკაცების ლაშქრით ამოხოცა 20 ათასი კართაგენელი.

საკმაოდ მოულოდნელად, ჩვ.წ-მდე მესამე საუკუნეში, რომმა გააფართოვა თავისი საზღვრები ერთდროულად აღმოსავლეთით, ბერძნებისა და მაკედონელების წინააღმდეგ და დასავლეთითა და სამხრეთით, კართაგენის წინააღმდეგ. კართაგენი წარმოადგენდა დიდი კომერციული და სამხედრო შესაძლებლობებისმქონე სახელმწიფოს, რომელიც წარმოიქმნა დღევანდელი ტუნისის ტერიტორიაზე მდებარე ფინიკიელების დასახლებიდან. სამივე პუნიკური ომი იყო ბრძოლა ხმელთაშუა ზღვის აუზის ტერიტორიის ცენტრალური ნაწილისათვის, რომლის კულმინაცია გახდა კართაგენის კატას-

ტროფული დასასრული. ეს ომებია: ჩვ. წ-მდე 264-241წ. – სიცილიისთვის; 218-210 წ. – იტალიისა და ესპანეთისთვის და 149-146 წ. – თვითონ კართაგენისთვის. ამ სამხედრო კონფლიქტების განმავლობაში, რომაელების სამხედრო ძალთა სტრუქტურის საუკეთესო ორგანიზებამ და ინფრასტრუქტურამ რამდენჯერმე აჩვენა, რომ მცირე მიწათმფლობელებს, რომლებიც შეადგენდნენ ლეგიონებს, როდესაც ბრძოლები იტალიაში მიმდინარეობდა, შეეძლოთ დაეძლიათ სუსტი მეთაურობის და არამრავალფეროვანი ტაქტიკის ნაკლი და საბოლოოდ მაინც მოეგოთ ომები, მიუხედავად მნიშვნელოვანი ბრძოლების წაგებისა.

სურ. 109 ტრებიასთან ბრძოლის ერთი ეპიზოდი (ძვ.წ. 217 წ.)

ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნების არმიის წარმოშობა



სურ.110 პუბლიუს კორნელიუს ტაციტუსი (ახ.წ. 6-117), რომაელი ისტორიკოსი

ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეორე საუკუნის ბოლოს და პირველი საუკუნის დასაწყისში, რომაელების სამხედრო ძალა დადგა დილემის წინაშე: სამხედრო ექსპანსია სხვა ქვეყნებში რომის ტრადიციულ სამხედრო შესაძლებლობებს აღემატებოდა. თითქმის გაუთავებელმა ომებმა ჩრდილოეთითა და დასავლეთით გერმანელი ტომების წინააღმდეგ (113-102 წ.), სამხრეთით აფრიკაში, ნუმიდიაში (112-106 წ.) და აღმოსავლეთით შავი ზღვის სანაპიროზე მეფე მითრიდატეს წინააღმდეგ (96-82 წ.), მოითხოვა რესპუბლიკის არმიის რესტრუქტურიზაცია, ან მომავალში მსგავს დაპყრობით ომებზე უარის თქმა. რომაელების კამპანიები იმ დროს მოიცავდა ფაქტიურად მთელ ხმელთაშუა ზღვისპირეთს და მიმდინარეობდა მთელი წლის განმავლობაში, ისე რომ მებრძოლ ლეგიონერებს არ ჰქონდათ საშუალება, ზაფხულის კამპანიის შემდეგ დროებით მაინც დაბრუნებულიყვნენ შინ და მიეხედათ თავისი მეურნეობისთვის. გარნიზონების მოწყობა, კედლების გამაგრება, ციხე-სიმაგრეებისა და გემების მისადგომების აგება, საზღვრების გამაგრება მოითხოვდა მუდმივი, პროფესიონალი მებრძოლი ქვედანაყოფების უწყვეტ საქმიანობას, რომლებსაც გარდა უშუალოდ საბრძოლო ოსტატობისა, უნდა ჰქონოდათ სხვადასხვა უნარ-ჩვევები ბრძოლის ველის გარეთაც, მაგალითად, მშენებლობა, ალყის ხელოვნება და ადგილზე წესრიგის დაცვა. ისტორიკოსი ტაციტუსი მოგვიანებით წერდა რომაელების მოქმედების შესახებ გერმანიის საზღვარზე, ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნის დასაწყისში: ,,ისინი ჩიოდნენ იმის გამო, რომ მათი სამუშაო მძიმე იყო, განსაკუთრებით ძნელი იყო ბასტიონის აგება, მიწაყრილების, სანგრების გათხრა, საკვების მომარაგება, ფიჩხისა და შეშის მომარაგება კოცონებისთვის და სხვა საბანაკო საქმე, რომელთაგან ზოგი მართლაც აუცილებელად იყო შესასრულებელი, მაგრამ ზოგს, სავარაუდოდ უბრალოდ იგონებდნენ, რომ ადამიანები დასაქმებული ყოფილიყვნენ.”

სურ.111 რომის ამფითეატრი (კოლიზეუმი)

ხშირად ლეგიონებს იძახებდნენ იმისთვის, რომ პროვინციებში რეალურად შეექმნათ ინფრასტრუქტურა, რომელიც არ არსებობდა. ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნეში, ეგვიპტეში რომაელების საგარნიზონო ჯარის შესახებ უცნობი რომაელი ავტორი წერს: ,,ეგვიპტის ბევრ ქალაქში ჯერ ისევ შეგიძლიათ იხილოთ რომაელი იმპერატორის პრობუსის (ჩვ. წ. 276-282) ბრძანებით აგებული ნაგებობები, მაგალითად, ხიდები, ტაძრები, პორტიკები (ღია გალერეები) და ბაზილიკები (ბერძნულ-რომაული არქიტექტურული სტილი – დიდი, სწორკუთხა შენობე-

სურ.112 სპარტაკი (ძვ.წ.110-71), ყოფილი მონა და გლადიატორი. ძვ.წ. 74-71 წლებში ხელმძღვანელობდა მონათა დიდ აჯანყებას

ბი კოლონებით, ჩვეულებრივ, სასამართლოებისთვის). ყველაფერი შექმნილია ჯარისკაცების შრომით; მან ბევრი მდინარის შესართავის ფსკერი გააღრმავებინა, უამრავი ჭაობი ამოაშრობინა და სასოფლო-სამეურნეო მიწებად აქცია." თუ რომაელ ჯარისკაცებს სხვადასხვა როლს ასრულებინებდნენ – პროფესიონალი მკვლელის, მშენებლის და დაკავებული ტერიტორიის დამცველის, მათ დაჭირდებოდათ უფრო ინტენსიური და უფრო მაღალი დონის წვრთნა და ორგანიზება. ერთი სიტყვით, რესპუბლიკური ეპოქის გვიან პერიოდში, მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია მოხალისე რომაელი მიწათმოქმედი-ფერმერი-მებრძოლისა, რომელიც საკუთარი იარაღითა და აღჭურვილობით მიდიოდა საბრძოლველად და ერთიანდებოდა რეგიონულ ორგანიზაციულ ერთეულებში, აბსოლუტურად შეუფერებელი გახდა. ადგილობრივი მცირე მიწათმფლობელები ჩვ, წ.-მდე მესამე და მეორე საუკუნეებში უზომოდ ზარალდებოდნენ სამხედრო გაწვევებისა და გაუთავებელი ომების გამო, რომლებსაც რომი თავის საზღვრებს გარეთ აწარმოებდა ტერიტორიის დაპყრობის მიზნით. ამან გამოიწვია იტალიაში სხვა ქვეყნებიდან არა-სამიწათმოქმედო კაპიტალის შემოტანა, როგორიც იყო მონები, ნაღდი ფული, საკვები და ფუფუნების საგნები. ეს ნაძარცვი ქონება, როგორც წესი, ემატებოდა სენატორებისა და მხედრების ელიტური ნაწილის უკვე ისედაც უხვ სიმდიდრეს. ეს ადამიანები სულ უფრო მეტ მოგებულ კაპიტალს აბანდებდნენ უფრო დიდ, უფრო მიზნობრივ და ხშირად, შორეულ საკუთრებაში: პრესტიჟულ ადგილ-მამულებს იმჟამად ამუშავებდნენ მონები და მართავდნენ ზედამხედველები.

სურ.113 გლადიატორების ორთაბრძოლა (ძვ,წ. I ს), ქ. პომპეის კედლის მხატვრობა

ამ წრიულ, მიზეზ-შედეგობრივ დამოკიდებულებებში, მსხვილი სამიწათმოქმედო საწარმოების (ლატიფუნდიები) განვითარება, რომელიც ფინანსდებოდა წართმეული უცხოური კაპიტალით, იწვევდა იტალიური სოფლების მოსახლეობისგან თანდათანობით დაცლას. ეს სოფლები იყო რომაული არმიისთვის ცოცხალი ძალის ძირითადი მიმწოდებელი, ხოლო არმია – უცხო ტერიტორიებზე აურაცხელი ქონების დამპყრობი. რომაელი ისტორიკოსი აპიანე (ჩვ.წ. მე-2 საუკუნე), იძლევა რომის რესპუბლიკის ეპოქის დასასრულისათვის მდგარი დილემის რიტორიკულ, მაგრამ ზუსტ სურათს. ის წერდა, რომ

,,მდიდართა ფენა.....ისაკუთრებდა ქონებას ახალი, გადაუნაწილებელი მიწების სახით. ხანგრძლივობის ვადის გასვლით გათამამებულები დარწმუნებული იყვნენ, რომ ამ ქონებას ვეღარავინ წაართმევდა, ამიტომ ნთქავდნენ თავისი მამულის ახლომდებარე მიწის ნაკვეთებს და ღარიბი მეზობლების წილებს, ნაწილობრივ იძულებითი შესყიდვის გზით, ნაწილობრივ ღია ძალადობით და ბოლოს, აღმოჩნდა, რომ დასამუშავებელი იყო უზარმაზარი ფართობები, და არა ერთი ტრადიციული, ჩვეულებრივი მამული. მონებს იყენებდნენ მუშებად და მენახირეებად, რადგან თავისუფალ მუშახელს არმიაში იწვევდნენ. ამავე დროს, მონათმფლობელობას მათთვის მოგება მოჰქონდა, რომელიც მათი მონების შთამომავლობის რაოდენობის მიხედვით განისაზღვრებოდა, რომლებიც მრავლდებოდნენ, რადგან თავისუფალი იყვნენ სამხედრო სამსახურისგან. ამგვარად, ზოგი გავლენიანი ადამიანი უსაზღვროდ გამდიდრდა და მონობაში მყოფი უცხო მუშახელის ჯგუფი მთელი ქვეყნის მასშტაბით გაიზარდა, იტალიელი ხალხი კი დაუძლურდა და რიცხობრივად შემცირდა სიღარიბის, გადასახადებისა და ჯარში სამსახურის გამო. და თუ ამდენ ბოროტებას რომელიმე მცირემიწიანი ფერმერი გადაურჩებოდა, ის მთელ დროს უსაქმურად ატარებდა იმიტომ, რომ მიწა აღარ ჰქონდა, მის მიწას მდიდარი რომაელი იყო დაპატრონებული, რომელსაც ერჩივნა, მონები გამოეყენებინა მიწების დასამუშავებლად, ვიდრე თავისუფალი მუშები.“

სურ.114 რომაელების ომის ღმერთი მარსი

ეს პარადოქსი რაღაცით ჰგავდა ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოებთან დაკავშირებულ პარადოქსს მათი მოწიფულობის ხანაში, ჩვ. წ-მდე მე-4 საუკუნეში, როდესაც ხმელთაშუა ზღვის აუზის გაზრდილმა მნიშვნელობამ შეზღუდვები წაუყენა ბერძნების ტრადიციულ იდეას ადგილობრივი ფერმერებისათვის მოქალაქეობაზე შეზღუდვა დაეწესებინათ და ომის წესები და მეთოდები მხოლოდ მცირე მიწათმფლობელი ქვეითი ჯარისკაცების გარშემო აეგოთ. მართალია, რომაელების პროფესიულ ლეგიონზე გადასვლა და სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელი ადამიანების ერთ კოსმოპოლიტურ ერად გარდაქმნა დახვეწილი ეკონომიკისა და რომაული იმპერიალიზმის და სამხედრო მმართველობის წინაპირობა იყო, მაგრამ ამან ასევე წინასწარ აჩვენა ძველი აგრარული რომის ეპოქის დასასრული, რომელიც ყველა რომაული სამხედრო თუ სამოქალაქო ტრადიციის წყარო იყო.

უფრო ფართო გაგებით, ამ სახის სოციალური და სამხედრო სიძნელეები დასავლეთ სამყაროს დაავადებასავით ედებოდა შემდგომ ეპოქებშიც – დინამიკური არმიების წარმატებები სამშობლოს საზღვრებს გარეთ კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს და ხანდახან, დამანგრეველადაც მოქმედებს, საკუთარ ქვეყანაში ჩამოყალიბებული სოციალური წესრიგის იდეოლოგიურ და პოლიტიკურ საფუძვლებზე.

საბოლოო გადასვლა რომაულ სამხედრო საქმეში მცირე მიწათმფლობელ ქვეითების ჯარიდან პროფესიონალ ლეგიონერების ჯარზე კარგად ჩანს, თუ თვალს მივადევნებთ ცნობილი რომაელი მხედართმთავ-



სურ.115 გაიუს მარიუსი (ძვ.წ. 157-86), რომაელი მხედართმთავარი და სახელმწიფო მოღვაწე

რის გაიუს მარიუსის (157-86) კარიერას. ნუმიდიის მეფის იუგურთას დევნის დროს, ჩრდილოეთ აფრიკაში, მარიუსმა ღიად აუარა გვერდი ქონებრივ ცენზს რომაელი ქვეითი ჯარისთვის და მეტი საბრძოლო სიძლიერის აუცილებლობის ვითარებაში უზრუნველყო თავისი ლეგიონების აღჭურვა სახელმწიფოს ხარჯზე. მან თანდათან შემოიღო აგრეთვე 16 წლიანი და არა სამუდამო სამხედრო სამსახური. ამ დროიდან, რომაელი მოქალაქეების ჯარში გაწვევა, ბერძნული ელინისტური ეპოქის არმიის მსგავსად, აღარ იყო დამოკიდებული მოქალაქის სტატუსზე ან სიმდიდრეზე. ამ მეთოდმა უზრუნველყო ჯარისკაცების გაცილებით დიდი რეზერვი, არმია, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ მთავრობის მხრიდან იქნებოდა უზრუნველყოფილი, როგორც აქტიური სამსახურის წლებში, ისე პენსიაზე გასვლის შემდეგ. შესაბამისად, პროფესიონალი ლეგიონერები უფრო მეტად მიესალმებოდნენ, ვიდრე უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ, შორეულ ქვეყნებში ,,სამსახურს". ვეგეციუსი აღნიშნავდა, რომ იმ დროიდან ლეგიონერებს სჭირდებოდათ მხოლოდ ,,მახვილი მზერა, მხნედ აწეული თავი, გაშლილი გულ-მკერდი, დაკუნთული მხრები, ძლიერი მკლავები, გრძელი თითები, ზომიერი მუცელი, გამხდარი დუნდულები და მსხვილი, უხეში, მაგრამ არა მსუქანი წვივები." მაგრამ მარიუსმა შექმნა აგრეთვე სახიფათო პრეცედენტიც, შეკვეცილიყო სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებულებისაგან მოხალისეების სახალხო ლაშქრის შექმნის ტრადიცია. პროფესიულ არმიებში, როგორც ეს მომდევნო საუკუნეებში დადასტურდა, ხშირად ხდებოდა, რომ ნდობა სახელმწიფოსადმი, და საერთოდ, ურთიერთობა სახელმწიფოსთან, ლეგიონერებს რომელიმე მეთაურზე გადაჰქონდათ, რომელიც მათ გაუძღვებოდა, მისცემდა ხელფასს, უზრუნველყოფდა მათ აღჭურვას, მისცემდა ძარცვის უფლებას და რაც ყველაზე მთავარი იყო, მისცემდა კარგი პენსიით და შეღავათებით უზრუნველყოფის გარანტიას. დემობილიზაცია მშვიდობიანობის დროს სულაც არ ნიშნავდა, რომ მებრძოლები მასიურად დაუბრუნდებოდნენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს. პირიქით, ეს ნიშნავდა უმუშევრობას, მასთან ერთად ურბანული უმუშევრობის მთელ სპექტრსა და სრულ გაღარიბებას. ნაცვლად უწინდელი ჩვეული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის გამოცდილებისა, ნაცვლად იტალიის ტერიტორიის დაცვისა, ლეგიონერობა იქცა მათ სამუშაოდ, და მასთან ერთად, წყურვილი დიდების და სიმდიდრის მოპოვებისა და თავგადასავლებისა. იმპერატორი სევერიუს ალექსანდერი (ჩვ.წ. 222-35), მოგვიანებით, ასეთ დასკვნას აკეთებდა ლეგიონერთა იდეოლოგიის შესახებ: ,,არ უნდა გქონოდა იმ რომაელი ჯარისკაცის შიში, ვისაც ტანთ ემოსა, ფეხთ ეცვა კარგი, გამძლე ფეხსაცმელი, მუცელი სავსე ჰქონდა და ცოტაოდენი რამ მაინც ედო თავის საფულეში."

სურ.116 რომაული ფარი

ახალი სამხედრო გამოწვევების პირისპირ, როცა ბრძოლა უხდებოდათ სრულიად განსხვავებულ ადგილებში და გარემო პირობებში, მარიუსმა ჩაატარა აგრეთვე დაგვიანებული (თუ მკაცრად ვიმსჯელებთ სამხედრო თვალსაზრისით) რეფორმების სერია ლოგისტიკისა და ტაქტიკის სფეროში. კოჰორტა (ჩვეულებრივ, მასში 480 ჯარისკაცი იყო, და ამგვარად, სამჯერ აღემატებოდა მანიპულს 160 კაცისგან) თანდათან გადაიქცა ლეგიონის ძირითად ტაქტიკურ ქვედანაყოფად; ლეგიონი კი ახლა ათი კოჰორტისგან, ანუ 4800 ჯარისკაცისგან შედგებოდა, ხოლო მანამდე ის შეიძლებოდა განსაზღვრული ყოფილიყო როგორც ადმინისტრაციული ორგანიზაციული ერთეული, შემდგარი სამი ერთმანეთისგან განსხვავებული მანიპულისაგან, რომელთაგან თითოეული გადმოყვანილი იყო ,,სამმაგი ჯავშნის", ანუ სამკოლონიანი წყობის, პირველი მწკრივებიდან. მაგრამ მარიუსის რეფორმის შემდეგ, თითოეული კოჰორტა, გარკვეული თვალსაზრისით, მინი-ლეგიონად, ნამდვილ დამოუკიდებელ საბრძოლო შენაერთად გადაიქცა. მისი შემადგენელი სამი მანიპული ერთმანეთის უკან ან გვერდიგვერდ განლაგებული, ბრძოლის დროს ერთ მასად იყო შერწყმული. ძველებურად, პირველ რიგს ჰასტატები შეადგენდნენ, მეორეს - პრინციპები და ზურგში კი ტრიარები, რომელთაგან გამოდიოდა ერთი მანიპული ახალი კოჰორტის შესადგენად, ხოლო ამათგან შედგებოდა ახალი სამმაგი წყობები: ოთხი წინ, სამი შუაში და სამი ზურგში.

ამ ახლად შექმნილი კოჰორტით, ათი (უფრო ხშირად, ვიდრე ძველებური წესით ოცადაათი) ლეგიონის ტაქტიკური სეგმენტი უფრო ძლიერიც იყო და უფრო მრავალფეროვანიც. მათ უკეთ შეეძლოთ კონცენტრირება ცალკეულ კონკრეტულ მიზნებზე მოწინააღმდეგეს ხაზზე. ლეგიონების განახლებამ უზრუნველყო მეტი მოქნილობა და ამგვარად, რომაელი მხედართმთავარი მთელ ლეგიონში უსათუოდ აღარ იცავდა სამმაგი წყობით შესრულებული იერიშის სტანდარტს, რომელიც ადვილად პროგნოზირებადი გახდა მოწინააღმდეგისთვის. მას შეეძლო მრავალგვარი გაეხადა შეტევები, მოეხდინა მათი დივერსიფიკაცია, როცა გააგზავნიდა კოჰორტებს ფლანგებზე და ზურგში, სადაც მათ შეეძლოთ წარმატების მიღწევა დამოუკიდებელი ეტაპობრივი იერიშებით. მათი იზოლირება და ერთი დარტყმით განადგურება აღარ იყო ისე ადვილად შესაძლებელი, როგორც უფრო მცირე ზომის მანიპულებისა.

მარიუსის რეფორმის შედეგად ლეგიონის მთავარ ტაქტიკურ და ორგანიზაციულ ქვედანაყოფად გადაიქცა კოჰორტა და არა მანიპული. ლეგიონების მოქნილობისა და ორგანიზაციული სტრუქტურის საფუძველზე და ახალი, კომერციული საქმიანობით დაკავებული კლასების წარმოშობის წყალობით, ჩვ. წ-მდე მეორე და პირველ, და ჩვ.წ-ის პირველ საუკუნეებში, რომი წარმატებას აღწევდა თითქმის ყველა საომარ თეატრზე. უფრო ცივილიზებულ და განვითარებულ აღმოსავლეთ და სამხრეთ სამყაროს დამარცხებასთან ერთად, რომი დაუღალავად აწარმოებდა უფრო ბარბაროსული და განუვითარებელი დასავლეთ ევროპული სამყაროს დაპყრობასა და ექსპლუატაციას.

ამ გაუმჯობესებულ, უფრო მაღალი დონის სამხედრო სიახლეებზე გადასვლასთან ერთად, მარიუსი ცდილობდა, ლეგიონები ყველა მხრივ გადაეყვანა ახალი მოთხოვნების შესაბამის სტანდარტებზე. მებრძოლებს (რომლებსაც დაცინვით ,,მარიუსის ჯორები" შეარქვეს), თვითონ უნდა ეტარებინათ თავისი იარაღი და აღჭურვილობა. ორი საუკუნით ადრინდელი, ფილიპე მაკედონელის ფალანგისტების მსგავსად, ლეგიონერები ყოველდღიურად რამდენიმე მილს გადიოდნენ მარშით, დამატებითი საკვებისა და ბარგის გადატანით... მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი ის იყო, რომ მსროლელებს (იგივე ველიტები, რომაული ლაშქრის ყველაზე სუსტად შეიარაღებული და ორგანიზებული ნაწილი) მისცეს სტანდარტული შეიარაღება და შეიყვანეს ლეგიონის ფორმალიზებულ სისტემაში; იმ დროიდან, ნებისმიერი არა-ლეგიონის სისტემის კუთვნილი მსუბუქი მსროლელების ან მტყორცნელების ჯარები, როცა ისინი საჭირო ხდებოდნენ, მხოლოდ მოკავშირეების ჯარისკაცებისგან უნდა ყოფილიყო შემდგარი. ერთიანობისა და უნიფიკაციისკენ გადადმულ ამ ნაბიჯს მოჰყვა ის, რომ მესამე რანგის ტრიარებმაც თავი ანებეს თავიანთ ჰასტებს (კავალერისტის შუბი) და მათ მისცეს სტანდარტული ხმლები (გლადიუსები) და მოკლე, სატყორცნი ხელშუბები (პილონები). ეს უკანასკნელი ძალიან ეფექტიანი იარაღი გამოდგა და თანდათან მეტი ნდობა და აღიარება მოიპოვა მას შემდეგ, რაც მარიუსმა შემოიღო მისი გაუმჯობესებული ვარიანტი. ჩვ.წ-ის პირველი საუკუნის ისტორიკოსი ვალერიუს მაქსიმუსი აფასებს მარიუსის ღვაწლს, აღწერს რა იარაღის ჭერისა და მოხმარების ტექნიკას:

,,მარიუსამდე არც ერთ მხედართმთავარს არ გაუკეთებია ეს, მხოლოდ მან გამოიძახა საუკეთესო გლადიატორები გაიუს ავრელიუს სკაურუსის სკოლიდან და ჩვენს ლეგიონებს ასწავლა ზუსტი მომგერიებელი და შემტევი დარტყმები. მან შექმნა გამბედაობისა და ოსტატობის ისეთი კომბინაცია, რომ ეს ორი უნარი ერთმანეთს აძლიერებდა: გამბედაობა სწრაფვას მატებდა ოსტატობას, ხოლო ოსტატობა გამბედაობას ასწავლიდა, უკეთესად როგორ უნდა დაეცვა თავი."

უფრო სიმბოლური იყო ჟესტი, რომლითაც მარიუსმა განაახლა ლეგიონების დროშები (შტანდარტები), რომლებიც, როგორც წესი, უპირატესობას აძლევდნენ მებრძოლი არწივის (აქვილას) გამოსახვას ნაცვლად აგრარული წესების მიხედვით მგლის, ცხენის, ტახის და მინოტავრის გამოსახულებებისა – რაც იმის დადასტურება იყო, რომ ახალი ლეგიონები უფრო დაქირავებული პროფესიონალი მებრძოლებისგან შედგებოდნენ, ვიდრე მიწათმოქმედებისაგან.



სურ.117 მე-V ლეგიონის ბაირაღი

სურ.118 მე- IX (ესპანური) ლეგიონის ბაირაღი

დაქირავებული არმიების გაუმჯობესება

მეფე იუგურთას წინააღმდეგ ომის დროს მარიუსის ყოფილმა ხელქვეითმა უმცროსმა ოფიცერმა სულამ, თავის ყოფილ მენტორთან, შემდეგ კი შეურიგებელ მოწინააღმდეგესთან მარიუსთან ერთად მიიღო მონაწილეობა იმ მოქმედებებში, რომელთა მიზანი იყო ეგრეთ წოდებული სოციალური ომის (90-89 ჩვ. წ-მდე) დასრულება რომის მოკავშირე იტალიური სახელმწიფოების (სოციების) წინააღმდეგ, რომლებმაც იმ დროს რომის მოქალაქეობის სტატუსი მიიღეს-შესაბამისი უფლებით შეერთებოდნენ რომაულ არმიას. ამ წარმატებული კამპანიის დროს მოპოვებულმა სახელმა და მზარდმა პრაქტიკამ, რომ ახალშექმნილი პროფესიონალი ლეგიონები დაქვემდებარებოდნენ ერთ კონკრეტულ, უცხოელებისგან შემდგარი ქვედანაყოფებისთვის გამოყოფილ მხედართმთავარს, სულას უზარმაზარი გავლენა მოუპოვა, ათასობით ადამიანის ერთგულებასთან ერთად, რომლებიც ერთგულად ემსახურებოდნენ უკვე არა სენატს, არამედ პირადად მას, როგორც დიქტატორს. ჩვ.წ-მდე 88 წლიდან დაწყებული, მის სიკვდილამდე, ჩვ.წ-მდე 78 წლის ჩათვლით, სულა სისტემატურად ლაშქრობდა საბერძნეთსა და მცირე აზიაში და აუძლურებდა ამ ქვეყნებს, ხოლო შემდეგ თავისი 6 ლეგიონით, გაილაშქრა თვით რომზე, რათა გაენადგურებინა სახალხო ოპოზიცია ქვეყნის შიგნით, რომელიც უპირისპირდებოდა სულას და არისტოკრატების ტრადიციულ ინტერესებს.

შედეგად, როგორც მარიუსის, ისე მასთან დაპირისპირებული სულას წყალობით, ჩვ. წ-მდე პირველი საუკუნის სამოცდაათიანი წლებისთვის, რომაული არმია გახდა მთლიანად პროფესიული და ამავე დროს, თავისი ადგილი დაიმკვიდრა შინაურ პოლიტიკურ დაპირისპირებებშიც. ეს სახიფათო ტენდენცია მომდევნო თითქმის 500 წლის განმავლობაში არ შეცვლილა. ასეთი ტრანსფორმაციის სამხედრო უპირატესობებიც და სავსებით რეალურად მოსალოდნელი ნაკლოვანი მხარეებიც გამოჩნდა მომდევნო წლების გამოწვევების დროს, რომლებიც ხშირად დგებოდა მმართველობის რომაული წესრიგის წინაშე, როგორიც იყო ესპანეთში სენტორიუსის წინამძღოლობით აჯანყებული ლეგიონების მაგალითი (ჩვ. წ-მდე 80-72წ.), მონათა აჯანყებები სპარტაკის წინამძღოლობით (ჩვ.წ-მდე 73-71წ.) და თავისუფალი მეკობრეების მოქმედებები (ჩვ.წ-მდე 67წ.) ეს

მოვლენები მოითხოვდა საგანგებო ზომების მიღებას, ისევე როგორც მეფე მითრიდატეს განახლებული თავდასხმები აზიის სახელმწიფოებზე (ჩვ.წ-მდე 74-63) და აგრეთვე, გალიის საბოლოო დაპყრობა (ჩვ.წ-მდე 58-51წ.).

სურ.119 მითრიდატე VI ევპატორი (ძვ.წ. 132-62), პონტოს მეფე, ნიჭიერი მხედართმთავარი. აწარმოა სამხედრო კამპანიები რომის წინააღმდეგ



სურ.120 მარკუს ლიციინიუს კრასუსი (ძვ.წ. 115-53), რომაელი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე

სურ.121 გნეუს პომპეუს მაგნუსი (ძვ.წ. 106-48), რომაელი მხედართმთავარი და სახელმწიფო მოღვაწე

ყველა თეატრზე, რომაელების სამხედრო ოსტატობა – ძირითადად, პროფესიონალიზმი და ლეგიონების პროფესიული წვრთნა, ჯობნიდა რიცხობრივ უპირატესობას, ტაქტიკურ ხრიკებს და რთული რელიეფის ფართო სივრცეებს. მხოლოდ კრასუსის უიღბლო და არაგონივრული ნაბიჯი პართელების წინააღმდეგ კარესთან, მესოპოტამიაში (ჩვ.წ-მდე 53წ.) დასრულდა კატასტროფით, რომელიც აღარ გამეორებულა ჩვ.წ-ის 9 წლამდე, გერმანიის ტყეებში ვარუსის ლეგიონების ამოხოცვამდე.

სურ.122 ლუციუს ლიცინიუს ლუკულუსი (ძვ. წ. 117-56), რომაელი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე

ჩვ. წ-მდე პირველი საუკუნის განმავლობაში თითქმის განუწყვეტლივ მიმდინარეობდა ბრძოლები, იქნებოდა ეს რომაელი ჯარისკაცების შეტაკებები აჯანყებულ გლადიატორებთან, აჯანყებულ ლეგიონერებთან, დაქირავებულ საზღვაო ძალებთან, აღმოსავლეთ ქვეყნების ფალანგისტებთან, ჩრდილოეთ ევროპის ტომების არარეგულარულ ჯარებთან - შედეგი თითქმის ყოველთვის ერთი იყო: რომაელების საბოლოო გამარჯვება, მოწინააღმდეგის ფიზიკური განადგურება, დაპირისპირებული მხარის სრული განადგურება. მაგრამ საკმაოდ უცნაური პარადოქსია, რომ რომაელი ლეგიონების სამხედრო ოსტატობამ და ავტორიტეტმა და ათეული წლების განმავლობაში მათ მიერ მოტანილმა ნადავლმა ვერ გააძლიერა რომის რესპუბლიკური მთავრობა და კიდევ უფრო ნაკლებად შესძინა რამე რიგით ლეგიონერებს. ამის ნაცვლად, მხედართმთავრები, როგორებიც იყვნენ მეტელუსი, ლუკულუსი, პომპეუსი, იულიუს კეისარი და კრასუსი, პროვინციებში განლაგებულ თავის შენაერთებს იყენებდნენ სახელმწიფო კაპიტალის დასატაცებლად, რომლითაც აფინანსებდნენ თავის საკუთარ არმიებს და ამით უზრუნველყოფდნენ პირადი ძალაუფლების გამყარებას.

ამ უდიდესი მხედართმთავრების შედარებითი წარმატება დამოკიდებული იყო მხოლოდ საკუთარ სამხედრო გამჭრიახობაზე და საკუთარ გამბედაობაზე, რომლითაც შეძლებდნენ დაემხოთ თითქმის გამქრალი რესპუბლიკური იდეა სახელმწიფო სამსახურის შესახებ, რომელსაც შეეძლო სამხედრო მმართველობისა და უცხოური კაპიტალის უკანონოდ მითვისების გაკონტროლება. ამგვარად, სამი საუკუნის მანძილზე რომის მუდმივი სამხედრო მიღწევების კულმინაცია ჩვ.წ.-მდე პირველ საუკუნეში გახდა სამხედრო აპარატი, რომელმაც უხეში ზეწოლით გაანადგურა როგორც ქვეყნის შიდა ოპოზიცია, ისე გარე დაპირისპირებული ძალები. ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნების უმეტესობის მიტაცების შემდეგ ლეგიონები გამოვიდნენ იმ სახელმწიფო წესრიგის წინააღმდეგ, რომელმაც ისინი შვა.

სურ.123 გაიუს იულიუს კეისარი (ძვ.წ. 100-44), რომის გამოჩენილი სამხედრო
და სახელმწიფო მოღვაწე

ჩვ.წ-მდე 49 წელს კეისარმა გადაკვეთა რუბიკონი, ხოლო ამ ისტორიული ფაქტიდან ორი ათეული წლის განმავლობაში ლეგიონი ლეგიონის წინააღმდეგ თითქმის განუწყვეტლივ იბრძოდა. ძნელია აღმოაჩინო ხარისხობრივი სამხედრო უპირატესობა კეისრის, პომპეუსისა ან მათ მემკვიდრეთა არმიებს შორის, თუმცა გალიაში კეისრის სასტიკი კამპანიების (ჩვ.წ-მდე 58-51 წ.) მონაწილე ვეტერანებმა თავი ყველაზე გამოცდილ, გამობრძმედილ (და ალბათ ყველაზე მაღალი სულისკვეთების) ჯარისკაცებად წარმოაჩინეს. ბრძოლის ველზე გამოწრთობილი მისი შტაბისა და საველე ოფიცრების კორპუსი და ლეგიონერები ძალ-ღონეს არ იშურებდნენ და უდიდესი წვლილი შეჰქონდათ ქვეითი ჯარის ბრწყინვალე გამარჯვებებში: ფარსალოსთან საბერძნეთში (ჩვ.წ-მდე 48

წელი, პომპეუსის წინააღმდეგ), ზელასთან ანატოლიაში (ეს ის ადგილია, სადაც კეისარმა განაცხადა: ,,მოვედი, ვნახე, დავამარცხე", 47წ.), სადაც მან სძლია ფარნაკს, მითრიდატეს ძეს; აგრეთვე, თაფსუსთან ტუნისში (46 წ.), იმ დროს უკვე გარდაცვლილი პომპეუსის მხედართმთავრების წინააღმდეგ და მუნდასთან ესპანეთში (45წ.), სადაც დამარცხდნენ პომპეუსის მომხრეთა რაზმები. სულ, ამ დიდ მხედართმთავართა ომებში მეტი რომაელი ჯარისკაცი დაიღუპა, ვიდრე ქვეყნის გარეთ წარმოებულ ომებში.

სურ.124 ვერსინგეტორიქსი (ერთ-ერთი გალიური ტომის ბელადი) მორჩილებას უცხადებს კეისარს

მაგრამ კეისრის გამარჯვება არა საბოლოო, არამედ დროებითი აღმოჩნდა. დიქტატორის მკვლელობის შემდეგ (ჩვ.წ-მდე 44 წელს), ურთიერთდაპირისპირება გაგრძელდა ახალი ბრძოლების სახით, სარდალ მარკუს ანტონიუსსა და კეისრის მემკვიდრეს, ოქტავიანეს შორის, რომელმაც მოიპოვა საბოლოო გამარჯვება და მიიღო კეისარ ავგუსტუსის, რომის პირველი იმპერატორის, ტიტული (ჩვ.წ-მდე 27 წელს).

სამოქალაქო ომებში სამხედრო წარმატების საფუძველი ძირითადად იყო ლოგისტიკა, ჯარში გაწვევა და პოლიტიკური პროპაგანდა და ამგვარად, ეს წარმატება უკიდურესად დამოკიდებული იყო უდიდესი კაპიტალის კონტროლზე. ამ თვალსაზრისით ოქტავიანე, უფრო მეტად, ვიდრე სხვა მისი თანამედროვე უზურპატორები, ხვდებოდა ფსიქოლოგიური ელემენტის მნიშვნელობას, იმას, თუ რაოდენ დიდ მოწონებას დაიმსახურებდა იტალიაში ძველი რომაული ტრადიციების (თუნდაც უკვე გაქრობის პირას მისულის) თავგამოდებით დაცვა და მოწინააღმდეგეების წარმოჩენა რომაული სახელმწიფოებრივი წესრიგის მტრებად და სამარცხვინო კოლაბორაციონისტებად უცხოურ დინასტიებთან, რომლებიც თურმე ცდილობდნენ ძირი გამოეთხარათ იტალიის სახელმწიფოსთვის. შედეგად, რომაელი არისტოკრატები, განსაკუთრებით კი უკანასკნელ ხანებში გამდიდრებულნი, თავისი კომერციული ინტერესებიდან გამომდინარე, მიესალმებოდნენ ოქტავიანეს მტკიცე პრაგმატიზმს და მას მხარს უჭერდნენ. მისი მიმდევრები სწორად ხედავდნენ, რომ პოტენციურ ტირანთა მთელი უწესრიგო, უთავბოლო პანთეონიდან, ოქტავიანე იყო ყველაზე წარმა-

ტებული და მიზანსწრაფული, ვინც მთელი ძალისხმევით ცდილობდა სახელმწიფოში წესრიგის განმტკიცებას, ფინანსების მოწესრიგებას და გაძლიერებას, არმიების გაწვრთნასა და რესპუბლიკანიზმის უკანასკნელი კვალის წაშლას.

ომის ბიუროკრატია

იმპერატორის ძალაუფლებით აღჭურვისთანავე, ახლად გამოცხადებული ავგუსტუსი სამხედრო სფეროში უზარმაზარ პრობლემებს შეეჩეხა, რომლებიც სცდებოდა ორი ათწლეულის განმავლობაში მიმდინარე ომით გამოწვეულ ფიზიკურ და ფინანსურ დაუძლურებას. დანაწევრებული რომაული არმიისთვის აუცილებელი იყო გადაჯგუფება, ცენტრალური მართვის ქვეშ მოქცევა და სახელმწიფოს ხაზინიდან სტაბილური ანაზღაურებით უზრუნველყოფა. მაგრამ მთელი წინა საუკუნის მანძილზე, მხედართმთავრებმა აღმოაჩინეს, რომ სახელმწიფოს მმართველობაში არმიების გადაცემა ნიშნავდა მათი ამბიციების დასასრულს, ხოლო ხშირად, განდევნასა და გადასახლებას. ამიტომ, რთული საკანონმდებლო მანევრების საშუალებით, ავგუსტუსმა ძალაუფლება ნომინალურად მისცა ახლად შექმნილ, დიდი სიფრთხილით არჩეულ სენატს, რომლისგანაც საპასუხოდ მიიღო კონსულის ტიტული, მართლმსაჯულების ძალაუფლება და პროვინციების ადმინისტრაციული მართვა. ლეგიონები ახლა პირადად ავგუსტუსისადმი ვასალური ერთგულების ფიცს სდებდნენ და ითვლებოდა, რომ ამაში იგულისხმებოდა სახელმწიფოსადმი ერთგულებაც. ამ გზით, სამხედრო-პოლიტიკური ხასიათის პრობლემები შემცირდა, მაგრამ ბოლომდე მათი გადაჭრა ვერასდროს მოხერხდა. მომავალი ამბიციური სარდლები კვლავ ცდილობდნენ რომისკენ გზის გაკვალვას, მთავრობისგან "აღიარების" სანქციების მოპოვებას, ხოლო შემდეგ სახელმწიფოს სიმდიდრეში ხელის ფათურს, რათა საზღაური გადაეხადათ მხარდამჭერი ჯარებისთვის, რომელთა მხარდაჭერა ლეგიონერების ერთგულების ფიცით იყო რატიფიცირებული.

სურ.125 გაიუს ოქტავიანე ავგუსტუსი (ძვ.წ. 63-ახ.წ. 14), რომის გამოჩენილი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე

ისტორიკოსი დიონ კასიუსი (ჩვ.წ.230წ), ეხება რა ახალი სისტემის სწრაფ და ლოგიკურ განვითარებას, ამბობს:

,,ამას შედეგად მოჰყვა სამარცხვინო და რომის დიდებისთვის შეუფერებელი ვაჭრობა. თითქოს ბაზარზე ან აუქციონზე იმყოფებოდნენ, ქალაქი რომი და მთელი იმპერია მასთან ერთად გაყიდეს. გამყიდველები იყვნენ ისინი, ვინც მოკლა თავისი იმპერატორი, ხოლო სავარაუდო მყიდველები იყვნენ სულფიციანე და იულიანე, რომლებმაც თავისი ფასის შეთავაზება თანდათან აწიეს ყოველ ჯარისკაცზე 20 ათას სესტერციამდე. სულფიციანე პირველი იყო, ვინც ეს თანხა დაასახელა, რათა იულიანე იძულებული გამხდარიყო ერთბაშად აეწია თავისი შეთავაზება, ერთ ჯერზე 5 ათასით. ამ რიცხვებს ხმამაღლა გაჰყვიროდნენ და თან თითებითაც აჩვენებდნენ. ამგვარად, ჯარისკაცებმა, რომლებიც მოიხიბლნენ ამ ფულით და რომლებსაც ამავე დროს ეშინოდათ, რომ სულფიციანესგან მოსალოდნელი იყო

შურისძიება პერტინაქსის გამო, - ეს აზრი მათ იულიანემ შთააგონა, - იულიანეს დაუჭირეს მხარი და იმპერატორად გამოაცხადეს.”

ლეგიონების მოსყიდვის მიზნით გაღებული უზარმაზარი ხარჯები, დიონ კასიუსის თანახმად, ნიშნავდა, რომ ლეგიონერებისთვის დაპირებული ანაზღაურების სრულად მიცემა შეუძლებელი იყო მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ დამატებითი ანაზღაურებაც უნდა ებოძებინათ მათთვის და ასევე შეუძლებელი იყო ხელფასის მიუცემლობაც.

კეისარმა ავგუსტუსმა, იულიუს კეისრის შვილობილმა, ბოლო მოუღო რესპუბლიკის აღდგენის ბოლო იმედს და გახდა რომის პირველი იმპერატორი (ჩვ.წ-მდე 27 – ჩვ.წ. 14). ავგუსტუსის მმართველობის დროს, რომაული პრინციპატის უზარმაზარი რესურსები და მისი სასამართლო და სამოქალაქო ადმინისტრაციის უმაღლესი დონის სისტემა გარანტირებდა სწრაფად დაბრუნებას სამხედრო წარმატებებისა და უპირატესობების ეპოქაში, მიუხედავად ათწლეულობით მიმდინარე სამოქალაქო ომებით გამოწვეული დაუძლურებისა. მომდევნო ორი საუკუნის მანძილზე, უხეში გათვლებით, არმიამ შეძლო საბრძოლო მზადყოფნაში ჰყოლოდა 25-30 ლეგიონი, პროვინციების გარნიზონებში 125-150 ათასი მუდმივი სამსახურის ლეგიონერების შემადგენლობით. ამასთან, რომს დამატებით გამოჰყავდა დაახლოებით 350-375 ათასი ცხენოსანი და მსუბუქი ქვეითი არარეგულარული რაზმები, როგორც მხარდამჭერი ძალა, რაც საბოლოო ჯამში შეადგენდა ალბათ ნახევარ მილიონამდე ანაზღაურებად პროფესიონალ ჯარისკაცს. შოტლანდიიდან სირიამდე ეს ჯარი იყო ერთნაირად შემოსილი, ერთნაირად მარშირებდა და მას ერთნაირი თავდაცვითი ტაქტიკა ჰქონდა.

სურ.126 რომის არმიის ოფიცრები

მაგრამ ყოველივე ამან შექმნა ახალი, ძნელი და ბუნდოვანი როლი უზარმაზარი იმპერიული არმიისთვის და ეს ახალი პრობლემა მკვეთრად განსხვავდებოდა ლეგიონების მიერ პოლიტიკაში ჩარევის ტენდენციისაგან. ტერიტორიული ექსპანსია შეწყდა ჩრდილოეთით მდ. რაინთან და დუნაისთან, აღმოსავლეთით ის დასრულდა იუდეის ანექსიით, დასავლეთით ესპანეთისა და გალიის ჩაწყნარებითა და ბრიტანეთში რომაელი მეომრების ყოფნით, თუმცა ეს მათთვის საკმაოდ რთული იყო, და ბოლოს, სამხრეთით - პართიასთან მიღწეული შეთანხმებებით. რომის შემადგენელ პროვინციად ეგვიპტის ოფიციალურად გაფორმებამ უზრუნველყო ჩრდილოეთ აფრიკის საზღვაო სანაპიროს უსაფრთხოება. შედეგად, რომაელი ლეგიონერები, განსაკუთრებით, იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში, აგრესიული მეომრებიდან უზარმაზარ და ძვირად შესანახ პოლიციურ ძალებად გადაიქცნენ. რომაელი რიტორიკოსი ფრონტონიუსი ჩიოდა, რომ ლეგიონერები ,,მთელ დროს მსახიობებისთვის ტაშის დაკვრაში ატარებენ და მათ ტავერნებში უფრო ხშირად ნახავთ, ვიდრე სამხედრო ნაწილებში.” მათი ცხენები აღარ იყო ძველებურად მოვლილი. გარდაუვალი და შეუქცევადი გადაგვარება კარგად ჩანდა მაშინ, როდესაც

ლეგიონერები ყაზარმებში იმყოფებოდნენ, ხოლო ნაკლებად, როდესაც სალაშქროდ გადაადგილდებოდნენ. ლეგიონერების ზნეობა დაეცა იმ მხრივაც, რომ ისინი ხშირად არაოფიციალური, მაგრამ საკმაოდ ბევრი, მატერიალურად მათზე დამოკიდებული ადამიანების რჩენის გამო, იძულებული იყვნენ ჩაბმულიყვნენ ადგილობრივი ადმინისტრაციის მუშაობაში და ხშირად სძალავდნენ მოსახლეობას ქრთამს. უმოქმედობა დამღუპველად მოქმედებდა ჯარისკაცებზე.

ლეგიონები საზღვარზე

იმპერიის თვალუწვდენელი სივრცეების გამო, ყველა სხვა პრობლემას მალე რეგიონალიზმიც დაემატა. მთლიანობაში, რომაელების იმპერიული არმია მრავალკულტურული იყო, მაგრამ ბევრ ლეგიონერს არც ჰქონდა ნანახი იტალია ან იმპერიის რომელიმე ცალკეული რაიონი. ამგვარად, ჯარისკაცებს და ოფიცრებს იწვევდნენ ადგილობრივი მცხოვრებლებისაგან და მათი საშუალებით ცდილობდნენ ადგილობრივ სტაბილურობის დამყარებას. ამ პრაქტიკით აიხსნება ის, რომ მოგვიანებით, რევოლუციური დაუმორჩილებლობა, ჩვეულებრივ, საზღვრისპირა რეგიონიდან მოდიოდა ხოლმე და ისიც, რომ რომაელები საუკუნეების მანძილზე სრულიად უხალისოდ ემორჩილებოდნენ ფართო ცენტრალური რეზერვის შექმნას, სადაც შეიძლებოდა იმპერიის უზარმაზარი ტერიტორიიდან ყველა რესურსის თავმოყრა ამბოხების ერთი, ცალკე კერის წინააღმდეგ.

მაინც, გარნიზონის ყოველდღიური ცხოვრების ბიუროკრატიული მხარის გაძლიერებისა და არმიის პოლიტიზირების მიუხედავად, სხვა რომაელი მოქალაქეების ძალიან ადვილად მკვლელობის მიუხედავად და აგრეთვე ხელფასისა და პენსიის ოდენობაზე ფიქრით შეპყრობილობის მიუხედავად, თვითონ ლეგიონერები როგორღაც ახერხებდნენ ბრძოლის დროს უპირატესობის შენარჩუნებას იმპერიის არსებობის პირველი სამი საუკუნის განმავლობაში. . ჩვ. წ. პირველი საუკუნის ადრეული წლების ისტორიკოსი იოსებ ფლავიუსი, ებრაელების და რომის ისტორიის მოღვაწე, წერდა რომაელების საბრძოლო უპირატესობების შესახებ:

სურ.127 რომაელი ლეგიონერი ლაშქრობისას

,,თუ შევხედავთ რომაელ სამხედროებს, დავინახავთ, რომ იმპერია მათ ხელში მოექცა მათი სიმამაცისა და გმირობის შედეგად, და არა როგორც ბედის საჩუქარი. ისინი არ ელოდებოდნენ ომის დაწყებას, რათა იარაღი აეღოთ ხელში, უდარდელად არ ატარებდნენ დროს მშვიდობიან პერიოდში; ისინი ყოველთვის მობილიზებულნი იყვნენ თავისი მოვალეობის ნებისმიერ დროს შესასრულებლად. ისინი თითქოს იარაღით ხელში იბადებოდნენ, არასდროს შეუსვენიათ, მუდმივ წვრთნაში იყვნენ, მშვიდად არ უცდიდნენ, როდის მოვიდოდა მათი ფეხზე დადგომის დრო... არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ მათი მანევრები ჰგავდა უსისხლო ბრძოლებს, ხოლო ბრძოლები – სისხლიან მანევრებს”.

დაახლოებით ოთხასი წლით გვიან, ვეგეციუსი, მე-5 საუკუნის რომის სამხედრო ინსტიტუტების შესახებ სახელმძღვანელოს ავტორი, კვლავ თვლიდა, რომ რომაელი ლეგიონერების წვრთნები და მათი ძალთა

სტრუქტურის სწორი ორგანიზაცია იყო მათი საბრძოლო წარმატებების საფუძველი. ,,გამარჯვება მიიღწეოდა არა მხოლოდ მათი დიდი რიცხობრიობითა და განსაკუთრებული სიმამაცით, არამედ ასევე განსაკუთრებული ოსტატობით, რომელიც იყო წვრთნების შედეგი. ჩვენთვის ნათელია, რომ რომაელი ხალხი თავისი უზარმაზარი იმპერიის შექმნას უნდა უმადლოდეს სამხედროების კარგ გაწვრთნილობას, დისციპლინას ბანაკებში და უნარების ოსტატურად გამოყენებას ომის დროს.”

როგორ უმკლავდებოდნენ ასეთი გაწვრთნილი ჯარები გამოწვევებს უზარმაზარი იმპერიის საზღვრებთან? როგორი იყო იმპერიის თავდაცვის სტრატეგია, იმპერიის პოლიტიკა სატელიტი ქვეყნებისა და მათი მოსახლეობისადმი? ან როგორი იყო თავდაცვის სტრატეგია საზღვრებზე თითქმის ხუთი საუკუნის განმავლობაში, ჩვ. წ-ით მე-5 საუკუნემდე? თუმცა ზოგი ისტორიკოსი უცხო ქვეყნის თავდასხმის წინააღმდეგ მუდმივ მზადებასა და წვრთნაში ხედავდა გადაჭარბებულ რეაგირებას: უბრალოდ, ადამიანების დიდი რიცხვითა და სხვადასხვა საბრძოლო საშუალებებით დახვეწილი, გონივრული და მოქნილი სამხედრო სტრატეგიის ჩანაცვლებას. სხვები ნახევარი ათასწლეულის განმავლობაში სასაზღვრო დაცვის სამსახურის გამოცდილებას განიხილავენ როგორც ერთ დიდ, ,,ცივი ომის” მსგავს მოვლენას. მათი აზრით, მასიური არმიების ყოფნა საზღვრებთან სხვა არაფერია, თუ არა რომის ეკონომიკის მიერ გამოყენებული ექსპლუატაციის ერთ-ერთი საშუალება, უცხოელი ბარბაროსების კაპიტალის რომის იმპერიაში გადმოსატანად, და ამავე დროს, რომის მზარდი მილიტარიზაციისა და მთელი რიგი ქვეყნების ლათინიზაციის გამართლების მცდელობა.

სურ.128 ტიტუს ფლავიუს ვესპასიანე, რომის იმპერატორი ახ.წ. 69-79 წლებში

მართალია, არასოდეს არსებულა ოფიციალური რომაული ,,ომის კოლეჯი” სტრატეგიული მგეგმავებისთვის, მაგრამ უცხოელების შემოჭრის საფრთხე ნამდვილად რეალური იყო, ხოლო იმპერიის თავდაცვის უზრუნველყოფა იყო უკიდურესად რთული, ისევე როგორც ჯარისკაცების სხვა ქვეყნებში განლაგებისთვის ბაზების შექმნა. ჩვ. წ-ით პირველი საუკუნის ბოლოდან დაწყებული, რომაელი იმპერატორების მემკვიდრეები სამხედრო სტრატეგები იყვნენ, რომლებიც მართლაც ცდილობდნენ, შეექმნათ რომაული ცივილიზაციის ერთი საერთო, უზარმაზარი წრე, რომლის საზღვრებშიც ყველა მიიღებდა რომის მოქალაქეობას და იცხოვრებდნენ რომაული წესებისა და ტრადიციების მიხედვით. იულიუს კლაუდიუსის მემკვიდრე იმპერატორებმა (ჩვ. წ-მდე 27 – ჩვ.წ-ით 68), რომლებსაც ბევრი ხელმწიფე ემორჩილებოდათ და რომლებიც სადამსჯელო ზომებს მიმართავდნენ მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე, იმპერატორ ვესპასიანედან დაწყებული (ჩვ.წ.69-79), ბიძგი მისცეს უფრო გამაგრებითი სამუშაოების გაზრდას თავდაცვისათვის, საექსპედიციო კამპანიებისთვის თავის არიდების პოლიტიკას, რომლის მიხედვითაც მეტი ყურადღება ეთმობოდა სანგრების გათხრას, გასამაგრებელი კედლების აგებას, ბანაკების გამაგრებას და სხვა. იმპერატორ დიოკლიტიანეს შემდეგ (ჩვ.წ.284-305), ოფიციალურად შემოვიდა საზღვრის რეკონსტრუქციის პროგრამა და გაჩნდნენ უფრო მობილური რეზერვები. იმპერატორ კონსტანტინესა და მისი მემკვიდრეების დროს ად-

გილი, სადაც გადიოდა საზღვარი, შეიძლებოდა დროებით გადასულიყო მოწინააღმდეგის ხელში და შეიძლებოდა კვლავ დაეკავებინათ რომაელ ჯარისკაცებს, როგორც სიღრმისეული თავდაცვის ზღუდე. ეს უფრო ხშირად ხდებოდა, რადგან უფრო გონივრული იყო, ვიდრე მიჯაჭვა ერთ ადგილზე და უკიდურესად ძვირი მუდმივი თავდაცვითი ხაზის მოწყობა.

შეგვიძლია მოკლედ შევაჯამოთ, რომ მიუხედავად რომის პოლიტიკაში ლეგიონების ჩარევისა და მიუხედავად უზარმაზარი ტერიტორიის დაფარვის საჭიროებისა, დიდი გადასახადების კიდევ უფრო გაზრდისა, მზარდი კორუფციისა და სხვა ამორალური საქციელისა, რომლებიც უკავშირდებოდა გარნიზონებში მუდმივად ცხოვრებას, იმპერიის ლეგიონებმა შეძლეს ხუთი საუკუნის განმავლობაში შეენარჩუნებინათ მკაცრი დისციპლინის ტრადიცია, შეექმნათ სანდო ტექნოლოგია, რაც ასე დამახასიათებელი და აუცილებელი იყო უპირატესობისთვის ბერძნულ-რომაული ეპოქის ბრძოლის ველზე. მერვე საუკუნეშიც კი, აღმოსავლეთ რომის (ანუ ბიზანტიის)იმპერიის არმიაში, თუმცა იმ დროს ბერძნული ენა იყო გაბატონებული, მაინც იყენებდნენ კომანდებსა და ნიშნებს, რომლებიც ათასი წლით ადრე გამოიყენებოდა ეგრეთ წოდებული ,,მარიუსის ჯორების" კონტროლისთვის. ხოლო დასავლეთში, რომის სამხედრო მემკვიდრეობა ბატონობდა მომდევნო რვა ასეული წლის განმავლობაში.

რომაული სამხედრო ინფრასტრუქტურა

სურ.129 ეგვიპტეში აღმოჩენილი რომაელი მეომრის ფეხსაცმელი-კალიგა

რომმა მემკვიდრეობით მიიღო ტექნოლოგიური განვითარების, სამხედრო სფეროში განახლებებისა და სწრაფი რეაგირების ბერძნული გენია, გადამწყვეტი და გაბედული იერიშის იდეასთან ერთად, ხოლო შემდეგ დაუმატა ამას სტანდარტიზაცია და ბიუროკრატიზაცია, რაც გამოიხატებოდა მუდმივ წვრთნებსა და მკაცრ დისციპლინაში. მაგალითად, ელინისტურ ფალანგაში არ არსებობდა სიღრმის სტანდარტული გაგება, ბერძნებს არ ჰქონდათ ჩამოყალიბებული ისეთი ცნებები, როგორიცაა ერთიანი სამეთაურო სტრუქტურა (სამეთაურო ჯაჭვი), ჯარში გაწვევის რეგულაცია, სამსახურის ვადა, ან პენსიაზე გასვლა. კიდევ უფრო ნაკლებად აინტერესებდათ მათ სამხედრო ჯილდოები და წარჩინების ნიშნები, ან სასჯელი, ან კიდევ სამხედრო კარიერა.

რომაულ არმიაში კი პირიქით, ლეგიონები წარმოადგენდა მუდმივ, მყარ სამხედრო ძალას. ჯარში გაწვევა ხდებოდა დადგენილი წესების მიხედვით, რომლებიც ითვალისწინებდა გასაწვევი პირის სამოქალაქო და სოციალურ სტატუსს, ჯანმრთელობის მდგომარეობას, სიმაღლესა და წონას. ცენტურიონებმა (სამხედრო ასეულების მეთაურები), ტრიბუნებმა (ორატორი, სამოქალაქო თანამ-

დებობის პირი, მოღვაწე) და კვესტორებმა (კონსულის თანაშემწე ფინასების დარგში) ზუსტად იცოდნენ თავისი ფუნქცია და პასუხისმგებლობის დონე.

სურ.130 რომაელ ლეგიონერთა ჭურჭელი

რომაული არმია, მდ. დუნაის ნაპირებზე იბრძოდა ის თუ ჩრდ. აფრიკაში, ერთგვაროვან წესებსა და პროცედურებს იცავდა. ერთნაირად იშლებოდა ბანაკები, შეიარაღება და აღჭურვილობაც ერთნაირი იყო. ზედმიწევნით სისტემატიზებული და დაცული იყო კვების რაციონი, ფოსტის მიწოდება, სანიტარული პირობები – რაც სამხედრო ცხოვრების თითქოს უმნიშვნელო დეტალებად ითვლებოდა და ხშირად არც არავინ აქცევდა ყურადღებას სხვა არმიებში. რომაელების მიერ აგებული გზები უზრუნველყოფდა ლოგისტიკურ მომსახურებას, ადგილობრივი საზღვაო პორტების ინფრასტრუქტურა და სავაჭრო გემები ასევე ემსახურებოდნენ არმიას. ამგვარად, როგორც რომში მყოფ მგეგმავებს, ისე ველზე მყოფ საბრძოლო მეთაურებს ზუსტი ცოდნა ჰქონდათ ლეგიონების წინსვლისთვის აუცილებელი დროის, ხარჯებისა და ძალისხმევის შესახებ.

ასეთი ფართო დამხმარე ინფრასტრუქტურა, ბუნებრივია, მოითხოვდა უზარმაზარ ძალისხმევას. ლეგიონები, უმეტეს შემთხვევაში უკეთ იყვნენ ნაკვები, დაბინავებული და მოვლილი, ვიდრე მათი მოწინააღმდეგეები. ეს ქმნიდა, რიცხობრივის გარდა, ხარისხობრივ უპირატესობასაც. ასეთი ყოველმხრივი უპირატესობა იმას ნიშნავდა, რომ მხოლოდ ციფრები არ იყო გადამწყვეტი, როგორც ეს დამტკიცდა იულიუს კეისრის გამარჯვებებით საკმაოდ მრავალრიცხოვან გალებზე.

გადამწყვეტი, როგორც დიდმა გამოცდილებამ აჩვენა, იყო ფსიქოლოგიური ელემენტი. რომაელმა ქვეითებმა ყოველთვის ზუსტად იცოდნენ, რომელი ქვედანაყოფები მიდიოდნენ წინ, რომლები რჩებოდნენ უკან, ვის რა ევალებოდა, როგორ და როდის უნდა გადასულიყვნენ შეტევაზე ან დაეხიათ უკან და რას ნიშნავდა შეტევა და უკან დახევა ბრძოლის საბოლოო შედეგისთვის. რომაელმა ჯარისკაცებმა, ასევე ზუსტად იცოდნენ, თუ როდის მისცემდნენ მათ საკვებს, როდის შეეძლებოდათ გამოძინება, დარწმუნებული იყვნენ, რომ მათ უზრუნველყოფილი ექნებოდათ მოვლა და ყურადღება ავადმყოფობის ან დაჭრის შემთხვევაში და თუ დაიღუპებოდნენ, გარდაცვლილზეც სათანადოდ იზრუნებდნენ. რომაულ ლეგიონებს არ აშინებდა არც გერმანული ბარბაროსული ტომების არმიები, არც სიცივე და თოვლიანობა იმპერიის ჩრდილოეთ საზღვრებთან, არც აფრიკელი ცხენოსნების სისწრაფე და განსაკუთრებული შეიარაღება. რომაელი ლეგიონერები სრულებით იყვნენ დარწმუნებულნი, რომ მათი ომის მეთოდები და მათი არმიის ორგანიზაცია საუკეთესო იყო და მათი წინასწარი საბრძოლო მომზადების წყალობით ისინი მზად იყვნენ ყველაფრის დასაძლევად.

სტრატეგიულ დონეზე, ბიუროკრატიზაცია უზრუნველყოფდა იმასაც, რომ ცალკეული წარუმატებლობა არ ნიშნავდა კატასტროფას მთელ ომის თეატრზე. ვერც კანესთან გამართულმა სისხლისღვრამ (ჩვ.წ-მდე 216წ), ვერც ვარუსის განადგურებამ გერმანიაში (ჩვ.წ-ით 9 წელი), თვით კრასუსის კატასტროფულმა მარცხმაც კი კარესთან (ჩვ.წ-მდე 53წ.) ვერ გამოიწვია რომაელი ლეგიონერების სულიერი გატეხილობა და დაძაბუნება. საშინელი მარცხისთანავე, დაუყოვნებლივ, ამოქმედდა რომაული არმიის მთელი სამხედრო მანქანა, რისთვისაც საჭირო გახდა ახალი გადასახადების დაწესება, ახალი აღჭურვილობის შეგროვება, ახალი გაწვევის მოწყობა და გამოცდილი ვეტერანი ცენტურიონების გამოძახება. არმიის ასეთი ეფექტიანობა უზრუნველყოფდა იმას, რომ მიუხედავად ცალკეული მხედართმათავრული ლაფსუსებისა – და ასეთი მრავლად იყო რომაულ არმიაში – უდიდესი ორგანიზებულობა, ძალების კონცენტრირების უნარი მაინც იძლეოდა საბოლოო გამარჯვების მიღწევის საშუალებას. ლეგიონები თითქმის ავტომატურად მოქმედებდნენ. ცენტურიონების სიმამაცე და გამჭრიახობა ძალიან მცირე მითითებებს საჭიროებდა ზედა ეშელონებისგან.

სამწუხაროდ, ჩვ.წ-მდე მეორე და პირველ საუკუნეებში იმპერიის საზღვრების განსაკუთრებით გაფართოებასთან ერთად, გაიწელა და შეთხელდა ურთიერთკავშირის (საკომუნიკაციო) ხაზები და გაიზარდა თავდაცვის აუცილებლობა. ასე რომ, ჩვ.წ-ით პირველ საუკუნეში ლეგიონების ინფრასტრუქტურა თითქმის მხარდამჭერი ძალების გარეშე რჩებოდა, ხოლო მესამე და მეოთხე საუკუნეებისთვის მისი სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფა შეუძლებელი გახდა. რომაული სამხედრო სისტემა გახდა პრობლემური და ეს პრობლემატურობა იზრდებოდა იმის გამოც, რომ რომაული არმიის რიგებს უკვე მარტო იტალიის მოსახლეობა ვეღარ ავსებდა. მიმდინარეობდა არალათინურად მოლაპარაკე ჯარისკაცების გაწვევაც იმპერიის თვალუწვდენელი სივრცეებიდან. ადგილობრივი სამოქმედო ინსტრუქციები გამოიყენებოდა რეგიონალური მოთხოვნების მისადაგებით, ასე რომ სულ მალე მოხდა რომაული არმიის დიდი ნაწილის სრული ბალკანიზაცია. პენსიაზე გასული ვეტერანები ითხოვდნენ მიწას და ანაზღაურებას ნაღდი ფულით. მაგრამ ადრეული იმპერიის დროინდელი ექსპანსიის შეჩერების გამო, მიწა ძალიან შეზღუდული მოხმარების საგანი გახდა. დიდი ხნის განმავლობაში მომსახურე ლეგიონერებისთვის პენსიაზე გასვლის შემდეგ მიწების დარიგების საუკუნოვანმა პრაქტიკამ თავისუფალი მიწების ძალიან მცირე რაოდენობა დატოვა იმპერიაში და ის ძალიან ძვირი ღირდა. ძვირი ჯდებოდა აგრეთვე გზების მშენებლობა. პროფესიონალი ლეგიონერების არმიები, სამხედრო ინჟინრებთან, დამხმარე მუშებთან და მხარდამჭერ პერსონალთან ერთად, ხელფასების სახით მოითხოვდნენ უზარმაზარ თანხებს მზარდი ინფლაციის დასაკმაყოფილებლად.

ჩვ. წელთაღრიცხვის მეორე და მესამე საუკუნეებში რომის თავდაცვის ხარჯები კმაყოფილდებოდა სულ უფრო მზარდი გადასახადების ხარჯზე, რომლებიც აწვებოდა ისედაც დაჩაგრულ და განადგურებამდე მისულ სოფლის მოსახლეობას. გლეხობა სრულებით დაუძლურებული იყო და ამგვარად, ამოიწურა დაფინანსების ეს წყაროც. აი ასე, ერთ დროს უზარმაზარი და უძლიერესი რომაული სამხედრო მანქანა თანდათან დაძაბუნდა და მიწასთან გასწორდა; თუმცა გარეგნულად მისი ინფრასტრუქტურა ჯერ ისევ მოქმედებდა, მაგრამ ცოცხალი ძალა და კაპიტალი, რომელიც მას ასაზრდოებდა, იმ დროისთვის ამოწურული იყო.

საკითხავი ლიტერატურა

1. სუნ-ძი, ომის ხელოვნება. თბ., 2007 წ.
2. ჰეროდიტე, ისტორია. თბ., 2007 წ.
3. კახა კაციტაძე, სტრატეგიის საფუძვლები. თბ., 2007 წ.
4. კახა კაციტაძე, ადამიანი მეომარი. თბ., 2011 წ.
5. ჯემალ შარაშენიძე, ომებიადა. თბ., 2011 წ.
6. ომებისა და სამხედრო ხელოვნების ისტორია I ნაწილი, სამეთაურო-საშტაბო სკოლა. თბ., 2011 წ.
7. საქართველოს სამხედრო ისტორია I ნაწილი, თბ., 2013 წ.